საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№11 (198)
27 მარტი - 2 აპრილი, 2013
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

დავეწიოთ და გავუსწროთ მიშა სააკაშვილს 5

# ყელში გაჩხერილი რიჩარდი, ანუ ვისწავლოთ «არას» თქმა



2

## კაპიტულაცია ნორლანდიურად

10

6 ქართველ სამხედროებს აფრიკაში აგზავნიან
11 რიგითი «ძაღლიშვილი» გადაარჩინეს
14 რუსთავში ზონდერ-სამსახურს ლევან ტყეშელაშვილი უხელმძღვანელებს
კონსტიტუციის 50-ე მუხლს პრეზიდენტი ფსიქიკურად დაავადებულ ადამიანად გამოჰყავს 22
ჩამოყალიბდება თუ არა ქართველურ ენათა დაცვის დეპარტამენტი? 25

## «საქართველო დღემდე გარედან იმართება»

4

## გიმლერის მემკვიდრეობა და ბავშვთა უფლებები დემოკრატიის ციტადელში

8

## «ვარდSOSნები», «ქართული SOSნება» და SOSიალურად დაუცველი საქართველო!

9



12

ანზორ თოთაძე:

## საქართველოში ეროვნულ უმრავლესობას ქართველები უნდა შეადგენდნენ!

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არც საქართველოს ეშველება არაფერი, თუ ჩვენი პოლიტიკოსები „არას“ თქმას არ ისწავლიან. სულერთია, ამერიკა იქნება ეს თუ ნებისმიერი სხვა სახელმწიფო, რომელიც საკუთარ ჭკუაზე ჩვენს ტარებას ცდილობს.**

# ყელში გაჩხერილი რიჩარდი, ანუ ვისწავლოთ «არას» თქმა

**25 მარტს საქართველოს პარლამენტმა კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების პროექტი საბოლოოდ დაამტკიცა. პრეზიდენტს კონსტიტუციით მინიჭებული უფლება, მთავრობის პარლამენტთან შეუთანხმებლად დანიშვნის უფლება, ჩამოერთვა. ქვეყნის მთავარ კანონში განისაზღვრა, რომ პარლამენტის მიერ ახალი მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებამდე, მთავრობის მოვალეობის შესრულებას გადაყენებული თუ გადამდგარი მთავრობა გააგრძელებს. კონსტიტუციის 80-ე მუხლს ახალი, 5/1 პუნქტიც დაემატა, რომლის თანახმად, მთავრობის გადადგომის ან პრეზიდენტის მიერ მისი გადაყენების შემთხვევაში, პრეზიდენტი მასვე აკისრებს მოვალეობის შესრულებას, მთავრობის ახალი შემადგენლობის შექმნამდე. გადამდგარი თუ გადაყენებული მთავრობა მოვალეობის შესრულებას რიგგარეშე არჩევნების შედეგად ახალარჩეული პარლამენტის მიერ მთავრობის ახალი შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადებამდე განაგრძობს.**



„ქართული ოცნება“ თავდაჯერებულად აცხადებდა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებებს „ნაციონალების“ გარეშეც მიიღებდნენ. 21 მარტს პირველი მოსმენით კანონის მიღებამდე ყოფილმა მმართველმა პარტიამ კატეგორიულად მოითხოვა სარეიტინგო კენჭისყრის ჩატარება, რასაც ასეთივე კატეგორიულობით უარყოფდნენ ახალი უმრავლესობის სახეები. დებატები გაჭიანურდა და „ორი თხის“ იგავი პარლამენტის სხდომათა დარბაზში მთელი დრამატიზმით გათამაშდა. როცა თხები დაილალნენ, „შემთხვევით“ იქვე მყოფმა აშშ-ის ელჩმა, რიჩარდ ნორლანდმა „მავრის საქმე“ შეასრულა და იქაურობაც დატოვა. გაჯიუტებულმა „მეოცნებეებმა“ ფირფიტა გადააბრუნეს და სარეიტინგო კენჭისყრა დანიშნეს.

პარლამენტის თავმჯდომარემ ყველაფერი საკუთარ თავზე აიღო, მაგრამ ეს მერამდენედ, პრემიერ-მინისტრმა ივანიშვილმა ყველას შეახსენა, „ვინ არის აქ უფროსი“ და განაცხადა, რომ პარლამენტის თავმჯდომარეს შესვენებაზე ტელეფონით ესაუბრა და სარეიტინგო კენჭისყრაზე დათანხმება ურჩია. პრემიერმა ისიც თქვა, რომ უსუფაშვილს ამის სურვილი არ ჰქონდა, რადგან კარგად იგრძნობოდა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის საჭირო ხმებს უმრავლესობა ისედაც მიიღებდა. არადა, თავად უსუფაშვილმა სარეიტინგო კენჭისყრამდე საგანგებოდ განაცხადა, რომ „ნაცმოძრაობის“ ხმების გარეშე საკონსტიტუციო ცვლილება ვერ გავიდოდა.

**„პოლიტიკურად უფრო კარგი იქნებოდა, რომ მე უსუფაშვილთან არ დამერეკა, მაგრამ ადამიანურად ჯობდა, არ დაგვეშვა ძალიან დაბალი ალბათობაც იმისა, რომ ეს საკონსტიტუციო ცვლილება ჩავარდნილიყო. საზოგადოებისთვის ეს საშიში არ იყო, მაგრამ „ნაციონალური მოძრაობა“ დარჩებოდა საზოგადოების მიღმა, რისი სურვილიც არ გამაჩნდა და არ გამაჩნია დღესაც. თუ „ნაციონალური მოძრაობა“ უფსკრულისკენ წასვლას გადაწყვეტდა, ჩვენ მათ პარაშუტები მივეცით და დაეშვნენ. ამიტომ ვურჩიე უსუფაშვილს, რომ სჯობდა, დაგვეთმო ამ ახირებაზე. შედეგად კი მივიღეთ ის, რაც გვინდოდა“, - აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.**

ქართველი საზოგადოებისთვის გაუგებარი დარჩა, რატომ ზრუნავს ასე ბიძინა ივანიშვილი „ნაცმოძრაობისთვის“ „სახის შენარჩუნებაზე“ და სათადარიგო პარაშუტით აღჭურვაზე. მან ხომ თავად განაცხადა, რომ დარჩა უკმაყოფილების გრძნობა და ივარაუდა, რომ ასეთივე გრძნობა ექნება საზოგადოებასაც.

**რამდენიც უნდა უარყოს ნორლანდმა მონაწილეობა ამ პროცესში, ერთი თვით ადრე გაკეთებული მისივე განცხადებები აშკარად ადასტურებს მის ჩართულობას ორ პოლიტიკურ ძალას შორის მოლაპარაკებებში.** 20 თებერვალს მან განაცხადა, რომ ამნისტიის საკითხზე საპარლამენტო უმცირესობასა და უმრავლესობას შორის შეუთანხმებლობაა, მაგრამ მოლაპარაკებების პროცესში ორივე მხარე კონსტრუქციულია. „გარკვეული საკითხები ისევ გადასაწყვეტია. მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ გამოძიება მართლმსაჯულების პრინციპების სრული დაცვით უნდა წარიმართოს, კანონის უზენაესობა უნდა იყოს დაცული და შერჩევითი სამართალი თავიდან უნდა იქნეს აცილებული“, — განაცადა ნორლანდმა. ამის შემდეგ თუ ვინმეს კიდევ ებადება კითხვა, რატომ დადიან დაუსჯელები ბობოლა „ნაცები“, ეს საკუთარ მიამიტობას დააბრალოს!

საჯარო განცხადებებსაც რომ თავი დავანებოთ, უსუფაშვილისა და ივანიშვილის ნირწამხდარი გამომეტყველება აშკარად მოწმობდა, რომ ყოფილი მმართველი პარტიის მიერ ახირებული სარეიტინგო კენჭისყრის ჩატარება მათი იდეა არ ყოფილა. **ნორლანდის აქტიური მიმოსვლა ორ ბანაკს შორის მხოლოდ ბრმამ შეიძლება ვერ დაინახოს, ხოლო შედეგები ნათლად მეტყველებს, თუ ვის ინტერესებს ემსახურება ამერიკელი დიპლომატის ეს მოძრაობები.**

აშშ-ის ელჩი საკონსტიტუციო ცვლილებებზე კენჭისყრამდე ორიოდე საათით ადრე ჯერ უმცირესობის ლიდერ დავით ბაქრაძეს, შემდეგ კი პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს შეხვდა. შეხვედრა მედიისთვის დახურული იყო. მართალია, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ ელჩის ვიზიტი ორი თვით ადრე დაიგეგმა და ის დაკავშირებული არ არის პარლამენტში მიმდინარე პროცესებთან, მაგრამ თავად ნორლანდმა ისეთი განცხადება გააკეთა, რომელიც „შიდა საქმეებში ჩაურევლობაზე“ მეტად პროცესზე მის ზედამხედველობას მიანიშნებს: „დღეს პარლამენტი იწყებს მნიშვნელოვანი კონსტიტუციური ცვლილების განხილვას; ეს აშკარად საქართველოს შიდა პოლიტიკური განსჯის საგანია. რამდენადაც პრესიდან ვიცნობ ვითარებას, აღვნიშნავ, რომ ორივე მხარე თანხმდება შინაარსზე, მაგრამ, როგორც ეს ხდება დემოკრატიულ პროცესში, თითოეული მხარე ცდილობს, რომ მაქსიმალურად უზრუნველყოს მისი ამომრჩევლის ინტერესები და ამას ვხედავთ ჩვენ“.

როგორ და ვისი ჩარევითაც თანხმდება ორივე მხარე, ეს ჩვენც კარგად დავინახეთ. **და თუკი ნორლანდს მართლაც სჯერა, რომ „საქართველოს ჰყავს ძლიერი მთავრობა ძლიერი საარჩევნო მანდატით, ჰყავს კომპეტენტური პარლამენტი, დამოუკიდებელი სასამართლო და მედია, რაც დემოკრატიული საზოგადოების საფუძველია“, ქართველი ამომრჩეველი სამართლიანობის აღდგენას არ უნდა ელოდოს. 21 მარტს ივანიშვილმა კი არა, სწორედ რიჩარდ ნორლანდმა აჩვენა ყველას, „ვინ არის აქ უფროსი“.**

ახალ პარლამენტში თუნდაც ერთი განსხვავებული იდეოლოგიის ფრაქცია რომ იყოს, აშშ-ის ელჩი ამდენის უფლებას საკუთარ თავს ვერ მისცემდა, ვერც „ქართულ ოცნებაზე“ მოახდენდა ასე გაბედულად ზეწოლას. პარლამენტის თავმჯდომარე მაინც რომ იყოს „ნაციონალური მოძრაობისგან“ განსხვავებული ორიენტაციის, იმ დრამას ვერ ვიხილავდით, რომელიც სააკაშვილმა საკუთარი თავის რეანიმაციად მიიჩნია. ერთი იდეოლოგიის ორ ძალას შორის მანევრს კი ყველაზე უკეთ ამერიკელები ახერხებენ და ამიტომაც არის, რომ ყველაფერი მათი მითითებითა და ჩარევით წყდება.

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, როდესაც საქართველო სუვერენული სახელმწიფო არ იყო, წარმოუდგენელი იყო, მოსკოვიდან მოვლენილ ცკ-ს მეორე მდივანს ეკარნახა, რა გადაწყვეტილება მიეღო უზენაეს საბჭოს, ვინ დაეპატიმრებინა ან ვისთვის ეპატიებინა დანაშაული საქართველოს ხელისუფლებას. ახლა სუვერენული სახელმწიფო გვქვია და ვაშინგტონის ნების გარეშე ვერაფერი გადაგვიწყვეტია. მთავარია, რომ ნორლანდი სუვერენიტეტს გვიქებს, დანარჩენი წყალს და მეწყერს წაუღია!

მან 26 თებერვალსაც „დაგვამშვიდა“, რომ პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი შეთანხმების გზებს გამონახავენ და კოაბიტაციის პროცესი წინ მიიწევს: „ბოლო პერიოდში მქონდა შეხვედრები როგორც საქართველოს პრეზიდენტთან, ისე პრემიერ-მინისტრთან და ჩვენ ვხედავთ, რომ ისინი ცდილობენ პოლიტიკური პროცესის განვითარებისთვის გზები გამოძებნონ. ასევე, დააბალანსონ ორი ძირითადი საკითხი, როგორებიც არის სამართლებრივი პროცესების სწორად წარმართვა და დაძაბულობისა და დაპირისპირებების თავიდან აცილება“.

ელჩს არ დაუკონკრეტებია, დაძაბავს თუ არა ეს ყველაფერი ქართველ ამომრჩეველს. ან კი რა ენაღვლება? „სააკაშვილის ყოფილი მეგობრების კლუბი“ ხომ არ დაუშვებს, რომ ქართულ პოლიტიკაში სხვა თვალსაზრისი გაჭაჭანდეს! ყველაზე ნაკლებად ამ პროცესში ბიძინა ივანიშვილს შეიძლება დასდო ბრალი; ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მან მოახერხა ის, რისი იმედიც ყველა სხვა პოლიტიკურმა ძალამ გაუცრუა ამომრჩეველს — უმრავლესობა დააკარგვინა „ნაციონალურ მოძრაობას“! თუმცა მხოლოდ ეს საზოგადოებას დიდხანს ვერ ასაზრდოებს, მას რეალური ცვლილებები და სასიკეთო ძვრები სჭირდება.

საქართველოს არა აქვს იმ ფუფუნების უფლება, რომ რომელიმე ერთ ვექტორს ჩამოეკიდოს. ეროვნული ინტერესების განხორციელების ყველაზე მეტ შესაძლებლობას დაბალანსების პოლიტიკა იძლევა. რეგიონში, სადაც თურქეთის, ირანის, რუსეთისა და სხვა მოთამაშეების ინტერესები იკვეთება, მხოლოდ ამერიკაზე დაყრდნობა სიკეთეს არ მოიტანს ან მოიტანს იმას, რაც 21 მარტს პარლამენტის სხდომათა დარბაზში ვიხილეთ.

ოქტომბერში ვადაგასულ სააკაშვილს გახანგრძლივებული დროც მიეწურება და საქართველომ ახალი პრეზიდენტი უნდა აირჩიოს. თუ კანდიდატი კვლავაც „სააკაშვილის ყოფილი მეგობრების კლუბიდან“ იქნება, ყველაფერი ისევ ისე დარჩება. იქნებ ახლა მაინც გამოიტანოს დასკვნები ახალმა მთავრობამ და ის არჩევანი გააკეთოს, რომელიც სიტუაციას ქვეყნის შიგნითაც დააბალანსებს და რეგიონშიც?

დიდი ამერიკელი სოციოლოგი და პოლიტოლოგი **სამუელ ჰანტინგტონი** წერდა: „საკითხთა ფართო წრეში იაპონელმა და სხვა აზიელმა ლიდერებმა ისწავლეს „არას“ თქმა თავისი ამერიკელი კოლეგებისთვის. ზოგჯერ აზიური თავაზიანობით, მაგრამ ჩვენებურად რომ ვთარმნოთ, ეს ასე ჟღერს: „დაახვიე აქედან“!“ აზიურმა სახელმწიფოებმა ეკონომიკურ და პოლიტიკურ წარმატებას სწორედ ამ „არას“ წყალობით მიაღწიეს.

**არც საქართველოს ეშველება არაფერი, თუ ჩვენი პოლიტიკოსები „არას“ თქმას არ ისწავლიან. სულერთია, ამერიკა იქნება ეს თუ ნებისმიერი სხვა სახელმწიფო, რომელიც საკუთარ ჭკუაზე ჩვენს ტარებას ცდილობს.**

**ბატონებო, თუ ვერ ისწავლით „არას“ თქმას, იმ ქალს დაემსგავსებით, რომელიც ვერც ერთ კაცს ვერ ეუბნებოდა უარს და ბოლოს რეპუტაცია საბოლოოდ დაკარგა!**

**თამარ დავითულიანი**

## პატრიარქის ფონდი შიმშილის დასაძლევად აქციას სააღდგომოდ გამართავს

**კათოლიკოს-პატრიარქის ფონდი მზრუნველობამოკლებული ბავშვებისა და გაჭირვებული ოჯახების დასახმარებლად აქციის განხორციელებას სააღდგომოდ გეგმავს.**

ფონდის ხელმძღვანელ ლაშა ჟვანიას განცხადებით, ერთჯერადი აქცია, შესაძლოა, უფრო წარმატებული აღმოჩნდეს, რადგან ასეთ დროს საზოგადოების ყურადღება ერთ კონკრეტულ პრობლემაზეა კონცენტრირებული:

**„პატრიარქის ფონდის ჩარჩოები არის მეცნიერება და კულტურა, მაგრამ ძალიან ხშირად ჩვენ ვერ ვუვლით გვერდს სოციალურ საკითხსაც, ამიტომ გვაქვს, მაგალითად, ასეთი პროექტი: ბავშვები სკოლებში ხატავენ ნახატებს, შემდეგ ამ ნახატებს ყიდიან და შემოსული თანხა ხმარდება მზრუნველობამოკლებული ან ავადმყოფი ბავშვების ოჯახებს. ამ პროექტს ჩვენ გავაგრძელებთ, მაგრამ ახლა ვცდილობთ, ისეთი აქცია გავაკეთოთ, რომელიც იქნება ერთჯერადი და უფრო წარმატებული. მაგალითად, ვფიქრობთ, სააღდგომოდ გავაკეთოთ აქცია, რომლის ფარგლებშიც სუპერმარკეტების ქსელში დაიდგმება კალათები და, როდესაც ადამიანი ყიდულობს საკვებს, შეუძლია 2 ლარი, 3 ლარი, 5 ლარი გადადოს გაჭირვებული ბავშვებისთვის და საჩუქარი გაუკეთოს სააღდგომოდ. თან ახლა მარხვაა, ძალიან ბევრს თანხა არ ეხარჯება ხორცსა და რძის ნაწარმში და შეიძლება ეს თანხა ქველმოქმედებისკენ წავიდეს“,** — განაცხადა ლაშა ჟვანიამ.

**ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებიდან ან სააკაშვილი და „ნაცმოძრაობა“, ან სრულიად დემოკრატიული საზოგადოება უნდა გაქრეს, რადგან ისინი ერთმანეთთან პრინციპულად შეუთავსებლები არიან და, მარტივად რომ ვთქვათ, ხანგრძლივი თანაარსებობა არ შეუძლიათ.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ლუი XVI და გარეკილ I — პარალელები და პერპენდიკულარები

**კონსტიტუციაში ცვლილებები შევიდა. პარლამენტმა მიხეილ სააკაშვილს „ლეგიტიმური გადატრიალების“ მოწყობის შესაძლებლობა ჩამოართვა.**
**ის, ვინც ამ ფაქტის მნიშვნელობას აკნინებს და მას ერთ სიბრტყეში განიხილავს ისეთ ტაქტიკურ წვრილმანებთან, როგორიცაა სარეიტინგო კენჭისყრის ჩატარება ამ ცვლილებების დამტკიცების წინ, საპარლამენტო უმცირესობის დღევანდელი ვნებები და ხვალინდელი ხვედრი და ა.შ., ალბათ, დიდ შეცდომას უშვებს. არავინ ამბობს, რომ ეს თემები უინტერესოა და მათზე არ უნდა ვმსჯელობდეთ, მაგრამ საკონსტიტუციო ცვლილებები გაცილებით მნიშვნელოვანია; მათმა მიღებამ ქვეყნის მდგომარეობა უფრო სტაბილური და პროგნოზირებადი გახადა და, შესაძლოა, დიდი უბედურება (სისხლისღვრის ჩათვლით) აგვარიდა.**





**პოლიტიკის ისტორიაში იმ მდგომარეობის ანალოგის მოძებნა, რომელშიც დღეს მიხეილ სააკაშვილი აღმოჩნდა, არც ისე იოლია. კლასიკურ მაგალითად მსგავს სიტუაციებში, როგორც წესი, განიხილება ლუდოვიკო XVI-ს მდგომარეობა. 1791 წლის კონსტიტუციის მიღების შემდეგ, საფრანგეთის მეფე ქვეყნის პირველ პირად რჩებოდა, თუმცა რეალურად არაფრის შეცვლა აღარ შეეძლო, მას შემდეგ, რაც დამარცხდა 1789 წლის ეპიკურ დაპირისპირებაში დეპუტატებთან, და რევოლუციას წინ ვერ აღუდგა. მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში მყოფი მეფე რევანშზე ოცნებობდა და უცხო სახელმწიფოებს დახმარებას სთხოვდა. მას მშვენივრად ესმოდა, რომ ძველი რეჟიმის აღდგენა შეუძლებელია, მაგრამ ამავე დროს სასწაულის ირაციონალური იმედი ჰქონდა.** მას ეშინოდა რადიკალური გადაწყვეტილებების და მცირე საბოტაჟის ტაქტიკას მიმართავდა (ალბათ, არის ამაში რაღაც ნაცნობი). რაღაც მომენტში ეს საზოგადოებას ყელში ამოუვიდა. როდესაც მეფემ დამფუძნებელი კრების ერთ-ერთი დეკრეტის სანქცირებაზე უარი თქვა, მანიფესტანტები სასახლეში შეუცვივდნენ, ხოლო 1792 წლის 10 აგვისტოს პარიზში მოხდა აჯანყება, რომელსაც მონარქიის ფაქტობრივი (21 სექტემბერს — ფორმალური) გაუქმება მოჰყვა. **1793 წლის 11 იანვარს კონვენტში დაიწყო ლუდოვიკოს სასამართლო პროცესი; მას ბრალად წაუყენეს შეთქმულება ერის თავისუფლების წინააღმდეგ და მოქმედება სახელმწიფოს უსაფრთხოების წინააღმდეგ, 20 იანვარს მას სიკვდილი მიუსაჯეს, 21-ში კი თავი მოჰკვეთეს.** ასეთი ტრაგიკული შედეგით დასრულდა „კოაბიტაცია ფრანგულად“, ძველი და ახალი რეჟიმის (უფრო ფართოდ კი — ორი სრულიად განსხვავებული პოლიტიკური მსოფლმხედველობის) არაბუნებრივი, პერვერსიული თანაცხოვრების, მათი ელემენტების შერწყმის მცდელობა.

ლუი XVI სულაც არ იყო ძალაუფლებას მოწყურებული მონსტრი, პათოლოგიური ფსიქოპატი, რომელსაც საკუთარი ამბიციების გარდა არაფერი ანაღვლებდა. ის თავისებურად კეთილი, გულმოწყალე, რბილი და დამთმობი ხასიათის ადამიანი იყო. მას არ უნდოდა, საფრანგეთში სამოქალაქო ომი დაწყებულიყო და ამ მიმართულებით წასვლაზე რამდენიმეჯერ მტკიცე უარი თქვა, ხოლო როდესაც სასიკვდილო საფრთხე დაემუქრა, ძალიან ღირსეულად იქცეოდა და ამას მისი მოსისხლე მტრებიც კი აღიარებდნენ. ყოველივე თქმულის გათვალისწინებით, **უნდა ვაღიაროთ, რომ ორ განხილულ პიროვნებას შორის თუნდაც პირობითი პარალელების გავლება არანაირად არ გამოგვივა, თუმცა გარკვეული მსგავსება ორ ტრანზიტულ პოლიტიკურ პერიოდს შორის ნამდვილად შეინიშნება — იგივე პრინციპული შეუთავსებლობა, იგივე ჩუმი საბოტაჟი, რომელიც სულ უფრო გამაღიზიანებელი ხდება; იგივე უაზრო, მომწამვლელი ილუზიები დაცარიელებულ სასახლეში.**

მადლობა ღმერთს, ჩვენ შედარებით ჰუმანურ ეპოქაში ვცხოვრობთ, როდესაც თავის მოჭრა პოლიტიკური პრობლემის მოგვარების ლეგიტიმურ საშუალებად არ განიხილება, მაგრამ ეს საკითხის სიმწვავეს არ ამცირებს, **ისევე, როგორც შეუძლებელი იყო აბსოლუტისტური და რევოლუციური საფრანგეთის რამდენადმე ხანგრძლივი მშვიდობიანი თანაარსებობა, ასევე შეუძლებელია ავტორიტარული და დემოკრატიული საქართველოს კოაბიტაციაც და პრინციპულად შეუთავსებელი იდეების შეჯვარება.** იმ ადამიანისთვის (ან ჯგუფისთვის), რომელიც მთელი არსებით მიმართულია ძველი, ანტიდემოკრატიული, რეალობასთან და საზოგადოების სურვილებთან შეუთავსებელი რეჟიმის აღდგენისკენ, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ადგილი არ არის და მისი მოძებნის ნებისმიერი მცდელობა ადრე თუ გვიან მწვავე კრიზისით და, სავარაუდოდ, ფრიად დრამატული კულმინაციით დაგვირგვინდება.

**საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლითაც სააკაშვილს მთავრობის ერთპიროვნული დათხოვნა-დანიშვნის უფლება ჩამოერთვა, ძველი რეჟიმის, უფრო ფართოდ კი, ძველი პოლიტიკური აზროვნების დემონტაჟის საქმეში საეტაპო მოვლენას წარმოადგენს.** რაც შეეხება მათ დამტკიცებასთან დაკავშირებულ მოვლენებს, ეს იყო, ალბათ, ერთგვარი „ტესტი დემოკრატიაზე“ და ბილეთი პოლიტიკურ მომავალში, რომელზეც „ნაციონალებმა“ სარეიტინგო კენჭისყრის საკითხის დაყენებით, ფაქტობრივად, უარი თქვეს. ეს ნიუანსი ყველამ როდი შეამჩნია და ზოგმა შეიძლება მეორეხარისხოვნად ჩათვალოს, თუმცა ის პრინციპულად მნიშვნელოვანია; იმ მომენტში წარსულთან დაკავშირებულმა ძალებმა საკუთარი არჩევანი (წარსულის სასარგებლოდ) გააკეთეს და ლუი XVI-ს გზას დაადგნენ, თანაც ისე, რომ, შესაძლოა, ვერ გააცნობიერეს ეს.

ფრანგულ გამოცდილებას თუ დავუბრუნდებით, ვნახავთ, რომ მეფის მოქმედება აშკარად დესტრუქციული, გამომწვევი და ამავე დროს უაზრო მას შემდეგ გახდა, რაც მან გადატრილების (პირობითად ასე ვუწოდოთ) მოწყობის არა მხოლოდ ფაქტობრივი (საყოველთაო აჯანყების შიშის გამო), არამედ იურიდიული შესაძლებლობა დაკარგა; როდესაც ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ 1791 წლის კონსტიტუციის ერთგულების ფიცი დადო, რომლის თანახმად საკანონმდებლო კრების დაშლა არ შეეძლო. გამორიცხული არაა, რომ საქართველოშიც იგივე მოხდება და სრული უძლურების განცდა, შეუზღუდავ ამბიციებთან ერთად მიხეილ სააკაშვილს სწორედ ამ მიმართულებით უბიძგებს. აქ შეიძლება გაჩნდეს საწინააღმდეგო მოსაზრება — **ლუდოვიკო მონარქი იყო და, უხეშად რომ ვთქვათ, უკან დასახევი გზა არ ჰქონდა, ხოლო სააკაშვილს შეუძლია მშვიდად დატოვოს თანამდებობა ოქტომბერში და ხელისუფლებაში დაბრუნება ამის შემდეგ, დემოკრატიული პროცედურების გამოყენებით სცადოს (რასაც, 99%-იანი ალბათობით, ვერ მოახერხებს და გარკვეული დროის შემდეგ პოლიტიკურ არენას დატოვებს).** ღმერთმა ქნას, მოვლენები უმტკივნეულოდ განვითარდეს, მაგრამ **იმის გათვალისწინებით, რას ნიშნავს მიხეილ სააკაშვილისთვის შეუზღუდავი ძალაუფლება და მასთან დაკავშირებული აქსესუარები, ალბათ, მაინც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ის ლუდოვიკო XVI-ს სახელობის ალგორითმით იმოქმედებს.**

თუ ჩვენ წარმოვიდგენთ ნადირობის სცენას, თუნდაც ძველფრანგულ სტილში, თავისი კოსტუმებით, ესთეტიკითა და პოეტიკით, იმ მომენტს, როდესაც ნადირი (ეს შეურაცხყოფა კი არა, მეტაფორაა) ალყაშია, ყველა გზა მოჭრილი აქვს, მხოლოდ ერთი მიმართულებით გაქცევა შეუძლია და სწორედ იქ ელოდებიან მონადირეები, ეს, ალბათ, შექმნილი ვითარების შეფასებაში დაგვეხმარება. ბოლო საკანონმდებლო შეზღუდვებმა რკალი შეკრეს და, ალბათ, ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ, როდის დაუშვებს „პირობითი ნადირი“ („ჟევოდანის მხეცამდე“ ბევრი აკლია) საბედისწერო შეცდომას და წინასწარ განსაზღვრული მიმართულებით გაიქცევა. არაფერი პირადული — ეს სტრატეგიაა. ზოგიერთი რადიკალი გვთავაზობს, რომ ტყეში შევიდეთ და ფეხდაფეხ ვდიოთ, თუმცა პირველი ვარიანტი გაცილებით უსაფრთხო, პრაგმატული და ეფექტური ჩანს. მასში გათვალისწინებულია ინსტინქტებიც, ფსიქოლოგიური ნიუანსებიც და მონადირეების მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებაც.

**მოთმინების გამოვლენა საკმაოდ რთულია; სააკაშვილის მოწინააღმდეგეები გამარჯვებას წლების განმავლობაში ელოდნენ, განსაკუთრებით მძიმე იყო პაუზა 2011 წლის ოქტომბრიდან 2012 წლის ოქტომბრამდე და აზრი იმის შესახებ, რომ ახლა 2013 წლის ოქტომბერს უნდა დაელოდონ, მათთვის აუტანელია. მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარია შედეგი და არა ემოციები; იმისთვის, რომ ანტიდემოკრატიული იდეოლოგია და ავტორიტარული რეჟიმის აღდგენაზე ორიენტირებული ძალა სრულად ამოშანთონ ქართული პოლიტიკიდან** (მათი ინტეგრაცია დემოკრატიულ რეალობაში დღესდღეობით სრულიად წარმოუდგენელი ჩანს), **უნდა მოხდეს მათი სრული გაშიშვლება, როგორც ქართული, ისე საერთაშორისო საზოგადოების წინაშე, ამ მიზნის მიღწევისთვის კი მეტად ხელსაყრელია ისეთი ვითარების შექმნა, როდესაც სააკაშვილი მაქსიმალური რაოდენობის და სიმძიმის შეცდომებს დაუშვებს ისე, როგორც ეს თავის დროზე ლუი XVI-მ გააკეთა, თითქოსდა მის შიგნით რაღაც თვითგანადგურების მექანიზმი ჩაირთო.**

რა თქმა უნდა, თეორიულად შეიძლებოდა საკონსტიტუციო ცვლილებების დამტკიცება ხელების გადაგრეხვით, მეტიც, „ნაცმოძრაობის“ სრული განადგურება ძალზე უხეში მეთოდებით, მაგრამ ეს იმ ბინძური ტექნოლოგიების გამოყენება იქნებოდა, რომელზეც ქართულმა საზოგადოებამ 2012 წლის 1 ოქტომბერს შეგნებულად უარი თქვა. გავითვალისწინოთ ისიც, რომ ამას მოჰყვება ქვეყნის პოზიციების დასუსტება საერთაშორისო არენაზე, საქართველოს კი ამის ფუფუნება არ აქვს. **ჩვენ შეგვიძლია ძალიან დიდხანს ვილაპარაკოთ იმაზე, რომ უცხოელები ვერ აცნობიერებენ, რას წარმოადგენდა სააკაშვილის რეჟიმი სინამდვილეში, ან „ნაცმოძრაობის“ რეანიმირებას ხელს განგებ, რაღაც შორსმიმავალი გეგმებიდან გამომდინარე უწყობენ, თუმცა ეს მოსალოდნელ შედეგს არ შეცვლის.** ასე რომ, ალბათ, არ არის საჭირო ჭურჭლის მსხვრევა და ლოკალური საღვთო ომის მოწყობა მაშინ, როდესაც გაცილებით დახვეწილი სტრატეგიის გამოყენების შესაძლებლობა არსებობს.

**იმ ადამიანების მოსაზრება, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ქართულ კოაბიტაციას სხვა ფინალი ვერ ექნება, ერთ-ერთი მხარის პოლიტიკური განადგურების გარდა, ლოგიკას მოკლებული ნამდვილად არაა.** ორი დაპირისპირებული ძალა სრულიად შეუთავსებელ ღირებულებებს იზიარებს, როგორც რეალობას მოწყვეტილი აბსოლუტისტები და რევოლუციონერები საფრანგეთში XVIII საუკუნის მიწურულს. მაგრამ ბევრს ეს განადგურება რატომღაც დემონსტრაციული, ლამის თეატრალური (გვიყვარს ქართველებს ეს ეფექტები და რა ვქნათ!) აქტის სახით წარმოუდგენია, ურჩხულის განგმირვის სტილში, არადა, ალბათ, უნდა ვაღიაროთ, რომ ხანდახან გაცილებით ეფექტურია სხვა მეთოდების გამოყენება, მაგალითად, ხაფანგში შეტყუება. **ივანიშვილის წინასაარჩევნო სტრატეგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენდა სააკაშვილის პროვოცირება, რათა მას საბედისწერო შეცდომები დაეშვა და ამ ხერხის გამოყენებამ 100%-ით გაამართლა.**

რატომ უნდა გამოვრიცხოთ, რომ იგივე ხერხი ახლო მომავალშიც არ იმუშავებს, იმის გათვალისწინებით, რომ სააკაშვილს მანევრის სივრცე შეეზღუდა, გამოსავალს ეძებს და ილუზიებს ეპოტინება.

რაც შეეხება შიშს, იმასთან დაკავშირებით, რომ ბოლოდროინდელი პროცესები თითქოს ხელს შეუწყობს „ნაციონალური მოძრაობის“ საზოგადოების თვალში ლეგიტიმურ პოლიტიკურ ძალად და ორპარტიული მოდელის ფარგლებში ერთ-ერთ პოლუსად გადაქცევას, ალბათ, გადაჭარბებულია. **ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებიდან ან სააკაშვილი და „ნაცმოძრაობა“, ან სრულიად დემოკრატიული საზოგადოება უნდა გაქრეს, რადგან ისინი ერთმანეთთან პრინციპულად შეუთავსებლები არიან და, მარტივად რომ ვთქვათ, რამდენადმე ხანგრძლივი თანაარსებობა არ შეუძლიათ.**

ინტერვიუ

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„არც ბიძინა ივანიშვილის, არც პარლამენტის თავმჯდომარისა და არც ერთი დეპუტატის გადაწყვეტილება ის არ იყო, რომ 21 მარტს პარლამენტში სარეიტინგო კენჭისყრა ჩატარებულიყო, ეს ამბავი გადაწყვიტა უცხო სახელმწიფომ!“**



## თემურ შაშიაშვილი:

# საქართველო დღემდე გარედან იმართება

**„თეთრი მოძრაობის“ (თეთრები) ლიდერი თეიმურაზ შაშიაშვილი უახლოეს დღეებში თავის მეგობრებთან ერთად მნიშვნელოვანი პოლიტიკური განცხადების გასაკეთებლად ემზადება!..**
**თემურ შაშიაშვილი დღეს „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება.**

**— ბატონო თემურ, იმ ყბადაღებულ სარეიტინგო კენჭისყრაზე მინდა გკითხოთ, რის გამოც ხალხი ახალ ხელისუფლებაზე აღრენილია... ფაქტია, რომ ამ კენჭისყრამ სააკაშვილს ძველი რიხი დაუბრუნდა და მიშამაც ძველებურად გაუტია, არ მეთანხმებით?**

— ამ კვირაში ჩვენი გუნდი ემზადება სერიოზული პოლიტიკური განცხადების გასაკეთებლად, იმდენად, რამდენადაც **ქვეყანაში სახეზე გვაქვს ძალიან სერიოზული პრობლემა, — პოლიტიკის მონოპოლიზება!..** ასე იყო „მოქკავშირის“ დროს, ასე იყო სააკაშვილის დროს და ასეა ახლაც, როცა კოაბიტაცია გაიგეს იმგვარად, რომ თურმე მხოლოდ ორი პოლიტიკური ძალა უნდა დარჩეს და დანარჩენი ყველა უნდა მოკვდეს!.. მე ამაში ძალიან საგანგაშო სიმპტომებს ვხედავ და ამის გაკეთებას არავის ვურჩევ! რაც შეეხება სარეიტინგო კენჭისყრას, ეს მთელ მსოფლიოში მიღებულია, მითუმეტეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების დროს, მაგრამ საქართველოსთვის ეს კენჭისყრა ცუდი რატომ იყო, იცით? იმიტომ, რომ **მიხეილ სააკაშვილმა, ჩემი ინფორმაციით, „ნაცმოძრაობის“ იმ დეპუტატებს, რომლებიც ამ საკონსტიტუციო ცვლილებებს აძლევდნენ ხმას, ხმის მისაცემი ბარათები წაართვა და მათ „მოღალატეები“(!!!) უძახა...**

**— ეს უკვე სკანდალია, ბატონო თემურ!..**

— სააკაშვილს ვინც არ იცნობს, იმათ გასაგონად ვიტყვი, რომ ეს არის ველური კაცი და „ნაცმოძრაობის“ 90 პროცენტისთვისაც კი ეგ კაცი უკვე მიუღებელია. მათ ძალიან კარგად იციან, რომ სააკაშვილი ღუპავს მათ. სააკაშვილი მხოლოდ საქართველოს მტერი კი არ არის, ეგ, პირველ რიგში, „ნაცმოძრაობის“ მტერია!.. მაგრამ „ნაცმოძრაობის“ სისუსტე არის ის, რომ ამის ხმამაღლა თქმა არავის შეუძლია. მიხეილ **სააკაშვილმა სარეიტინგო კენჭისყრაში იპოვა გამოსავალი, რადგან იცოდა, რომ, თუ კენჭისყრა შედგებოდა, ის აუცილებლად წააგებდა.** ამიტომ თავის ხალხს უთხრა: „კი, მე ვიცი, რომ გამყიდველები ხართ და ცვლილებებს მხარს უჭერთ, მაგრამ სარეიტინგო კენჭისყრის ჩატარებას მე მივაღწევ, სარეიტინგოში მე დამიჭირეთ მხარი, ხოლო მერე რაც გინდათ, ის გააკეთეთ!..“ აი, ასე იყო და ეს ფარსი გაითამაშა სააკაშვილმა. ჩემთვის მისაღები და ძალიან კარგი იყო უსუფაშვილის თავდაპირველი განცხადება, — მე ამ ფარსში და სპექტაკლში მონაწილეობას არ მივიღებო, მაგრამ მერე დავინახეთ, რაც მოხდა!.. მე **შინაგანად მწამს და მჯერა, რომ ბატონი ბიძინა ივანიშვილისთვის მსგავსი ფარსი და სპექტაკლი კატეგორიულად მიუღებელი იყო, მაგრამ...**

**— მაშინ რა მოხდა: ამერიკის ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა გადაწყვიტა ყველაფერი და „მეცოცხეთა პარტიას“, რომელიც მთელ ქართველ ხალხს ეზიზღება, თავისი გაატანინა?**

— საქართველო დღემდე იმართება გარედან და საქართველომ უნდა დაიბრუნოს რეალური დამოუკიდებლობა!.. ქვეყნის წინააღმდეგ ხორციელდება საბოტაჟი და გარკვეულ ძალებში „ბავშვის“ სიკვდილი სიხარულს იწვევს!.. ჩვენ საქმე გვაქვს გადაგვარებულ, ჩასაფრებულ ადამიანებთან, რომლებიც ყველაფრისთვის მზად არიან. მე ვაცხადებ კატეგორიულად: **არც ბიძინა ივანიშვილის, არც პარლამენტის თავმჯდომარისა და არც ერთი დეპუტატის გადაწყვეტილება ის არ იყო, რომ 21 მარტს პარლამენტში სარეიტინგო კენჭისყრა ჩატარებულიყო, ეს ამბავი გადაწყვიტა უცხო სახელმწიფომ!**

**— ამერიკის ელჩმა გადაწყვიტა?**

— მე ერთი რამ ვიცი: რუსეთის დაშლა არ გამოუვიდათ, ბელარუსში მარცხი განიცადეს, უკრაინა სულ სხვა მიმართულებით წავიდა, ყოფილი საბჭოთა კავშირის აზიურ ნაწილში ფეხი ვერ მოიკიდეს, ყოფილი სოციალისტური ევროპა საშინლად გაღიზიანებულია... სტუდენტობის დროს ჩემთან ძალიან ბევრი ბალტიისპირელი სწავლობდა და, ახლა პოლიტიკოსები რომ ლაპარაკობენ, ეგრე არ არის საქმე, უბრალო ხალხი სულ სხვა რამეს საუბრობს!.. ერთი სიტყვით, რუსეთიც და ამერიკაც დღეს ჰეგემონობას კარგავენ, მაგრამ ფაქტია, რომ დღევანდელ მსოფლიოს, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ეს ორი სუპერსახელმწიფო მართავს. **თუ გინდა, რომ შენს ქვეყანას სიკეთე მოუტანო, ამერიკასთანაც და რუსეთთანაც კარგად უნდა იყო ან უნდა იყო ორივესადმი ნეიტრალური... თუ ერთთან კარგად ხარ და მეორესთან — ცუდად, ეს იმას ნიშნავს, რომ ხარ შენი ქვეყნის დაუძინებელი მტერი!..** აი, ეს დაემართა საქართველოს და ეს იყო სააკაშვილის და არა საქართველოს არჩევანი!.. ამიტომ ვამბობ, — დღეს ჩვენი უმთავრესი ამოცანაა, რომ დავიბრუნოთ დამოუკიდებლობა!..

**— ბატონო თემურ, ასეთი შეკრეჭილი და შეკვეცილი საპრეზიდენტო ინსტიტუტი ქვეყნისთვის რა ხეირის მომტანია?**

— მე იმის მომხრე ვარ, რა გზითაც დღეს ცივილიზებული სამყარო მიდის, ვისაც კი მეფე არასოდეს ჰყოლია, ისინიც კი თავიანთ წარსულში იქექებიან და ამ ინსტიტუტის აღორძინებას ცდილობენ, რადგან, როგორც წესი, მონარქი, მეფე არის სახელმწიფოს სიმშვიდის გარანტი!.. **მე, მაგალითად, არავითარ შემთხვევაში არ ვიქნები იმის მომხრე, თუ პრეზიდენტის უფლებებს პრემიერ-მინისტრი გადაიბარებს!**

**— ამერიკასა და რუსეთს შორის ბალანსის დაცვის თვალსაზრისით, მგონი, ძალიან კარგი და საინტერესო იქნებოდა, თუ პრეზიდენტის ინსტიტუტი, მაგალითად, დაიტვირთებოდა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და ამ თვალსაზრისით რუსეთთან ინტენსიური მოლაპარაკების წარმოების ფუნქციით!.. რას იტყვით?**

— მე ვიცი და კარგად ვხვდები თქვენ რასაც მეკითხებით, მაგრამ დღეს ამ თემაზე სასაუბროდ არ ვარ მზად!.. ისე, მინდა გითხრათ, რომ ეს ძალიან საინტერესო საკითხია... საერთოდ ამერიკასა და რუსეთს შორის ბალანსის პოლიტიკას მთელი მთავრობა და ხელისუფლება უნდა იცავდეს. ასე რომ, თუ პრემიერი იქნება ერთ მხარეს და პრეზიდენტი — მეორე მხარეს, ამან შესაძლოა, მეორე უკიდურესობაში გადაგვაგდოს!.. საერთოდ, მინდა გითხრათ, რომ ჩვენ უკვე იმდენად ღრმად შევტოპეთ, რომ ნორმალურ, ქართულ მდგომარეობაში დაბრუნება აღიქმება, როგორც რუსეთისკენ გადადგმული ნაბიჯი. არადა, ამერიკისკენ დისტანცირებულად გადადგმული ნაბიჯი თვით ამერიკისთვისაა კარგი. მეფის რუსეთის დროს არ ყოფილა საქართველოში რუსეთის ავტორიტეტი ისე განადგურებული, როგორც სააკშვილმა გაანადგურა ამერიკის ავტორიტეტი!.. მე ამერიკისაც მესმის...

**— რას გულისხმობთ?**

— ისრაელის შემდეგ ამერიკა ყველაზე მეტ ფულს ახარჯავს საქართველოს და ხედავთ, რა მიიღო? ამერიკასთან ურთიერთობა საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფეხქვეშ გაეგო, რაც გააკეთა სააკაშვილმა. ვისაც ფეხქვეშ ეგები, ის ადრე თუ გვიან შეგძულდება და ეს არის ჩვენი ცხოვრების დაუწერელი კანონი!.. გაიგო რუსეთმა საქართველო ფეხქვეშ? საქართველომ რუსეთი შეიძულა!.. ახლა ამერიკამ გაგვიგო ფეხქვეშ? ამერიკაც შეძულებულია ჩვენში!.. „ქართულმა ოცნებამ“ ვერ მოახერხა და დღემდე ვერ გაიტანა პარლამენტში დოკუმენტი იმის შესახებ, თუ რა მემკვიდრეობა ერგოთ მათ!.. ეს არის თავგასულებისა და გათავხედებული პოლიტიკოსების ქვეყანა, ეს არის ქვეყანა, სადაც ხალხი უკვე არაფერს წყვეტს, ინტელიგენციას ხმა ჩააგდებინეს და ინტელიგენცია ამას შეეგუა!.. დღეს საქრთველო დაყოფილია კასტებად და საქართველოში გვყავს მდიდარი პოლიტიკოსები და ულარიბესი ხალხი. მე მეგონა, ბატონი ბიძინა შეცვლიდა ამას, მაგრამ როგორც ჩანს, არ გადაწყვიტა ეს...

**— ბატონო თემურ, რა უნდა გადაეწყვიტა ივანიშვილს?**

— **მე მეგონა, ბიძინა ივანიშვილი არ დაუშვებდა იმას, რომ პენსიონერზე ოცჯერ მეტი ხელფასი ხელისუფლებაში ვინმეს ექნებოდა, მაგრამ შევცდი.** წარმოგიდგენიათ? ადამიანი დღეს საქართველოში ბიზნესში ვერ შოულობს იმდენ ფულს, რამდენსაც სახელმწიფო სამსახურში იღებს ხელფასის სახით^და ეს ჩაითვალა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლად!.. ადამიანს აღარ უნდა ბიზნესში წასვლა, მთავარია, შეძვრეს სახელმწიფო სამსახურში, რადგან იქ უფრო მეტი გარანტიებია, ვიდრე სხვაგან. ეს არ არის კატასტროფა? ამერიკისგან განსხვავებით, სადაც ნამდვილად არის დემოკრატია, ჩვენში სახელმწიფო სამსახურში ადამიანები იმიტომ მიდიან, რომ უკონტროლოები გახდნენ და, რაც უნდათ, ის აკეთონ!.. ასე იყო „მოქკავშირის“, „აღორძინების“, „ნაცების“ დროს. დარწმუნებული ვარ, ამას არ დაუშვებს ბატონი ბიძინა, მაგრამ ტენდენციებია ძალიან ცუდი. იმ ხალხისკენ არავის გაუხედავს, რომელმაც „ოცნების“ გამარჯვებისთვის ყველაფერი გაიღო, ისევ თავიანთი ნათესავები მოიყვანეს, ისევ უმუშევრობა, ისევ შიმშილი... ადამიანის ანატომია როგორ არის მოწყობილი, ხომ ვიცით? სულ ზემოთ არის ტვინი, მერე გული და მერე კუჭი... ჩვენში ეს ყველაფერი ამოტრიალებულია და ადამიანის ცხოვრება, მთელი მისი ცხოვრების არსი და აზრი იწყება კუჭიდან!.. აი, ეს არის სააკაშვილის მიერ დატოვებული ურთულესი მემკვიდრეობა, — ამოტრიალებული ადამიანი, ამოტრიალებული ცნობიერებით!..

**«მიხეილ სააკაშვილმა, ჩემი ინფორმაციით, «ნაცმოძრაობის» იმ დეპუტატებს, რომლებიც ამ საკონსტიტუციო ცვლილებებს აძლევდნენ ხმას, ხმის მისაცემი ბარათები წაართვა და მათ «მოღალატეები»(!!!) უძახა**

**«მე მეგონა, ბიძინა ივანიშვილი არ დაუშვებდა იმას, რომ პენსიონერზე ოცჯერ მეტი ხელფასი ხელისუფლებაში ვინმეს ექნებოდა, მაგრამ შევცდი»**

ესაუბრა
**ლუკა აბუსერიძე**

---

მოკლედ

## «ეს რა ხალხი დამახვედრეთ?!»

**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა გორში ყოფნისას უკმაყოფილება საჯარო მოხელეების მასობრივად დახვედრის გამო გამოხატა.**

ეს რეაქცია მან ჟურნალისტების თვალწინ ვერ დამალა: **„მოიცა, ხალხს მივესალმო, გამარჯობათ,** — მიმართა მათ, თუმცა ცოტა ხანში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს მიუბრუნდა და ჰკითხა, — **ეს რა ხალხია, გამაგებინეთ?“**

პრემიერს ეგონა, რომ ადმინისტრაციული შენობის წინ სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობა ელოდებოდა, მაგრამ ისინი საჯარო სამსახურის თანამშრომლები აღმოჩნდნენ. **„მე მგონი, არ იყო საჭირო ამდენი მობილიზება“,** — განუცხადა ხელმძღვანელ პირებს პრემიერმა.

ქარმა ადმინისტრაციული შენობის ის სახურავიც დააზიანა, რომელიც 2012 წლის შემოდგომაზე 30 000 ლარად სარეზერვო ფონდის თანხებით გადაიხურა. ეს სახურავი შიდა ქართლის რწმუნებულ-გუბერნატორის კაბინეტს ფარავს. გუბერნატორი ბარნოვი, ორი დღეა, გორში არ გამოჩენილა.



**სააკაშვილი აქამდეც ნამდვილად 0 იყო და ხვალაც 0 იქნება ქართული საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობისთვის, მაგრამ იმ საპარლამენტო კლოუნადის შემდეგ მისი აქტივები კიდევ უფრო გაიზარდა ე. წ. დასავლეთის და, მოდით პირდაპირ ვთქვათ, ამერიკის გარკვეულ წრეებში.**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დავეწიოთ და გავუსწროთ მიშა სააკაშვილს

**იყო ასეთი მასხარა — ნიკიტა ხრუშჩოვი, რომელმაც ბედის ირონიით გენიალური სტალინის ტახტი დაიკავა ბელადის სიკვდილის შემდეგ. სწორედ მას ეკუთვნის ლოზუნგი „დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკას!“, რომლის პერიფრაზიცაა წინამდებარე წერილის სათაური... სიმართლე უნდა ითქვას, რომ მართალია, სიმინდის მოყვანაში, რომლის დიდი მოყვარულიც გახლდათ ამხანაგი ნიკიტა სერგეევიჩი, და ზოგადად ვერც ეკონომიკაში დაეწია და გაუსწრო გასული საუკუნის 50-60-იანი წლების საბჭოეთმა აშშ-ს, მაგრამ სტალინის მდიდარი მემკვიდრეობის ინერციით, მაშინდელმა სსრკ-მა კოსმონავტიკაში შორს ჩამოიტოვა აშშ და საერთოდ სამხედრო მრეწველობაში ტოლს არ უდებდა და შიშის ზარს სცემდა ამერიკას. იქამდეც კი, რომ ნიკიტამ გაეროს ტრიბუნაზე სულ საკუთარი ფეხსაცმლის ქუსლი უბრახუნა პენტაგონს: „ია ვამ პოკაჟუ კუსკინუ მატ“-ო!.. თუ რაში დამჭირდა ეს ისტორიული ექსკურსი, ამაზე ქვემოთ, მანამდე კი...**



## „ესაა, ბიჭო, კაი სროლა ვიციო? ა ეშჩო დვარიანინ!“

დაილოცოს ქართული კინემატოგრაფი! ნებისმიერი სიტუაციისთვის შესაფერ ეპიზოდს თუ რეპლიკას მოძებნი. აი, ახლაც, იმ ცირკის დასასრულს, რასაც საკონსტიტუციო ცვლილებები ერქვა, „დაკარგული სამოთხედან“ ის ეპიზოდი გამახსენდა, როცა პრისტავის ცემის შემდეგ გაქცეულ ლაზარიას გასტრაჟნიკებული ასლან კალმახიძე თოფს ესვრის, ააცილებს და ნაცემი პრისტავისგან ამ საყვედურს მიიღებს!

მართლაც, ბიძინა ივანიშვილით დაწყებული, რიგითი „მეოცნებით“ დამთავრებული, ლამის თავი წაგვჭამეს საზოგადოებას, რომ ვადაგასული პრეზიდენტისთვის მთავრობის დათხოვნის უფლების ჩამოსართმევად საჭირო რაოდენობის ხმები გარანტირებული ჰქონდათ, რომ, გინდაც ვერ გაეტანათ ეს ცვლილება, 19 აპრილს არაფერი მოხდებოდა, რადგან ხალხის რისხვის შიშით, სააკაშვილი ვერ გაბედავდა ფორმალურად არსებული უფლების გამოყენებას და ა. შ.

აქედან გამომდინარე კი, იდეაშივე გამორიცხული იყო ე.წ. სარეიტინგო კენჭისყრა, რაც საბოლოოდ მაინც შედგა და რამაც, რბილად რომ ვთქვათ, გაუგებრობა გამოიწვია „მეოცნებეთა“ თავგადაკლულ მომხრეთა შორისაც კი, ხოლო „ნაცების“ შეთხელებულ ბანაკს არც თუ უსაფუძვლო იმედის სიომ გადაუქროლა!..

ამ ყველაფერმა „ოცნების“ მომხრეებს შორის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია „ფეისბუქში“, სადაც ოპერატიულად განთავსდა ამ ყველაფრის ახსნა-განმარტებითი, გამამართლებელი წერილიც, რომელსაც აქვე ვუპასუხებ. თუმცა არ ვიცი, ვინ არის ამ ოპუსის ავტორი, მაგრამ, როგორც თავად მოგვიწოდებს დასაწყისში, „შევხედოთ რეალობას“. ჰოდა, შევხედე და, მოკლედ თუ ვიტყვით, ჩემი აზრით, ეს ოპუსი არის „Попытка показать хорошую мину, при плохой игре“-ს უბადრუკი მცდელობა.

იმის მიუხედავად, გავიდოდა თუ არა საკონსტიტუციო ცვლილებები, ვადაგასული პრეზიდენტი ვერც 19-ში და ვერც 39-ში ვერაფერს დაძაბავდა.

დიახაც, სწორედ იმან გაგვალიზიანა, რომ, მიუხედავად მრავალკვირიანი ყინჩი რიტორიკისა, პირადად ბიძინა ივანიშვილის მხრიდან, „ნაცებმა“ მაინც გაიტანეს თავისი, რითაც, პირველ რიგში, დასავლეთს დაანახეს საკუთარი ერთიანობა და წონა, რათა მომავალშიც გაითვალისწინონ „ნაცმოძრაობა“, როგორც ერთადერთი ოპოზიცია საქართველოში.

**სააკაშვილი აქამდეც ნამდვილად 0 იყო და ხვალაც 0 იქნება ქართული საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობისთვის, მაგრამ იმ საპარლამენტო კლოუნადის შემდეგ მისი აქტივები კიდევ უფრო გაიზარდა ე.წ. დასავლეთის და, მოდით პირდაპირ ვთქვათ, ამერიკის გარკვეულ წრეებში.**

თუ „ნაცმოძრაობა“ ბოროტებაა (როგორც ნათქვამია იმ წერილში), ბოროტებასთან ე. წ. კოაბიტაცია მართებულია? ბოროტებასთან (და ეს რბილად ნათქვამია) თანაცხოვრება იყო ქართველი ხალხის არჩევანი, დაკვეთა 1 ოქტომბერს თუ ამ ბოროტების მყისიერი ამოგდება-განადგურება?

## „ვინც გველს რძეს ასმევს, შხამსაც უორკეცებს“...

ეს ფრთიანი გამონათქვამი კი დიდ კონსტანტინე გამსახურდიას ეკუთვნის, რომელიც მან, თუ კარგად მახსოვს, „დავით აღმაშენებელში“ ათქმევინა საჭურის მახარას ლიპარიტ ბაღვაშის მისამართით...

ჰოდა, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლისთანავე, თანამედროვე ლიპარიტს, პრეზიდენტად წოდებულ სააკაშვილს და მის ნაცბანდასაც გამოუჩნდნენ დასავლეთიდან და, პირველ რიგში, ამერიკიდან ნაცგველებისთვის რძის უხვად მიმწოდებლები!

თუნდაც ჰილარი კლინტონის ვიზიტი გავიხსენოთ, როდესაც ეს ქალბატონი ერთიერთზე არ შეხვდა ბატონ ბიძინას და იმ ფონზე, როდესაც „ქართული ოცნების“ აქციებზე ქვების სროლა, მათი მომხრეების დაჭერა ღიად მიმდინარეობდა, როდესაც დემოკრატიის ყველა ნორმა გაითელა ე.წ. სატელიტური ანტენების დაპატიმრებით, ახლა რომ ჩიორას ცხვირის გამო შფოთავენ, ევროპას ხმა არ ამოუღია და მადამ ჰილარი ბათუმში საუბრობდა სააკაშვილის აშენებულ დემოკრატიაზე!

ამას მოჰყვა 26 მაისის სისხლიანი დარბევის თანამონაწილე ამერიკის ელჩის — ჯონ ბასის, შეცვლა რიჩარდ ნორლანდით, რომელიც, როგორც კოლონიზატორი კოლონიაში, ისე ჩამობრძანდა საქართველოში და მას შემდეგ აქ ამერიკულ „პალაჟენიეს“ ამკვიდრებს ნიადაგ...

იუდეას პროკურატორი ბოლო მომენტამდე რძეს ასმევდა სააკაშვილს და რომ არა ციხის სკანდალური კადრები, დღესაც ნაცბანდა იქნებოდა საპარლამენტო უმრავლესობა, ხოლო ოქტომბერში მიშა დაიკავებდა პრემიერის სავარძელს; უუფლებო, მაგრამ მაინც პრეზიდენტის პოსტს კი, სავარაუდოდ, — „ოპოზიციური“ ქდმ-ის ხვლიკი, გიორგი თარგამაძე!

ამერიკაში დაწერილი სცენარის მიხედვით, 1 ოქტომბერს 60/40%-ზე ნაცების სასარგებლოდ უნდა დაფიქსირებულიყო და იმ „ოპოზიციურ“ 40%-ში ქდმ, ახლები, ლეიბები, პადოშები, ედპ და ა. შ. ნაცების სატელიტებიც შევიდოდნენ და „ქართულ ოცნებას“ 20-22 % თუ ერგებოდა მხოლოდ!

ამ კომბინაციით ამერიკელები 2-ს კი არა, რამდენიმე კურდღელს დაიჭერდნენ — საქართველოში მარიონეტულ-მონურ, პროამერიკულ ხელისუფლებას შეინარჩუნებდნენ, საკუთარი ამომრჩევლების, გადასახადების გადამხდელთა თვალში გაამართლებდნენ ბუშის ადმინისტრაციიდან მოყოლებული, მრავალმილიარდიან პოლიტიკურ პროექტს — ნახეთ, როგორი დემოკრატია დავამყარეთ საქართველოში, მრავალპარტიული პარლამენტი აირჩაო, ქართველი ხალხიც მეტ-ნაკლებად მიიღებდა ამ შედეგს, რადგანაც „ქართული ოცნების“ დეპუტაციის თუნდაც 20% მეტ-ნაკლებად გააკონტროლებდა „ნაცების“ უკონტროლო რეჟიმს. მითუმეტეს, რომ ამ გაყალბებულ შედეგებს, დიდი ალბათობით, ბატონი ბიძინაც აღიარებდა და ხალხს უკეთესი მომავლის იმედით სიმშვიდისკენ მოუწოდებდა.

რა თქმა უნდა, როდესაც ამერიკაში დაწერილ სცენარზეა საუბარი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მადამ ჰილარის „იუბკის“ ქვეშ ვიჯექი და ისე შევიპარე ოვალურ კაბინეტში. ჩემი მოსაზრებები სხვა, ჩემზე კომპეტენტურ ანალიტიკოს-კომენტატორთა ნააზრევს ეფუძნება. პლუს საკუთარი გამოცდილება (20 წელიწადია, ამერიკელთა ბოგინს ვუყურებ საქართველოში, მათი ქიციც მინახავს და ქიცმაცურიც) და საღი აზრიდან გამომდინარე ვარაუდები!..

ამ ყველაფრის მიღება განსაკუთრებით ციხის კადრების გადამწყვეტი როლის აღიარება ძალიან არ უნდათ ივანიშვილის კოალიციაში, მაგრამ ასეა ეს! როგორც დათა თუთაშხია იტყოდა, და იმედია, თუ ყველაფერში არა, ამაში მაინც უეჭველად დამეთანხმება მკითხველი!

ციხის კადრებმა გამოიწვია ზემოთ ნახსენები სცენარის სასწრაფოდ გადაკეთება, რადგანაც ჯერ **27 სექტემბერს, ჯვართამაღლების დღესასწაულზე 100 ათასზე მეტი მართლმადიდებელი გამოვიდა ქუჩაში, რომელთაც ასობით მღვდელმსახური მიუძღოდა წინ. ამით ამერიკის ადმინისტრაციისთვის ცხადი გახდა, რომ საქართველოს ეკლესიის დისკრედიტაციისთვის, აშშ-ის სპეცსამსახურების მუდმივი ქმედების მიუხედავად, საქართველოს ყველაზე ავტორიტეტული ინსტიტუცია მაინც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიაა, რომელიც ღიად და ცალსახად უჭერდა მხარს ბიძინა ივანიშვილს და, შესაბამისად, „ნაცმოს“ მანქურთების რეჟიმის უპირობო შეცვლას!**

29-ში კი, ანუ არჩევნებამდე 2 დღით ადრე მთელი თბილისი, ქუთაისი, ბათუმი გამოვიდა ქუჩაში და მიხვდნენ, რომ არჩევნების გაყალბებას, რაც არაერთხელ მომხდარა ამერიკელების მდუმარე თანხმობით, ამჯერად აღარ დაუშვებდა ქართველი ხალხი და ბიძინას მოწოდების გარეშე დაამხობდა ნაცების ფაშისტურ რეჟიმს, რაც დიდი სისხლის გარეშე ვერ მოხდებოდა!

ასე რომ, გავაფარჩაკეთ კი არა, იმ დღეებში გველაძუა „ნაცები“ ხერხემალში გადავამტვრიეთ იმ ცოცხის ტარით, რომლითაც საქართველო გააუპატიურეს... თავის გაჭეჭყალა აკლდათ, მაგრამ არ დაგვანებეს, რადგან ოკეანის გაღმა ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეს და 60/40%-ზე გააყალბებინეს ცესკოს არჩევნები, რასაც საბოლოოდ ბიძინაც დაეთანხმა! დიახ, საბოლოოდ, თორემ კარგად გვახსოვს ივანიშვილის განცხადებები, სანამ ცესკოს ოფიციალური შედეგი დაიდებოდა — 120 მანდატზე ნაკლებს არ დავთანხმდებითო. დაითანხმეს...

დაითანხმეს და მისი უდიდებულესობა რიჩარდ ნორლანდი და სულგაყიდული ევროპარლამენტარები იმთავითვე შეუდგნენ გველებისთვის რძის მიწოდებას, ანუ ნაცების 40%-ის ჩაბეტონებას ქუთაისის პარლამენტში!..

**ვინმეს გჯერათ, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების დროს ამერიკის ელჩმა მთელი დღე შემთხვევით დაჰყო ქუთაისში და ის გაუგებარი (თუ გასაგები?), მოულოდნელი კვანძის გახსნა ამერიკის ელჩის უშუალო ჩარევის შედეგად არ მოხდა?**

როგორც იმ საკომიტეტო მოსმენის ერთ-ერთი მონაწილისგან გახდა ცნობილი, ელჩის მიმართ კითხვების დასმისთვის სულ 30 წუთი ყოფილა გამოყოფილი, საიდანაც 27 წუთი ნორლანდის ხოტბა დიდებას მოანდომეს თურმე „მეოცნებე“ დეპუტატებმა, „შენით გვიდგას სული, დიდი მადლობა, ჩვენო მხსნელო, მამავ და მარჩენალო“ და ა.შ. პათოსით...

რესპუბლიკელები ვახსენე და, რაც დრო გადის, **სულ უფრო ვრწმუნდები, რომ ამერიკელების დაკვეთა იყო რესპების, ამ ნულოვანი რეიტინგისა და ანტიეროვნული პარტიის, ხელისუფლებაში მოყვანა, რაც წარმატებით განხორციელდა 1 ოქტომბერს!** რესპები რომ აკონტროლებენ და მართავენ პარლამენტს, ეს შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს და ამბობენ, აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც აფათურებენ ხელსო!

ამავე ოპერიდან არის „ნაცების“ პარტიის ნებისმიერ ფასად დატოვება პოლიტიკაში.

როგორც ამერიკაში რესპუბლიკელები და დემოკრატები ენაცვლებიან ერთმანეთს, აქ „ნაციონალებმა“ და რესპებმა 4-8 წელიწადში ერთხელ უნდა ჩაანაცვლონ ერთმანეთი!

მაშ, ბიძინა ივანიშვილი? — იკითხავს მკითხველი. არ ვიცი, ეს კითხვა მეც მაწუხებს, უახლოესი მომავალი გაგვცემს პასუხს ამაზე. მანამდე კი...

## რა მოხდა მერე!

ივანიშვილის კოალიცია ჯერჯერობით თითქოს მართლაც ცდილობს, დაეწიოს და გაუსწროს სააკაშვილს.

ბათუმში მეჩეთი უნდა აშენდეს?

**რა მოხდა მერე!**

ჯავახეთი სომხური ენისთვის რეგიონალურ სტატუსს ითხოვს? პაატა ზაქარეიშვილმა ბრძანა, თუ ევროინტეგრაცია გვინდა, ადრე თუ გვიან მოგვიწევს ამ ქარტიის რატიფიკაციაო.

**რა მოხდა მერე!**

ის ქარტია 300 ათასი თურქის (და არა თურქი-მესხის) ჩამოსახლებას, ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონებასაც გულისხმობს საქართველოში?

**რა მოხდა მერე!**

ავღანეთიდან არ გამოვალთ, მაგრამ ჩვენი კონტიგენტის რაოდენობა გადაიხედებაო, — ამბობდა ბიძინა წინასაარჩევნოდ. ეს არ მოხდა და უფრო მეტიც, ახლა აფრიკის მალიში უპირებენ ჩვენს შვილებს გაგზავნას?

**რა მოხდა მერე!**

მაშ, რა განსხვავებაა, ბატონო ბიძინა, თქვენსა და სააკაშვილს შორის, რაც ჩამოვთვალე, იმას ხომ იმბეცილი სააკოვი თქვენზე უკეთ გააკეთებდა?! მხოლოდ ის, რომ ცოცხებით აღარ გვაუპატიურებენ?

თუმცა ესეც საქმეა (ყოველგვარი ირონიის გარეშე) და ამისთვის დიდი მადლობა, ბატონო ბიძინა!

მთავარი ტესტი, ამ **რა მოხდა მერე**-სთან დაკავშირებით ე. წ. დამატებითი არჩევნები იქნება სამ მაჟორიტარულ ოლქში. ვნახოთ. აქაც მოინდომებს ივანიშვილი, რომ დაეწიოს და გაუსწროს მიშას, ანუ 3 კინკილა მანდატსაც არ დაუთმობს პარლამენტს გარეთ არსებულ რეალურ ოპოზიციას — პროქართულ ძალას?

**დავით მხეიძე**

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ერთ-ერთი მთავარი მიზანი, რომლის მიღწევას დღეს პარიზი, სავარაუდოდ, მალიში ცდილობს, ალჟირის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და იმის არდაშვებაა, რომ ჯიჰადისტური დომინოს ეფექტმა რეგიონი სრულ ჯოჯოხეთად გადააქციოს.**



# ქართველ სამხედროებს აფრიკაში აგზავნიან

**მალე ჩვენი სამხედროები შეიძლება აფრიკის შუაგულში, მალის რესპუბლიკაში აღმოჩნდნენ. საერთაშორისო მისიაში ჩართვასთან დაკავშირებით, თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ განაცხადა: „მივიღეთ შემოთავაზება ევროკავშირისგან, რომ განვიხილოთ ჩვენი თანამონაწილეობის შესაძლებლობა ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის სტრუქტურებში. ამის შესახებ მთავრობაში ვიმსჯელეთ და მივიღეთ პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომ საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებშია, უფრო მეტად დაუახლოვდეს ევროპას, ევროკავშირს და ასევე, თავდაცვისა და უსაფრთხოების სტრუქტურებს. პოლიტიკური გადაწყვეტილების შემდეგ, დავიწყეთ მოლაპარაკების პროცესი ევროკავშირთან და მის საგარეო უსაფრთხოების სტრუქტურებთან, თუ რა ფორმით მიიღებს საქართველო მონაწილეობას“. ამ განცხადების შემდეგ საზოგადოებაში შეიძლება სავსებით ბუნებრივად გაჩნდეს კითხვა: რატომ, რა მიზნებიდან და „სასიცოცხლო ინტერესებიდან“ გამომდინარე, უნდა ჩავაგდოთ საფრთხეში ჩვენი სამხედროები შორეულ ქვეყანაში, რომელთან არაფერი გვაკავშირებს?**



**ევროკავშირის მისია მალის სამთავრობო ჯარის გაწვრთნას ითვალისწინებს. ის 15 თვეს გაგრძელდება და მასში მინაწილეობას 250 უცხოელი ინსტრუქტორი მიიღებს, 200-მდე სამხედრო კი მათ უსაფრთხოებას დაიცავს**

## აურზაური საჰარაში

მალის ისტორია საკმაოდ საინტერესოა, თუმცა ჩვენ მხოლოდ იმ ეპიზოდებს შევეხებით, რომლებიც განხილულ საკითხს უშუალოდ ეხება. **2012 წლის 22 მარტს ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალება მოხდა. სამხედროებმა კაპიტან ამადუ სანოგოს ხელმძღვანელობით პრეზიდენტ ამადუ ტუმანი ტურეს რეჟიმი დაამხეს.** გადატრიალების ერთ-ერთი (მაგრამ არა ერთადერთი) მიზეზი გახდა ის, რომ ხელისუფლებამ გამოავლინა სრული უუნარობა სეპარატისტ ტუარეგებთან ბრძოლაში, რომლებმაც 2012 იანვარში ქვეყნის ჩრდილოეთით ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლა დაიწყეს. **გადატრიალებამ მალის ყოვლისმომცველი დესტაბილიზაცია გამოიწვია. სეპარატისტებმა ამით ისარგებლეს და 1 აპრილისთვის კონტროლის ზონა მნიშვნელოვნად გააფართოეს, ხოლო 6 აპრილს გააკეთეს განცხადება „დამოუკიდებელი სახელმწიფო აზავადის“ შექმნის თაობაზე.**

აზავადის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, მკვეთრად დაიძაბა ურთიერთობები ზომიერ სეპარატისტებსა და რადიკალ ისლამისტებს შორის, რომლებიც აჯანყების პირველ ეტაპზე მოკავშირეები იყვნენ. ეს უკანასკნელები (დაჯგუფება „ანსარ-ად-დინი“, „მაღრიბის ისლამური ქვეყნების „ალ ქაიდა“ და რამდენიმე სხვა შედარებით მცირე ჯგუფი) არ აპირებენ, შემოიფარგლონ მალის ჩრდილოეთით ახალი სახელმწიფოს შექმნით, მათ მიზანს მალის მთელ ტერიტორიაზე (ზოგიერთი დეკლარაციის თანახმად, მეზობელ ქვეყნებშიც) შარიათული სახელწიფოს შექმნა წარმოადგენს. **2012 წლის მეორე ნახევარში ისლამისტებმა განდევნეს „ზომიერები“ საკვანძო დასახლებული პუნქტებიდან, გამოაცხადეს „ისლამური სახელმწიფო აზავადი“ და შეუტიეს იმ ქალაქებს, რომელთაც მალის ცენტრალური ხელისუფლება აკონტროლებდა. 2012 წლის სექტემბერში მალის ხელისუფლებამ სთხოვა საერთაშორისო საზოგადოებას, ჯიჰადისტებთან ბრძოლაში მისთვის დახმარება აღმოეჩინა.**

2012 წლის 20 დეკემბერს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია №2085, რომლითაც მოახდინა მალის ტერიტორიაზე საერთაშორისო მისიის გაშლის სანქცირება და მოუწოდა წევრ სახელმწიფოებს, ცენტრალურ ხელისუფლებას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე კონტროლის აღდგენაში ხელი შეუწყონ. მალიში საფრანგეთისა და აფრიკული ქვეყნების (ნიგერია, ბურკინა-ფასო, სენეგალი, ნიგერი, ტოგო) სამხედრო ნაწილების გადასროლა დაიწყო.

**2013 წლის 10 იანვარს ისლამისტებმა განაახლეს შეტევა სამხრეთის მიმართულებით და ქალაქი კონა დაიკავეს. 11 იანვარს ფრანგულმა ავიაციამ მათ პირველი დარტყმა მიაყენა. 14 იანვარს დაეცა ქალაქი დიაბალი. 15 იანვარს ამ ქალაქის მიმართულებით დაიძრა საფრანგეთისა და მალის სამთავრობო ჯარების კოლონა ფრანგული ჯავშანტექნიკის 30 ერთეულით.** ორდღიანი ბრძოლის შემდეგ (ფრანგები სახმელეთო ბრძოლებში უშუალოდ არ მონაწილეობდნენ, მაგრამ მათი ავიაცია აქტიურად მუშაობდა) კონა და დიაბალი სამთავრობო ჯარებმა დაიკავეს. შემდეგ დაიწყო წინსვლა ჩრდილოეთით და 8 თებერვლისთვის საფრანგეთისა და მალის ჯარებმა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ყველა მსხვილი დასახლებული პუნქტი დაიკავეს.

16 მარტს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ლორან ფაბიუსმა** განაცხადა, რომ აპრილში პარიზი მალიდან ჯარების ეტაპობრივ გამოყვანას დაიწყებს: **„ჯარებს მყისიერად არ გამოვიყვანთ, მაგრამ მალიში დარჩენას სამუდამოდ არ ვაპირებთ. აპრილში საკითხს გაეროში დავაყენებთ, ანუ ადგილზე მოქმედების კურირებას გაერო დაიწყებს, ხოლო საფრანგეთი მას დახმარებას აღმოუჩენს... სიტუაციას გააკონტროლებს აფრიკული საზოგადოება გაეროს ხელმძღვანელობითა და საფრანგეთის მხარდაჭერით“.**

რაც შეეხება იმ მისიას, რომელშიც მონაწილეობას, სავარაუდოდ, ქართველი სამხედროები მიიღებენ, საბრძოლო მოქმედებებში ჩართვას არ გულისხმობს. **ევროკავშირის მისია მალის სამთავრობო ჯარის გაწვრთნას ითვალისწინებს. ის 15 თვეს გაგრძელდება და მასში მინაწილეობას 250 უცხოელი ინსტრუქტორი მიიღებს, 200-მდე სამხედრო კი მათ უსაფრთხოებას დაიცავს. მისიას ფრანგი ბრიგადის გენერალი ფრანსუა ლეკუანტრი ხელმძღვანელობს.** ერთი შეხედვით, საფრთხე ამ მისიაში ჩართული ჩვენი სამხედროებისთვის, რომელთა რიცხვი, სავარაუდოდ, საკმაოდ მცირე იქნება, მინიმალურია. თუმცა ვითარება შეიძლება დრამატულად შეიცვალოს, ხოლო საფრთხე გაცილებით დიდი გახდეს და ამას რამდენიმე მიზეზი განაპირობებს.






## ნაპოლეონის გარეშე ძნელია

მალის ხელისუფლება და მისი ჯარები დღეს ძალზე სუსტია და დამოუკიდებლად მეამბოხეებისთვის წინააღმდეგობის გაწევა არ შეუძლიათ. **ადგილობრივი პოლიტიკოსები და სამხედროები საკმაოდ სკეპტიკურად აფასებენ აფრიკული ქვეყნების კონტინგენტის შესაძლებლობებს და მიიჩნევენ, რომ ამ ეტაპზე სტაბილურობის მეტნაკლებად დამაკმაყოფილებელ უზრუნველყოფას მხოლოდ ფრანგი სამხედროები თუ შეძლებენ.** ვითარება შეიძლება კიდევ ერთი ფაქტორის გამო გართულდეს: გაეროს სასურსათო ორგანიზაციის გენერალური დირექტორის — ჟოზე გრაციანუ და სილვას შეფასებით, **საბრძოლო მოქმედებების პერიოდში ასი ათასობით გლეხი დევნილად იქცა და საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარება საფრთხის ქვეშ დადგა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არცთუ შორეულ მომავალში ქვეყანაში შეიძლება შიმშილი დაიწყოს და დიდი ჰუმანიტარული კატასტროფა მოხდეს**.

კონტროლი, რომელიც ფრანგებმა და მათმა მოკავშირეებმა ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში დაამყარეს, პრინციპში, ფარდობითია, რადგან მოწინააღმდეგე ძალების ბირთვი არ განადგურებულა, ხოლო დასახლებული პუნქტების დაკავება კონტრტერორისტულ ომში გამარჯვების მიღწევას როდი ნიშნავს. ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ, რა ხდებოდა ავღანეთში 2001 წლიდან; საწყის ეტაპზე კოალიცია თითქოს ყველაფერს აკონტროლებდა, თუმცა წინააღმდეგობა თვიდან თვემდე ძლიერდებოდა და მოკავშირეები საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. რა თქმა უნდა, მალის სპეციფიკა მკვეთრად განსხვავებულია ავღანურისგან, თუმცა ეს ძირითადი პრინციპი ორივე შემთხვევაში ერთი და იგივეა.

მალის ჩრდილოეთით ტერორისტული ანკლავის გაჩენა სერიოზულ საფრთხეს უქმნის მოსაზღვრე ალჟირს, რომელსაც ლიბიის დესტაბილიზაციის გამო ისედაც ბევრი პრობლემა აქვს. ხოლო ალჟირის დესტაბილიზაცია, იმ როლის გათვალისწინებით, რომელსაც ის ევროპის ენერგომომარაგებაში ასრულებს (და ზოგადად, ევროპასთან, უპირველესად კი, საფრანგეთთან ამ ქვეყნის მჭიდრო კავშირების გათვალისწინებით) სერიოზულ დარტყმას ევროკავშირის ქვეყნებს მიაყენებს. ამ კონტექსტში შეგვიძლია „დომინოს ეფექტი“ გავიხსენოთ; **საინტერესოა, რომ მნიშვნელოვანი როლი იმაში, რომ მალელი ტუარეგები გასული წლის იანვარში აჯანყდნენ, ლიბიიდან დიდძალი შეიარაღებისა და ბოევიკების შემოდინებამ შეასრულა**. ასე რომ, **ერთ-ერთი მთავარი მიზანი, რომლის მი-** ▶

**გამსახურდიასგან განსხვავებით, სააკაშვილმა ამერიკულ დინებას მიყოლა არჩია და მორჩილად დაიწყო იმის აღსრულება, რის გამბედაობაც თვით მსოფლიოს ჰეგემონ ამერიკის შეერთებულ შტატებს არ ჰყოფნის. იგი რუსეთს უშუალოდ არ უპირისპირდება. ამისთვის მას სააკაშვილი და მისთანა სუბიექტები ჰყავს, თუმცა მათ შორისაც ყველაზე იოლად სამართავი ისევ სააკაშვილი აღმოჩნდა.**

პოლიტიკა

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ღწევას დღეს პარიზი, სავარაუდოდ, მალიში ცდილობს, ალჟირის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და იმის არდაშვებაა, რომ ჯიჰადისტური დომინოს ეფექტმა რეგიონი სრულ ჯოჯოხეთად გადააქციოს.**

ფრანგების შესაძლებლობები შეზღუდულია; სრულმასშტაბიანი კონტრტერორისტული ომი მალის ჩრდილოეთში, თუ ფრანგები „ძირითად სამუშაოს“ საკუთარ თავზე აიღებენ, დაკავშირებული იქნება საგრძნობ დანაკარგებთან და ხარჯებთან, ბრალდებებთან ნეოკოლონიალისტური პოლიტიკის გატარებასთან დაკავშირებით, ამასთანავე, ეს მოწინააღმდეგეს შესაძლებლობას მისცემს, მოახდინოს მობილიზაცია „ფრანგ ჯვაროსნებთან“ ბრძოლის ლოზუნგით, აგრეთვე, მკვეთად გაიზრდება საფრანგეთში ტერორისტული აქტების მოწყობის ალბათობა და ა.შ. დღეს პარიზს სჭირდება სტრატეგია, რომელიც, ერთის მხრივ, ხანძრის (თუნდაც ნაწილობრივ) ჩაქრობას უზრუნველყოფს, ხოლო, მეორე მხრივ, ჩამოთვლილი საფრთხეების მინიმიზაციას მოახდენს. **ადგილობრივი ხელისუფლებისა და მისი შენაერთების ეტაპობრივი გაძლიერება, გაეროსთვის ავანსცენის დათმობა და აფრიკული სახელმწიფოების აქტიური ჩართვა ოპერაციებში, ამ კონტექსტში სავსებით სწორი გადაწყვეტილება ჩანს, თუმცა იმის პროგნოზირება, რამდენად ეფექტური გამოდგება ეს ჯიჰადისტურ სტიქიასთან ბრძოლაში, დღეს შეუძლებელია.**

ვერავინ გამორიცხავს, რომ ფრანგული კონტინგენტის გაყვანის პარალელურად, ვითარება არ გაუარესდება, საჭირო არ გახდება „უსაფრთხოების ხვრელების“ ამოვსება და მალიში დამატებითი, მათ შორის ევროპული, ძალების გადასროლა; და **სწორედ ამ დროს შეიძლება უფრო მსხვილი კონტინგენტის გაგზავნა გვთხოვონ, მაგალითად, ევროკავშირის მისიის დაცვის გაძლიერების მიზნით.** აქვე უნდა აღინიშნოს, რომ **ვითარების გაუარესების შემთხვევაში, ინსტრუქტორების დისტანცირება საბრძოლო მოქმედებებისგან პირობით ხასიათს მიიღებს და ამაზე არაერთი აფრიკული ომის (თუნდაც ანგოლის) გამოცდილება მიუთითებს. თუ ქვეყნის მთელი ტერიტორია ბრძოლის ველად გადაიქცევა, ინსტრუქტორების სრული იზოლირება მისგან წარმოუდგენელი გახდება.**

## აფრიკალა გვაკლდა

2004-ში ავღანეთში 50 სამხედრო გავაგზავნეთ, დღეს კი იქ 1500-ზე მეტი ქართველი სამხედრო იმყოფება. არაერთ, ჩვენზე გაცილებით ძლიერ სახელმწიფოს იქ უფრო მცირერიცხოვანი კონტინგენტი ჰყავს (ზოგს კი საერთოდ არ ჰყავს). **გვაქვს თუ არა გარანტია, რომ მალიში იგივე არ მოხდება?** იმ დანაკარგის გათვალისწინებით, რომელიც ავღანეთში განვიცადეთ, ეს, ალბათ, საკმაოდ აქტუალური კითხვაა. გავითვალისწინოთ ისიც, რომ **ჩვენი ჯარის არც ერთი, თუნდაც საუკეთესო ნაწილი არ არის სათანადოდ მომზადებული ასიმეტრიული (თუნდაც სიმეტრიული) დაპირისპირებისთვის აფრიკულ უდაბნოში, ურთულეს კლიმატურ და ეპიდემიოლოგიურ პირობებში.**

ევროკავშირთან დაახლოების სურვილი, რომელზეც ირაკლი ალასანიამ ისაუბრა, მალის ოპერაციაში ჩართვისთვის მნიშვნელოვანი მოტივია, მაგრამ, ალბათ, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქვეყნის ახალ ხელისუფლებას საფრანგეთთან განსაკუთრებული ურთიერთობები აქვს. მთავრობის არაერთი წევრი უფრო მჭიდროდ დაკავშირებულია ამ ქვეყანასთან, ვიდრე ნებისმიერ სხვასთან და, ალბათ, არც იმაზე ვიკამათებთ, რომ საქართველოში ხელისუფლების შეცვლის პროცესში პარიზმა გაცილებით აქტიური (არა გადამწყვეტი, მაგრამ მაინც) როლი შეასრულა, ვიდრე, მაგალითად, ბერლინმა. აქედან გამომდინარე, **ფრანგების თხოვნას ივანიშვილის ხელისუფლება, სავარაუდოდ, ყოველთვის ყურადღებით მოეკიდება და შეეცდება მისი ინტერესები გაითვალისწინოს. ვერ გამოვრიცხავთ, რომ მალის მისიაში ჩართვის გადაწყვეტილების უკან, მათ შორის, ეს „ფრანგული მოტივი“ იდგა. ასე იყო თუ ისე, ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ მალის მისიის იგნორირება არ შეუძლია, როგორც ამას, სავარაუდოდ, არაერთი სახელმწიფო გააკეთებს.**

მალის მისია სანქცირებულია გაეროს მიერ და, ობიექტურად თუ მივუდგებით, დღევანდელ ეტაპზე ის საჭიროა, რადგან რადიკალი ისლამისტების გამარჯვების შემთხვევაში, საერთაშორისო საზოგადოებას გაცილებით რთული და დიდ დანაკარგებთან დაკავშირებული მისიების ჩატარება, სავარაუდოდ, რეგიონის სხვა ქვეყნებში მოუწევს. **ამ კონტექსტში, მალის რესპუბლიკაში რამდენიმე ქართველი ინსტრუქტორის გაგზავნა იმ პირობის მკაცრი დაცვით, რომ ისინი საბრძოლო მოქმედებებში არ ჩაერთვებიან, სავსებით ადეკვატურია, თუმცა ავღანური გამოცდილების გათვალისწინებით, საზოგადოებამ, ალბათ, უნდა გააკონტროლოს ხელისუფლება, რათა მან არ გადალახოს ზღვარი და არ დაიწყოს აფრიკაში ქართული კონტინგენტის არარაციონალური და ქვეყნის შესაძლებლობების არაპროპორციული გაზრდა, როგორც ამას თავის დროზე სააკაშვილი ავღანეთში აკეთებდა, რაც მძიმე დანაკარგის ფასად დაგვიჯდა.**

სასურველია, რომ უცხოელებმა გააცნობიერონ, რომ საქართველოსთვის ძვირფასია თითოეული სამხედროს სიცოცხლე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ შეგვხედავენ ისე, როგორც XVIII საუკუნეში ჰესენს და ზოგიერთ სხვა გერმანულ სათავადოს უყურებდნენ, რომელთა ხელისუფალნი, უბრალოდ, ყიდდნენ თავიანთ ჯარისკაცებს ნებისმიერ სახელმწიფოზე, რომელსაც „საზარბაზნე ხორცი“ სჭირდებოდა და შესაბამისად მოგვეპყრობიან.

**დიმიტრი მონიავა**

# დემოკრატიული პროვოკაცია

## ამერიკულ დინებას მიყოლილი სააკაშვილი და წიკლაურის დონის პოლიტიკური გადაწყვეტილება

**საქართველომ, როგორც ვადაგასულ სააკაშვილს უყვარდა თქმა, მსოფლიოში პირველმა აღიარა „ჩერქეზთა გენოციდი“, თუმცა მეორე ადგილზე, უკვე ორი წელია, პრეტენზიას არავინ აცხადებს. 2014 წლის ოლიმპიადის მასპინძელი სოჭიდან 200 კილომეტრში, ანაკლიაში დადგმული მემორიალი სწორედ ამ გენოციდის მსხვერპლთ ეძღვნება. 150 წლის წინანდელი სისხლიანი მოვლენების გენოციდად მოხსენიება, სულ ცოტა, იმ ანალოგიას აღვიძებს, თუ როგორ გაანადგურეს 200 წლის წინ ევროპიდან ჩასულმა კოლონიზატორებმა ამერიკელი ინდიელები, ხოლო შემთხვევით გადარჩენილები რეზერვაციებში შერეკეს. მაგრამ ინდიელების გენოციდს რატომღაც არავინ აღიარებს, ხოლო ჩერქეზებისას მთელ მსოფლიოში — მხოლოდ საქართველო!**




რა მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ტერმინი „გენოციდიც“ და თავად ამ დანაშაულის შემადგენლობა მხოლოდ 1944 წელს გაჩნდა, ხოლო 1948 წელს საერთაშორისო კონვენციაში ჰპოვა ასახვა? რა, მერე — თუ იგი თავდაპირველად მხოლოდ ფაშისტების მიერ ებრაელთა მასობრივ განადგურებას ასახავდა? **სააკაშვილისთვის, რომლის დიპლომი, თეა წულუკიანის შემთხვევისგან განსხვავებით, არავის მოუკითხია, მთავარი სულ სხვა რამ არის: ამერიკული სცენარი, რომლითაც იგი რუსეთის დაშლას ლამობს, საბჭოთა კავშირის დაშლის ანალოგიით, თითქოსდა მცირე ხალხებისადმი აშშ-ის „განსაკუთრებული მზრუნველობით“ არის ნაკარნახევი.**

ამ „ზრუნვის“ ფასი ყველაზე კარგად ქართველებმა უწყიან; თუ ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ამერიკისთვის საბჭოთა კავშირის დასაშლელად ხელსაყრელი იყო, უკვე მისი დაშლის შემდგომ საკუთარი სამშობლოს ეროვნულ ინტერესებზე მზრუნველი ზვიად გამსახურდია ზედმეტ ტვირთად იქცა. პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა-უფროსმა მას განაჩენი ერთი თითქოსდა უწყინარი ფრაზით გამოუტანა: **„გამსახურდია დინების წინააღმდეგ მიცურავს“.** გამსახურდიამ ასევე მოკლედ უპასუხა: **„დინებას მხოლოდ მკვდარი თევზები მიჰყვებიან“!** ერთ წელიწადში გამსახურდიას ხელისუფლება შეიარაღებული გადატრიალების შედეგად დაამხეს.

**გამსახურდიასგან განსხვავებით, სააკაშვილმა ამერიკულ დინებას მიყოლა არჩია და მორჩილად დაიწყო იმის აღსრულება, რის გამბედაობაც თვით მსოფლიოს ჰეგემონ ამერიკის შეერთებულ შტატებს არ ჰყოფნის. იგი რუსეთს უშუალოდ არ უპირისპირდება. ამისთვის მას სააკაშვილი და მისთანა სუბიექტები ჰყავს, თუმცა მათ შორისაც ყველაზე იოლად სამართავი ისევ სააკაშვილი აღმოჩნდა.** საქართველოს მოსახლეობა იმას უფრო გაგებით მოეკიდებოდა, თუ სოჭის ოლიმპიადის მიხეილისეული ბოიკოტის იდეა იმას დაეყრდნობოდა, რომ ეს ძირძველი კუთხე დღეს რუსეთის შემადგენლობაშია, მაგრამ აქაც ამერიკულმა სქემამ — ორი კურდღლის დაჭერის პრიმიტიულმა ვერსიამ იმუშავა და ჩერქეზთა ბედით 150 წლის დაგვიანებით შეწუხებულმა დემოკრატიამ მიშას ხელით დაიწყო რუსეთისგან გენოციდის მომწყობის ძერწვა.

1864 წელს თავად ამერიკის შეერთებულ შტატებში, აიდაჰოში თეთრმა მოხალისეებმა პოლკოვნიკ ჩივინგტონის მეთაურობით ამოწყვიტეს მშვიდობიანი ინდიელები, რომლებიც ახალმოსულ თეთრ კოლონიზატორებთან მშვიდობიანი თანაარსებობის (დღეს ამას, ალბათ, კოაბიტაციას დაარქმევდნენ) მომხრენი იყვნენ. მხედრებმა ალყა შემოარტყეს მათ ბანაკს, ხოლო ქვეითებმა მდინარის გამშრალი კალაპოტის გავლით დაიწყეს იერიში. უიარაღო ინდიელები გაიქცნენ, მაგრამ მათ მეთოდურად გაავლეს მუსრი. პირველები ორი ტომის — შაიენების და არაპახოს ბელადები მოკლეს. ერთ-ერთი მათგანი 74 წლის მოხუცი იყო.

სისასტიკე, რომელიც მაშინ ჩივინგტონის მებრძოლებმა გამოიჩინეს, მართლაც საარაკოა: **მოკლულ მამაკაცებს სკალპებიააჭრეს, ქალებს — მკერდი, ხოლო ალაფად მოჭრილი სასქესო ორგანოები და ადამიანის ამოჭრილი ემბრიონები წაიღეს. იყო თუ არა ეს გენოციდი? მით უფრო, რომ ინდიელების ამგვარი განადგურება ამ ერთი ფაქტით სულაც არ შემოიფარგლება! ამერიკელი მეცნიერები წერენ, რომ 400 წლის განმავლობაში ამერიკელი ინდიელების რაოდენობა 15 მილიონიდან 237 ათასამდე შემცირდა! ეს არ არის გენოციდი?**

1864 წლისთვის ამერიკაში ოთხი მილიონი ზანგი მონა იყო, რომელთა ძვლებზეც დგას დღევანდელი მაძღარი ამერიკა. იმავე 1864 წელს შეიქმნა კუ-კლუქს კლანი, რომელიც ზანგებს სასტიკად უსწორდებოდა და იგი დღემდე არსებობს, ოღონდ ახლა უკვე არალეგალურად. **ორასი წლის განმავლობაში ამერიკაში დაახლოებით 12 მილიონი აფრიკელი მონა ჩაიყვანეს, რომლებსაც ცხოველებივით ეპყრობოდნენ. ეს არ არის გენოციდი?**

თუმცა კავკასიას დავუბრუნდეთ. ყოველი ადამიანის მკვლელობა ან დეპორტაცია ტრაგედიაა, მით უფრო — მთელი ხალხის, მაგრამ რას აძლევს გენოციდის აღიარება დღეს საქართველოს? არც ისე დიდი ხანია გასული მას შემდეგ, რაც ქართველებს ოსების გენოციდს ედავებოდნენ. თითქმის მინავლებული ეს კონფლიქტი 2008 წელს სააკაშვილმა კვლავ გააცოცხლა და არ არის გამორიცხული, ოსების გენოციდის საკითხიც წამოიწიოს, რაკი ჩერქეზთა გენოციდის საკითხი საქართველომ დაძრა. იმავეს შეიძლება მიმართოს აფხაზეთმაც. ისინიც მცირე ხალხია და, თუ 150 წლის წინ მომხდარზე შეიძლება გენოციდის კვალიფიკაციის მიყენება, აგერ ოციოდე წლის წინ მომხდარზე ვინ დაუშლის?

**სომეხთა გენოციდის მომთხოვნებიც აქვე, ყურისძირში არიან და ამ საკითხზე მათთვის უარის თქმა სრულიად არალოგიკური იქნება. მეორე მხრივ, თუ საქართველო სომეხთა გენოციდს აღიარებს, რეგიონში ორ სტრატეგიულ პარტნიორთან — თურქეთსა და აზერბაიჯანთან შეუქცევადად გაიფუჭებს ურთიერთობას.**

მაშ, რას ემსახურებოდა ეს, ნუგზარ წიკლაურის დონის პოლიტიკური გადაწყვეტილება?

რუსეთის დაშლა დღეს ყველაზე სასურველი ამერიკის შეერთებული შტატებისთვისაა. აკი ხმამაღლა განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მადლენ ოლბრაიტმა, რომ უსამართლობაა, რუსეთის ბუნებრივი რესურსები მხოლოდ ერთ ქვეყანას ეკუთვნოდეს! თუმცა ამერიკელებს, როგორც ყოველთვის, საკუთარი მიზნების მიღწევა სხვისი ხელით უნდათ, აი, შედეგებით კი მხოლოდ მათ უნდა ისარგებლონ!

**ჩამოთვლილი საფრთხეების გაუთვალისწინებლობა სააკაშვილისგან გასაკვირი არ არის, მაგრამ ეს საფრთხეები დღესაც სრულიად რეალურია. მათი ზეგავლენით საქართველოს ახალ ხელისუფლებას გენოციდის საკითხის გადახედვა, სულაც არ არის გამორიცხული, რომ მოუწიოს. ოღონდ, ასეთ შემთხვევაში, ეს იძულებითი და დამამცირებელი ნაბიჯი იქნება. წინა ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომების ჯიუტი არაღიარება კი მხოლოდ დამატებით პრობლემებს შეუქმნის სახელმწიფოს და არა მის რომელიმე ხელმძღვანელობას, მით უმეტეს — ოკეანისგაღმელ „მეგობრებს“!**

**თამარ დავითულიანი**

SOS

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ რამდენად „ფაქიზ“ თემას წარმოადგენენ ბავშვები ამერიკისთვის, ამაზე ის ფაქტი მეტყველებს, რომ აშშ არ მონაწილეობს ბავშვთა უფლებების საერთაშორისო კონვენციაში. აშშ-ის გარდა, გაეროს 200 წევრ-ქვეყნიდან კონვენციას არ შეუერთდა კიდევ ორი ქვეყანა – სომალი და სამხრეთ სუდანი.**



# გიმლერის მემკვიდრეობა და ბავშვთა უფლებები დემოკრატიის ციტადელში

**ორგანიზაცია „ლებენსბორნი“ („სიცოცხლის წყარო“) გერმანიაში რაიხსფიურერ გენრიხ გიმლერის ბრძანებით 1935 წელს დაარსდა. თავდაპირველად ეს იყო ბავშვთა თავშესაფრების ქსელი, რომლებშიც გერმანელ ქალებს შეეძლოთ ჩაებარებინათ უკანონოდ დაბადებული შვილები. გიმლერის თქმით, „ლებენსბორნი“ სხვა არაფერი იყო, თუ არა „იდეალური ნორდული რასის შექმნის ფაბრიკა“, რასისა, რომლითაც უნდა დასახლებულიყო სსრკ-ის, ჩეხეთის, პოლონეთის ტერიტორიები...**



1940 წლიდან „ლებენსბორნის“ ფუნქციები გაფართოვდა — ორგანიზაციამ თავისი პუნქტები დაპყრობილი ქვეყნების ტერიტორიებზე გახსნა: ათი ნორვეგიაში, სამ-სამი პოლონეთსა და დანიაში, თითო-თითო ნიდერლანდებში, საფრანგეთსა და ლუქსემბურგში. სსრკ-ში ოფიციალურად არც ერთი პუნქტი არ მუშაობდა, თუმცა ნიურნბერგის პროცესზე და ასევე სს-ის შტანდარტფიურერის, მაქს ზოლმანის, ინტერვიუებში შოკისმომგვრელი ინფორმაცია ამოტივტივდა. გაირკვა, რომ **სსრკ-ის ოკუპირებული ტერიტორიებიდან** (დღევანდელი რუსეთი, უკრაინა და ბელარუსი) **3-წლამდე ასაკის 5-დან 50 ათასამდე(!) ბავშვი წაართვეს მშობლებს და „ლებენსბორნს“ გადასცეს. ეს ფაქტი ასობით მოწმემაც დაადასტურა.**

**გერლინდა სვილენი,** ასოციაცია „ომში დაბადებულნის“ პრესსმდივანი აღნიშნავს, რომ უამრავი რუსი და უკრაინელი ბავშვი გაიტაცეს „ლებენსბორნის“ თავშესაფრისთვის: **„თუ დედ-მამა ფაშისტებს წინააღმდეგობას გაუწევდნენ, მათ ბავშვის თვალწინ ხოცავდნენ“.** ყველაზე საშინელი ისაა, რომ ფაშიზმის დამარცხების შემდეგ გატაცებული ბავშვების მხოლოდ მეოთხედი დაბრუნდა სამშობლოში, დანარჩენები კი გერმანიის ტერიტორიაზე გაიფანტნენ, მათი კვალი დაკარგულია. **1945 წლის 28 აპრილს, სანამ ამერიკული ჯარი შევიდოდა მიუნხენში, „ლებენსბორნის“ არქივი მისმა თანამშრომლებმა გაანადგურეს** (ერთი ვერსიით, დაწვეს, მეორე ვერსიით – მდინარეში გადაყარეს). **ამრიგად, უამრავი გატაცებული ბავშვის პირადი საქმეც დაიკარგა.**

სლავური წარმოშობის ბავშვები „ლებენსბორნში“ სახელის დარქმევის განსაკუთრებულ პროცედურას გადიოდნენ. ბავშვს ხელში სს-ის ოფიცერი იკავებდა ფარნებით, სვასტიკითა და ჰიტლერის სურათით მორთული საკურთხევლის წინ და მას ძველგერმანული სახელი ეძლეოდა — ზიგფრიდი, ეტელვოლფი და ა. შ. შემდეგ იწყებოდა „გერმანიზაციის“ პროცესი. ბავშვებს აძლევდნენ სავსებით ახალ საბუთებს, რომლებშიც ეწერა, რომ ესენი იყვნენ დაღუპულ ჯარისკაცთა შვილები, რომლებიც „დიადი გერმანიისა და ფიურერისთვის იბრძოდნენ“. ბავშვებს გერმანულ ენას ასწავლიდნენ, თუ ბავშვი ერთ სიტყვას მაინც იტყოდა მშობლიურ ენაზე, სასტიკად სცემდნენ. თუმცა ძალიან კარგად აჭმევდნენ და აცმევდნენ, მაგრამ ყოველთვის ხაზს უსვამდნენ: **„ეს იმიტომ, რომ ახლა არიულ რასას ეკუთვნი. გინდა სანაგვეზე იკვებო? ასე მოგიწევს, თუ საკუთარ ბედნიერებას არ დააფასებ“. ბავშვების „გერმანიზაციის“ პროცესი 3-4 თვე გრძელდებოდა, რის შემდეგაც ბავშვი მზად იყო გაშვილებისთვის. როგორც წესი, ბავშვების სლავური წარმოშობა გასაიდუმლოებული იყო და მშვილებელმა იშვიათად თუ იცოდა „ობლის“ ეროვნება. უმეტესობა დარწმუნებული იყო, რომ ბავშვის ძარღვებში „წმიდა არიული სისხლი“ ჩქეფდა. სს-ის ინსპექტორები რეგულარულად ამოწმებდნენ ოჯახებს, არიული სულისკვეთებით ზრდიდნენ ბავშვს თუ არა.**

ფაშიზმის დამარცხების შემდეგ ათასობით სლავური წარმოშობის ბავშვი ამერიკული ოკუპაციის ზონაში აღმოჩნდა. **ამერიკელებს ბავშვების პირადი საქმეების მხოლოდ 10 პროცენტი ჩაუვარდათ ხელში. 1947 წელს აშშ-ის გამომძიებლებმა ბავშვების გარკვეული რაოდენობა დაკითხეს, რათა გაეგოთ, სურდათ თუ არა მათ სამშობლოში დაბრუნება. ბავშვების ნაწილს საერთოდ დავიწყებოდათ მშობლიური ენა და თავი გერმანელებად მიაჩნდათ, მშვილებელ ოჯახს შეეჩვივნენ და დაბრუნება აშინებდათ. სხვები „გერმანიზაციით“ იყვნენ დაშინებულნი. მათ „ლებენსბორნმა“ ჩაუნერგა აზრი, რომ არიელად ყოფნა ამქვეყნად საუკეთესო საქმეა.** სხვათა შორის არც ამერიკელებს ამოძრავებდათ კომუნისტების დახმარების დიდი სურვილი და ამიტომ ეს საქმე მალე ჩაიფარცხა. **პროფესორ ჰაინც ვირსტის** თქმით, დღესდღეობით ნაცისტების მიერ პოლონეთიდან და საბჭოთა კავშირიდან გაყვანილი 13517 ბავშვი ძებნაში იმყოფება. **დღეს გერმანიაში რუსი და პოლონელი ბავშვების ასი ათასობით შთამომავალი ცხოვრობს და აზრზეც არ არიან საკუთარი წარმოშობის შესახებ.**

დღეს რუსეთიდან ბავშვები, ძირითადად, აშშ-ის მოქალაქეებს აჰყავთ შვილად. ზოგი მათგანი ბედნიერად ცხოვრობს და წარმატებებსაც აღწევს, მაგრამ ძალზე ხშირია შემთხვევები, როდესაც ნაშვილები რუსი ბავშვების ბედი ტრაგიკულად მთავრდება.

კერი სიმონი 12 წელი ებრძვის ძალადობას ამერიკელ მშვილებელ ოჯახებში. მის კართოტეკაში ბავშვებთან სასტიკად მოპყრობის 589 საქმეა. აქედან 40 შემთხვევა რუსეთიდან აყვანილ ბავშვებს ეხება. აღსანიშნავია, რომ ეს სია სრული არაა, აქ მარტო მასმედიაში გახმაურებული ისტორიებია შესული.

**კერი სიმონი: „მეც ნაშვილები ვარ და ჩემს ოჯახშიც ძალიან ბევრი ძალადობა იყო. რატომღაც საზოგადოებაში მოქმედებს ისეთი სტერეოტიპი, რომ მშვილებელ ოჯახში ბავშვი აუცილებლად ბედნიერი უნდა იყოს, ამიტომ არ სჯერათ, რომ მშობლებმა, შესაძლოა, რაიმე ზიანი მიაყენონ ნაშვილებ ბავშვს“.**

რუსეთის დიპლომატები ახლა კიდევ ერთი ბავშვის ბედის გარკვევას ცდილობენ, რომელიც ლესბოსელმა წყვილმა იშვილა. **ეგორ შაბალოვი ამერიკელმა წყვილმა ექვსი წლის წინ იშვილა. აშშ-ში მათ ყველა ოჯახს უწოდებდა, ხოლო რუსეთში თავი მეზობლებად წარადგინეს.** სულ ახლახან ლესბოსელი წყვილი განქორწინდა, ერთ-ერთი მშობელი სასამართლოს განაჩენს არ დაელოდა, ბავშვი გაიტაცა და კალიფორნიაში გადაბარგდა. ახლა ბეს ჩაპმენი უარყოფს თავის ვინაობას და კარს თითქმის არავის უღებს. **აშშ-ის გაშვილების სააგენტოების უმრავლესობა უარს არ ეუბნება ჰომოსექსუალ წყვილებს, პირიქით — ეხმარება მათ, გვერდი აუარონ კანონებს იმ ქვეყნებში, სადაც ერთსქესიან ქორწინებებს არ სცნობენ.**

სულ ახლახან აშშ-ში გარდაიცვალა კიდევ ერთი ბავშვი, რომელიც რუსეთში იშვილეს. როგორც გაირკვა, მაქსიმ კუზმინი თავის ძმასთან ერთად უკანონოდ იშვილეს – **საბუთებში ბებიის ხელმოწერა, რომლის თანხმობის გარეშე გაშვილება ვერ შედგებოდა, გაყალბებული იყო.** ბავშვები ზუსტად იმ ბავშვთა სახლიდან იშვილეს, რომლიდანაც რამდენიმე წლის დიმა იაკოვლევი წაიყვანეს. საბრალო დიმა მშვილებელი მამის დაუდევრობით დაიღუპა, რომელმაც 2 წლის ბიჭუნა ჩაკეტილ მანქანაში დატოვა, ოცდაათგრადუსიან სიცხეში ბავშვმა 9 საათი გაატარა, რის შემდეგაც, რა თქმა უნდა, გარდაიცვალა. აშშ-ის კანონმდებლობის თანახმად, მშვილებელ მამას, მაილს ხარისონს, 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, მაგრამ სასამართლომ ის გაამართლა. 2009 წელს აშშ-ში კიდევ ერთი ბავშვი გარდაიცვალა — ვანია სკოროხოგატოვი. მშვილებელმა მამამ ბავშვი საავადმყოფოში უგონო მდგომარეობაში მიიყვანა. ექიმებმა ბიჭუნას სხეულზე 80-მდე ტრავმა აღმოაჩინეს, რის გამოც სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, მაგრამ ამერიკულმა თემიდამ ამჯერადაც შეიწყალა მშობლები. მათ მხოლოდ არაგანზრახ მკვლელობაში წარედგინათ ბრალი და ციხეში მხოლოდ 19 თვე გაატარეს.

**ბავშვების უფლებებისა და სიცოცხლის დასაცავად რუსეთში სპეციალური კანონი მიიღეს. ერთ-ერთი მუხლის თანახმად, აშშ-ის მოქალაქეებს რუსეთიდან ეკრძალებათ ბავშვების შვილად აყვანა. კანონმა ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, მაგრამ ახლა, როდესაც აშშ-ში კიდევ ერთი რუსი ბავშვის, მაქსიმ კუზმინის, გარდაცვალების ამბავი გაიგეს, კანონის მოწინააღმდეგენი, ცოტა არ იყოს, დაფიქრდნენ.** როგორც გაირკვა, მაქსიმს ძლიერ ფსიქოტროპულ პრეპარატს — „რისპერიდონს“ აძლევდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვს მსგავსი მკურნალობა არ სჭირდებოდა. მას მხოლოდ გულის მანკი აწუხებდა. მშვილებელი დედის მტკიცებით, მან ბავშვი სახლის ეზოში უგონო მდგომარეობაში ნახა და სასწრაფოს გამოუძახა, თუმცა ბავშვის გადარჩენა ვერ მოხერხდა. გარდაცვალების მიზეზი ოფიციალურად ჯერ არ დასახელებულა, მაგრამ ამ საქმეში ჩართული რუსეთის დიპლომატების მტკიცებით, პათოლოგანატომებმა ბავშვის სხეულზე ფიზიკური ძალადობის კვალი აღმოაჩინეს, ხოლო მუცლის ღრუში — დიდი სისხლჩაქცევა, რომელიც, სავარაუდოდ, ძლიერი დარტყმით იყო გამოწვეული. მშობლებისთვის ჯერჯერობით ბრალი არ წაუყენებიათ, მაგრამ აშშ-ისა და რუსეთის საზოგადოება ერთობლივად აღშფოთდა. **რუსეთის მხარე მიიჩნევს, რომ აშშ-ში ბავშვების უფლებები დაცული არაა, ხოლო ამერიკული მხარე კი — იმით, რომ რუსეთი მეტისმეტად აზვიადებს აშშ-ის ამბებს და ცილისწამებლურ ბრალდებებს ავრცელებს.**

თუ რამდენად „ფაქიზ“ თემას წარმოადგენენ ბავშვები ამერიკისთვის, ამაზე ის ფაქტი მეტყველებს, რომ აშშ არ მონაწილეობს ბავშვთა უფლებების საერთაშორისო კონვენციაში. **აშშ-ის გარდა, გაეროს 200 წევრ-ქვეყნიდან კონვენციას არ შეუერთდა კიდევ ორი ქვეყანა – სომალი და სამხრეთ სუდანი.** რა თქმა უნდა, გადამეტება არც ერთ საქმეში არ ვარგა. ასე, მაგალითად, ფინეთში ბავშვთა უფლებებს ისეთი გაშმაგებით იცავენ, რომ უამრავ მშობელს უფლებები წართმეული აქვს, ხშირად სულ უმნიშვნელო მიზეზის გამოც კი. საბრალო ბავშვები უცხო გარემოში, მაგრამ უფლებადაცულები, ბავშვთა სახლებში აგრძელებენ ცხოვრებას. სხვათა შორის, **საქართველოში დღემდე არ არის მიღებული კანონი ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ.**

მხოლოდ ისაა მანუგეშებელი, რომ, აშშ-ისგან განსხვავებით, საქართველო გაეროს კონვენციას მაინცაა მიერთებული...

**ასმათ ჯალმაიძე**





ქვეყანაში, რომელსაც აქვს პრეტენზია, გახდეს ნატოსა და ევროკავშირის წევრი, ადამიანები შიმშილით იხოცებიან. არახალია, რომ, დღეის მდგომარეობით, მონაცემთა ბაზაში 1 მილიონ 500 ათასი მოქალაქის განცხადება დევს სოციალურად დაუცველის სტატუსის მოთხოვნით. ეს არის რეალობა, რომელიც სააკაშვილის რეჟიმმა ცხრა წლის განმავლობაში შექმნა.

SOS

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ვარდSOSნები», «ქართული SOSნება» და SOSიალურად დაუცველი საქართველო!!!

**21 მარტს, ზუსტად იმ დროს, როცა საკანონმდებლო ორგანოში საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით დეპუტატები რიჩარ ნორლანდის რეჟისორობით მორიგ პოლიტიკურ სპექტაკლს დგამდნენ სახელწოდებით „სარეიტინგო კენჭისყრა“, ბათუმის ბავშვთა საავადმყოფოში შემზარავი ფაქტი მოხდა: შიმშილის გამო შოკურ მდგომარეობაში მყოფი ერთი წლის გოგიტა აბაშიძე, მიუხედავად ექიმების მიერ გატარებული ღონისძიებებისა, გარდაიცვალა.**

ხელვაჩაურის რაიონის გამგებელმა ლევან ლორთქიფანიძემ ის ფაქტი, რომ აბაშიძეების ხუთსულიან ოჯახს, რომელიც უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს, სოციალურად დაუცველის სტატუსი არ გააჩნია, შემდეგნაირად ახსნა: **თურმე ოჯახში ერთ-ერთ ბავშვს არ აქვს პირადი ნომერი მინიჭებული.** მისივე თქმით, ხელვაჩაურის გამგეობამ ამ პრობლემის შესახებ არ იცოდა და მათი დახმარება აქამდე ვერ შეძლო. თავის მხრივ, გარდაცვლილის დედა ინგა აბაშიძე კი საპირისპიროს აცხადებს: **„მარტო მოხალული პურის ფქვილის ფაფას ვაჭმევდი ბავშვს, მეტის საშუალება არ მქონდა. სულ ვითხოვდი დახმარებას, ფეხმძიმეც კი ვაწუხებდი სააგენტოს, მაგრამ ამაოდ“.**

რომელი ცრუობს: ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი, რომელიც ამბობს, რომ თავის რაიონში არსებული ესოდენ მძიმე პრობლემის შესახებ არ იცოდა, თუ გარდაცვლილის დედა, რომელიც ამბობს, რომ სოციალურად დაუცველთა სააგენტოს ამაოდ აწუხებდა? ფაქტი ერთია, რომ **ქვეყანაში, რომელსაც აქვს პრეტენზია, გახდეს ნატოსა და ევროკავშირის წევრი, ადამიანები შიმშილით იხოცებიან.**

არახალია, რომ, **დღეის მდგომარეობით, მონაცემთა ბაზაში 1 მილიონ 500 ათასი მოქალაქის განცხადება დევს სოციალურად დაუცველის სტატუსის მოთხოვნით. ეს არის რეალობა, რომელიც სააკაშვილის რეჟიმმა ცხრა წლის განმავლობაში შექმნა.** ისიც ცნობილია, თუ რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს ოჯახი, რომ დაუცველის სტატუსი მიიღოს. ხშირია შემთხვევები, როცა კომისიამ შესაბამისი ქულები ძველი გაზქურის, კარადის ან სულაც ინტერნეტის გაუქმებული კაბელის გამო არ დაწერა.

ხელისუფლების შეცვლასთან ერთად გაჩნდა იმედიც. სოციალური დაცვის ლოზუნგებით მოსული ახალი ძალისგან ხალხი ელოდა, რომ წინამორბედის პოლიტიკას ამ მიმართულებით გადასინჯავდა... მდგომარეობა პრაქტიკულად იგივე დარჩა. სოციალურად დაუცველის სტატუსის მიღება დღესაც ისეთივე პრობლემას წარმოადგენს, როგორც „ნაცმოძრაობის“ დროს იყო. მმართველი გუნდი ამის ახსნას, ერთის მხრივ, იმით ცდილობს, რომ სააგენტოებში ისევ წინა ხელისუფლებისდროინდელი კადრები მუშაობენ. საუბარია ჯერჯერობით ახალი სტრატეგიის არარსებობაზეც, მაგრამ ჯერ ერთი ის, რომ წინა ხელისუფლების დროინდელი კადრები ისევ მუშაობენ, ცალკე პრობლემაა და მეორეც, **სანამ მთავრობა სოციალური უზრუნველყოფის ახალ სტრატეგიას შეიმუშავებს, მილიონ-ნახევარ სოციალურად დაუცველს ლამის სული შიმშილით ამოხდეს.**

არ მინდა, ვინმემ ეს ყველაფერი უსაფუძვლო კრიტიკაში ჩამომართვას, რადგან ახალი ხელისუფლების მოსვლიდან ჯერ საკმარისი დრო არ გასულა, მაგრამ იმ გაუთავებელი პოლიტიკური ბაქანალიის ფონზე, რომელსაც, უკვე ცხრა წელია, თვალ-ყურს ვადევნებთ, ბევრი რამ თავისთავად კითხვის ნიშნის ქვეშ დგება... **რამდენად გამართლებულია, თუნდაც, როცა იმ ქვეყნის სახელმწიფო მოხელე, რომლის მოქალაქეებიც შიმშილით იხოცებიან, ხელისუფლებაში მოსვლიდან ერთ კვირაში 100 ათას ლარად შეფასებულ ავტომანქანას ყიდულობს? ან რამდენად გამართლებულია, როცა ამ დუხჭირი ქვეყნის მთავრობის წარმომადგენელი საკუთარ თავს კოლოსალურ პრემიებს უწერს?!** (მაგალითად, ნოდარ ხადურმა ნოემბერ-დეკემბერში 3540—3540 ლარი მიიღო, მთლიანად მის უწყებაში კი პრემიების სახით 306 700 ლარი გაიცა). **რამდენი ჩვილისა და მოხუცის გადარჩენა შეიძლებოდა ამხელა თანხით შიმშილით სიკვდილისგან? რამდენ ავადმყოფს შეიძლებოდა წამალი მიწოდებოდა?! ბუნებრივია, გიჩნდება კითხვა: ბოლოსდაბოლოს, დეპუტატის ზეკომფორტული გადაადგილება უფრო მნიშვნელოვანია ამ ქვეყანაში ადამიანის სიცოცხლეზე? ან მინისტრის გასქელებული ჯიბე და მსუყე ლანჩი — რიგითი მოქალაქის საარსებო მინიმუმზე?!**

ცხადია, ყველას გვახსოვს, წინა მმართველობის დროს რა ხდებოდა. გვახსოვს სამინისტროებში მარტო ყავაზე დახარჯული ათასები და ძვირადღირებული მანქანებიც, რომლებსაც ნაცხელისუფლება პირდაპირ ავტოკონცერნებს უკვეთავდა ამერიკასა თუ ევროპაში, მაგრამ 1 ოქტომბერს სწორედ ამას უთხრა უარი ქართველმა ხალხმა. სწორედ ამის გამო აიყვანა საზოგადოებამ სააკაშვილის რეჟიმი პოლიტიკურ გილიოტინაზე. დღეს უკვე საკითხავია: კიდევ რამდენი ხანი შეიძლება, გაართოს საზოგადოება იმ პოლიტიკურმა ლუკმამ, რომელიც „მეოცნებეებმა“ მიმდინარე სამართლებრივი პროცესის სახით გადმოაგდეს? ყოველ შემთხვევაში, ის ფაქტი, რომ ახალაია ციხეშია და, სავარაუდოდ, მერაბიშვილიც და უგულავაც მალე გვერდით მიუჯდებიან, ადამიანის, მით უფრო ჩვილის, შიმშილით სიკვდილს ვერ გადაფარავს. ვერც პრემიერის სამძიმარი უშველის ამ საქმეს და ვერც პრეზიდენტის რეზიდენციაზე დროშას შემოვლებული შავი არშია...

რამდენიმე დღის წინ სააკაშვილმა შეძრწუნებული სახით განაცხადა: გაჭირვებულების სახელმწიფო დახმარების პროგრამა ჩემი პრეზიდენტობის პირველ ხანებში ამოქმედდა, თუმცა ამ პროგრამის მუშაობით ბოლომდე კმაყოფილი არასდროს ვყოფილვარო. მის მიერვე 2007 წლის 16 დეკემბერს გაკეთებულ განცხადებას გაგახსენებთ: **„ჩვენი დაწყებული საქმე დამთავრდება სიღარიბის მარცხით და ეს გზა მიგვიყვანს საქართველომდე სიღარიბის გარეშე“.**

„ნაცმოძრაობის“ მიერ დაწყებული ცხრაწლიანი „დიადი“ საქმის დასასრულს რეალობა მაინც ასეთია: **საქართველო არის ქვეყანა არა სიღარიბის გარეშე, არამედ ქვეყანა, რომლის მოქალაქეები შიმშილით იხოცებიან.**

დასავლურ სტანდარტებზე პრეტენზიის მქონე სახელმწიფოს რამდენად ეკადრება მსგავსი რამ, ამას, ალბათ, ჩვენი ექსპერტების მრავალრიცხოვანი არმია განმარტავს კვალიფიციურად, **მე კი რიგითი მოქალაქის პოზიციიდან პრეზიდენტის საყვარელი ფორმულირებით ვიტყვი, რომ, როგორც არასდროს, ისე მრცხვენია...**

**ჯაბა ჟვანია**

**P. S. 8 თებერვალს ბიბლიოთეკის შენობასთან ჩიორა თაქთაქიშვილს რომ გაულაწუნეს, ევროპის სახალხო პარტიის „ქორები“ დეპუტატის სხეულზე „ძალადობის ნიშნებს“ მიკროსკოპით ეძებდნენ. იქნებ ეკითხათ იმავე ევროპარლამენტარებს, როგორც მოქმედი, ისე წინა ხელისუფლებისთვის, რატომაა, რომ სახელმწიფოს, რომელიც ევროატლანტიკურ სტრუქტურებს ესწრაფვის, მოქალაქეები შიმშილით ეხოცება...**

# გებელსის აჩრდილი საბავშვო თეატრში

**ნაძალადევის რაიონში, ცოტნე დადიანის 26 ნომერში მდებარე კულტურის ცენტრი „არტ-ჰოლი“ საკმაოდ უჩვეულო წარმოდგენებით ხასიათდება. გარდა იმისა, რომ აღნიშნულ მისამართზე რესტორანი მდებარეობს, იმავე შენობაში თეატრიცაა განთავსებული. თეატრი სპექტაკლებს ბავშვებისთვის მართავს და, როგორც ჩანს, სკოლებსა და საბავშვო ბაღებს სარფიან შემოთავაზებებს აბონემენტების სახით სთავაზობს. 21-ე საუკუნეში, როდესაც ყველა მიხვდა, რომ „დრო ფულია“, მზრუნველ მშობელს ურჩევნია, ბავშვის კულტურული აღზრდა მასწავლებლებს მიანდოს.**



**„არტ-ჰოლის“ თეატრის სხვა სპექტაკლებზე ვერაფერს გეტყვით, თუმცა „წუნა და წრუწუნა“, ალბათ, მკითხველსა და მაყურებელს კიდევ მრავალჯერ გააოგნებს.** როგორც თავად ცენტრის მიერ გავრცელებული ინფორმაცია გვამცნობს, „სრულიად ახალი ტიპის კულტურის ცენტრის მიზანია, ფართო პოპულარიზაცია გაუწიოს ქართულ ხელოვნების სხვადასხვა დარგს, თავისი წვლილი შეიტანოს ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის საქმეში“.

ვიდრე სპექტაკლს შევეხებოდე, მინდა მცირედი ინფორმაცია ისტორიიდან მოვიტანო. 1933 წელს გერმანიაში ფაშისტური რეჟიმის დამყარებამ გერმანული თეატრის მიმართ ინტერესის კლება გამოიწვია. სახალხო განათლებისა და პროპაგანდის სამინისტროს ხელმძღვანელმა იოზეფ გებელსმა თეატრი, ისევე როგორც ლიტერატურა, პრესა და ტელევიზია „გლაიხშლატუნგის“ პოლიტიკის ობიექტად აქცია.

**„პროპაგანდა უნდა იყოს ცალსახა. აქ არ არის დახვეწილი დიფერენციაციის ადგილი. ხალხი ამბობს „კი“ ან „არა“, მას უყვარს ან ეზიზღება. სიმართლე ან ტყუილი! მართალი ან მტყუანი! ხალხი სწორხაზოვნად აზროვნებს. არანაირი სხვადასხვა თვალსაზრისი და ობიექტური მიდგომა, არანაირი ეჭვი, რყევა, შესაძლებლობა. მხოლოდ ერთმნიშვნელობა და ცალსახობა. არჩევანი უკვე გაკეთებულია. ფაქტი სახეზეა. მთელი ხელოვნება იმაშია, რომ მასამ დაიჯეროს, თითქოს ასეთი ფაქტი მართლაც არსებობს, ამის აუცილებლობა მართლაც გარდაუვალია, ასეთი გადაწყვეტილება ნამდვილად სწორია,“** — ამბობდა გებელსი.

იმპერიის თეატრალური პალატის ახალი ხელმძღვანელი ჰანს იოსტა ცდილობდა, მაყურებლის ინტერესი შეენარჩუნებინა და თან მესამე რაიხის პოლიტიკაც გაეტარებინა, თუმცა ამან დიდი ვერაფერი შედეგი გამოიღო, რადგან რასობრივი დოქტრინის სცენაზე გადმოტანას პუბლიკის ინტერესი არ გამოუწვევია. მეტიც, ბევრი ცნობილი დრამატურგი და მსახიობი იძულებული გახდა, დაეტოვებინა ნაცისტური გერმანია და სხვა ქვეყნებში გადახვეწილიყო. **„როდესაც მესმის კულტურის შესახებ, ჩემი ბრაუნინგი მზადყოფნაში მომყავს,“** — ამბობდა იოსტა.

ხელოვნების დარგებში პროპაგანდის პოლიტიკით ფაშისტური გერმანიის მოწინააღმდეგე საბჭოთა კავშირიც გამოირჩეოდა. მათ შორის არც თეატრი გამორჩენია რკინის ფარდის უკან მყოფ კავშირს და არც კინემატოგრაფი. თუმცა, **ჰიტლერისეული გერმანიისგან სხვაობა უკვე 1964 წელს მხატვრულ ფილმში „ჯარისკაცის მამა“ გამოჩნდა, როდესაც სერგო ზაქარიაძე საბჭოთა ჯარისკაცს მიმართავს: „აი, გერმანელი ბავშვი რატომ არ ჰკლავ“, ხოლო იგი პასუხობს: „ეს ხომ ბავშვია?!“**

**განსხვავება 30-იანი წლების გერმანიასა და დღევანდელ საქართველოს შორის „არტ-ჰოლის“ თეატრშიც იგრძნობოდა. რეჟისორმა ქართული ხალხური ზღაპრის უამრავი დეტალი შეცვალა.**

1961 წელს გადაღებული მულტფილმისგან განსხვავებით, წრუწუნას ბაბუა ჰყავს, ხოლო წუნას — ბებია. ლელო 2013 წელს უკვე „მიკი მაუსის სახელობის ეროვნულ სტადიონზე“ იმართება. ლელოში ორი გუნდი მონაწილეობს — თავადის და წუნასი. რა თქმა უნდა, წუნას გუნდი იმარჯვებს, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ტყუილის მეშვეობით.

წუნა რატომღაც ვაჟა-ფშაველას „ჩხიკვთა ქორწილიდანაა“ გამოქცეული და იმავე ფრაზას ამბობს: **„ღვინოს არ გეახლებით, თხილი მირჩევნია“.** ყარაჩოღელებმა ტივიდან უკვე ვინმე კაკოს დუქანში გადაინაცვლეს. მას შემდეგ, რაც წრუწუნამ თავისი გასაჭირი მოუყვა, ყარაჩოღელებმა სამჯერ წარმოთქვეს ფრაზა: **„მე ამ თავადის მკვდარი და ცოცხალი...“** და სამივეჯერ დუქნის მეპატრონე კაკომ სთხოვა: **„ნუ შეიგინებით, აქ ბავშვები სხედანო“.**

ყველაზე საინტერესო პერსონაჟი კი ბოროტი თავადია, რომელიც სიუჟეტის მიხედვით წრუწუნას წუნას მოსტაცებს და თავის სახლში დაამწყვდევს. გარდა იმისა, რომ თავადი ბოროტია, მას რუსი ოფიცრის კოსტუმი აცვია და რუსულად ლაპარაკობს. რუსულად მოლაპარაკე თავადს ორი მოახლე ჰყავს, მაგრამ ორივე ქართულად გამართულად ლაპარაკობს და მეტიც, ერთ-ერთს ქართველი აზნაურის კოსტუმი აცვია. 21-ე საუკუნის „წუნა და წრუწუნაში“ („არტ-ჰოლის“ თეატრში დადგმული სპექტაკლის მიხედვით) **ყარაჩოღელი და თავადი ერთმანეთს ხმლებით ერკინებიან და რუსულ-ქართულად მოლაპარაკე თავადი თითქმის დაამარცხებს კიდეც ფიცხელას, თუმცა თავები აჯობებენ. აქაც საკმაოდ ბანალური ჰეპი-ენდით სრულდება ყველაფერი...**

არ ვიცი, რისი თქმა უნდოდა რეჟისორს ხალხური ზღაპრის ძალიან ცუდი რემეიკით, მაგრამ ერთი ფაქტია: ამ სპექტაკლზე ბავშვები დადიან და ეჩვევიან იმ აზრს, რომ ის, ვინც რუსულად ლაპარაკობს, აუცილებლად უარყოფითი პერსონაჟია. იმასაც ეჩვევიან, რომ ადამიანს შეიძლება მკვდარი და ცოცხალი აგინო, მითუმეტეს, რომ „კაკო“ მათ გვერდით ყოველთვის არ იქნება, რათა შეახსენოს, დარბაზში ბავშვები არიან თუ არა. **არც ის ვიცი, სხვა რა სპექტაკლები აქვს დადგმული ამ სანახაობის რეჟისორს, მაგრამ ერთი ვიცი დანამდვილებით: ეს პიროვნება ჩეხოვის „თოლიას“ ვერასდროს დადგამს.**

**მაია ჩუბინიშვილი**

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„თუ საქართველო კარდინალურად არ შეიცვლის საგარეო პოლიტიკურ კურსს, სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ იმაში, რომ სამომავლოდ ქვეყნის მნიშვნელოვან საკითხებში სხვა ქვეყნის ელჩების ჩარევა საჭირო არ გახდეს. ივანიშვილს მიიღებენ მოსკოვში, ქართული ღვინო შესაძლოა გავიდეს რუსულ ბაზარზე, რუსი ხელოვანები ჩამოვლენ საქართველოში და პირიქით, მაგრამ კარდინალურად არაფერი შეიცვლება."**

# კოაბიტაცია ნორლანდიურად

## «ქართული ოცნებისა» და «ნაცმოძრაობის» სიყვარული დახურულ კარს მიღმა

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს სარეიტინგო კენჭისყრაზე დათანხმება ბიძინა ივანიშვილმა ურჩია. ამის შესახებ თავად პრემიერ-მინისტრმა განაცხადა. მისივე განმარტებით, პარლამენტის თავმჯდომარეს არანაირი სურვილი არ ჰქონდა, „მხარი დაეჭირა „ნაციონალური მოძრაობის" ახირებისთვის", რადგან კარგად იგრძნობოდა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის საჭირო ხმებს უმრავლესობა ისედაც მიიღებდა.

საკონსტიტუციო ცვლილებები უკვე ორი თვეა უთანხმოების საგანს წარმოადგენს პრემიერისა და პრეზიდენტის პოლიტიკურ გუნდებს შორის. მანამ, სანამ „ოცნება" სარეიტინგო კენჭისყრას დათანხმებოდა, ქუთაისში იმყოფებოდა ამერიკის ელჩი საქართველოში — რიჩარდ ნორლანდი. ოფიციალური ინფორმაციით, ამერიკელი დიპლომატი პარლამენტში საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრებს საელჩოს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციას აცნობდა. შეხვედრას, რომელიც დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილიც ესწრებოდა. შეხვედრის შემდეგ კი საპარლამენტო უმრავლესობამ უეცრად გადაწყვიტა, რომ სარეიტინგო კენჭისყრა უნდა ჩატარებულიყო, რამაც საზოგადოებაში გააჩინა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ამ გადაწყვეტილების მიღებაში ამერიკის ელჩის ხელი ერია.

**იყო თუ არა რიჩარდ ნორლანდის მიერ „ქართული ოცნების" იძულება საქართველოს საშინაო საქმეებში უხეში ჩარევა, უეცრად შეეცვალა გადაწყვეტილება და დათანხმებოდა „სარეიტინგო კენჭისყრას", რაც „ნაცმოძრაობისა" და სააკაშვილის რეინკარნაციისკენ გადადგმული ნაბიჯია?**

**რამდენად აკნინებს ქართველი ხალხის არჩევანს და საკუთრივ „ქართულ ოცნებას" ის, რომ ასეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს არა ქვეყნის მმართველი გუნდი, არამედ კვლავ აშშ-ის ელჩი იღებს?**

**არის თუ არა ჩრდილოეთსა და დასავლეთს შორის გონივრული ბალანსირება ის ნაბიჯი, რომელიც ბიძინა ივანიშვილს დააზღვევს მომავალში აშშ-ის ელჩის მხრიდან ხელების დამამცირებელი გადაგრეხვისგან და რა ნაბიჯი უნდა გადადგას პრემიერმა ამ მიმართულებით სამომავლოდ?**

**ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემა „საქართველო და მსოფლიომ" საზოგადოებისთვის ცნობილ ადამიანებს სთხოვა.**



**დემურ გიორხელიძე, ანალიტიკოსი:**

— მოდით დავიწყოთ იმით, რომ ეს არასაჭირო და სრულიად უაზრო საკონსტიტუციო ცვლილებები, უმრავლესობის ლიდერების არასწორი და უადგილო ახირება, პოლიტიკური შეცდომა იყო. ახალ მთავრობას არაფერი ემუქრებოდა, ცხადია, არც სახელმწიფოს. **საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება „ნაციონალური მოძრაობის" ბენეფისად არ უნდა ქცეულიყო!** ოპოზიციამ და საქართველოს პრეზიდენტმა შექმნეს ილუზია, რომ შესაძლებელი იყო მთავრობის გადაყენება. ეს ოპოზიციის და მიხეილ სააკაშვილის თვითმკვლელობა იქნებოდა; ეს მათ შესანიშნავად იცოდნენ, ხალხი მათ უმძიმეს პასუხს გასცემდა... საკუთარ დასაკლავ დანას ისინი საკუთარი ხელით არ გამოჩხრეკდნენ! უმრავლესობის ლიდერებს აშკარად სიყრუე შეეყარათ — არ იციან საღი აზრის მოსმენა. სიყრუე პოლიტიკაში ცუდად მთავრდება... ჰოდა, როცა მმართველი ძალა პოლიტიკურ შეცდომას უშვებს, მისი გათამაშება იოლად შეიძლება პოლიტიკაში კარგად გათვითცნობიერებული ძალის მიერ და ასეც მოხდა. **ოპოზიციამ ბრწყინვალედ გაათამაშა ყველაფერი. თუ ოპოზიციამ აშშ-ის ელჩი ნორლანდი გამოიყენა ხელისუფლებაზე ზეწოლისთვის, არაა გასაკვირი. ახალმა ხელისუფლებამ ჩიხში თვითონ შეიყვანა საკუთარი თავი.**

თუ საკონსტიტუციო ცვლილებები უნდოდა უმრავლესობას, რატომ გაიპამპულავეს თავი? გაოგნებული ვუსმენდი დებატებს: უმრავლესობის ლიდერები პატარა ბავშვებივით ჯიუტობდნენ და სისულელეებს ლაპარაკობდნენ. შექმნილ სიტუაციაში, ცხადია, პარლამენტის თავმჯდომარემ, პოლიტიკური თვალსაზრისით, სწორი გადაწყვეტილება მიიღო!

თუ ასეთი გადაწყვეტილება მართლაც აშშ-ის ელჩმა მიიღო და აიძულა უმრავლესობა შეესრულებინათ და ჩაეტარებინათ სარეიტინგო კენჭისყრა, მაშინ ეს აკნინებს მხოლოდ კოალიცია „ქართულ ოცნებას", როგორც უმრავლესობით მოსულ პოლიტიკურ ძალას. თუ ეს მართლაც ასე მოხდა, მაშინ კოალიცია „ქართულმა ოცნებამ" გამოიჩინა დიდი სისუსტე და დაუშვა დიდი შეცდომა, როცა ასე ელემენტარულ მდგომარეობაში ვერ გათვალა საკუთარი მოქმედებები და, თუ ასეა, ცხადია, უპატივცემულობა გამოიჩინა ქართველი ხალხის მიმართ, ანუ იმათ მიმართ, ვინც ისინი ხელისუფლებაში მოიყვანა. **ქართველ ხალხს სამართლიანობის აღდგენა სურს და არა „ნაციონალური მოძრაობის" პოლიტიკური რეაბილიტაცია. ეს დიდი შეცდომაა! ოპოზიციამ ბრწყინვალედ გაათამაშა ყველაფერი, უმრავლესობაში საკუთარი მხარდამჭერების ხელშეწყობით. წააგო მხოლოდ ერთმა კაცმა, არადა, ის სულ ხელშეუხებელი იყო ამ ეტაპზე და ეს ცვლილებები არაფერში სჭირდებოდა.**

ვფიქრობ, ბალანსირების თემა აშშ-სა და ჩრდილოეთს, ანუ რუსეთს შორის ყალბი დისკურსია; ეს ისევ ცივი ომის რეციდივებია. დააკვირდით აშშ-ისა და რუსეთის ურთიერთობას, ევროკავშირისა და რუსეთის ურთიერთობას. იაროსლავთან ახლოს ნატოს დიდი ბაზაა. საქართველოში ბევრმა იცის ეს! რუსეთში ნატოს ბაზა სწორედ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ გაიხსნა... საქართველოში, წინა ხელისუფლების 9-წლიანმა ანტირუსულმა პროპაგანდამ, რომელიც მხოლოდ ფასადური იყო, ხალხზე საკმარისად ნეგატიური გავლენა მოახდინა — ჩვენი მოქალაქეები ცუდად ერკვევიან მსოფლიოში მიმდინარე პროცესებში. ამიტომ, **თუ ხელისუფლებას უნდა, რომ არავინ ჩაერიოს და იმოქმედოს მასზე, არ უნდა დაივიწყოს, ვისი მხარდაჭერით მოვიდა ხელისუფლებაში. სამწუხაროდ, ჯერ ხალხის მიმართ ანგარიშის გაწევის სურვილი ნაკლები ჩანს.** ასეთ ვითარებაში ხელისუფლებაზე ზემოქმედების მოხდენა გარედან იოლად მოხდება მომავალშიც.



**არნო ხიდირბეგიშვილი, „საქინფორმის" მთავარი რედაქტორი:**

— საქართველო არ არის ჩამოყალიბებული სახელმწიფო. ამას არც ვმალავთ. ნომერ პირველ სტრატეგიულ პარტნიორად ავირჩიეთ ამერიკის შეერთებული შტატები. მივეცით მათ ძალიან ბევრი უფლება. ვმონაწილეობთ ყველა მისიაში, სადაც აშშ მოითხოვს. ამერიკის ელჩის, ნორლანდის, ჩარევა ყველა სხვა დამოუკიდებელი სახელმწიფოსთვის ჩარევაც იქნებოდა და უფრო მეტიც. შეგვიძლია გავიხსენოთ ნორლანდის მონაწილეობა წინასაარჩევნო პერიოდში, შეგვიძლია შევადაროთ ამერიკის ნებისმიერი ელჩის ჩარევა — მაილსიდან დაწყებული ჯონ ბასით დამთავრებული საქართველოს შიდა საქმეებში. ამერიკა ყოველთვის ასრულებდა არბიტრის როლს და ეს დადებითი იყო თუ უარყოფითი, არ ვიცი. ალბათ, ზოგ შემთხვევაში დადებითიც კი იყო. ეს პირველი შემთხვევა არ იყო, როცა ამერიკის ელჩი ასე ჩაერია ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხში. თუ ამერიკა დაინტერესებულია, რომ საქართველო არ გადაიქცეს ტოტალიტარულ ქვეყნად, გამოსწორდეს ყველანაირი დიქტატურის ნაშთი, რაც დარჩა წინა მთავრობიდან, ეს ნორმალურია. ამერიკის აზრით, ალბათ, საქართველო ძალიან სერიოზულ კონტროლს იმსახურებს მისი მხრიდან, რომ ჩამოყალიბდეს დემოკრატიულ ქვეყანად. თუ ამ თვალსაზრისით ერევა, კი ბატონო, მაგრამ იდეაში, მდგომარეობიდან გამომდინარე, მარტო ამერიკის კი არა, ნებისმიერი ელჩის ჩარევა ქვეყნის შიდა საქმეებში დაუშვებელია. ამ შემთხვევაში, თუ ფიქრობენ, რომ შესაძლოა, წინა ხელისუფლებამ რევანში განახორციელოს ან ახალმა ხელისუფლებამ გადააჭარბოს რაღაც ზღვარს, ან ძველ და ახალ ხელისუფლებას შორის, რომელიც არ გამოირჩევა აქტიური თანამშრომლობით, ერთგვარი მომრიგებლის როლი შეასრულოს, ამაში საწინააღმდეგოს ვერაფერს ვხედავ.

არ ვიცი, საზოგადოება როგორ უყურებს ამ ყველაფერს, მაგრამ **ეს ძალა მოვიდა იმავე საგარეო კურსით. ივანიშვილის ყველა წინასაარჩევნო მიტინგზე ფრიალებდა ნატოს დროშები. ევროატლანტიკური კურსი დარჩა უცვლელი. პრემიერ-მინისტრი ხელისუფლებაში მოსვლისთანავე აცხადებდა, რომ ნორლანდი იყო უნიკალური პიროვნება, მისი მეგობარი და მის ჩარევას ახლა ამ სიტუაციაში ისე შევაფასებდი, როგორც ივანიშვილის ზარებს პარლამენტში ამ პროცესის დროს. არ განსხვავდება ერთი მეორისგან.**

სანამ ჩვენ გვექნება ორხელისუფლებიანობა, სანამ არ ჩამოვყალიბდებით როგორც სახელმწიფო, სანამ ასეთი კაზუსური მდგომარეობა გვექნება საგარეო პოლიტიკაში, ასე ჩაერევიან და ეს იქნება ჩვეულებრივი მოვლენა. იმას, რასაც ახლა პრემიერ-მინისტრი აკეთებს, საგარეო პოლიტიკის ბალანსირებას ვერ დავარქმევდი. **შენ თუ ნატოში შესვლას აპირებ, ვერასდროს მოაგვარებ რუსეთთან სიტუაციას. დღეს ისაა კარგი, რომ არ ვაგინებთ რუსეთს, არ ვთვლით მტრად, მაგრამ ვთვლით ოკუპანტად.** გამორიცხულია, გაიხსნას საზღვრები და აღდგეს ნორმალური ურთიერთობა, სანამ ეს საკითხი არ გადაწყდება, რადგან საქართველოს ცხვირწინ რუსეთმა კედელი ააშენა. კედელში მე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს ვგულისხმობ. იმის მაგივრად, რომ ჩვენ დავანგრიოთ ეს კედელი, ვნახოთ რაიმე კარი და მოვძებნოთ რუსეთთან დიალოგის საშუალება, ამის მაგივრად მეორე კედელი ავაშენეთ, ვგულისხმობ პარლამენტის მიერ მიღებულ რეზოლუციას, რომელშიც წერია, რომ საქართველო არასოდეს შეეგუება ოკუპირებულ ტერიტორიებს და არასოდეს შევალთ იმ გაერთიანებებში, რომლებშიც არის რუსეთი და ა.შ.

**თუ საქართველო კარდინალურად არ შეიცვლის საგარეოპოლიტიკურ კურსს, სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ, რომ სამომავლოდ ქვეყნის მნიშვნელოვან საკითხებში სხვა ქვეყნების ელჩების ჩარევა საჭირო არ გახდეს. ივანიშვილს მიიღებენ მოსკოვში, ქართული ღვინო, შესაძლოა, გავიდეს რუსულ ბაზარზე, რუსი ხელოვანები ჩამოვლენ საქართველოში და პირიქით, მაგრამ კარდინალურად არაფერი შეიცვლება.**



**ლაშა ამირეჯიბი, „სახალხო კრების" ერთ-ერთი დამფუძნებელი:**

— ნორლანდი პარლამენტში ტყუილად არ იყო მისული, რა თქმა უნდა. როგორც ჩანს, მისი ჩასვლა საჭირო გახდა. ცუდი ისაა, რომ **ჩვენ თვითონ ჯერჯერობით ვერ ვიღებთ ასეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს. სარეიტინგო კენჭისყრაში, როგორც ჩანს, ჩაერია ნორლანდი. აშშ-ის ელჩმა არ უნდა გადაგვიწყვიტოს, რა უნდა გავაკეთოთ და რა არა.** რაც შეეხება სააკაშვილისა და „ნაცმოძრაობის" რეინკარნირებას, თვითონ ეს ფორმულირება სწორია, მაგრამ, არა მგონია, „ნაციონალურმა მოძრაობამ" დიდხანს იცოცხლოს.

რა თქმა უნდა, **ქართველი ხალხის არჩევანს და „ქართულ ოცნებასაც" აკნინებს ის ფაქტი, რომ ასეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს არა ქვეყნის მმართველი გუნდი, არამედ კვლავ აშშ-ის ელჩი იღებს. ქართველმა ხალხმა და ახალმა ხელისუფლებამ უნდა გადაწყვიტონ ქვეყნის ბედი.** ჩვენ ხომ უნდა ვისწავლოთ, გადავდგათ ის ნაბიჯი, რომ ოდესმე ჩვენ თვითონ გადავჭრათ პრობლემები. სამწუხაროდ, უკანასკნელი პერიოდი სულ ვილაცაზე ვიყავით დაკიდებულნი და ჩვენს მაგივრად სხვა წყვეტდა ქვეყნისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან საკითხებს. შესაძლოა, ახალ ხელისუფლებას ასეთი მიდგომა რაღაც პერიოდით ხელს აძლევს კიდეც და ამიტომაც აკეთებს ამას.

ალბათ, ყველაზე კარგი იქნება, რომ პრემიერმა რუსეთთანაც დაალაგოს ურთიერთობა და ამერიკასთანაც კარგი პარტნიორობა ჰქონდეს. ერთხელ ვკითხე პრემიერს, როგორ აპირებდა ურთიერთობების დალაგებას რუსეთთან და ამერიკასთან და მან მითხრა, მე ამას შევძლებო. იმედია, რომ ამას გააკეთებს. დააბალანსებს რუსულ პოლიტიკასაც და ასევე გაატარებს ქართულ პოლიტიკას. აუცილებელია რუსეთთან ურთიერთობის დათბობა. სამწუხაროა, რომ, **თუკი დღეს საქართველოში ამერიკელების მიმართ არსებობს (არ მინდა, ზიზღი დავარქვა) არც თუ ისე კარგი განწყობა, ესაა მხოლოდ და მხოლოდ მიშა სააკაშვილის ბრალი, რადგან მან პრაქტიკულად ქართველ ერს ამერიკელები და ამერიკული პოლიტიკა შეაზიზღა.** ისე აწვდიდა ქართველ ერს ამერიკულ პროდუქტს, რომ მათთვის ყოველთვის მიუღებელი იყო. ის ყველაფერი, რაც მამა-პაპათაგან დაგვრჩა, რაც დღეს გაგვაჩნია და რითაც ვამაყობთ, სააკაშვილმა ისე დაანახა ყველას, რომ სწორედ ამ ყველაფრის განადგურება უნდა ამერიკელებს. სწორედ ამიტომ არიან ასე განწყობილნი ქართველები ამერიკელების მიმართ.



**რეზო ამაშუკელი, პოეტი:**

— მარტო ამ საკითხში კი არა, ამერიკის ჩარევას ბევრ საკითხში ვხედავ. ეს უფრო ფართოდ სალაპარაკო თემაა. მრჩება შთაბეჭდილება, რომ თითქოს ამ ერთის გარდა, საქართველო-

**თუ კენჭისყრა ჩავარდებოდა, ბიძინა ივანიშვილი ყოველმხრივ მოგებულ სიტუაციაში აღმოჩნდებოდა. ასეთ შემთხვევაში, პირველ რიგში, სააკაშვილი და „ნაცმოძრაობა“ უკვე მთელი მსოფლიოს წინაშე წარსდგებოდნენ როგორც ბნელეთის მოციქულები და კბილებდაკრეჭილი სოციოპათ-დიქტატორები, რომლებმაც არ მოისურვეს აპარტეიდული კანონის შეცვლა!..**

ჩემპიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ში სხვა ელჩი არ არსებობს. ძალიან გულდასაწყვეტია ის ამბავი, რომ ამას ასე ურეაქციოდ ვტოვებთ. ჩემთვის გასაგებია ეს პოლიტიკური სვლები და ყველაფერს ვხვდები, მაგრამ, ყველგან რომ ეს ადამიანი დედინაცვალივით მირბის და მორბის, სად იყვნენ მაშინ ეს ვაჟბატონები, სად იყო ან დასავლეთი, ან ამერიკა, ვითომ მეგობარი ქვეყნები, როცა „ნაცმოძრაობამ“ სისხლში ამოთხვარა ეს ქვეყანა?! ვისთან უნდათ თანაცხოვრება? შეიძლება ჯალათებთან ერთად თანაცხოვრება?! ამას არ შეეგუება ქართველი ხალხი არასოდეს. ტყუილად ნუ გონიათ, რომ სახეზე ნიღბების აფარებით ვინმეს რამეს გამოაპარებენ. **ნუ მიიყვანენ ქართველი ხალხის მოთმინებას იქამდე, რომ მერე ვერც ნორლანდმა და ვერც ვერავინ ველარ უშველოთ. ტყუილად თავს ნურავინ ნუ იმშვიდებს. არ წაეთრევა ეს სისხლიანი ვაჟბატონი ისე, რომ რამე დიდი ზიანი არ მიაყენოს ქვეყანას. რაც არ უნდა ილაპარაკონ რესპუბლიკელებმა, რომ ნორლანდი ჩამოვიდა და დაესწრო მხოლოდ კომიტეტის სხდომას, ეს ასე არაა.**

მე ვარ თავგადადებული, ერთგული და გვერდში მდგომი ბიძინა ივანიშვილის. ამას ელემენტარული ადამიანური საწყისები აქვს. მე მან სიკვდილისგან გადამარჩინა. არა მარტო მე, ასევე მეუფე იობი, ძალიან ბევრი ადამიანი. „ნაციონალებს“ რომ გაემარჯვათ, 2 ოქტომბერს აქ იქნებოდა სისხლის ტბები. ვინც რა უნდა, ის ილაპარაკოს, მე ბოლომდე ივანიშვილის ერთგული დავრჩები. დიდი იმედი მაქვს, რომ ის იმდენად ჭკვიანი კაცია, ერთგული თავის ქვეყნის და ამასთანავე გულწრფელი, რომ ამ ამღვრეულ გაუბედურებულ ქვეყანაში, სადაც 9 წელიწადი ითმენდნენ ყველაფერს და ერთ წუთში მოინდომეს ყველაფრის ანაზღაურება, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ უმრავლესობაში ძალიან ბევრ ადამიანს პატივს არ ვცემ, ივანიშვილი მაინც მოახერხებს საბოლოოდ ამის დაბალანსებას. მე არ მინდა არავის მონა ვიყო, მაგრამ არ მინდა, არავის მტერიც ვიყო.

**ქართული სახელმწიფოებრიობის ნომერ პირველი პრობლემა ძმები კუბლაშვილები არიან. რაც შეეხება სააკაშვილს, მაგას ყინულში თუ ჩავდებთ, თორემ სხვანაირად აღარ შეიძლება მაგის მოთმენა, იმიტომ, რომ ეს არის მძორი.** ვერავის ვერასდროს დავეთანხმები, მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე მეტ პატივს პატრიარქის შემდგომ ივანიშვილს ვცემ, რომ სააკაშვილი არის მსხვერპლი და მასთან რაიმე ურთიერთობა შეიძლება ვინმეს ჰქონდეს. სანამ პირში სული მიდგას, ვიბრძოლებ იმისთვის, რომ პასუხი აგოს, რადგან მაგის გამო ნახევარი საქართველო განადგურდა. ველოდები ახლა პარლამენტის გადაწყვეტილებას, და როგორც მოიქცევიან პარლამენტარები, იმის მიხედვით იქნება ქართველი საზოგადოების რეაქცია. ასე რომ, ყველამ თავის წარსულს ჩახედოს და შვილებზე მაინც იფიქროს, თავიანთი ცოდვების გამო, თორემ პატიება ყველაფრის შეიძლება. ჩემთვის პირადად შეურაცხყოფა ბევრჯერ მოუყენებიათ, მაგრამ ჩემი სამშობლოს ხელყოფას ჩემს შვილსაც კი არ ვაპატიებ!

**ლილი მიროტაძე**

# რიგითი «ძაღლიშვილი» გადაარჩინეს



**წინა კვირას რომ ვწერდით, სააკაშვილის, ანუ იმავე „რიგითი ძაღლიშვილის გადასარჩენად“ მთელი დასავლეთისა და შეერთებული შტატების გაერთიანებული სამგლეთია აყმუვლებული-მეთქი, ბევრმა ეს ამბავი, შესაძლოა, ერთი ყურიდან მეორეში გაუშვა, ბევრმა ჩაიქირქილ-ჩაიხითხითა, ისე, როგორც სააკაშვილს უყვარს ხოლმე, მაგრამ ის, რაც 21 მარტს საქართველოს პარლამენტში მოხდა, ფაქტობრივად, იქცა იმ ჩვენი წერილის პოსტკრიპტუმად. რას ვგულისხმობთ? მოგახსენებთ!..**

ბატონებო, სულ ცოტა დაგვაკლდა და ფეხად მოასწრო ჩვენმა გაზეთმა გამოსვლა, თორემ დაახლოებით ასეთი პოსკრიპტუმის დაწერა მომიწევდა იმ წერილისთვის: „ჩვენ რომ გვეგონა, სააკაშვილის, ანუ „რიგითი ძაღლიშვილის გადასარჩენად“ მის პატრონებს სპილბერგის იმ ცნობილი ფილმის კინოგმირის — ჯონ მილერის ჯარისკაცებივით მტრის ზურგში ტყვიებისთვის უნდა შეეშვირათ შუბლი და სანგრებსა და წყალ-ტალახში ეხოხათ, თურმე საქმე გაცილებით მარტივად ყოფილა, — ამერიკის ელჩი რიჩარდ ნორლანდი ოდნავ მოსაღამოვებულზე კარგად გამოწყობილი და გაპრიალებული ჩავიდა ქუთაისში, შევიდა პარლამენტში, დაელაპარაკა დათო უსუფაშვილს, რომელსაც მანამდე პატივცემული ბიძინა ივანიშვილიც ესაუბრა ტელეფონით და მორჩა — „ძაღლიშვილი“ გადარჩა!.. არული — კუდიანებსა, ჯვარი — აქაურობასა!.. ჭირი — იქა და დანარჩენი — ლხინიც, ქატოცა და ფქვილიც — აქა!..“

აი, დაახლოებით ასეთი იქნებოდა ეს ჩვენი პოსტკრიპტუმი და ასე და ამგვარად მოვრჩებოდით ყველაფერს!..

**21 მარტს პარლამენტში ჩატარებული ე. წ. სარეიტინგო კენჭისყრის შესახებ ათასგვარი შეფასება მესმის, რამდენიც კაცია, იმდენი აზრია... ზოგი ამბობს, — ბიძინა ივანიშვილს ვენაცვალე, მიზანმიმართულად ასუსტებს ბოროტებასო!.. ზოგმა თქვა, — თუ საქმე საქმეზე მიდგებოდა, „მეოცნებეებს“ „ნაცებიდან“ 11 კაცი გადმობირებული ჰყავდათ და საკონსტიტუციო ცვლილებებს წინ არაფერი უდგა, უბრალოდ, სარეიტინგო კენჭისყრაში იმ თერთმეტმა კაცმა თავისი თავი არ გაყიდაო!.. ერთი სიტყვით, ხალხი ჭრელია, ზოგი რას ამბობს და ზოგი — რას!..**

თუ მოვლენას ნიცშესეული პრინციპით განვსჯით და თუ „მიზანი ამართლებს საშუალებას“, მაშინ ყველაფერი გასაგებია და აქ საკამათოც აღარაფერი რჩება, მაგრამ საკითხავია, ღირდა კი ეს „საშუალება“ „მიზნის“ მისაღწევად, ანუ საკონსტიტუციო ცვლილებების განსახორციელებლად?

ამ საკითხზე ჩვენ ჩვენი აზრი გვაქვს და, თუ საჭიროა, ვიკამათოთ!..

მოდით, ჯერ ის განვსაზღვროთ, თუ ვინ რა მოიგო ყბადაღებული საკონსტიტუციო ცვლილებების ასეთი ფორმით დამტკიცებით...

ხალხის თვალში „ქართულმა ოცნებამ“ ნამდვილად წააგო, რადგან მთელი შვიდი საათის განმავლობაში გამარჯვებული სახელისუფლო გუნდი და მათ შორის თითქმის ყოველთვის გაწონასწორებული სპიკერი — პატივცემული უსუფაშვილი, მართალია, ერთხმად კი ამტკიცებდნენ, რომ პარლამენტი არ იყო ცირკი და უმცირესობის კაპრიზების დასაკმაყოფილებელი სახლი, მაგრამ, როგორც კი ამერიკის ელჩი პარლამენტში გამოჩნდა, ბატონმა დავითმა ყურები ჩამოყარა და იმთავითვე ცხადი გახდა, რომ „რიგითი ძარლიშვილის გადასარჩენად“ კაპიტანმა ჯონ მილერმა უკვე კარზე მოაკაკუნა!..

თავის მხრივ, რა თქმა უნდა, „ნაცმოძრაობამაც“ წააგო... სააკაშვილი ხალხის დასანახად და გასაგონად კი გაიძახის, რომ „დედა პარტია“ რეინკარნირდა და თავიდან იშვა, მაგრამ თავად **მიშამ ყველაზე უკეთ იცის ერთი რამ: სანამ თავისი პოლიტიკური სექტა „ცოცხების პარტიასთან“ ასოცირდება, სანამ ხალხს „მეცოცხეთა“ იდეოლოგები ჭკუას ასწავლიან და ხელებს უშლიან, მანამ „ნაციონალურ მოძრაობას“ ვერც ვერონიკა ქობალიას სტრიპტიზცეკვა „აუყენებს“ გვერდებს“ და ვერც მარიამ საჯაიას ჯარში — ავღანეთში წასვლა მიშასთან ერთად!..**

ერთადერთი ვინც მოიგო, გახლდათ ამერიკის შეერთებული შტატები და მისი ელჩი — ბატონი ნორლანდი, რომელმაც, როგორც ჩვენში იტყვიან, ყველა „თავის ადგილზე მოსვა“ და ყველას აგრძნობინა, თუ ვინ არის საქართველოს ნამდვილი ბატონ-პატრონი და ვინ წარმართავს ქვეყანაში რეალურ პოლიტიკურ პროცესს!..

**აი, ამ ბატონყმობის წამალი და თანაც ძალიან ეფექტური, ჩვენი აზრით, იქნებოდა საქართველოს პარლამენტში თუნდაც ერთი ფორმალურად პრორუსული ფრაქციის არსებობა,** რომელიც ასეთი ღია და უხეში პოლიტიკური ჩარევის დროს გაჯიქდებოდა, კარგი გაგებით, ვირზე შეჯდებოდა, სარეიტინგო კენჭისყრას კახურ უარს ეტყოდა და საქართველოს ხელისუფლებას არგუმენტსა და სალაპარაკოს მისცემდა „რიგითი ძაღლიშვილის გადასარჩენად“ მებრძოლ ამერიკელებთან: „რა ვქნათ, ძმაო, ხომ ხედავთ, რუსოფილები არიან, ამოდენა ატომური იმპერია უდგათ უკან, უარს ამბობენ ამ სარეიტინგო კენჭისყრაზე და რა წყალს მივცეთ თავი, უმრავლესობას ხომ არ დავშლით?“

დიახ, ეს იქნებოდა საუკეთესო ბალანსი და მეტი თავისუფლება ხელისუფლებისათვის, რომელიც „ნაცმოძრაობის“ ასაძაღლებლად და ქართული საქმის საკეთებლად უფრო გაბედულად და თავდაჯერებულად გადადგამდა ნაბიჯებს, მაგრამ დღევანდელი სნობებისა თუ ობივატელის რუსეთისადმი დამოკიდებულება როგორია, იცით? ზუსტად ისეთივე, რასაც დიდი მიხეილ ჯავახიშვილი წერს ქართველებზე, — არავის ისე არ უყვარს ფული, როგორც ქართველს და არსად ისე არ ეჯავრებათ ფულიანი კაცი, როგორც საქართველოშიო!..

ამ თეზაში ჩასვით „ფულის“ ნაცვლად „რუსეთი“ და მიიღებთ ახალ აბსოლუტურ ჭეშმარიტებას, რომლის აღიარებაც ჩვენ ან არ გვინდა, ან — აგვიკრძალეს იმათ, ვისაც თვით რუსებზეც მეტი ფული აქვთ!..

**ერთი სიტყვით, ბალანსი იქნებოდა საუკეთესო გამოსავალი, თორემ ყველა სხვა შემთხვევა ნიშნავს იმას, რომ სააკაშვილის პოლიტიკური დასაფლავების პროცესი დროში უსაშველოდ გაიჭიმება და, როგორც ერთმა პატივცემულმა ოპოზიციონერმა პოლიტიკოსმა ბრძანა ერთგან, ქვეყანა აგვიქოთდება!..**

საკონსტიტუციო ცვლილებებით ის ყბადაღებული ასანთი კი გამოჰგლიჯეს ხელიდან, მაგრამ, აბა, დააკვირდით, საიდან შემოუარა სააკაშვილმა ივანიშვილსა და ქართველ ხალხს და ისიც არ დაგავიწყდეთ, როგორ დაგვიქნია კაცმა თითი, რომელიც, ქვეყანა რომ გვივარგოდეს, ახლა ვირის აბანოში დიდი ხნის მიბრძანებული უნდა იყოს!..

დიახ, როგორც კი სარეიტინგო კენჭისყრა შედგა, მიშა მაშინვე გამოიჭრა ტელეეკრანზე და ახალ ხელისუფლებას ენა გამოუყო:

**„დღეს პრემიერ-მინისტრ ივანიშვილმა პირველად იხილა საკუთარი თვალით, რომ მისი მცდარი წარმოდგენა, რომ ყველაფერი ფულზე იყიდება, ან თუ ფულზე არ იყიდება 90-იანი წლების ყაჩაღური რუსული მეთოდები ყოველთვის შეუცვლელად მოქმედებს, საქართველოში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საზოგადოების ყველაზე ჯანმრთელ, ჯანსაღ და დემოკრატიულ ნაწილზე და ესენი არიან აბსოლუტური უმრავლესობა, მათ შორის ამ შემთხვევაში პოლიტიკური სპექტრის ამ წარმომადგენლებში, არ მოქმედებს!.. მინდა გამოვიყენო შესაძლებლობა და მადლობა გადავუხადო საპარლამენტო უმცირესობის ყველა წარმომადგენელს და ოპოზიციის თითოეულ წევრს და მსურს ვუთხრა მათ, თუ რამდენად მეამაყება თითოეული მათგანი!.. თუ მათ ხმა მისცეს დღევანდელ ინიციატივას იმის ჩვენებით, რომ ვერ შეძლეს ბრუტალური მეთოდებით საკონსტიტუციო უმრავლესობის აღება და სწორედ ეს იყო მთავარი, რომ ამ არალეგალური გზებით ვერ შეძლეს ხელების გადაგრეხვა, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ვაჩვენეთ სიმტკიცე, ისევე, როგორც კანონისა და ჩვენი ამომრჩევლის პატივისცემა... მინდა მოვუწოდო მთავრობასა და პრემიერ-მინისტრს: ახლა დროა, აჩვენოთ, რომ თქვენთვის მნიშვნელოვანია სტაბილურობა, ჩვენი ინსტიტუტები და ევროპული მომავალი!.. შეაჩერეთ ეს სიგიჟე!“**

**აი, ამის თქმის საშუალება არ უნდა დაეტოვებინა ივანიშვილს სააკაშვილისთვის და კიდევ ერთხელ ვიტყვი იმას, რაც არაერთგზის მითქვამს, — მიხეილ სააკაშვილისადმი ბიძინა ივანიშვილის დამოკიდებულება და ურთიერთობა უნდა ეფუძნებოდეს ერთადერთ „ქართულ ხალხურ“ „პრინციპს“, — „ავადმყოფი ლოგინში!..“**

მართალია, „ნაცებიდან“ 11 კაცი „მეოცნებეებს“ გადმობირებული ჰყავდათ და, სარეიტინგო კენჭისყრა სულაც რომ არ ჩატარებულიყო, უმრავლესობა 100 ხმას მაინც დააგროვებდა, მაგრამ, **თუ კენჭისყრა ჩავარდებოდა, ბიძინა ივანიშვილი ყოველმხრივ მოგებულ სიტუაციაში აღმოჩნდებოდა. ასეთ შემთხვევაში, პირველ რიგში, სააკაშვილი და „ნაცმოძრაობა“ უკვე მთელი მსოფლიოს წინაშე წარსდგებოდნენ როგორც ბნელეთის მოციქულები და კბილებდაკრეჭილი სოციოპათ-დიქტატორები, რომლებმაც არ მოისურვეს აპარტეიდული კანონის შეცვლა!..**

ეს კი ივანიშვილს სრულ კარტ-ბლანშს აძლევდა, წასულიყო ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე და „ნაცმოძრაობა“, როგორც ნარჩენი და სრული ანაქრონიზმი, საბოლოოდ გაენადგურებინა!..

მაგრამ, როგორც ჩანს, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები არც სააკაშვილის და არც ივანიშვილის გარემოცვაში ძალიან ბევრს არ აძლევს ხელს და შესაძლოა, ესეც იყოს იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ პრემიერ-მინისტრმა თავისი პოლიტიკური ეშელონის ვადაზე ადრე გადახალისება არ მოინდომა, რასაც ის ყბადაღებული კენჭისყრა მოჰყვა...

ნათქვამია, — „ძაღლი ვინც მოკლა, იმან უნდა გადაათრიოსო“!..

ვიცი, ძალიან საჩოთირო საქმეა, მაგრამ სააკაშვილს პოლიტიკურად თქვენ გამოუყვანეთ წირვა და ამიტომ, აჰა, ბარი და აგერ, ნიჩაბი, ბატონო ბიძინა!..

ვატყობ, ეგ ამბავი თქვენ არ აგცდებათ და ნუღარ დაახანებთ!..

ისე, მეგონა, რომ „რიგით ძაღლიშვილს“ თავისი პატრონები დამარხავდნენ მაინც, მაგრამ არ ჩქარობენ, ჯერ ბალზამირებაც არ დაუწყიათ ამ შეჩვენებულებს და ამიტომაც...

სუნი დგას, სუნიიიიიი!!!

**ლუკა აბუსერიძე**

დემოგრაფია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„გაეროს მონაცემებით, 2050 წელს საქართველოს მოსახლეობა 28%-ით, ანუ 1 მილიონ 170 ათასი კაცით შემცირდება. გამოდის, რომ „ვაშაძის სტატისტიკის“ მიხედვითაც კი, იმ დროს 3 მილიონ-ნახევარი იქნება საქართველოს მოსახლეობა.“**

# ანზორ თოთაძე: საქართველოში ეროვნულ უმრავლესობას ქართველები უნდა შეადგენდნენ!

**საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობა რომ კატასტროფულია და ქართველები გადაშენების პირას ვართ, ეს ყველას კარგად მოეხსენება. ამ მხრივ განსაკუთრებით გაუარესდა მდგომარეობა „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში. დღეს უკვე აღარავინ დავობს იმაზე, რომ მიხეილ სააკაშვილის რეჟიმი ქართველი ხალხის მიზანმიმართულ გენოციდს ეწეოდა. საბედნიეროდ, ქართველმა ხალხმა „ნაციონალური მოძრაობა“ ქვეყნის მართვას ჩამოაცილა, მაგრამ მათი ნაავკაცარი იმდენად საფუძვლიანი და დამანგრეველი აღმოჩნდა, რომ დემოგრაფიული კატასტროფის თავიდან აცილება, მყისიერი და ძალზე ეფექტური მეთოდების გამოყენების გარეშე, შეუძლებელია. გაერომ უკვე დაგვისვა დიაგნოზი — შარშანწინ ხომ მომაკვდავ ერთა სიაში შეგვიყვანა, ახლახან უფრო დაგვიკონკრეტა ჩვენი სატკივარი — 50 წელიწადში საქართველოს მოსახლეობა 28%-ით შემცირდებაო. ჯერ რანი ვართ და რაღა დავრჩებით? ანდა საერთოდ გადავრჩებით? — აი, ესაა საკითხავი. ამ და სხვა საჭირბოროტო თემებზე „საქართველო და მსოფლიოს“ დემოგრაფი, პროფესორი ანზორ თოთაძე ესაუბრა.**



**— ბატონო ანზორ, თქვენთვის გაეროს სტატისტიკა, რომ 50 წელიწადში საქართველოს მოსახლეობა 1 მილიონზე მეტი კაცით შემცირდება, უცხო არ უნდა იყოს. მუდამ იმას აცხადებდით, რომ, თუ საგანგებო ღონისძიებები არ გატარდა ქვეყანაში, ქართველები მალე გადავშენდებითო.**

— სამწუხაროდ, გაერომ კიდევ ერთხელ დაადასტურა ის, რასაც მე წლების განმავლობაში ყველა ტრიბუნიდან, როცა კი საშუალება მომეცემოდა, ხმამაღლა ვაცხადებდი. თუ სასწრაფოდ არ შევაჩერეთ მოსახლეობის დეპოპულაცია, საგანგებო ღონისძიებები არ გავატარეთ, საქართველოს მოსახლეობა კატასტროფულად შემცირდება. ამის ნიშნები უკვე შეინიშნება რაჭაში. **ამჟამად რაჭაში 20 ათასი კაცი ცხოვრობს. უკვე 42 წელია, რაც იქ, მოსახლეობის ბუნებრივი მატების მხრივ, უმძიმესი მდგომარეობაა — ამ რეგიონში ყოველწლიურად უფრო მეტი ადამიანი კვდება, ვიდრე იბადება. შეიძლება ითქვას, შობადობის შემთხვევები უკვე იშვიათია რაჭაში. 2011 წელს 415 ადამიანით მეტი გარდაიცვალა, ვიდრე დაიბადა. მოსახლეობის შემცირებას ხელს უწყობს მიგრაციის პროცესიც. თუ ასე გაგრძელდა, 15-20 წელიწადში რაჭაში მოსახლეობა საერთოდ აღარ იქნება.**

**— შესაძლოა, რაჭა ისეთივე „ეთნოგრაფიულ მუზეუმად“ გადაიქცეს, როგორიც ხევსურეთია?**

— შესაძლოა კი არა, ამის უტყუარი საფრთხე არსებობს და, თუ სასწრაფოდ არ ვიღონეთ რამე, რაჭა მართლა მუზეუმი გახდება.

სამწუხაროდ, ქართველები ამ საფრთხის წინაშე ვდგავართ და მეტი თვალსაჩინოებისთვის, მოდით, ციფრებით მოგახსენებთ: 1960-69 წლებში საქართველოში ბუნებრივი მატება 574 ათასი კაცი იყო. 2000-2009 წლებში კი — მხოლოდ 53 ათასი, ანუ თითქმის ათჯერ ნაკლები. განსაკუთრებით **საგანგაშო მდგომარეობაა ქართველებით დასახლებულ რეგიონებში. მოსახლეობის კლება დაფიქსირდა იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, შიდა ქართლში, მცხეთა-თიანეთში, გურიასა და კახეთში. მხოლოდ 3 რეგიონში იყო მოსახლეობის მატება — სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლსა და აჭარაში.** შეიძლება ითქვას, აჭარის ხარჯზე ცოტა მოვითქვით სული ქართველებმა.

**— ამ 53 ათასი კაციდან რამდენია ქართველი და რამდენი სხვა ეროვნებისა, როგორ გავიგოთ?**

— სამწუხაროდ, ეს არ ვიცით, მაგრამ, რადგანაც ქართველებით დასახლებულ ყველა რეგიონში კლებაა, აჭარის გარდა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ძალზე შევმცირდით ქართველები. დაბეჯითებით შემიძლია თქმა, რომ საქართველოში ქართველები, თუ ასე გაგრძელდა, მალე უმცირესობაში აღმოვჩნდებით. **მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებამ განგებ არ ჩაატარა მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, თორემ გვეცოდინებოდა, ეროვნებისა და ეთნიკური ჯგუფების მიხედვით, ვინ და რამდენი ვცხოვრობთ საქართველოში. იმასაც მოგახსენებთ, რატომ არ ჩაატარა მოსახლეობის აღწერა სააკაშვილმა. ეს რომ გაეკეთებინა, მაშინ გაცხადდებოდა ამომრჩეველთა რეალური რაოდენობა, რაც „ნაციონალურ მოძრაობას“, მოგეხსენებათ, ხელს არ აძლევდა.** სწორედ ხელოვნურად გაზრდილი მოსახლეობის რაოდენობა იყო მუდამ არჩევნების გაყალბების ერთ-ერთი საშუალება მათთვის. მეორეც, საყოველთაო აღწერა დაადგენდა ეჭვმიუტანლად, რომ ქართველი ერი გადაშენების საფრთხის წინაშეა და ამას თავად „ნაციონალთა“ მიერ ჩატარებული აღწერა დაადასტურებდა. **თუ დროულად არ ჩატარდა მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, მერე შეიძლება ძალზე გვიანი იყოს. შესაძლოა, აღმოვაჩინოთ, რომ ქართველები, არა თუ უფსკრულის პირას ვიმყოფებით, უკვე გადაჩეხილნიც ვართ ამ უფსკრულში და ჩვენსავე მიწა-წყალზე უმცირესობაში ვიმყოფებით.**

**— ახლა ლიბერალი დემოკრატები აყვირდებიან, რა წესია, რომ მოსახლეობას ეროვნული და ეთნიკური ნიშნით ითვლით, საქართველოს ყველა მოქალაქე თანასწორია და ყველა ერთნაირი უფლებებით სარგებლობსო. საქართველოს კონსტიტუციასაც მოიშველიებენ — იქაც ეგრე სწერიაო.**

— ვინც რამდენი უნდა, იმდენი იყვიროს. ქართველი ხალხი არის ამ ქვეყნის პატრონი, ქართველი არის ტიტულარი ერი, რომელმაც სახელი დაარქვა ქვეყანას. ყველა ტიტულარი ერი, ბუნებრივია, ცდილობს, იყოს ყველაზე მრავალრიცხოვანი ერი თავის ქვეყანაში. ამას ცდილობენ გერმანელები, იტალიელები, ფრანგები... ვინც ჩამოვთვალე, ამ ქვეყნებზე დემოკრატიულია საქართველო? თუ ფრანგებსა და გერმანელებს ლიბერალიზმში გაეჯიბრებიან „ნაციონალთა“ მეხოტბენი?

**— ბოლოს ყველაზე მეტნი როდის ვიყავით?**

— 1992 წელს საქართველოს მოსახლეობა 5 მილიონ 427 ათასი იყო.

**— ისე, „ნაციონალურ სტატისტიკას“ თუ დავუჯერებთ, გამოდის, რომ ამ 20 წლის მანძილზე 1 მილიონითაც არ ვართ შემცირებული. სამოქალაქო რეესტრმა წინასაარჩევნოდ 4 მილიონ 497 ათასი საქართველოს მოქალაქე დააფიქსირა.**

— სამოქალაქო რეესტრის ყოფილმა ხელმძღვანელმა გიორგი ვაშაძემ გააყალბა ეს მონაცემები. ეს იყო „წინასაარჩევნო დემოგრაფია“. წეღან უკვე გითხარით, თუ რაში სჭირდებოდათ „ნაციონალებს“ ეს ყალბი სტატისტიკა. აქვე ერთ ფაქტორზეც მოგახსენებთ: მიხეილ სააკაშვილი ხომ დღენიადაგ გვარწმუნებდა, რომ საქართველოში ეკონომიკური ბუმია და ქვეყანა აღმავლობის გზაზეა? ჰოდა, თუ ქვეყანა ვითარდება, ცხადია, იქ მოსახლეობამაც უნდა იმატოს. აი, კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც ასეთი არარეალური მონაცემები დადო გიორგი ვაშაძემ. რეალურად, ამ ადამიანმა საერთოდ არ იცის, რა არის დემოგრაფია, განგებ დაამახინჯა მონაცემები და შეცდომაში შეიყვანა გაეროც. თუმცა, ვაშაძის სტატისტიკასაც რომ დავუჯეროთ, მაინც კატასტროფის წინაშე ვდგავართ. გაეროს მონაცემებით, **2050 წელს საქართველოს მოსახლეობა 28%-ით, ანუ 1 მილიონ 170 ათასი კაცით შემცირდება.** გამოდის, რომ „ვაშაძის სტატისტიკის“ მიხედვითაც კი, იმ დროს 3 მილიონ-ნახევარი იქნება საქართველოს მოსახლეობა. გაერომ ეს დასკვნა ხომ იმ მონაცემებზე დაყრდნობით გააკეთა, რომლებიც ოფიციალურად მიაწოდა ყოფილმა ხელისუფლებამ...

**— და თუ „ვაშაძის სტატისტიკას“ არ დავუჯერებთ და რეალურ მონაცემებს დავეყრდნობით, მაშინ?**

— მაშინ უფრო ცუდად არის ჩვენი საქმე. ქართველი დემოგრაფების სარწმუნო ინფორმაციით, **დღეს საქართველოს მოსახლეობა 3 მილიონ 800 ათას კაცს შეადგენს.**

გამოდის, რომ 2 მილიონიც აღარ ვიქნებით 2050 წლისთვის და მომაკვდავ ერთა სიაშიც სამართლიანად შეგვიყვანეს. იმავე პერიოდისთვის კი ჩვენი მეზობელი ქვეყნების მოსახლეობა გაიზრდება: სომხეთისა — 7%-ით, ხოლო აზერბაიჯანისა — 34%-ით. **ჩვენთვის საგანგაშო ის არის, რომ ბოლო პერიოდში დაირღვა კავკასიაში ისტორიულად ჩამოყალიბებული მოსახლეობის ბალანსი. მაგალითად, 1926 წელს კავკასიის მთელი მოსახლეობის 35% საქართველოში ცხოვრობდა, ანუ ყოველი მესამე ადამიანი. ამჟამად კი კავკასიის მხოლოდ ყოველი მე-19 ადამიანი ცხოვრობს საქართველოში.**

**— რამდენად სახიფათოა დემოგრაფიულად ასეთ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი ქვეყნისთვის** ▶

**«თუ დროულად არ ჩატარდა მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, მერე შეიძლება ძალზე გვიანი იყოს. შესაძლოა, აღმოვაჩინოთ, რომ ქართველები, არა თუ უფსკრულის პირას ვიმყოფებით, უკვე გადაჩეხილნიც ვართ ამ უფსკრულში და ჩვენსავე მიწა-წყალზე უმცირესობაში ვიმყოფებით»**

**«თუ ყველა დაგეგმილი ღონისძიება გატარდა, 11 წელიწადში 138 ათასი მესამე ბავშვი დაიბადება საქართველოში და აქედან 78 ათასი «საქართველოს დემოგრაფიული აღორძინების ფონდის» მიერ გაწეული მუშაობის დამსახურება იქნება»**

**„განსაკუთრებული ღონისძიებები გატარდება ქვეყნის რეგიონებში, სადაც შობადობა დაბალია. ეს სწორედ ის რეგიონებია, რომლებიც ქართველებითაა დასახლებული და ამის თქმას არ ვერიდები: რაჭა-ლეჩხუმი, კახეთი, სამეგრელო, იმერეთი, გურია... ფონდი ყველაფერს გააკეთებს საიმისოდ, რომ ქართველებით დასახლებულ რეგიონებში შობადობამ იმატოს.“**

დემოგრაფია
ქართველობა და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ უცხოტომელებზე ჩვენი მიწების ბითუმად მიყიდვის ტენდეცია?**

— მიხეილ სააკაშვილის ამპარტავნებამ, პიროვნულმა ამბიციებმა და არც თუ მყარი ფსიქიკის მქონე ადამიანისთვის დამახასიათებელმა გადაწყვეტილებებმა შეიწირა ქვეყნის ინტერესები. **სააკაშვილი და მისი „ნაციონალური მოძრაობა“ ყველაფერს აკეთებდნენ ეროვნული ცნობიერების შელახვისთვის, ქართული ტრადიციების გაუფასურებისთვის, ქართველი კაცის მენტალიტეტის შეცვლისთვის.** ქართველ ხალხს ბოლო 9 წლის მანძილზე ბევრი ისეთი რამ მოახვიეს თავს, რაც არა თუ უცხოა მისთვის, არამედ შეურაცხმყოფელიც; აძალებდნენ, ამას უნდა შეეგუოო. **გარეშე მტერი არ უზამდა საქართველოს იმას, რაც სააკაშვილმა გაუკეთა.**

როცა ერისთვის მნიშვნელოვანი ტრადიციები, ნიშან-თვისებები იკარგება, ენასაც ძალიან უჭირს. ეროვნული ცნობიერების დაქვეითება გარდაუვალია და საბოლოოდ ერის დემოგრაფიული გენოფონდი კვდება. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა ერის ამოწყვეტა.

მარტო 2012 წელს უცხოელებზე მიწების მიყიდვის 534 ფაქტი დაფიქსირდა. უცხოელი აქ ორი და სამი ჰექტარი მიწის საყიდლად არ ჩამოვა, 2 ჰექტარის საფასური და მეტიც გზის ხარჯი აქვს. **ათეულობით და ასეულობით ჰექტარ ქართულ მიწას ყიდულობენ ჩინელები, სამხრეთ აფრიკელი ბურები, ინდოელები...** მახსოვს, „ნაციონალურმა ტელევიზიებმა“ გვახარეს, ბურებმა კახეთში მიწები იყიდეს და ახლა აჭარაში წავიდნენ, იქაური სავარგულები რომ დაათვალიერონ და შეიძინონო. **თბილისის ზღვაზე, მოგეხსენებათ, 127 ათას ჩინელს უპირებენ ჩამოსახლებას. იმ კომპანიამ, რომელიც მათ ჩამოსახლებას აპირებს, სახელმწიფოსგან 434 ჰექტარი მიწა იყიდა და იცით, რამდენი გადაიხადა 1 კვადრატულ მეტრში? 3 ცენტი! ეს 3 ცენტი 5 თეთრია. მითხარით ერთი, გნებავთ, თბილისის ზღვაზე, გნებავთ, თბილისში, ნებისმიერ ადგილას, მოგყიდით ვინმე 1კვ მ მიწას 5 თეთრად?** ამ ამბავს ძალზე ცუდი გარიგების სუნი უდის, სავაჭრო საგანი კი, ეჭვი არ მეპარება, ქართველი ხალხის ინტერესებია. ქუთაისშიც მომრავლდნენ ჩინელები. ღმერთმა ქნას, გადავრჩეთ ქართველები, მოვმრავლდეთ, მაგრამ მერე სად უნდა წავიდეთ? ჩვენსავე ქვეყანაში ფეხის მოსაკიდებელ მიწას აღარ გვიტოვებენ. **რაც შეიძლება სასწრაფოდ უნდა გამოცხადდეს მიწების უცხოელებზე გაყიდვის მორატორიუმი.**

**— ამას სპეციალური კანონების მიღება დასჭირდება, რასაც დიდი აყალ-მაყალი მოჰყვება „ნაციონალთა“ და მათი მომხრეების მხრიდან.**

— თუ მორატორიუმი არ გამოცხადდა, მაშინ ჩათვალეთ, რომ დაღუპულები ვართ. ვისაც რა უნდა, თქვას, ილაპარაკოს... ქვეყნის, ქართველი ხალხის ინტერესებზე წინ არანაირი ფასეულობა და ღირებულება არ უნდა დავაყენოთ. შეიძლია ჩამოგითვალოთ ათეულობთ ქვეყანა, სადაც უცხო ქვეყნის მოქალაქემ მიწა რომ იყიდოს, უამრავი წინაპირობა უნდა შეასრულოს. **ისრაელში მიწის ერთ გოჯსაც არ მიჰყიდიან უცხოელს. ისრაელშიც მრავლად არიან ლიბერალური იდეების მომხრეები, მაგრამ ისინი ჯერ თავიანთი ქვეყნის ინტერესებს აყენებენ წინ და მერე — ლიბერალურ იდეებს.** საქართველოც მცირემიწიანი ქვეყანაა, თანაც, ვიმეორებ, დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე მდგომი და რა დროს მიწების გაყიდვაა?

**— ბატონო ანზორ, საქართველოს უმძიმესი დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორების ერთადერთ საშუალებად სპეციალური დემოგრაფიული ფონდის დაარსება მიგაჩნდათ. „საქართველოს დემოგრაფიული აღორძინების ფონდი“ უკვე დაარსდა და მის დამფუძნებელთა შორის თქვენც ბრძანდებით. შეიძლება იმის თქმა, რომ ეს ფონდი გადაგვარჩენს?**

— ეს ფონდი ის წამალია, რომელიც ნელ-ნელა გააუმჯობესებს ქვეყნის უმძიმეს დემოგრაფიულ მდგომარეობას, სწორედ ამ ფონდმა უნდა იკისროს ისტორიული მისია — არ მოხდეს ქართველი ერის დემოგრაფიული წყვეტა, ანუ გადაშენება.

თავისთავად, ფონდის დაფუძნება დიდი საქმეა, მაგრამ მთავარი ის არის, როგორ სოლიდარობას გამოუცხადებს მას ქართველი ხალხი. სოლიდური თანხების მოზიდვის გარეშე, ფონდი მნიშვნელოვან და მასშტაბურ გეგმებს ვერ განახორციელებს.

**— „საქართველოს დემოგრაფიული აღორძინების ფონდს“ ბიძინა ივანიშვილის მხარდაჭერა აქვს და უკვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ სოლიდური თანხების შემოწირვას აპირებს ფონდისთვის. ვფიქრობ, სასტარტოდ შესანიშნავი პირობები გაქვთ.**

— ერთი კაცის, თუნდაც ბიძინა ივანიშვილის, მხარდაჭერით, ფონდი თავის ისტორიულ მისიას ვერ შეასრულებს. ფონდის დაფუძნებას წინ უძღოდა პარლამენტისა და „ქართული ოცნების“ ერთობლივი კონფერენცია. ამ კონფერენციაზე გადაწყდა ფონდის დაფუძნება. ფონდის დამფუძნებლები არიან პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე, პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე დიმიტრი ხუნდაძე, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ზაქარია ქუცნაშვილი, „ქართული ოცნების“ წევრი, ექსპერტი თამარ ჩიბურდანიძე, ფონდის თანადამფუძნებელი მეც გახლავართ და ექსპერტთა ჯგუფს ვუხელმძღვანელებ. ფონდის საპატიო წევრები არიან ბიზნესმენი ლევან ვასაძე, მომღერლები თამარ გვერდწითელი და ვალერი მელაძე. სამივე მათგანი ფონდის სათათბიროს წევრებიც არიან. საპატიო თავმჯდომარე გახლავთ დიმიტრი ხუნდაძე. როდესაც დიმიტრი ხუნდაძემ მოახსენა ბიძინა ივანიშვილს ფონდის შესახებ, ის არც კი დაფიქრებულა, მაშინვე განაცხადა, რომ ფონდს ყველანაირად დაეხმარებოდა — ფინანსურადაც და სხვა მხრივაც გვერდით დაუდგებოდა.



«თბილისის ზღვაზე, მოგეხსენებათ, 127 ათას ჩინელს უპირებენ ჩამოსახლებას. იმ კომპანიამ, რომელიც მათ ჩამოსახლებას აპირებს, სახელმწიფოსგან 434 ჰექტარი მიწა იყიდა და იცით, რამდენი გადაიხადა 1 კვადრატულ მეტრში? 3 ცენტი! ეს 3 ცენტი 5 თეთრია. მითხარით ერთი, გნებავთ, თბილისის ზღვაზე, გნებავთ, თბილისში, ნებისმიერ ადგილას, მოგყიდით ვინმე 1კვ მ მიწას 5 თეთრად?»



«ისრაელში მიწის ერთ გოჯსაც არ მიჰყიდიან უცხოელს. ისრაელშიც მრავლად არიან ლიბერალური იდეების მომხრეები, მაგრამ ისინი ჯერ თავიანთი ქვეყნის ინტერესებს აყენებენ წინ და მერე — ლიბერალურ იდეებს»

**— გავრცელდა ინფორმაცია, რომ ფონდის ერთ-ერთი დამფუძნებელი საქართველოს საპატრიარქოა.**

— ფონდი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით დაფუძნდა. იურიდიული შეხება საპატრიარქოს ამ ფონდთან არა აქვს.

**— რა ღონისძიებების გატარებას აპირებს ფონდი დემოგრაფიული კატასტროფის თავიდან ასაცილებლად?**

— ჯერ უნდა ჩატარდეს მოსახლეობის საყოველთაო აღწერა და მხოლოდ ამის შემდეგ შემეძლება დეტალებზე ლაპარაკი. ეს აღწერა დაგვანახებს, რა გვჭირს, რა დღეში ვართ და მერე შესაბამის ღონისძიებებს განვახორციელებთ. თუ დიაგნოზი არ დაუსვი ავადმყოფს, ისე ხომ ვერ უმკურნალებ? ამ აღწერის შედეგები იქნება ჩვენი, ქართველი ხალხის, დიაგნოზი.

**— ეტყობა, ძალიან მძიმედ ვართ ავად და ამიტომაც გაურბოდა ამ დიაგნოზის დასმას ჩვენთვის „ნაციონალური მოძრაობა“. მით უფრო, მისი მმართველობის წლებში ნამეტანი დავმძიმდით.**

— კი, ძალიან მძიმედ ვართ ავად, ამას წყალი არ გაუვა. აღწერა გვიჩვენებს, რა გვჭირს კონკრეტულად.

**— ბატონო ანზორ, შესაძლოა, ჯერ დეტალურად ვერ მითხრათ, რა ღონისძიებების გატარებას აპირებს ფონდი სამომავლოდ, მაგრამ მათი ნაწილი მაინც არ არის გამოკვეთილი?**

— **ყველა ოჯახს, რომელიც მესამე შვილს გააჩენს, დაენიშნება დახმარება. ეს ერთჯერადი დახმარება არ უნდა იყოს, ეს უნდა იყოს ყოველთვიური დახმარება და არანაკლებ საარსებო მინიმუმისა. თანაც, ამ მესამე ბავშვმა ეს დახმარება უნდა მიიღოს 18 წლამდე.** მოკლედ, იმდენი უნდა მივცეთ ოჯახს, რომ მე-3 ბავშვის გაჩენა ოჯახის ბიუჯეტს არ უნდა დაეტყოს, მისი გაზრდა-შენახვის ხარჯი მთლიანად ფონდმა უნდა გადაფაროს.

**— რა დააშავეს პირველმა და მეორე ბავშვებმა ანდა მრავალშვილიანმა ოჯახებმა?**

— არც არაფერი, მაგრამ ქვეყანაში არსებული უმძიმესი დემოგრაფიული მდგომარეობის გამო, აუცილებელია, აქცენტი მესამე შვილზე გაკეთდეს. პირველ და მეორე ბავშვზე რომ გავცეთ დახმარება, წლიურად ეს თანხა, რამდენიმე მილიარდია, საქართველოს ბიუჯეტზე მეტია. ამის მობილიზებას ფონდი ვერ შეძლებს, ამიტომაც უმჯობესია, საშური საქმე გავაკეთოთ — ერს მესამე შვილი ამრავლებს. ეს აქსიომაა და ამაზე არც ღირს კამათი. ჩვენი გაანგარიშებით, **თუ ყველა დაგეგმილი ღონისძიება გატარდა, 11 წელიწადში 138 ათასი მესამე ბავშვი დაიბადება საქართველოში და აქედან 78 ათასი ფონდის მიერ გაწეული მუშაობის დამსახურება იქნება.**

**— ეს რამდენად შეცვლის ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობას?**

— საგრძნობლად შეცვლის, თუმცა დეტალებზე ჯერ ადრეა ლაპარაკი. ეს ისეთი საქმეა, რომ „მოსავალი“ შემოდგომით კი არა, 20-25 წლის შემდეგ უნდა დავითვალოთ. მთავარია, საქმე დაიძრას.

**განსაკუთრებული ღონისძიებები გატარდება ქვეყნის რეგიონებში, სადაც შობადობა დაბალია. ეს სწორედ ის რეგიონებია, რომლებიც ქართველებითაა დასახლებული და ამის თქმას არ ვერიდები: რაჭა-ლეჩხუმი, კახეთი, სამეგრელო, იმერეთი, გურია...** კი, სასურველია, დასაწყისშივე მთელი საქართველო მოვიცვათ, მაგრამ, სავარაუდოდ, ამის საშუალება ჯერ არ გვექნება. სადაც სასწრაფოდაა მისახედი საქმე, ჯერ იქ უნდა მივხედოთ, სადაც ბუნებრივი მატების მხრივ დადებითი მაჩვენებელი გვაქვს, მერე იმ რეგიონებსაც მივხედავთ. რა და როგორ გაკეთდება, ამაზე ჯერ მიჭირს კონკრეტულად ლაპარაკი, მაგრამ **ფონდი ყველაფერს გააკეთებს საიმისოდ, რომ ქართველებით დასახლებულ რეგიონებში შობადობამ იმატოს.**

ფონდი დააფინანსებს უშვილო წყვილების მკურნალობას. რა და როგორ გაკეთდება ამ მიმართულებით, დეტალურად უახლოეს მომავალში მოგახსენებთ.

ასევე, **საგანგებო ღონისძიებების გატარებას ვაპირებთ საზღვრისპირა რეგიონებში. იქ არის სოფლები, რომლებიც დღე-დღეზე დაიცლება.** ამ ხალხს უნდა მივხედოთ და მივცეთ საშუალება, არ მიატოვონ თავიანთი კუთხე. ყაზბეგში, მაგალითად, 4900 კაცი ცხოვრობს და მათი უმეტესობა ზამთარში ტოვებს რაიონს. ანალოგიური მდგომარეობაა მთელ მთიანეთში. თუ სოლიდარობა იქნება, ფონდი თავის საქმეს გააკეთებს და იმედია, დემოგრაფიულ კატასტროფასაც ავიცილებთ თავიდან.

ესაუბრა
**ლევან ჯავახიშვილი**

საქართველო და მსოფლიო

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



„უკვე ბევრი საკითხი არ მესმის და მიჭირს იმის გაგებაც, რატომ აგრძელებენ ქველებურად მუშაობას ძალოვანი სტრუქტურების დამნაშავე წარმომადგენლები, თუნდაც ზაზა ტატიკიშვილი, ლევან ტყეშელაშვილი, ვალერი დუღაშვილი?“

## ნუგზარ გველესიანი: რუსთავში ზონდერსამსახურს ლევან ტყეშელაშვილი უხელმძღვანელებს

**„სახალხო კრების“ რუსთავის ორგანიზაციის თავმჯდომარე ნუგზარ გველესიანი 26 მაისის აქციის დროს დააპატიმრეს, ასაკის მიუხედავად, სასტიკად სცემეს და 40-დღიანი პატიმრობა მიუსაჯეს. ნუგზარ გველესიანი დღეს „საქართველო და მსოფლიოსთან“ საუბარში მის დაპატიმრებას და იმ უსამართლო ქმედებებს იხსენებს, რომელთაც ყოფილი ხელისუფლების ძალოვანები ქალაქ რუსთავში სჩადიოდნენ.**

— რუსთავის პოლიციის პირველი განყოფილების უფროსი ვალერი დუღაშვილი, ქვემო ქართლის კუდის უფროსი ზაზა ტატიკიშვილი და რუსთავის კუდის ხელმძღვანელი ლევან ტყეშელაშვილი განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდნენ, — **გვიამბობს ბატონი ნუგზარი.** — ქვემო ქართლში მათ გავლენა ჰქონდათ ყველა ძალოვან სტრუქტურაზე: ატერორებდნენ პოლიციის რიგით თანამშრომლებს, მათ ხელმძღვანელებს, სასამართლოს... ისე იყვნენ გათავხედებულები, რომ, როგორც კი ჩვენს ოფისში შემოსულს დაინახავდნენ ვინმეს, გამოიკვლევდნენ, სადმე პატარა ჯიხური ან მაღაზია ხომ არ ჰქონდა, ან სადმე ხომ არ მუშაობდა მისი ოჯახის წევრი ან ნათესავი და ღიად ურეკავდნენ და ადამიანებს საარსებო საშუალების წართმევით ემუქრებოდნენ. ეს იყო მათი დაშინების ბერკეტი.

როცა მე ამირჩიეს, დიდი კონფერენციის გამართვას ვგეგმავდით. **მთელი „სახალხო კრების“ საბჭო ჩამოვიდა რუსთავში, ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილი, ელიზბარ ჯაველიძე, ზაზა სოფრომაძე, ფული გადავიხადეთ, კინოთეატრ „რუსთაველის“ დარბაზი დავიქირავეთ, მაგრამ ისე დააშინეს კინოთეატრის ადმინისტრაცია, წარმოგიდგენიათ, დარბაზის კარი არ გააღეს და კონფერენცია კინოთეატრის ფოიეში ჩავატარეთ. იმდენი პოლიციელი მოვიდა, დელეგატებსაც კი შეეშინდათ და დატოვეს ტერიტორია.** აქედან დაიწყო ყველაფერი. ამას მოჰყვა დაშინებები ჩვენს წევრებზე ზეწოლა, მუქარა.

**— 26 მაისის ღამე გაიხსენეთ, რა მოხდა, როგორ დაგაპატიმრეს?**

— ყველა ავტობუსსა და სამარშრუტო ტაქსს აკონტროლებდნენ, ყველა გზა გადაკეტეს, სათაგურში მოგვაქციეს. კინოთეატრ „რუსთაველში“ აღმოვჩნდი. გამკოჭეს და იატაკზე დამაწვინეს. სასტიკად სცემდნენ ხალხს. ჩამსვეს სხვებთან ერთად ყვითელ ავტობუსში და პოლიციის სამმართველოში მიგვიყვანეს. წყლის ჭავლისგან მთლიანად დასველებულები ვიყავით, საშინლად ციოდა. ამის მიუხედავად, ორი საათი ეზოში ვიდექით გაკოჭილები. თან საშინლად გვაგინებდნენ. შემდეგ შეგვიყვანეს შენობაში და ჩაიწერეს ჩვენი ვინაობა. **პირადად რუსთავის კუდის უფროსი ლევან ტყეშელაშვილი მცემდა. მან შეგნებულად გამომარჩია და ჯავრი იყარა ჩემზე იმის გამო, რომ გავბედე აქციაზე გასვლა. მირტყამდნენ თავში, სახეში, ყველგან.** წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა. ხელებიც შეკრული მქონდა. გათენებამდე იქ გაგვაჩერეს.

**როგორც უგულავამ თბილისში მერიის დაცვის სამსახური ჩამოაყალიბა, ასეთივე ყალიბდება რუსთავში და მას სწორედ ეს ლევან ტყეშელაშვილი უხელმძღვანელებს.** ნაძირალა, რომელიც არაფერს ერიდებოდა, თავისი სახელით ურეკავდა ხალხს და ემუქრებოდა, რომ, თუ არ დამემორჩილებით, პრობლემებს შეგიქმნითო. ეს ადამიანი რუსთავის კუდის ხელმძღვანელი გახლდათ. მას ყველა და ყველაფერი სძულს და, ალბათ, საკუთარ თავსაც მერაბიშვილისა და ლელუაშვილის დავალებას ანაცვალებს...

ერთ-ერთმა ჩვენმა მხარდამჭერმა მომაწოდა ინფორმაცია, თუ როგორ ამზადებდნენ ზონდერ-ჯალათებს ვაზიანის ბაზაზე. **ადამიანების უმოწყალოდ გასანადგურებლად, ინსტრუქტორები მათ ასწავლიდნენ ბინძურ ილეთებს და ეს ხდებოდა მხეცური ღრიალის ფონზე: ინსტრუქტორის შეძახილზე — დაინდობ ახლობელს, თუნდ მშობელს, წინ რომ შეგეფეთოს? ზონდერები ღრიალით პასუხობდნენ — არც დედას, არც მამას და არც არავის არ დავინდობთო.**

საინტერესოა კიდევ ერთი დეტალი: **ამ მომზადების დროს, ზონდერებს აძლევდნენ სპეციალურ, აღმგზნებ აბებს. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით კი ეს აბები მათ 26 მაისის დარბევის წინ დაალევინეს. სწორედ ამან განაპირობა მათი მხეცური და დაუნდობელი საქციელი. ზოგიერთი ზონდერი ცუდად გახდა ამ აბების მიღების შემდეგ და რამდენიმე მათგანმა გონებაც კი დაკარგა.** კინოთეატრ „რუსთაველში“ შემოვარდნილ სპეცრაზმელთა მხეცობას რომ ვუყურებდი, ვხედავდი, როგორ უმოწყალოდ ურტყამდნენ შენობის ფოიეში მომწყვდეულ ხალხს, მათმა გავეშებულმა ქმედებებმა აღნიშნული ინფორმაციის სიმართლეში კიდევ ერთხელ დამარწმუნა.

**— პატიმრები, რომლებიც თავს უკანონოდ დაპატიმრებულებად მიიჩნევენ, პოლიტპატიმრის სტატუსის მინიჭებას და სამართლიანობის აღდგენას ითხოვენ. თქვენ რას აპირებთ?**

— ცოტა დელიკატური საკითხია, ჯერ არ გადამიწყვეტია. მჯერა, რომ ბატონი ბიძინა გონებამახვილი კაცია, მაგრამ **უკვე ბევრი საკითხი არ მესმის და მიჭირს იმის გაგებაც, რატომ აგრძელებენ ძველებურად მუშაობას ძალოვანი სტრუქტურების დამნაშავე წარმომადგენლები. თუნდაც ზაზა ტატიკიშვილი, ლევან ტყეშელაშვილი, ვალერი დუღაშვილი?**

არც ერთი არ დასჯილა, ჯალათები, რომლებიც სისტემატური ტერორის ქვეშ ამყოფებდნენ მთელი ქალაქის მოსახლეობას. ისინი არათუ არ დასჯილან, მათ დაწინაურებასაც აპირებენ. სამარცხვინოა, რომ დღევანდელი ხელისუფლების პირობებში, ეს ნაძირლები ისევ მუშაობენ. **საინტერესოა, რომელი სახელმწიფოებრივი ინტერესების გამო გაათავისუფლეს ვაჟა ლელუაშვილი, კაცი, რომელიც ყველა ფარული თვალთვალის ორგანიზატორი იყო და ყოველგვარ უკანონობას გეგმავდა?**

ბიძინა ივანიშვილს გამწარებული ხალხი, პირველ რიგში, საკუთარი ღირსებისა და სამართლიანობის აღდგენის იმედით დაუდგა გვერდით და არა სოციალური პირობების გაუმჯობესების გამო. ბატონ ბიძინას კოაბიტაციის დაკვეთა არ მიუღია ქართველი ხალხისგან. ეს შეურაცხმყოფელია!

ესაუბრა **შორენა ციჭქარაშვილი**

## ნოდარ ჭიჭინაძე: ანაბრების დაბრუნება ნებისმიერი მთავრობის ვალდებულებაა




**საბჭოთა ანაბრების თემა საქართველოში ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. თითქმის ყველა პოლიტიკოსი წინასაარჩევნოდ მოსახლეობას ანაბრების დაბრუნებას ჰპირებოდა. ამ მხრივ გამონაკლისი „ქართული ოცნება“ აღმოჩნდა. ვრცელ ეკონომიკურ გეგმაში აღნიშნულ საკითხს ორი სიტყვითაც არავინ შეხებია. არასამთავრობო ორგანიზაციამ „ახალგაზრდა ბიზნესმენთა და ფინანსისტთა ასოციაცია“ ახლახან დაიწყო კვლევა, რომელიც 90-იან წლებში შემნახველი სალაროდან ფულის გაქრობას ეხება. რამ გამოიწვია დანაზოგების დაკარგვა, ვის მიუძღვის ბრალი ამ პროცესში და როგორია მოქმედი ხელისუფლების როლი ანაბრების დაბრუნების საკითხში — ამ თემებზე ახალგაზრდა ბიზნესმენთა და ფინანსისტთა ასოციაციის პრეზიდენტი ნოდარ ჭიჭინაძე გვესაუბრება.**

**— მოქალაქეების ნაწილმა თანხა შემნახველ სალაროში 90-იან წლებამდე შეიტანა, ნაწილმა კი — შემდეგ. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. რამდენად არსებობს იმის შანსი, რომ დაზარალებულებს დაუბრუნდეთ კუთვნილი თანხა?**

— პირდაპირ გეტყვით: იქიდან გამომდინარე, რომ ძალიან დიდი დრო გავიდა, დაბრუნების ალბათობა დაბალია. ძალიან ბევრი შანსი იქნა ხელიდან გაშვებული. ყველაზე კარგი მომენტი პრივატიზაციის პროცესი იყო, რა დროსაც სახელმწიფო ქონება კერძო სექტორის ხელში გადავიდა. თავისუფლად შეიძლებოდა მეანაბრეების დაკმაყოფილება უძრავი ქონების თუ ნებისმიერი სხვა აქტივის ფორმით. დღეს უკვე ანაბრების დაბრუნებას ძალიან სერიოზული მომზადება სჭირდება, რათა დროის მოკლე პერიოდში კომპენსაციების გაცემამ ეკონომიკის არ დააზარალოს.

**— კონკრეტულად რა რაოდენობის თანხაზეა საუბარი?**

— ქვეყნის ბიუჯეტში 502 მილიონი ლარის მოცულობის თანხა შიდა ვალად არის აღიარებული. თავის დროზე ეს ანაბრები 13 მილიარდი მანეთი, დაახლოებით 8 მილიარდი დოლარი იყო. შემდგომ მოხდა ამ ანაბრების აფასება. ძალიან ბევრი ციფრი ფიგურირებს და ერთმნიშვნელოვანი ცალსახა პოზიცია ჯერჯერობით არ არსებობს. რა რაოდენობის თანხაა გამქრალი და რა რაოდენობის კომპენსაცია უნდა დაუბრუნდეთ მოქალაქეებს — ამის ცალსახა პასუხი არ არსებობს. ზოგიერთი ეკონომისტი მიიჩნევს, რომ მილიარდებზეა საუბარი. ზოგი 40 მილიარდზე საუბრობს, ზოგი — უფრო მეტზე. ამის გარკვევა აუცილებელია, ვიდრე დავიწყებთ კომპენსაციაზე საუბარს.

**— რამდენად შესაძლებელია კონკრეტული ციფრების დასახელება, თუ რა ექვივალენტებში მოხდება ამ თანხების დაბრუნება. მარტივად რომ ვთქვათ, რამდენი იქნება 2 ათასი მანეთის პროპორციული თანხა დღეის მდგომარეობით?**

— გააჩნია, ეს 2 ათასი მანეთი როდის იქნა შეტანილი. 1990 წლამდე ვალუტა მყარი იყო და, როგორც ამბობენ, დიდი ფული იყო. თუმცა 1992-93 წლების შემდეგ ინფლაციური პროცესები მოხდა, რა დროსაც 2 ათასი მანეთი, ფაქტობრივად, სერიოზულ თანხას აღარ წარმოადგენდა. **ვფიქრობ, რომ საჭიროა დიფერენცირება შეტანის პერიოდის მიხედვით და შემდეგ უნდა მოხდეს დაანგარიშება, გადმოყვანა რეალურ დროში მიმდინარე მსყიდველობითი უნარის გათვალისწინებით. ამაზე პასუხი არავის აქვს.**

**— წინასაარჩევნოდ ანაბრების დაბრუნება პარტიების ერთ-ერთი დაპირებაა ხოლმე. „ქართულ ოცნებას“ ამ თემაზე საუბარიც არ ჰქონია. რამდენად არის პასუხისმგებელი მოქმედი ხელისუფლება ანაბრების დაბრუნებაზე?**

— მთავრობა არ არის მარტო სახელებისა და გვარების ერთობლიობა. **არამარტო მოქმედი, არამედ ნებისმიერი მთავრობა პასუხისმგებელია ამ თანხაზე. შიდა ვალი არ არის თანანმდებობის პირების, არამედ სახელმწიფოს ვალია.** თანაბრად უნდა ეღიარებინა წინა მთავრობასაც და იმის წინასაც. მომავალში, რომელი მთავრობაც გვეყოლება, ამ ვალდებულების წინაშე ყველა თანასწორია.

**— თუ იკვეთება კონკრეტული პიროვნებების პასუხისმგებლობის საკითხი. ამ თემაზე საუბრისას საზოგადოება ასახელებს კონკრეტულ ადამიანებს: ზაზა სიორიძეს, ვანო ჩხარტიშვილს და ა. შ.**

— რამის მტკიცება რომ დავიწყო, მეც იმავე გვარების დასახელება მომიწევს. ჯერ დასკვნა არ გამოქვეყნებულა, ამიტომ პასუხის გაცემა გამიჭირდება, თუმცა ვერსიები არსებობს. ამ საკითხს ჯერჯერობით წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით ვუდგებით. ყველაზე დამაჯერებელი ფაქტი არის ის, რომ ინფლაციამ შეჭამა ანაბრები, თუმცა აქვე უნდა ვეძიოთ, თუ ვინ გამოიწვია ეს ინფლაცია. ინფლაციაში დამნაშავე პიროვნებები უნდა გამოვავლინოთ. ამით გავიგებთ, რეალურად სად გაქრა ანაბრები. მთავარი მსაზღვრელი ამ შემთხვევაში არის სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზები. სავარაუდოდ, დიდი წილი სუბიექტურ მიზეზებს უჭირავს. ექსპერტები ამბობენ, რომ 90-იან წლებში ეროვნულმა ბანკმა დანაშაულებრივი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა განახორციელა, რის შედეგადაც განვითარდა ინფლაცია.

როგორც არ უნდა მივუდგეთ საკითხს, ფაქტია, რომ შიდა ბიუჯეტში ეს თანხები აღიარებულია ვალად, რაც ნიშნავს იმას, რომ საქართველოს სახელმწიფომ ამ თანხის დაბრუნება საკუთარ თავზე აიღო.

**— თქვენ საუბრობდით ინფლაციურ პროცესებზე და სახელმწიფოს დანაშაულებრივ ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე...**

— ვიკვლევთ ინფლაციურ პროცესებს, რომლებიც იმ პერიოდში მოხდა. ინფლაციის გამოწვევა სამოქალაქო პირს არ შეუძლია. ეს არის ეროვნული ბანკის პოლიტიკის შედეგი. ნებისმიერ სახელმწიფოში ინფლაციაზე პასუხისმგებელია ოფიციალური უწყება. აქედან გამომდინარე, **მიგვაჩნია, რომ ინფლაციაში, რომელმაც ანაბრების გაუფასურება გამოიწვია, დიდი წვლილი ეროვნულ ბანკს მიუძღვის.**

90-იან წლებში ეროვნული ბანკის მიერ ძალიან დიდი თანხები გაიცა რამდენიმე ასეულ კომპანიაზე. ამ საკითხმა, როგორც ინფლაციის გამომწვევმა მიზეზმა, ჩვენი დაინტერესება გამოიწვია. ეროვნული ბანკისგან მოვითხოვეთ ინფორმაცია კრედიტების შესახებ. გვაინტერესებდა, კონკრეტულად ვისზე და რა რაოდენობის თანხები გაიცა, თუმცა ზრდილობიანი უარი მივიღეთ იმ მოტივით, რომ ეროვნულ ბანკს არ ჰქონდა ინფორმაციის გაცემის უფლება. გვითხრეს, რომ ეს იყო საიდუმლო არასაჯარო ინფორმაცია. ამ საკითხთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ მოამზადეს სარჩელი. დიდი ალბათობით, სასამართლო ჩვენს სასარგებლოდ გამოიტანს გადაწყვეტილებას, ვინაიდან დასკვნაში დასაბუთებულია, რომ ეროვნული ბანკი ვალდებულია, ეს ინფორმაცია მოგვაწოდოს.

აქვე მინდა დავამატო, რომ ამ საკითხისადმი მოსახლეობა დიდ ინტერესს ამჟღავნებს. უკვე დაახლოებით ასმა დაზარალებულმა მოგვმართა. ნებისმიერ მსურველს შეუძლია ექსპერტებისა და პოლიტიკოსების შეფასება ნახოს საბჭოთა ანაბრების კვლევის ცენტრის საიტზე, ასევე, დაინტერესებული პირები დაგვიკავშირდნენ ცხელ ხაზზე.

ესაუბრა
**ანა ქევხიშვილი**

„ჩვენ ძალიან მაღალი რისკის არეალში ვცხოვრობთ. ეს ძალიან სერიოზული საკითხია და იგი აუცილებლად უნდა იყოს აყვანილი სახელმწიფო რანგში. ეს პირდაპირაა მიბმული რეგიონის უშიშროებაზე. თბილისი განეკუთვნება რვაბალიან ზონას. არის შენობები, რომლებიც შვიდბალიან სისტემაზეა გათვლილი. ყოველთვის არის მარაგი ნაგებობის გამძლეობის, რომელიც მეტ სიმძლავრესაც ითვალისწინებს.“

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მერაბ აბაზაძე:

# «ხრუშჩოვკებმა» სხვა ნაგებობებთან შედარებით უკეთესი შედეგი აჩვენა

**ნაგებობის სეისმომედეგობასა და მასალათა გამძლეობას იკვლევს სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობისა და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი, რომელიც ამავე სახელწოდების ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა. რამდენადაა ცენტრი ჩართული საქართველოში მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებში და რა პერსპექტივა გააჩნიათ უახლოეს მომავალში ვადაგასულ კორპუსებს, გვესაუბრება მერაბ აბაზაძე — სეისმომედეგობისა და სამშენებლო ინჟინერიის ცენტრის უფროსის მოადგილე.**

**— რა სტანდარტებს იცავენ სამშენებლო კომპანიები? თუ არსებობს საერთაშორისო სტანდარტი და რამდენად აკმაყოფილებენ სამშენებლო კომპანიები ამ სტანდარტებს?**

— ჩვენ არ გვაქვს სამშენებლო სამუშაოებში ჩარევის უფლება. ჩვენი თანამშრომლობა სხადასხვა სამშენებლო კონპანიასთან ჩვენი ინიციატივით არ ხდება, ეს ნებაყოფლობითია, ანუ ჩვენ არ გვაქვს ზედამხედველობითი ფუნქცია.

რა თქმა უნდა, **საერთაშორისო სტანდარტები არსებობს, თუმცა თავად სამშენებლო კომპანია ირჩევს, რომელი სტანდარტის შესაბამისად სურს მას მშენებლობის ჩატარება. შესაძლოა, ნაგებობის დანიშნულება არც ითხოვდეს მაღალ სტანდარტებს.** ჩვენ გვაქვს ძალიან მაღალი დონის ლაბორატორია, რომლის ანალოგიც ამიერკავკასიაში არ არსებობს. ჩვენი დანიშნულებაა, ასევე, პროექტების გამოკვლევაც: კონსტრუქციის მდგრადობა საინჟინრო თვალსაზრისით, ანუ ჩვენ ვიკვლევთ გეოლოგიურ, კონსტრუქციულ ნაწილს, გარდა არქიტექტურისა. სამშენებლო მასალები თავად არის მიბმული კონსტრუქციაზე: ესა თუ ის კონსტრუქცია რა სახის მასალებს მოითხოვს. ამ დროს ჩვენ ვითვალისწინებთ მიწისძვრის, ქარის და სხვა ფაქტორებს. ეს შესაბამისობაში უნდა იყოს გეოლოგიურ დასკვნებთან.

**— ბუნებრივ მოვლენებთან ერთად არსებობს თუ არა დროის ფაქტორი და ამ თვალსაზრისით რა პერიოდი ითვლება საუკეთესო მაჩვენებლად თანამედროვე ნაგებობისთვის?**

— არის ნაგებობების კატეგორიები: საცხოვრებელი, საზოგადოებრივი მოხმარების და ა. შ. ამ კატეგორიიდან გამომდინარე ხდება გაანგარიშება წლოვანებაზე. მაგალითად, დროებით ნაგებობას თავისი დანიშნულება აქვს. იგი მას ამოწურავს და სულაც არ არის განსაზღვრული, ათწლეულებს გაუძლოს. კაშხლის აშენების დროს, რა თქმა უნდა, სხვა მოთხოვნებია. გრადაცია სხვადასხვა ფუნქციის მქონე ნაგებობებს შორის არის 10, 25 და 100 წელი.

**— საქართველო სეისმურად აქტიურ ზონაში მდებარეობს. აქედან გამომდინარე, მშენებლობის დროს მასალის გამძლეობისა და კონსტრუქციის სტანდარტის დონე უფრო მაღალია. რამდენად ხდება ამ ფაქტორის გათვალისწინება?**

**— ჩვენ ძალიან მაღალი რისკის არეალში ვცხოვრობთ. ეს ძალიან სერიოზული საკითხია და იგი აუცილებლად უნდა იყოს აყვანილი სახელმწიფო რანგში. ეს პირდაპირაა მიბმული რეგიონის უშიშროებაზე. თბილისი განეკუთვნება რვაბალიან ზონას. არის შენობები, რომლებიც შვიდბალიან სისტემაზეა გათვლილი. ყოველთვის არის მარაგი ნაგებობის გამძლეობის, რომელიც მეტ სიმძლავრესაც ითვალისწინებს.**

**— რამდენი აქვს მოხმარების ვადა თანამედროვე სამშენებლო კომპანიების მიერ აგებულ საცხოვრებელ კორპუსებს?**

— უნდა აღვნიშნო, რომ, როდესაც მოგვმართავს კონკრეტული სამშენებლო კომპანია, ჩვენ ვაწვდით ანალიზს და ჩატარებული სამუშაოების შედეგად მიღებულ ინფორმაციას და რეკომენდაციებს. რამდენად ითვალისწინებს ესა თუ ის კომპანია ამ რეკომენდაციებს, ჩვენ ამას ვერ ვიტყვით.

**— რამდენად უსაფრთხოა ძველ საბჭოთა კორპუსებში ცხოვრება და რამდენია მათი საგარანტიო მოსახურების დრო?**

— იმის დადგენას, თუ რამდენად უსაფრთხოა ამ კორპუსებში ცხოვრება, სჭირდება გამოკვლევა. მიუხედავად ამ შენობების მასიურობისა, ისინი ინდივიდუალურია. მაგალითად, **სპიტაკის მიწისძვრის დროს ე.წ. ხრუშოვკებმა სხვა ნაგებობებთან შედარებით უკეთესი შედეგები აჩვენეს, მიუხედავად იმისა, რომ მათ 25-წლიანი მოხმარების ვადა გააჩნიათ; ისინი 60-იან წლებშია აშენებული და, როგორც მორალურად, ასევე ფიზიკურად ვადაგასულია. ეს კოლოსალური პრობლემაა, მთელი მასივებია, რომლებიც დანგრევას საჭიროებენ. ჩემი ინფორმაციით, ამ მიმართულებით უკვე იდგმება ნაბიჯები.**

**— რომელი სამშენებლო კომპანიები თანამშრომლობენ თქვენს ცენტრთან, რამდენად მომგებიანია მათთვის ფინანსური თვალსაზრისით თქვენი რეკომენდაციების გათვალისწინება და თუ არსებობს სახელმწიფოს მხრიდან ცენტრთან თანამშრომლობის ვალდებულება?**

— ჩვენ ბევრ სამშენებლო კომპანიასთან ვთანამშრომლობთ. უნდა აღინიშნოს რომ მათ ინტერესებშია, გაითვალისწინონ ჩვენი რეკომენდაციები, ვინაიდან მშენებლობის დასრულების შემდეგ შექმნილი პრობლემების გამოსწორება უფრო დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ჩვენ თითოეულ კომპანიას ოპტიმალურ ვარიანტს ვთავაზობთ. ამავე დროს, მუშავდება სამშენებლო დარგის კოდექსი, რომელიც განხილვის სტადიაშია. არ არის აუცილებელი, სამშენებლო კომპანიამ მაინცდამაინც ჩვენთან ითანამშრომლოს. ნებისმიერი აკრედიტირებული ორგანიზაცია, შესაძლოა, ჩაერთოს ამ პროცესში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ლიცენზირების თემაც პრობლემაა. მაგრამ ეს საკითხი თუ დარეგულირდა, ჩვენ დიდი უპირატესობა გვექნება სხვა ლაბორატორიებთან შედარებით ჩვენი სპექტრის, აღჭურვილობისა და სპეციალისტების გათვალისწინებით.

ნინო ლაღიძე:

# მშვიდობის ხიდი, პრეზიდენტის სასახლე, იუსტიციის სახლი, ბიძინა ივანიშვილის სახლი არ ერწყმის ძველი თბილისის გარემოს

**თბილისის მთაგორიანი ლანდშაფტი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის არქიტექტურას. ძველი უბნების შუასაუკუნეობრივი წყობა აზიასთან მხოლოდ ჩვენს სიახლოვეს არ უნდა დავაბრალოთ. მთაგორიან თბილისში თითქოს შეუძლებელია სხვა ტიპის ქალაქთმშენებლობა, თუმცა ყველა ის არქიტექტურული ისტორიული ზოლი, რომელიც თბილისშია, ითვალისწინებს თავად ქალაქის გეოგრაფიას და ერწყმის მას. დღეს მშენებლობის პროცესი, რა თქმა უნდა, ლიბერალურია, თუმცა შორს არაა პოლიტიკისგან. ახალი მშენებლობების არქიტექტურული ღირებულების, მნიშვნელობის შესახებ გვესაუბრება ნინო ლაღიძე — ჟურნალ „სტილის“ რედაქტორი, არქიტექტორთა კლუბის დირექტორი და საქართველოს არქიტექტორთა ასოციაციის დამფუძნებელი.**



**— როგორ შეაფასებთ ახალ არქიტექტურულ ნაგებობებს და რამდენად ნოვატორულია ესა თუ ის არქიტექტურული პროექტი?**

— მიმბაძველობას არ მოაქვს სასურველი შედეგი. თუ ვისაუბრებთ ცალკეული არქიტექტორების სახელებზე, რომელთა ნაგებობები აშენდა საქართველოში, შეიძლება აღვნიშნოთ მასიმილიანო ფუქსასი, რომელიც რიყის თეატრისა და იუსტიციის სახლის პროექტების ავტორია. რიყის თეატრის მშენებლობა ამჟამად კითხვის ნიშნის ქვეშ დგას და უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხი ზედმეტად პოლიტიზებულია. ჩვენ ვცდილობთ, ამ ქაოსს თავი დავაღწიოთ და რეალურად აღვწეროთ, თუ რა ხდება, რა კეთდება. გვაქვს შენიშვნებიც, მაგრამ ვცდილობთ, რბილად მივუთითოთ, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად ობიექტურად ან არაობიექტურად ჩათვლის ამას ვინმე.

**— საჭიროა თუ არა, თანამედროვე არქიტექტურული ნიმუში ითვალისწინებდეს ქართულ ტრადიციებს და რამდენად იცნობენ და ითვალისწინებენ ის არქიტექტორები, რომელთა ნაგებობებიც საქართველოში შენდება, ქართული არქიტექტურის ისტორიას?**

**— კონკრეტულად პრეზიდენტის სასახლეზე ვისაუბროთ. ამ ნაგებობის მაგალითზე უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი თავისი მასშტაბით ამოვარდნილია იმ გარემოდან, სადაც მდებარეობს. ის აჟიოტაჟი, რომელიც მოჰყვა ამ ნაგებობას საავტორო უფლებებთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით, ხელს მიშლის მის საბოლოო შეფასებაში. თუმცა, როცა საუბარია თბილისის ძველ უბანზე — ავლაბარზე და რიყეზე, უნდა აღინიშნოს, რომ იგი თავისი არქიტექტონიკით ამოვარდნილია.** ეს უბანი არის ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც შენარჩუნებას საჭიროებს სულ პატარა ნიუანსების ჩათვლით, ვინაიდან ეს არის ის, რაც განგვასხვავებს ჩვენ სხვა კულტურისგან. რაც შეეხება ახლის შეტანას, ამას თავისი აპრობირებული ხერხები გააჩნია და ამ საკითხს ძალიან დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. მსოფლიოში არის ბევრი მაგალითი იმისა, როცა ძველი და ახალი შეჭრილია ერთმანეთში და არათუ ხელს არ უშლიან ერთმანეთს, პირიქით სინქრონშიც მოდიან.

**— ბევრი ნაგებობა საქართველოში აგებულია იტალიელი არქიტექტორის, მიკელე დე ლუკის, მიერ. რა ადგილი უჭირავს მას მსოფლიო არქიტექტორთა კლუბში?**

— დე ლუკი არ არის არქიტექტორი, იგი დიზაინერია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბევრმა არქიტექტორმა თავისი მოღვაწეობა სწორედ დიზაინით დაიწყო. მან თავისი იდეების განხორციელების არეალად საქართველო იპოვა. მისი ერთ-ერთი ნამუშევარი **„მშვიდობის ხიდი“ თითქოს ამოვარდნილია კონტექსტიდან. მისი შეთანხმების მცდელობა ძველი თბილისის ლანდშაფტთან და არქიტექტურასთან, ჩემი აზრით, არ არის წარმატებული. ამას დიდი გამოხმაურება მოჰყვა უცხოელ არქიტექტორთა მხრიდან. ეს არის ერთგვარი ექსპერიმენტი იმისა, თუ როგორ შეერწყას ან არ შეერწყას ახალი არქიტექტურა ძველს და იმ შემთხვევაში, თუ ეს ექსპერიმენტი ვერ გაუძლებს დროს, მას აიღებენ.**

**— ძველისა და ახლის თანაარსებობის ბევრი მაგალითია ევროპულ ქალაქებში, კერძოდ პარიზში. რამდენად ახლოსაა ქართული და ევროპული კონცეფციები ერთმანეთთან?**

**— ძველი თბილისის ერთ მონაკვეთში ისეთი მასშტაბის ნაგებობების აგება, როგორიცაა „მშვიდობის ხიდი“, პრეზიდენტის სასახლე, იუსტიციის სახლი, ბიძინა ივანიშვილის სახლი, ნამდვილად არ ერწყმის გარემოს და ლანდშაფტს. ყოველგვარი მიკერძოებულობის გარეშე ვამბობ, რომ არქიტექტურულად ისეთ ფაქიზ ქალაქში, რომელშიც ლანდშაფტი კარნახობს არქიტექტურას, დაუშვებლად მიმაჩნია ამგვარი სხვადასხვა დანიშნულებისა და მასშტაბის შენობების ჩადგმა. ამ ნაგებობებმა „შეჭამეს“ ძველი ქალაქის ხიბლი.**

**— თბილისის არქიტექტურა სხვადასხვა ეპოქის რამდენიმე ზოლს მოიცავს: მეფის რუსეთი, საბჭოეთი და მათგან განცალკევებული ძველი თბილისის უბნები. შეიძლება ითქვას თუ არა, რომ დღეს იქმნება ახალი ეპოქალური არქიტექტურა და რამდენად არის შემუშავებული გლობალური ურბანული განვითარების სისტემა?**

— დღევანდელი ტენდენცია ასეთია: არქიტექტურული სტილი იკარგება და ყველა ქალაქი თითქოს ემსგავსება ერთმანეთს. ქალაქს უნდა შეუნარჩუნდეს თავისი უნიკალურობა და ამავე დროს უნდა განვითარდეს. **დღევანდელი მშენებლობა არ არის მოქცეული ერთ სისტემაში, რის გამოც, ალბათ, ზოგადი კონცეფციის არარსებობის გამო იგი იწვევს მძაფრ რეაქციებსა და კრიტიკას.**

გვერდი მოამზადა **ქეთევან ჭარხალაშვილმა**

მხილება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საქპატენტის“ ადმინისტრაციის პოლიტიკური „სიმწიფე“ ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, რადგან გაუგებარია, რატომ ვჩქაროზთ ევროპის საპატენტო სისტემაში ინტეგრაციას, როდესაც ეს გამოიწვევს ჩვენი ეროვნული საპატენტო სისტემის კოლაფსს და, თუ კი მაინც უნდა ვიჩქაროთ, რატომ ვირჩევთ ისეთ გზას, რომელზეც დღესდღეობით EPO-მ მხოლოდ მაროკო დაიყოლია, მიუხედავად EPO-ს ძალიან გავლენიანი ხელმძღვანელობის მცდელობებისა, ფართოდ გაავრცელოს ეს სისტემა.“**

# «საქპატენტის» შეთქმულება სახელმწიფოს წინააღმდეგ

**ბოლო პერიოდში ხშირად საუბრობენ „საქპატენტის“ ირგვლივ არსებული პრობლემების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორგანიზაცია უკიდურესად პოლიტიზირებული იყო და პოლიტიკური მოტივებით ნაკარნახევი მისი მიკერძოებული გადაწყვეტილებების გამო არაერთი ბიზნესი დაზარალდა. „საქპატენტის“ ხელმძღვანელიც კვლავ რჩება ძველი კადრი, რომლის მიმართაც არაერთი პრეტენზია არსებობს. ვითარებაში გასარკვევად „საქართველო და მსოფლიო“ პატენტრწმუნებულ ადვოკატს, 2000-2005 წლებში „საქპატენტის“ იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელს, სააპელაციო პალატის წევრ გიორგი თაქთაქიშვილს ესაუბრა, რომელიც საქართველოში წარმოადგენს და იცავს ისეთი კომპანიების ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს, როგორებიც არიან The Coca-Cola Company, Samsung, Johnson&Johnson, General Motors, Brown Forman, Roshen და სხვ.**

## გიორგი თაქთაქიშვილი:

## ის გზა, რომელსაც ადგას «საქპატენტის» ადმინისტრაცია ამჟამად, საქართველოში «მოკლავს» საპატენტო ექსპერტიზას

**გიორგი თაქთაქიშვილი:**
— შექმნილი ვითარება დრამატულია. ახალი პოლიტიკური რეალობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი პოლიტიკური პროცესის გაცოცხლებისთვის თავისუფალი სივრცის გაჩენას უკავშირდება, რასაც ბუნებრივად უნდა მოჰყვეს სხვადასხვა დარგის ირგვლივ საზოგადოებრივი და პროფესიული ჯგუფების ინტერესთა კონცენტრაცია და მანამდე დებატებისა და ოპონირებისთვის დახურული სივრცის გახსნა, რათა სახელისუფლო დაწესებულებებს მუდმივად ჰქონდეთ განცდა, რომ სახელმწიფოს მართვის პროცესი საზოგადოებრივი და პროფესიული ჯგუფების ყურადღების ქვეშაა.

სწორედ მსგავსი მოლოდინები გვქონდა ჩვენც, რისთვისაც გადავდგით კიდეც გარკვეული ნაბიჯები. მაგრამ „საქპატენტის“ ირგვლივ არსებული სივრცე დახურული რჩება ყოველგვარი დებატებისა და კოოპერაციისთვის, შესაბამისად კი — კერძო სექტორის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობისთვის. აღნიშნულის საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს ჩვენი ბოლო შეხვედრა „საქპატენტის“ ადმინისტრაციასთან. **ჩვენ შევეცადეთ, ერთის მხრივ, გვესაუბრა არსებულ პრობლემებზე და მიგვეღო პასუხი, თუ როგორ ესახება „საქპატენტის“ ადმინისტრაციას მათი გადაჭრა. შეხვედრის შედეგი ნულის ტოლფასია, რადგან „საქპატენტის“ ადმინისტრაცია არ არის მზად არამხოლოდ პრობლემების გადასაჭრელად, არამედ მათზე სასაუბროდაც კი.** მაგალითად, „საქპატენტში“ 20 თებერვალს შემდგარ ჩვენს ბოლო შეხვედრაზე „საქპატენტის“ თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძისგან მივიღეთ დაპირება, რომ მთელი რიგი პრობლემური საკითხებისა გადაწყდებოდა კერძო სექტორთან შეთანხმებით, მაგრამ, ამ დაპირების მიუხედავად, **ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიც არის ევროპის საპატენტო უწყებასთან (EPO) „ვალიდაციის“ სისტემით საქართველოს მიერთება გადაწყდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს გადაწყვეტილება ანტისახელმწიფოებრივი აზროვნების შედეგია.** დაუჯერებელია, მაგრამ ეს ინფორმაცია თავად „საქპატენტმა“ გაავრცელა თავისი ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით, მაგრამ მეორე დღესვე დააკორექტირა ის და EPO-სთან ზოგად ინტეგრაციაზე დატოვა ცნობები.

ახლა საკითხის არსს რაც შეეხება: EPO არის ევროპის საპატენტო კონვენციით შექმნილი საერთო ევროპული საპატენტო ორგანიზაცია, რომელიც არსებობს ევროპული ქვეყნების ეროვნული საპატენტო უწყებების პარალელურად და გასცემს ევროპულ პატენტს, რომელიც მოქმედებს EPO-ს წევრი-ქვეყნების ტერიტორიაზე. **EPO ავტონომიური და ძალიან გავლენიანი სტრუქტურაა და თავისი 1,6 მილიარდ ევროიანი ბიუჯეტით დაფინანსებით ჩამორჩება მხოლოდ ევროკომისიას.** შესაბამისად, დაინტერესებულ პირებს, საჭიროების შემთხვევაში, აძლევს საშუალებას, მიიღონ ერთიანი დამცავი დოკუმენტი (ევროპატენტი), რომელიც ფარავს ევროპის საპატენტო კონვენციის მონაწილე 38 ქვეყნის ტერიტორიას, ანუ პრაქტიკულად მთელ ევროპას. ევროპული საპატენტო სისტემის განვითარებისა და ექსპანსიის მიზნით, წლების განმავლობაში შემუშავდა ორი ფორმა, რომლითაც ეს სისტემა შეიძლება გავრცელდეს არაწევრ ქვეყნებზეც, როგორც ე. წ. extension (გავრცელება) და validation (ვალიდაციის) სისტემა.

**პირველი,** ანუ **extension-ის შესახებ შეთანხმების დადება, როგორც წესი, წარმოადგენს არა უბრალოდ საპატენტო სისტემის ჭრილში მიღებულ გადაწყვეტილებას, არამედ უფრო პოლიტიკურ გზავნილს, რადგან ამ სისტემით EPO-სთან ხელშეკრულების დადება გულისხმობს მკაფიო სიგნალს, რომ ქვეყანა, რომელთანაც იდება მსგავსი შეთანხმება, განიხილება EPO-ს მომავალ წევრად.** ჩვენ შემთხვევაში ეს მოხდება მაშინ, როდესაც საქართველო ოფიციალურად გამოცხადდება ევროკავშირში გაწევრიანების კანდიდატ ქვეყნად. მარტივად რომ ვთქვათ, ეს არის როგორც MAP-ი NATO-სთან მიმართებაში (ეს გზა ევროკავშირში გაწევრიანებამდე გაიარეს ბალტიისპირეთის ქვეყნებმა, რუმინეთმა და ა. შ.).

რაც შეეხება **მეორეს — ვალიდაციის სისტემას, რომლისკენაც მიგვაქანებს „საქპატენტის“ ადმინისტრაცია, იგი გულისხმობს EPO-ს მხრიდან** (საქართველოს EPO-ში და, შესაბამისად, ევროკავშირში წევრობასთან დაკავშირებით) **ყოველგვარი სამომავლო ვალდებულებების აღების გარეშე ევროპატენტის საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებას, როგორც საპატენტო-სამართლებრივი კოლონიის ტერიტორიაზე.** დღევანდელ დღეს მსგავსი შეთანხმება EPO-ს დადებული აქვს მხოლოდ ერთ ქვეყანასთან – მაროკოსთან, ჩვენ კი, „საქპატენტის“ ადმინისტრაციის მოსაზრებით, მეორე მაროკო უნდა გავხდეთ. თანაც ისე, რომ ამ საკითხს ამზადებს ერთ-ორი ადამიანი კერძო სექტორთან, დაინტერესებულ ჯგუფებთან და ა. შ. ყოველგვარი კონსულტაციის გარეშე. კონსულტაციას ვინ ჩივის, ინფორმაციასაც კი არ გვაწვდიან.

საკითხის პოლიტიკური შემადგენლის ირგვლივ საუბარი, დარწმუნებული ვარ, გაგრძელდება პარლამენტსა და მთავრობაში, თუმცა „საქპატენტის“ ადმინისტრაციის პოლიტიკური „სიმწიფე“ ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, რადგან **გაუგებარია, რატომ ვჩქაროზთ ევროპის საპატენტო სისტემაში ინტეგრაციას, როდესაც ეს გამოიწვევს ჩვენი ეროვნული საპატენტო სისტემის კოლაფსს** და, თუ კი მაინც უნდა ვიჩქაროთ, რატომ ვირჩევთ ისეთ გზას, რომელზეც დღესდღეობით EPO-მ მხოლოდ მაროკო დაიყოლია, მიუხედავად EPO-ს ძალიან გავლენიანი ხელმძღვანელობის მცდელობებისა, ფართოდ გაავრცელოს ეს სისტემა.

ახლა რაც შეეხება ამ საკითხის პრაქტიკულ შედეგებს: დღეს საქართველოში ყოველწლიურად დაახლოებით 400 საპატენტო განაცხადი შემოდის, რომელთა შორის ადგილობრივი განმცხადებლების მიერ წარდგენილი განაცხადების რაოდენობა დაახლოებით 25%-ია. დანარჩენი, ანუ 75% განაცხადებისა შემოდის საზღვარგარეთიდან. როგორც წესი, ეს არის განაცხადები, რომლებიც ასევე შეტანილია რეგიონის სხვა ქვეყნებშიც და მათ შორის, ბუნებრივია, ევროპულ ქვეყნებში EPO-ს მეშვეობით. თუ ჩვენ დავუშვებთ „საქპატენტის“ ადმინისტრაციის იდეის განხორციელებას, რომ საქართველო მიუერთდეს EPO-ს ვალიდაციის სისტემით, ეს გამოიწვევს იმას, რომ **საქართველოში აღარ შემოვა უცხოური განაცხადები, რადგან ის განმცხადებლები, რომლებიც მოისურვებენ საქართველოში საპატენტო დაცვის მოპოვებას, უბრალოდ, მიუთითებენ ამის შესახებ EPO-ში წარდგენილ განაცხადში, საპატენტო ექსპერტიზას ჩაატარებენ EPO-ს ექსპერტები და და EPO-ს მიერ გაცემული ევროპატენტი ავტომატურად გავრცელდება საქართველოზეც ისე, რომ ქართული სახელმწიფო, „საქპატენტის“ და ქართული ექსპერტების სახით, ამ პროცესში საერთოდ არ მიიღებენ მონაწილეობას.**

**მეტიც, ჩვენ, როგორც სახელმწიფოს, წაგვერთმევა საშუალება, შევიმუშაოთDდა განვახორციელოთ საკუთარი პოლიტიკა ამ დარგში, რადგან აღმოვჩნდებით სრულად დამოკიდებული ევროპის საპატენტო სისტემასა და კანონმდებლობაზე, რომლის მიხედვითაც უნდა აეწყოს ჩვენი ეროვნული კანონმდებლობა. და ეს მაშინ, როდესაც ყველას გვესმის, რომ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება ახლო მომავალში ვერ მოხდება. მაშინ რატომ ვისპობთ მანევრის საშულებას? რატომ გვეჩქარება ასე ძალიან? რატომ არ შეიძლება ევროპის საპატენტო სისტემაში ჩვენს ინტეგრაციაზე ზრუნვა დავიწყოთ, სულ მცირე, მაშინ, როდესაც ევროკავშირი კანდიდატ ქვეყნად გვაღიარებს?** ეს გზა ხომ გაიარეს ბალტიისპირეთის ქვეყნებმა, რუმინეთმა; ამ გზას ადგანან ამჟამინდელი კანდიდატი ქვეყნები. არც ერთი მათგანი არ მიერთებია EPO-ს ვალიდაციის სისტემით.

პოლიტიკოსი არ ვარ, მაგრამ მეც კი მესმის, რომ **ქვეყანა, რომელიც ასეთ დათმობაზე მიდის და უარს ამბობს სახელმწიფოს ერთ-ერთ ატრიბუტზე, დამოუკიდებელ საპატენტო სისტემაზე, სანაცვლოდ რაიმეს მაინც უნდა იღებდეს, მაგალითად, ევროკავშირში წევრობას თუ არა, კანდიდატის სტატუსს მაინც, ოღონდ არა ვალიდაციის კომბინაციაში, არამედ extension-ის (გავრცელება) სისტემასთან ერთად. ის გზა, რომელსაც ადგას „საქპატენტის“ ადმინისტრაცია ამჟამად, საქართველოში „მოკლავს“ საპატენტო ექსპერტიზას. ჩვენ, როგორც ქვეყანას, აღარასდროს გვექნება საპატენტო ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლობა, განაცხადებზე პრაქტიკული მუშაობის გარეშე ჩვენ ვეღარასდროს აღვზრდით ახალგაზრდა კადრებს, ქვეყანაში აღარ იარსებებს უმნიშვნელოვანესი დარგი, რომელიც უნდა იყოს ქვეყანაში სამეცნიერო-კვლევითი პროცესის ერთ-ერთი ფუნდამენტი.** მაშინ მე მინდა ვიკითხო: მსგავსი პოლიტიკა როგორ არის თავსებადი მთავრობის მიერ დეკლარირებულ კურსთან, საქართველოში ტექნოლოგიების განვითარებაში სერიოზული ინვესტირების შესახებ? ეს ხომ წარმოუდგენელია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფართოდ გაშლის გარეშე, რომელიც, თავის მხრივ, ვერ იქნება ეფექტური საპატენტო ექსპერტიზის საინფორმაციო და ტექნიკური მხარდაჭერის გარეშე. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ევროკავშირს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებაზე მოლაპარაკებების პროცესში არც ერთ ეტაპზე არ მოუთხოვია საქართველოსგან ამ ნაბიჯის გადადგმა, როგორც რაიმეს წინაპირობა.

**მაშ, ვის და რატომ გაუჩნდა ეს ანტისახელმწიფოებრივი იდეა?** ჩემთვის პასუხიც მაქვს: მე პირადად ოცამდე ადამიანის თანდასწრებით ვკითხე ირაკლი ღვალაძეს 20 თებერვლის შეხვედრაზე, თუ რა დადებითი მხარეები აქვს, მისი აზრით, EPO-ში გაწევრიანებას. მან ერთი არგუმენტი დაასახელა: ფული, შემოსავლები. მინდა განვმარტო, რომ საუბარია იმ განაცხადებიდან მიღებულ, უკეთეს შემთხვევაში, წელიწადში რამდენიმე ასეულ ათას ევროზე, რომელსაც „საქპატენტი“ მიიღებს საკუთარ ბიუჯეტში EPO-სგან, თუ ჩვენ მივუერთდებით ამ სისტემას. ყველაფერი ნათელია, არა?

ის, თუ როგორ იხარჯება „საქპატენტის“ ფინანსები, ამაზე ცალკე მოგახსენებთ. აქვე **იმედს ვიტოვებ, რომ „საქპატენტის“ ადმინისტრაციის ეს შეთქმულება საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ დროულად დაიბლოკება მთავრობასა და პარლამენტში. ამ მიზნით პატენტრწმუნებულთა ჯგუფი და დარგში მოღვაწე სპეციალისტები ვგეგმავთ მთელ რიგ შეხვედრებს და, რაც მთავარია, საზოგადოების ინფორმირებას.** სამწუხაროდ, ზევით განხილული შემთხვევა წარმოადგენს ერთ-ერთ, მაგრამ არა ერთადერთ პრობლემურ საკითხს, რომელიც იმავე დროს ახდენს „საქპატენტის“ ადმინისტრაციისა და მისი თავმჯდომარის სრულ ლუსტრაციას.

**— რამდენად მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის თავად ეს დარგი?**

— იმისათვის, რომ მკითხველმა დაინახოს და შეიგრძნოს ამ დარგის რეალურ პრიორიტეტად გადაქცევის აუცილებლობა, პირველ რიგში, მინდა მოკლედ დავახასიათო ინტელექტუალური საკუთრების სფერო. თანამედროვე მსოფლიოში ინტელექტუალური საკუთრება (პატენტი, სასაქონლო ნიშანი, დიზაინი, საავტორო უფლება) მეწარმეთა უმრავლესობის უმთავრეს და უმნიშვნელოვანეს აქტივს წარმოადგენს. **ბოლო კვლევები ცხადყოფს, რომ მსოფლიოს წამყვანი კომპანიების აქტივების 70%-ს ინტელექტუალური საკუთრება შეადგენს. ნამდვილი მეწარმის სული, შემოქმედებითობა და გამომგონებლობა — აი ის თვისებები, რომლებიც აუცილებელია გლობალური ეკონომიკის ეპოქაში იმ ერებისთვის, რომლებსაც არ უნდათ, რომ უფუნქციოდ დარჩნენ და კაცობრიობის პერიფერიად გადაიქცნენ.** ინტელექტუალური საკუთრების მარეგულირებელი კანონმდებლობა, მისი სწორი აღსრულება და უფლებების ეფექტური დაცვა უზრუნველყოფს უსაფრთხო და პროგნოზირებად გარემოს მწარმოებლებისა და მომხმარებლებისთვის, აგრეთვე, ინვესტორებისთვის, რომლებიც ახდენენ კაპიტალდაბანდებას იმ ინოვაციებსა და თანამედროვე ტექნოლოგიებში, რომლებიც დგას განვითარების, პროგრესის, დოვლათის და, შესაბამისად, ადამიანებისთვის უკეთესი და უფრო ხანგრძლივი ცხოვრების უზრუნველყოფის სამსახურში. „საქპატენტში“, რომელიც ზემოთ აღწერილ პროცესებში ერთ-ერთი ფლაგმანი უნდა იყოს, შექმნილი მდგომარეობა შეუძლებელს ხდის საქართველოს სახელმწიფოს მიერ ამ მიზნების მიღწევას, რადგან მისი ადმინისტრაცია ჰგავს პატარა ბავშვს, რომელსაც ხელში ასანთი აქვს მომარჯვებული და დროდადრო ხანძარს აჩენს ამა თუ იმ მიმართულებით.

**— უფრო დეტალურად ხომ არ შეგიძლიათ დაა-** ▶



# «ირაკლი ღვალაძემ პირნათლად შეასრულა პარტიული დავალება და წინა ხელისუფლების მიერ შექმნილი პოლიტიკური კორუფციის სისტემისა და რეპრესიული მანქანის ნაწილად გადააქცია «საქპატენტი»

მხილება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**— ხასიათოთ არსებული პრობლემები?**

— „საქპატენტში" არსებული პრობლემები რამდენიმე ძირითად ნაწილად იყოფა. **პირველი: „საქპატენტის" ადმინისტრაციის სრული, მე ვიტყოდი, ქვეყნისთვის დამღუპველი, არაკომპეტენტურობა და არასახელმწიფოებრივი აზროვნება.** მსგავსი სიტუაცია ბუნებრივიც არის, რადგან „საქპატენტის" ახალი ადმინისტრაციის დანიშვნა განხორციელდა ძველი ხელისუფლებისადმი **მორჩილების** და არა **კომპეტენტურობის** კრიტერიუმით. ჩემს ამ პოზიციას ადასტურებს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიური ანგარიშები საქართველოში საინვესტიციო კლიმატის შეფასების თაობაზე. მაგალითად, 2011 წლის ანგარიშში პირდაპირ არის მითითებული, რომ საქართველოს საპატენტო უწყება უკეთ უნდა ერკვეოდეს ახალ ტექნოლოგიებში, რაც სრულიად სამარცხვინოა. კრიტიკულია 2012 წლის ანგარიშიც, რომელშიც მითითებულია, რომ „საქპატენტი", როგორც ინტელექტუალური საკუთრების სფეროს კოორდინატორი სახელმწიფო ორგანო, ვერართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობებს.

**მეორე: „საქპატენტის" ადმინისტრაციის არასახელმწიფოებრივი აზროვნების შედეგია, თბილისის ცენტრში მდებარე „საქპატენტის" საკუთარი ხარჯებით შექმნილი ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის დაკარგვა და ქ. მცხეთაში საეჭვოდ ძვირი (ხუთი მილიონი ლარის) ღირებულების ოფისის აშენება**. ცალკე აღნიშვნის ღირსია, რომ „საქპატენტის" თანამშრომლების გადაადგილება ქ. მცხეთაში არა მხოლოდ სერიოზულ დისკომფორტს იწვევს თანამშრომლებისა და დაინტერესებული პირებისთვის, არამედ ყოველწლიურად „საქპატენტს" დაახლოებით ოთხასი ათასი ლარი უჯდება და ეს მაშინ, როდესაც ამ დარგში მოსამართლეთა ტრენინგი აშშ-ისა და ევროკავშირის ფინანსებზეა დამოკიდებული, ტექნოლოგიური ტრანსფერის ცენტრი გერმანიის სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა, „საქპატენტმა" შეწყვიტა საპატენტო ექსპერტიზისთვის აუცილებელი ფასიანი საპატენტო ბაზებისადმი წვდომისა და სამეცნიერო ლიტერატურის შესყიდვა, თანხები არ იხარჯება განგრძობად განათლებაზე და ა. შ.

**— პრესაში გამოქვეყნებულ ერთ-ერთ კრიტიკულ პუბლიკაციას „საქპატენტიდან" უკანონოდ დათხოვილი თანამშრომლები აწერდნენ ხელს. რა მდგომარეობაა ამ მხრივ?**

— „საქპატენტიდან" კვალიფიციური კადრების ყოველგვარი დასაბუთების გარეშე განდევნა, ხშირად მიმდინარე საკითხებზე განსხვავებული აზრის გამო, ჩვეულებრივი ამბავია. არასახელმწიფოებრივი და არაპრაგმატული აზროვნება, ასაკოვანი ადამიანების (ექსპერტების) სოციალური მდგომარეობისადმი სრული გულგრილობა — აი ის, რაზეც მიუთითებდა „საქპატენტის" თავმჯდომარის, ირაკლი ღვალაძის, მოქმედება, როდესაც ის, ვითომდა ადმინისტრაციული ხარჯების ოპტიმიზაციის მოტივით, სრულიად უკანონოდ სამსახურიდან ათავისუფლებდა „საქპატენტის" ღვაწლმოსილ, ქვეყნის შიგნით თუ გარეთ აღიარებულ ექსპერტებს. არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ **„საქპატენტის" თავმჯდომარის მოადგილემ ეკა ეგუტიამ, „საქპატენტის" ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და ღვაწლმოსილი ექსპერტი ისეთი ფორმით დაითხოვა სამსახურიდან, რომ იგი ამნეზიის დიაგნოზით „საქპატენტიდან" პირდაპირ რეანიმაციულ განყოფილებაში გადაიყვანეს.**

მაგრამ, როდესაც ვაანალიზებ ამ ქმედებებს, მივდივარ იმ დასკვნამდე, რომ ყველაფერი ეს ემსახურებოდა ერთადერთ მიზანს: ფულადი სახსრების გამოთავისუფლებას, რათა ექსკლუზიურად ადმინისტრაციის რამდენიმე წევრის მიერ შესაძლებელი ყოფილიყო ფანტასტიკური მოცულობის (ყოველთვიურად 10-15 ათასი ლარი) პრემიების მიღება. სხვა ახსნას მე ვერ ვპოულობ. ალბათ, ამ ხალხის აზრით, EPO-სთან მიერთებით მიღებული დამატებითი შემოსვლებიც იმავე მიზნებს, რამდენიმე ადამიანის პირად კეთილდღეობას, უნდა მოხმარდეს. ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ ეს ხალხი ვერც ხვდება, თუ რამდენად უსამართლო და უკანონოა მსგავსი სოციალური პოლიტიკა და რომ ეს პირდაპირ გავლენას ახდენს „საქპატენტის" მუშაობის ხარისხზე.

**— წინა ხელისუფლების პირობებში, პრაქტიკულად, ყველა სახელმწიფო დაწესებულება პოლიტიზირებული იყო. რამდენად ეხება ეს „საქპატენტს"?**

— სამწუხაროდ, ეს „საქპატენტს" პირდაპირ ეხება, რადგან **ირაკლი ღვალაძემ პირნათლად შეასრულა პარტიული დავალება და წინა ხელისუფლების მიერ შექმნილი პოლიტიკური კორუფციის სისტემისა და რეპრესიული მანქანის ნაწილად გადააქცია „საქპატენტი", რომელიც გადაწყვეტილებებს იღებდა (და იღებს დღემდე) არა კანონზე დაყრდნობით, არამედ მაშინდელი ხელისუფლების თუ მასთან დაახლოებული ბიზნესისა და პოლიტიკური წრეების სურვილის მიხედვით.** აღნიშნულის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითები უკავშირდება „ინფო 9"-ს და თამბაქოს წარმოების სფეროს.

თქვენი მკითხველისთვის მცირეოდენ განმარტებას გავაკეთებ: „საქპატენტის" მიერ სასაქონლო ნიშანზე ჩატარებული ექსპერტიზის არსი მდგომარეობს იმაში, რომ არ იქნეს დაშვებული სარეგისტრაციოდ უფრო ადრე წარდგენილი ან ადრე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსი ნიშნის რეგისტრაცია. **„ინფო 9"-ს შემთხვევა:**

2012 წლის 7 აგვისტოს შპს „მეცხრე არხი ინფომ" „საქპატენტში" სარეგისტრაციოდ წარადგინა თავისი ლოგო, რასაც უცნაურად დაემთხვა 16 აგვისტოს პრაქტიკულად იმავე ლოგოს სარეგისტრაციოდ წარდგენა გიორგი ალთუნაშვილის მიერ, რომელიც ფსევდო „ინფო 9"-ის მონაწილე და ცნობილი ალისტრახოს თანამოაზრეა. ნაცვლად იმისა, რომ „საქპატენტს" უარი ეთქვა გიორგი ალთუნაშვილისთვის „ინფო 9"-ის ლოგოს რეგისტრაციაზე, ირაკლი ღვალაძემ რეგისტრაციაში გაუტარა მას ეს ლოგო, რითაც დაუკანონა ალისტრახოსა და მის თანამოაზრეებს „ინფო 9"-ის ლოგოს გამოყენება ქვეყნისთვის გადამწყვეტ მომენტში, როდესაც ჩვენი და ჩვენი სახელმწიფოს ყოფნა-არ ყოფნის საკითხი წყდებოდა. ის, თუ როგორ გამოიყენებოდა „ინფო 9"-ის ლოგო ალისტრახოსა და მისი თანამოაზრეების მიერ საარჩევნო პროცესის საბოტაჟისთვის, საზოგადოების დეზინფორმაციისთვის და ა.შ. კარგად ახსოვს ჩვენ საზოგადოებას. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ შპს „მეცხრე არხი ინფოს" მიერ თავისი ლოგოს „საქპატენტში" რეგისტრაციის ფაქტი გაშუქდა კიდეც 2012 წლის 25 აგვისტოს TV 9-ის ეთერში და რეპორტაჟში ასახული პირები თამამად აცხადებდნენ, რომ ამიერიდან შეძლებდნენ აღეკვეთათ ამ ლოგოს გამოყენება ალისტრახოსა და მისი თანამოაზრეების მიერ, **თუმცა მათ არ იცოდნენ მთავარი, რომ იმავე დღეს კანონის დარღვევით პრაქტიკულად იდენტური ლოგო „საქპატენტმა" დაურეგისტრირა გიორგი ალთუნიშვილსაც.**

ეს სწორედ ის დღე იყო, როდესაც ქალბატონ თინა ხიდაშელს წინასაარჩევნო შეხვედრები ჰქონდა საგარეჯოს რაიონში, სადაც გაიმართა კიდეც დებატები და ფსევდო „ინფო 9"-ის წარმომადგენელ გოგონას შორის ლოგოების მსგავსების შესახებ. ამ დროს არც ქალბატონმა თინამ და არც სხვებმა, სავარაუდოდ, არ იცოდნენ, რომ ფსევდო „ინფო 9"-ის „ჟურნალისტი" კისერზე „ინფო 9"-ის ლოგოს უბრალო იმიტაციას კი არა, „საქპატენტის" მიერ გიორგი ალთუნიშვილის სახელზე უკანონოდ დარეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის გამოსახულებას ატარებდა.

იგივე ეხება უკანონოდ დარეგისტრირებული ლოგოს გამოყენების სხვა უამრავ შემთხვევას. შესაბამისად, **არც არის გასაკვირი ის ოლიმპიური სიმშვიდე, რომლითაც ფსევდო „ინფო 9"-ის „ჟურნალისტები" მოქმედებდნენ, როდესაც ამბობდნენ, რომ არავითარ კანონს არ არღვევდნენ და, ვინმეს რაიმე პრეტენზია თუ გაქვთ, გვიჩივლეთო. მართლებიც იყვნენ, რადგან მათ ზურგს არამხოლოდ სახელმწიფოს რეპრესიული მანქანა და ძალოვანები, არამედ „საქპატენტის" მიერ გაცემული რეგისტრაციის მოწმობაც უმაგრებდა, რომელმაც დააკანონა ეს უკანონობა.** ამდენად, შესაძლოა, შპს „მეცხრე არხი ინფოს" ადმინისტრაციას ჰგონია, რომ „ინფო 9"-ის ცნობილი ლოგო მათი ექსკლუზიური საკუთრებაა, მაგრამ ეს ასე ნამდვილად არაა.

ერთი შეხედვით შეიძლება დაუჯერებლად მოგეჩვენოთ ეს ამბავი. ეს მართლაც წარმოუდგენელია, რადგან 1992 წლიდან რა პოლიტიკურ მოვლენებს არ ჰქონია ადგილი საქართველოში, მაგრამ „საქპატენტი", როგორც საპატენტო უწყება და ნახევრად სამეცნიერო დაწესებულება, ყოველთვის შორს იყო ამ მოვლენებისგან და ეს ასეც უნდა იყოს. მაგრამ, **როდესაც უკეთ გაეცნობით ბატონი ღვალაძის ბიოგრაფიას, გაარკვევთ, რომ ბოლო არჩევნებისას ის, როგორც „ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტი, პირადად იყო ჩართული „ნაციონალური მოძრაობის" საარჩევნო კამპანიაში ჭიათურაში, ყველაფერი თავის ადგილზე დადგება და საარჩევნო პროცესში დანაშაულებრივი ფორმით მონაწილის, უზნეობის და უტიფრობის ნიმუშის – ალისრტრახოს — მიმართ კანონის სრული იგნორირებისა და თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით გამოჩენილი კეთილგანწყობაც აღარ გაგიკვირდებათ.**

**თამბაქოს წარმოების სფერო — DAVIDOFF, CAMEL, PARLIAMENT, LUCKY STRIKE შემთხვევები. წინა ხელისუფლებასთან დაახლოებული კომპანიების „სტანდარტ ტობაკო" და „ჰარინგტონი" და საეჭვო რეპუტაციის ფიზიკური პირების ინტერესების ლობირების მიზნით ადგილი ჰქონდა და აქვს ამჟამადაც ისეთი მულტინაციონალური კომპანიების ინტერესების ფეხქვეშ გათელვას, როგორიც არის „დავიდოვი", „ბრიტიშ ამერიკან ტობაკო", „ჯაპან ტობაკო", „ფილიპ მორისი", „ბულგარ ტობაკო" და თამბაქოს სფეროში ძალიან ცნობილი ბრენდების „დავიდოვი", „ქემელი", „ვინსტონი", „ლაქი სტრაიკი" და სხვ. იმიტირებული ბრენდების რეგისტრაციას, როდესაც ნებისმიერი სახელმწიფოს ვალდებულებაა, არამხოლოდ არ დაუშვას ასეთი იმიტაციების რეგისტრაცია, არამედ აღკვეთოს მათი გამოყენება.** იმავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული გადაწყვეტილებების მიღება ხდებოდა დანაშაულებრივი გზით, „საქპატენტის" ზოგიერთი ყოფილი ექსპერტის სამსახურიდან დათხოვნის მუქარის იძულებით, რის შესახებაც მათ უკვე მიმართეს საქართველოს მთავარ პროკურატურას. ასე რომ, ამ და სხვა შეკითხვებზე ირაკლი ღვალაძესა და რამდენიმე სხვა პირს, ვშიშობ, გამოძიებისთვის მოუწევს პასუხის გაცემა. მეორე მხრივ, მას შემდეგ, რაც ზემოთ ნახსენები კომპანიები ვერაფერს გახდნენ „საქპატენტში", პრაქტიკულად გადაწყვეტილია, რომ მოხდეს მათი ძალისხმევის კონსოლიდაცია და ერთობლივი მიმართვა საქართველოს მთავრობისადმი.

**ირაკლი ღვალაძის პერიოდში „საქპატენტმა", როგორც ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმახორციელებელმა ადმინისტრაციულმა ორგანომ, ტოტალური კონტროლი აიღო სასამართლო სისტემაზე. ადმინისტრაციულ სასამართლოებზე არაფერს ვამბობთ, აქ ისედაც ცხადია, რომ სასამართლოები, უბრალოდ, აკანონებდნენ „საქპატენტის" იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ადმინისტრაციული წესით საჩივრდებოდა, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოლო სამი წლის „მიღწევას" წარმოადგენს სამოქალაქო საქმეებზე მისაღები გადაწყვეტილებებისა თუ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარების შეთანხმება „საქპატენტთან".** აღარაფერს ვამბობთ ამ ფორმით „საქპატენტის" მიერ სასამართლოებისთვის გაწეული „კონსულტაციარეკომენდაციების" შინაარსზე და სასამართლო განხილვების შედეგზე, რომელსაც ვიღებდით ასეთი „მართლმსაჯულების" განხორციელების გზით.

**სწორედ ასევე ხდებოდა „საქპატენტთან" შეთანხმებით იმ განცხადებების ბედის გადაწყვეტა, რომლებითაც ჩვენ წლების განმავლობაში უშედეგოდ მივმართავდით ფინანსურ პოლიციას კომპანიების — CONTINENTAL, GENERAL MOTORS და სხვათა უფლებების დაცვის მიზნით კონტრაფაქციული პროდუქციის გავრცელების აღკვეთის მოთხოვნით.** სამწუხარო ისაა, რომ ზემოთ აღწერილი უკანონო გზით მიღებული გადაწყვეტილებები ყოველთვის წინააღმდეგობაში იყო კანონთან და უმსხვილესი კომპანიების კანონიერ ინტერესებთან. ზემოთ მოყვანილი ნაბიჯების შედეგად, რაც პრაქტიკულად პირველი ერთი წლის განმავლობაში განხორციელდა, პირადად ირაკლი ღვალაძის თაოსნობით, **„საქპატენტი" მთლიანად ჩადგა სააკაშვილის პოლიტიკური სისტემის სამსახურში და აიღო კონტროლი მთელ დარგზე. პოლიტიკური ისტებლიშმენტისა და მასთან დაახლოებული ბიზნესის ლობირება, უკანონო გადაწყვეტილებების მიღება, საჩიროების შემთხვევაში სახელმწიფო რეპრესიული მანქანის მხარდაჭერა, სასამართლოს საქმიანობაში ჩარევა, პერმანენტული და საღ აზრს მოკლებული პიარი, ფინანსური სახსრების არამიზნობრივი ხარჯვა — ყველაფერი ეს „საქპატენტის" ყოველდღიურობად იქცა.**

შედეგმაც არ დააყოვნა: მნიშვნელოვნად შემცირდა განაცხადების რაოდენობა, უცხოური თუ ადგილობრივი კომპანიები უარს ამბობენ „საქპატენტის" გადაწყვეტილებათა გასაჩივრებაზე, საკუთარი ინტერესების დასაცავად ბრძოლაზე და, როგორც წესი, წყვეტენ ან ამცირებენ აქტივობის მასშტაბებს საქართველოს ტერიტორიაზე. დრამატულია, რომ ჩვენი ქვეყნისთვის გარდამტეხ მომენტში, როდესაც მთავრობას აღებული აქვს გეზი ახალი ტექნოლოგიების მოზიდვით საქართველოს ეკონომიკის ზრდაზე, ხოლო ჩვენი ქვეყანა უნდა ემზადებოდეს აღნიშნული ტექნოლოგიების სათანადოდ დანერგვისთვის, „საქპატენტის" თავმჯდომარესთან იმის გარკვევა ხდება, უნდა არსებობდეს თუ არა საქართველოში საპატენტო ექსპერტიზა.

**— რა შეიძლება ითქვას დასკვნის სახით?**

— დრო არ ითმენს. ინტელექტუალური საკუთრების სისტემის გამართული მუშაობის უპირველესი ნიშანია კანონზე დამყარებული პროგნოზირებადი გარემო, რომელშიც „საქპატენტის" პრაქტიკა და მის მიერ კანონის ინტერპრეტირება დაფუძნებული იქნება ამ სფეროში მოქმედ კანონთა მიზნებსა და ამოცანებზე, რითაც ადგილობრივი და უცხოელი განმცხადებლები დაცული იქნებიან „საქპატენტის" მიერ კანონის თვითნებური განმარტებებისგან. **უზრუნველყოფილ უნდა იქნას „საქპატენტის" დეპოლიტიზირება, უნდა დაინერგოს განგრძობადი განათლების სისტემა, რათა ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ეროვნული საპატენტო სისტემა არ ჩამორჩეს ტექნოლოგიური განვითარების სწრაფ ტემპებს, უნდა შეჩერდეს საქართველოს საპატენტო ექსპერტიზის სისტემის ნგრევა.** საქმე მართლაც ბევრია. პირველ რიგში კი უნდა გაიხსნას სივრცე დებატებისთვის. მე მსურს, რომ თქვენი გაზეთის მეშვეობით დებატებში გამოვიწვიო ირაკლი ღვალაძე და დავუდასტურო მას, რომ მზად ვარ, შევხვდე საჯაროდ, მისთვის მოსახერხებელ დროსა და ადგილას, რათა განვიხილოთ „საქპატენტში" მისი მოღვაწეობის შედეგები და საჯაროდ ვისაუბროთ დარგში დაგროვილ პრობლემებზე, მათ შორის მის მიერ შექმნილ პრობლემებსა და საფრთხეებზე. ინტელექტუალური საკუთრების სფეროს ირგვლივ სივრცის გახსნა შეუქცევადი პროცესია; მე და ბევრი ჩემი კოლეგა კი, რომლებმაც ჩვენი ცხოვრება სწორედ ამ დარგს დავუკავშირეთ, არ ვაპირებთ ამ დარგში შემთხვევით მოხვედრილი ხალხის მიერ დამკვიდრებულ უკანონობასა და თვითნებობასთან შეგუებას და გაუთავებელი პიარის სქელ ფარდას ამოფარებულ „საქპატენტის" ადმინისტრაციასთან კოაბიტაციას. ამდენად, იმედს გამოვთქვამ, რომ ირაკლი ღვალაძეს ეყოფა ვაჟკაცობა, მიიღოს ეს გამოწვევა.

ესაუბრა
**ლილი მიროტაძე**

(111) AM 2012 22857 R
(151) 2012 08 23
(181) 2022 08 23
(210) AM 068213
(220) 2012 08 07
(732) შპს „მეცხრე არხი ინფო"
300 არაგველის ქ. 1, 0144, თბილისი, საქართველო
(540)
INFO 9
(591) ლურჯი, ყვითელი
(531) 26.04.04-26.04.17-27.05.17-27.07.17-29.01.12-
(511)
38 – კავშირგაბმულობა (მომსახურება, რომელიც არსობრივად მდგომარეობს რადიო ან სატელევიზიო პროგრამების გადაცემაში)

(111) AM 2012 22860 R
(151) 2012 08 23
(181) 2022 08 23
(210) AM 068390
(220) 2012 08 16
(732) ი/მ „გიორგი ალთუნაშვილი"
ვარკეთილის მასივი, მე-4 მ/რ, II რიგი, კორპ.6, ბინა 144, 0177, თბილისი, საქართველო
(540)
INFO 9 com
(591) ყვითელი, ცისფერი
(531) 26.04.17-27.05.01-29.01.12-
(511)
38 – კავშირგაბმულობა.

**„2012 წლის 7 აგვისტოს შპს „მეცხრე არხი ინფომ" „საქპატენტში" სარეგისტრაციოდ წარადგინა თავისი ლოგო, რასაც უცნაურად დაემთხვა 16 აგვისტოს პრაქტიკულად იმავე ლოგოს სარეგისტრაციოდ წარდგენა გიორგი ალთუნაშვილის მიერ. ირაკლი ღვალაძემ რეგისტრაციაში გაუტარა მას ეს ლოგო, რითაც დაუკანონა ალისტრახოსა და მის თანამოაზრეებს „ინფო 9"-ის ლოგოს გამოყენება"**

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**POST-ის მონაცემების თანახმად, დაახლოებით ორი წლის წინ ცსს-მ მიიღო საუდის ხელისუფლების ნებართვა, აეშენებინა დრონების მზარდი იმპერიის ერთ-ერთი ბაზა სამეფოს ერთ-ერთ შორეულ რაიონში, უდაბნოში. მიზანი იყო მეზობელ იემენში „ალ ქაიდასთან" უკვე მიმდინარე ომის გაგრძელება.**



# სიშტერის შეთქმულება

**თქვენ, რა თქმა უნდა, შეგიძლიათ ისხდეთ, გაოცებისგან პირი დააღოთ და იფიქროთ იმაზე, თუ რამდენად უაზროდ მეორდება ამერიკის საგარეო და საშინაო პოლიტიკა ჩვენს დროში, ან გამოიყენოთ ფანტასტიკური ანალიტიკური გამონათქვამები მის ასახსნელად, ან დასჯერდეთ რამდენიმე მარტივ სიტყვას, რომლებიც ყველა ამერიკელის ლექსიკონშია — შტერები, სულელები, უტვინოები, თავცარიელები.**

## ცსს-ს უპილოტო საფრენი აპარატების საიდუმლო ბაზა — წარმოუდგენელი შედეგების სამყარო



ცოტა ხნის წინ გაჩნდა ინფორმაცია უპილოტო საფრენი აპარატების მიერ განხორციელებული სამაგალითო შტურმის შესახებ სულ რაღაც ერთი წლის წინ და ეს არ იყო ინფორმაციის გაჟონვა „თეთრი წიგნიდან", რომელიც დაადასტურებდა ამერიკის მოქალაქის თეთრი სახლის მიერ ნებადართულ მკვლელობას, ეს არ იყო იუსტიციის დეპარტამენტის ორი საიდუმლო „სამართლებრივი" სამახსოვრო იმავე საკითხზე, რომლის განხილვის ნებაც დართეს სენატის სადაზვერვო კომიტეტს, ოღონდ იმდენად გასაიდუმლოებულად, რომ მათ ვერ მოახერხეს, კითხვები დაესვათ პრეზიდენტის კონტრტერორიზმის „მეფის" და ცსს-ს მეთაურის თანამდებობის პრეტენდენტ ჯონ ო. ბრენანისთვის მის დანიშვნასთან დაკავშირებულ მოსმენებზე. და ამავე მოსმენებზე არაფერი უთქვამს თავად ბრენენს, ადამიანს, რომელიც აკონტროლებს პრეზიდენტის არჩეულ „შავ სიასაც", უპილოტო საფრენი აპარატების შეტევებსაც... და კიდევ უფრო გამაოგნებელია ის, რომ ამაზე ყველა უნდა წამოგებულიყო, მაგრამ ეს არც არავის შეუნიშნავს.

ცოტა ხნის წინ „ვაშინგტონ პოსტმა" გამოაქვეყნა სტატია რეპორტიორთა აღმოჩენის შესახებ, მაგრამ გაზეთი, სხვა გამოცემების (მათ შორის New York Times-ის) მსგავსად „საინფორმაციო შეთანხმების" გამო იძულებული გახდა, ობამას ადმინისტრაციის მოთხოვნის შესაბამისად, ამ აღმოჩენის კონფისკაცია მოეხდინა. ერთ წელზე მეტი ხნის შემდეგ და მხოლოდ იმის გამო, რომ Times-მა იმავე დღეს გამოაქვეყნა ეს ისტორია, Post-მაც გამოაქვეყნა სიახლე. ამ მომენტამდე რედაქტორები ასრულებდნენ თავიანთ პატრიოტულ ვალდებულებებს, რომლებიც ცსს-მა და თეთრმა სახლმა აღუძრეს და მალავდნენ ახალ ამბავს საზოგადოებისგან. მათთვის არ ჰქონდა მნიშვნელობა იმას, რომ პროექტი ღიად ექსტრემისტული იყო, რომ ისინი ვალდებულნი იყვნენ, ეგრძნოთ მისი დაუყოვნებლივ გამოქვეყნების ვალდებულება მყვირალა სათაურებით პირველ გვერდზე და ახსნა-განმარტებების მოთხოვნის დიდი სარედაქციო წერილით.

მეორე მხრივ, შეიძლება მიხვედრა, თუ **რატომ არჩიეს ცსს-მა და ობამას ადმინისტრაციამ, რომ ეს ისტორია არ გამოქვეყნებულიყო.** სხვა ყველაფერთან ერთად, იქ არაჩვეულებრივი შანსი იყო, ეს უკანასკნელნი არასასურველი სახით წარმოჩენილიყვნენ და ეს კიდევ უფრო სახიფათო იქნებოდა იმ ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც შეეძლო გაეხსენებინა ნებისმიერ უტვინოს, სახელისუფლო ბიუროკრატს ან მზვერავს. ამგვარმა სიტუაციამ ამერიკელები უნდა აიძულოს, დაფიქრდნენ, თუ რატომ უხდიან მილიარდობით დოლარს ცსს-ს იმდენად უგუნური იდეებისთვის, რომ მერე გასარკვევია, რაზე ფიქრობდნენ ცსს-ს ორი წინა დირექტორი ლეონ პანეტა და დევიდ პეტრეუსი, თუმცა ისიც საკითხავია, საერთოდ თუ ფიქრობდნენ რამეზე.

აქ უკვე ვახსენეთ აკრძალული სტატია და იმის გათვალისწინებით, თუ როგორ აორთქლდა ის, ალბათ ბევრმა არ იცის მის შესახებ. Post-ში სტატიის სათაური იყო შემდეგი: **„ბრენანის ნომინაცია ახორციელებს დამიზნებითი მკვლელობებისა და საუდის საიდუმლო ბაზის კრიტიკას".** სტატიის ძირითადი ნაწილი სათაურში გამოტანილ მეორე თემას ეხებოდა და სინამდვილეში ადგილი არ ჰქონია ბაზის არანაირ „კრიტიკას", რადგან მის შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი. გარდა ამისა, ეს ნაწილი მიჩქმალული იყო, ის პირველად სტატიის მეათე პარაგრაფში ახსენეს.

**POST-ის მონაცემების თანახმად, დაახლოებით ორი წლის წინ ცსს-მ მიიღო საუდის ხელისუფლების ნებართვა, აეშენებინა დრონების მზარდი იმპერიის ერთ-ერთი ბაზა სამეფოს ერთ-ერთ შორეულ რაიონში, უდაბნოში. მიზანი იყო მეზობელ იემენში „ალ ქაიდასთან" უკვე მიმდინარე ომის გაგრძელება.**

უპილოტო საფრენი აპარატების პირველმა მისიამ სტარტი 2011 წლის 30 სექტემბერს აიღო ამერიკის მოქალაქისა და „ალ ქაიდას" ერთ ერთი ლიდერის, ანვარ ალ-ავლაკის, მკვლელობით. მას შემდეგ, როგორც ჩანს, განხორციელდა მრავალი სასიკვდილო მისია და მათგან ყველა თუ არა, დიდი ნაწილი — იემენში, რაც, როგორც ცნობილია, განაპირობებს იემენელთა და ახალბედა ტერორისტთა სულ უფრო მეტ მრისხანებას.

ინფორმაციის კიდევ ერთი ნაწილი: ბრენანი არის პრეზიდენტის მარჯვენა ხელი ტერორიზმის, თეთრი სახლის სარდაფიდან უპილოტო საფრენი აპარატებით მკვლელობების ობამასეული პროგრამის საქმეში და მის კანდიდატურას სენატი ცალსახად მოიწონებდა ცსს-ს ახალი დირექტორის თანამდებობაზე. Post-ი იტყობინებოდა, რომ **ბრენანი საუდელებთან მჭიდრო კავშირში მუშაობდა ბაზის თაობაზე თანხმობის მიღების მიზნით. ამით დაიმსახურა ნდობა. და უნდა აღინიშნოს, რომ ცსს-ს რონალდ რეიგანის პრეზიდენტობის დროინდელი ცსს-ის შეფის, უილიამ კეისის, შემდეგ არ ჰყოლია დირექტორი, რომელსაც ესოდენ მჭიდრო კონტაქტები ექნებოდა პრეზიდენტთან.** სხვათა შორის, კეისმა თავის დროზე ავღანეთში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მიიღო გაზრდილი მხარდაჭერის, დაფინანსებისა და შეიარაღების სრული კეისი ნებისმიერი ისლამისტისთვის, რომლებიც კი მისი მხედველობის არეალში მოხვდებოდნენ.

**ჩალმარს ჯონსონი, როგორც წესი, ცსს-ს მოიხსენიებდა „პრეზიდენტის კერძო არმიად". ამიერიდან პრეზიდენტის ნდობით აღჭურვილი ბრენანის ხელში ეს ნამდვილად ასე იქნება.**

ალბათ, დროა, ამ უპილოტო საფრენი აპარატების საიდუმლო ბაზას ისტორიული კონტექსტი მიეცეს. კეისის ავღანური ომი დასაწყისისთვის ცუდი ნამდვილად არ იყო. არ დაგავიწყდეთ, საუბარია არა ახლანდელ ავღანურ ომზე, რომელიც, უკვე ,11 წელზე მეტია, მიმდინარეობს, არამედ დიდი ხნის დავიწყებულ ავღანეთის პირველ ომზე. იმ ომში ამერიკელები მუსლიმან ექსტრემისტებს იარაღით ამარაგებდნენ და მათი პრეზიდენტი მათ მოიხსენიებდა, როგორც „მამა-დამაარსებლების მორალურ ექვივალენტებს".

**ის ომი დაიწყო იმისთვის, რომ ცხვირში მუშტი მოხვედროდა საბჭოთა კავშირს. და როგორი იყო გატეხილი ცხვირი? საბჭოთა კავშირის გენერალურმა მდივანმა მიხეილ გორბაჩოვმა ამას „სისხლმდენი იარა" უწოდა და ორი წლის შემდეგ თავად საბჭოთა კავშირიც აღარ არსებობდა.**

საუბარია იმ ომზე, რომელსაც აშშ-ის პრეზიდენტ ჯიმი კარტერის ყოფილმა მრჩეველმა ნაციონალური უსაფრთხოების საკითხებში, **ზბიგნევ ბჟეზინსკიმ** მრავალი წლის შემდეგ ასეთი შეფასება მისცა: **„რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი მსოფლიოს ისტორიაში? თალიბანი თუ საბჭოთა იმპერიის კოლაფსი? ვიღაც შეშფოთებული მუსლიმანები თუ ცენტრალური ევროპის გათავისუფლება და ცივი ომის დასასრული?"**

ეს ყველაფერი უკვე ძველი ისტორიაა და მტკივნეულია იმის გახსენება ახლა, თუ როგორ არიან ჩაბმული „ალ ქაიდას" „მეტასტაზების" წინააღმდეგ უსასრულო გლობალურ ომში იგივე „შეშფოთებული მუსლიმანები" და ამერიკელები მაშინ, როდესაც ეს „მეტასტაზებად" დაქსაქსული ორგანიზაცია ავღანეთის პირველ ომში ამერიკელთა მოკავშირეებს შორის წარმოიშვა.

რას იტყვით იმაზე, რომ დავუბრუნდეთ ათი წლის მოგვიანებით დამდგარ კაშკაშა მომენტს: ამერიკელთა ტრიუმფი „1000-საათიან ომში", რომელშიც ვაშინგტონმა სამარცხვინოდ მოისროლა თავისი ყოფილი მოკავშირე, მოგვიანებით ჰიტლერის სუროგატად წოდებული სადამ ჰუსეინი და ნავთობით მდიდარ კუვეიტში შევარდნილი ერაყის არმია?

ეს 100 საათი, ყველა გაგებით, გართობა იყო. პრობლემებმა გამრავლება დაიწყო. ვიღაცებს სულაც არ ამხიარულებდათ ის ამბავი, რომ გრძელდებოდა უპილოტო ზონების მუდმივი პატრულირება და არც ერაყელი დიქტატორი აპირებდა სცენიდან წასვლას.

ეს ის თემაა, რომელიც, შესაძლოა, უმჯობესი იყოს ჩვენც ისევე გამოვტოვოთ, როგორც ამას ვაშინგტონი აკეთებს. მოდით, ამის ნაცვლად ყურადღება მივაქციოთ მომენტს, როდესაც ამ ომისთვის მზადებისას ამერიკის შეერთებული შტატების ჯარები თავდაპირველად, რატომღაც, საუდის არაბეთში ზღაპრულ გიგანტურ ფუნდამენტალისტურ სანავთობე რეზერვუარში აღმოჩნდნენ: როდესაც ზემოხსენებული 100 საათი გავიდა (სადამი კი დარჩა), ისინი არ წავიდნენ. პირიქით, ისინი ბაზებზე გადაბარგდ- ▶

---



## გარდაცვლილი ბავშვის მშობლებს, შესაძლოა, შვილების მეურვეობის უფლება შეუჩერონ

**ერთი წლის გოგიტა აბაშიძის გარდაცვალების ფაქტზე მოკვლევა დაიწყო.**

შიმშილის გამო წონის დეფიციტისა და განვითარებული პნევმონიის მიზეზით, ერთი წლის გოგიტა აბაშიძის გარდაცვალების ფაქტზე მოკვლევა ჯანდაცვის სამინისტრომ უკვე დაიწყო. ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე დავით ლომიძემ განაცხადა. იგი ბათუმში გარდაცვლილის მშობლებს და იმ მედპერსონალს შეხვდა, რომლებიც ბავშვს მკურნალობდნენ. მინისტრის მოადგილე ამბობს, რომ შემთხვევა კომპლექსურია და მოკვლევის შემდეგ გაირკვევა, რომელი უწყების პასუხისმგებლობის საკითხი დადგება.

გარდაცვლილი გოგიტა აბაშიძის მშობლებს, შესაძლოა, დანარჩენი შვილების მეურვეობის უფლება შეუჩერონ და ბავშვები მინდობით აღზრდაზე გადაიყვანონ. ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება და, როგორც გაეროს ბავშვთა ფონდის კომუნიკაციის პროგრამის ხელმძღვანელმა მაია ქურციკიძემ განაცხადა, მხოლოდ გამოძიების დასრულების შემდეგ იქნება შესაძლებელი მსჯელობა — გამართლებული იქნება თუ არა მშობლის უფლების ჩამორთმევა და კონკრეტულად ვისი პასუხისმგებლობის საკითხი დგას.

**კარგად შეხედეთ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედროებისა და მისი ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს უახლეს ბაზებს საზღვარგარეთ — მაგალითად, ნიგერიაში, მალისთან საზღვარზე და მარკერებით ადვილი იქნება პლანეტის შემდგომი დესტაბილიზაციის მარშრუტების გავლება. ტაქტიკური კურსის ყველა კარგად ცნობილი შეცვლა, რაც ყოველთვის ითვლებოდა მშვენიერ სტრატეგიულ შემობრუნებად, ძალის ახალი გამოყენებაა და „მეტასტაზებიც“ დღითიდღე იმატებს.**

მსოფლიო
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ნენ და გრძელვადიან ჩასაფრებაში გაიტრუნნენ. **ახლა, ალბათ, ყველა დაფიქრდა იმაზე, თუ რამდენად შეშფოთებული იქნებოდა საუდის სამეფო ოჯახის მდიდარი და ახალგაზრდა შთამომავალი და ავღანეთის ომის ვეტერანი ოსამა ბენ ლადენი და მისი ახალგაზრდა ორგანიზაცია „ალ ქაიდა“, როდესაც დაინახავდნენ ამ არამორწმუნეებს ქვეყანაში, სადაც მდებარეობს ყველაზე წმიდა ისლამური სამარხები და მოსალოცი ადგილები.**



აქედან უდავოდ მოჩანს „ალ ქაიდას“ მოკლე და შავბნელი ისტორია: მისი ძირითადი საქმიანობაა პერიოდულად აშშ-ში არჩეული სამიზნის წინააღმდეგ მოქმედებების განხორციელება იმ მოთხოვნების მხარდასაჭერად, რომ ამერიკულ ჯარებს დაეტოვებინათ სამეფო. თავდასხმების რიცხვში შედის ხობარის კოშკებზე თავდასხმაც საუდის არაბეთში, რომლის დროსაც, 1996 წელს, დაიღუპა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო საჰაერო ძალების 19 მომსახურე; აშშ-ის ორი საელჩოს განადგურება აფრიკაში 1998 წელს; USS Cole-ის აფეთქება იემენის პორტ ადენში 2000 წელს და თვით ის საოცარი დარტყმაც, ის ყბადაღებული 2001 წლის 11 სექტემბერი, როდესაც ბრმა წარმატებისა და კარგი დაგეგმარების წყალობით „ალ ქაიდამ“ მოახერხა, თვით ნიუ იორკის ცენტრში შეექმნა აპოკალიფსის რეალური სურათი.

ახლა გადავიდეთ ბრმა წარმატებიდან მარტივ და გასაგებ დაგეგმარებაზე. შურისძიების წყურვილით, ბუშის ადმინისტრაციამ ტერორთან „გლობალური ომი“ გამოაცხადა. საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის შენობების აფეთქებიდან ზუსტად ექვსი დღის შემდეგ ამერიკის მაშინდელმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს მისცა უპრეცენდენტო უფლებამოსილება, ეწარმოებინა ომი მთელი პლანეტის მასშტაბით.

იმ დროისთვის ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ უკვე წარმოადგინა გეგმა, რომლის სახელწოდებაც ძალიან შეეფერებოდა ფანტასტიკურ ფილმს: „შეტევების მსოფლიო მატრიცა“. ჟურნალისტ რონ სასკინდის თქმით, წიგნში „ერთი პროცენტის დოქტრინა“ გეგმა დეტალურად ასახავს ტერორისტების წინააღმდეგ ოპერაციების განხორციელებას მსოფლიოს 80 ქვეყანაში.

რა თქმა უნდა, ეს გარკვეულწილად სიგიჟეა. ბოლოს და ბოლოს „ალ ქაიდა“ ხომ არ იყო სახელმწიფო ან თუნდაც ნორმალური ორგანიზაცია, სინამდვილეში ის ძლივს არსებობდა. ამიტომ მის მთელ მსოფლიოში მოფანტული რაღაც ნაწილების წინააღმდეგ ომის გამოცხადება გარკვეულწილად არანორმალური და ფანტასტიკური ჟანრის დამახასიათებელი გადაწყვეტილება იყო. ამასთან, მომხდარისადმი ნებისმიერი სხვა დამოკიდებულება ამერიკაში მაშინვე დაცინვის საბაბი ხდებოდა. ამერიკელებმა თვალის დახამხამებაც კი ვერ მოასწრეს, რომ მათი ქვეყნის ჯარი ავღანეთში შეიჭრა.

**კიდევ ერთი დამაბრმავებლად ხანმოკლე და ტრიუმფალური კამპანიის შედეგად აშშ-ის სამხედრო პერსონალმა, ცსს-ის რეზიდენტურამ და აშშ-ის სამხედრო საჰაერო ძალების სამხედრო მოსამსახურეებმა ვაშინგტონური რაზმიდან პირველებმა გაიარეს მარშით ქაბულში და დაიწყეს იქ საფუძვლიანად განლაგება, ბაზების აშენება, ხანგრძლივი დროით დასარჩენად მზადება.** როგორც გაირკვა, ამერიკისთვის საკმარისი არ იყო მხოლოდ ერთი ომი ავღანეთში. და ამ ყველაფრიდან სულ ცოტა ხანში გაირკვა, რომ მხოლოდ ერაყიც არ იყო საკმარისი. **ამჟამად ამერიკა უკვე იმ ექსპრესში ზის, რომელიც მობიუსის ლენტზე მოძრაობს.**

**საუდის საიდუმლო ბაზასთან მიმართებაში მუდამ უნდა ვიქონიოთ მხედველობაში ის, რომ ერაყში შეჭრის სურვილში იმალებოდა მისწრაფება, ამერიკას ეპოვა ადგილი პლანეტის სანავთობე გულში, სადაც მიესალმებოდნენ პენტაგონს და მის მიერ „გრძელვადიანი ბანაკების“ აშენება-მოწყობას.**

მაშ ასე, 2003 წლის დასაწყისში ამერიკელი სამხედროები შევიდნენ გაძარცვულ ბაღდადში. 29 აპრილს რამსფელდმა პრინც სულთან ბინ აბდულ აზიზთან ერთად კონფერენცია მოიწვია. კონფერენცია საუდური ტელევიზიით გადაიცემოდა. რამსფელდმა კი გამოაცხადა, რომ აშშ გაიყვანდა თავის საბრძოლო ნაწილებს ქვეყნიდან. საუდის არაბეთში არანაირი გარნიზონები აღარ იქნებოდა, არასდროს!

ამერიკის შეერთებული შტატების ოპერაციები უნდა გადასულიყო კუვეიტში მდებარე ალ-უდეიდის ბაზაზე. სხვა დანარჩენთან მიმართებაში ერაყის მოხსენიების აუცილებლობა არ იყო.

ეს მოხდა ორი დღით ადრე, ვიდრე პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ავიამზიდით „Top Gun“-ის ტიპის გამანადგურებელს სან დიეგოდან გაგზავნიდა და გახმაურებული ლოზუნგით „მისია შესრულებულია“ ერაყში ძირითადი სამხედრო მოქმედებების დასასრულს გამოაცხადებდა.

ყველაფერი კარგია, რაც კარგად მთავრდება.

დანარჩენი ყველამ იცის.

მაგრამ არ იფიქროთ, რომ ამერიკის ხელისუფალნი დაუსრულებლად იმეორებენ შეცდომებს. სხვადასხვა ტაქტიკის გამოყენებით კონტრპარტიზანული ქმედებებით, სპეციალური დანიშნულების ძალებისა და უპილოტო საფრენი აპარატების საშუალებით იგივე მიზნები სხვა მეთოდებით ხორციელდება და ყველაფერი ძველებურადაა.

განმეორებითმა შეჭრებმა, ოკუპაციებმა, ინტერვენციებმა, ომებმა, უპილოტო საფრენმა აპარატებმა ძირითადი როლი შეასრულა დიდი ახლო აღმოსავლეთის დაშლაში და სულ უფრო დიდ როლს ასრულებს ჩრდილოეთ აფრიკაში.

**კარგად შეხედეთ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედროებისა და მისი ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს უახლეს ბაზებს საზღვარგარეთ — მაგალითად, ნიგერიაში, მალისთან საზღვარზე და მარკერებით ადვილი იქნება პლანეტის შემდგომი დესტაბილიზაციის მარშრუტების გავლება. ტაქტიკური კურსის ყველა კარგად ცნობილი შეცვლა, რაც ყოველთვის ითვლებოდა მშვენიერ სტრატეგიულ შემობრუნებად, ძალის ახალი გამოყენებაა და „მეტასტაზებიც“ დღითიდღე იმატებს.**

ბოლოს და ბოლოს დადგა დრო, საუდის არაბეთში მდებარე და უკვე ორი წლის მანძილზე გასაიდუმლოებული უპილოტო საფრენი აპარატების ბაზის შესახებ საუბრისა. შეიძლება ვინმემ ამ ქვეყანაში აშშ-ის ბაზების წინა ისტორიების გათვალისწინებით იკითხოს, **თუ რატომ მიესალმება სიამოვნებით ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ან ამერიკის ნებისმიერი ადმინისტრაცია იქ ამერიკის ახალი ავანპოსტის გახსნას.** როგორც ჩანს, ეს დაახლოებით იმგვარი რამაა, როგორიც კატისთვისაა ვალერიანი — მათ, უბრალოდ, არ შეუძლიათ შეჩერება.

რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვიცით, აშშ-ის ადმინისტრაციამ და ცსს-მ ისტორიის მიმართ მახსოვრობა დაკარგეს თუ, უბრალოდ, ხელიდან დაუსხლტათ ის, მაგრამ ვიცით, რომ საუდის არაბეთში კიდევ ერთი განლაგება ძალზე მიმზიდველი შესაძლებლობაა იმისთვის, რომ ამაზე უარი თქვან. **საუდის ბაზის გარეშე როგორ მოახერხებენ ყოველგვარი ოფლისღვრის გარეშე ხოცონ „ალ ქაიდას“ მომხრეები მეზობელ სახელმწიფოებში, რომლებზეც უკვე განახორციელეს შეტევები ჰაერიდან?!**



**საუდის არაბეთში კიდევ ერთი განლაგება ძალზე მიმზიდველი შესაძლებლობაა იმისთვის, რომ ყოველგვარი ოფლისღვრის გარეშე ხოცონ «ალ ქაიდას» მომხრეები მეზობელ სახელმწიფოებში, რომლებზეც უკვე განახორციელეს შეტევები ჰაერიდან?!**

მათ რომ უპილოტო საფრენი აპარატების მთელი ძლევამოსილების კონცენტრირება არ მოეხდინათ ბოევიკების (და მშვიდობიანი მოქალაქეების) განადგურებაზე რესურსებით მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ღატაკ ქვეყანაში, იემენში, ხომ ყველამ ვიცით, რომ „ალ ქაიდა“ ჩაუდგებოდა სათავეში ჯერ ახლოაღმოსავლურ ხალიფატს, შემდეგ კი მთელ მსოფლიოსაც.

გულწრფელად რომ ითქვას, არაფერი შეიძლება იყოს უფრო სულელური, ვიდრე ამ თამაშში ხელახლა ჩართვა. ამგვარი მოვლენები შესაძლებელს ხდის იმის გაგებას, თუ საიდან იღებს სათავეს შეთქმულების თეორიები — უბრალოდ, ჩვეულებრივ მსოფლიოში ადამიანებს არ შეუძლიათ იმის გაგება, რომ ვაშინგტონში „შტერი და უფრო შტერი“ ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

როდესაც საუბარია საუდის საიდუმლო ბაზაზე, სიმართლე რომ ითქვას, ეს, რა თქმა უნდა, შეთქმულების მსგავსად გამოიყურება, ოღონდ სიშტერის შეთქმულების მსგავსად. ბოლოს და ბოლოს ცსს-მ ნამდვილად მიზანმიმართულად დააარსა ეს ბაზა და თეთრმა სახლმა ნამდვილად მშვენიერ იდეად ჩათვალა. **მასმედიის საკვანძო რესურსების ქსელმა კი გადაწყვიტა, რომ არ ღირს ამერიკელი ხალხისთვის იმის მოყოლა, თუ რამდენად შტერულად მოქმედებს მათი ხელისუფლება.**

New York Times-ის მმართველმა რედაქტორმა ახსნა სტატიის გაზეთიდან ამოღება მასზე არც მეტი და არც ნაკლები „შენიშვნის“ იარლიყის დაწებებით. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორის თანამდებობაზე ბრენანის წარდგენის სახალხო მოსმენებისას კი სენატის იმ სადაზვერვო კომიტეტის წევრებიდან, რომლებიც გარკვეულწილად უნდა აკონტროლებდნენ ცსს-ს და აშშ-ის სხვა სადაზვერვო სამსახურებს, ერთმაც კი არ ჩათვალა საჭიროდ, იმ დროისათვის უკვე ახალ ამბად გახმაურებული საუდის ბაზის შესახებ თუნდაც ერთი კითხვა დაესვა ცსს-ს იმხანად მომავალი, ახლა უკვე რეალური დირექტორისთვის.

ამრიგად, ისტორია კვლავაც დაიმარხა. მდუმარება მართავს სიტუაციას. თუ მომავალში საპასუხო დარტყმას ექნება ადგილი, იმ საიდუმლო ბაზის აშენებისა და გამოყენების წყალობით, ამერიკელები ვერაფრით ვერ მოახერხებენ ამ ორი მომენტის ერთმანეთთან დაკავშირებას.

forum.polismi.org

## ვინ და რამდენი გადაიხადა ლევან კალაძის საქმის გამოძიების შეწყვეტისთვის?!

**ლევან კალაძის მკვლელობის საქმის გამომძიებელი ბათუ საღინაძე კანონიერ ქურდ ტარიელ ონიანს კალაძის გატაცებაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ სწორედ მისი მეცადინეობით აარიდეს იგი საქმის გამოძიებას.**

როგორც ბათუ საღინაძემ ტელეკომპანია „ობიექტივის“ ეთერში განაცხადა, ტარიელ ონიანმა მაშინდელი ხელისუფლების მაღალჩინოსნებს 2 მილიონი ევრო გადაუხადა, რათა კალაძის საქმის გამოძიებისთვის გამომძიებელი ჩამოეშორებინათ.

„საქმე დღითიდღე წინ მიიწევდა. ონიანმა ყველაფერი გააკეთა, რათა საქმის გამოძიებას ჩამოვეშორებინეთ. დანაშაულის ჩამდენთა ნაწილი ცნობილია, მაღლა მდგომნი კი კვლავ ჩრდილში რჩებიან“, — განაცხადა ყოფილმა პოლიტპატიმარმა, შს სამინისტროს ყოფილმა მაღალჩინოსანმა ბათუ საღინაძემ.

გამომძიებელი მისთვის ხელის შეშლაში ირაკლი ოქრუაშვილსაც ადანაშაულებს და მაღალჩინოსანთა ხუთეულზე საუბრობს, ესენი არიან: **მიხეილ სააკაშვილი, ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი, გიორგი ბარამიძე და ირაკლი ოქრუაშვილი არიან.**



დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკელები არასდროს ყოფილან აზროვნების მოყვარული ერი, მაგრამ ისინი ერთ რამეზე აუცილებლად უნდა დაფიქრდნენ: თუ სადამს არ ჰქონდა მასობრივი განადგურების იარაღი, თუ მას არ ჰქონდა შეხება 11 სექტემბრის ტერაქტთან, თუ ის არასდროს დასხმია თავს აშშ-ს, არ ემუქრებოდა ამერიკელებს და არ სურდა მათთან ომი, მაშ, რაღატომ იყო ერაყზე არაფრით პროვოცირებული თავდასხმა ნამდვილად სამართლიანი და ზნეობრივი ომი?**

# სადამ ჰუსეინის შურისძიება

**ათი წლის წინ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო ჯარები ერაყში შეიჭრნენ. და მაინც რა დიადი მიზნები ჰქონდა ოპერაციას „ერაყული თავისუფლება“? ეს მიზანი საყოველთაოდ ცნობილია: იმ ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის განადგურება, რომელიც სადამ ჰუსეინმა შეკრიბა, რათა არ გამოეყენებინა ის ამერიკისა და ამერიკელების წინააღმდეგ, ან არ გადაეცა ტერორისტული დაჯგუფება „ალ ქაიდასთვის“, რომელიც ჰუსეინის ანალოგიურად ამერიკის წინააღმდეგ მიმართავდა ამ შეიარაღებას.**



იყო სხვა მიზნებიც, მაგალითად, სადამისთვის სამაგიეროს გადახდა 11 სექტემბრის ტერაქტში მონაწილეობისთვის. ამერიკელებს ხომ აცნობეს, რომ ჰუსეინის აგენტები პრაღაში საიდუმლოდ შეხვდნენ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტში მონაწილე 19 თვითმკვლელი ტერორისტის უშუალო ლიდერს — მუჰამედ ატტას.

კიდევ ერთი მიზანი ბაღდადში დემოკრატიული რეჟიმის დამყარება იყო. ვაშინგტონის აზრით, ეს კატალიზატორი გახდებოდა ახლო აღმოსავლეთის სასწაულებრივი გარდასახვისთვის დესპოტების მიწიდან იმ დემოკრატიულ რეგიონად, რომელიც დასავლეთთან თანამშრომლობის სურვილით იქნებოდა აღსავსე.

**იმხანად ყველა არ ეთანხმებოდა ამ ომის აუცილებლობის იდეას. მაგალითად, ნაციონალური უშიშროების სამმართველოს ყოფილი ხელმძღვანელი ბილ ოდომი თვლიდა, რომ ჯორჯ ბუში შეიშალა. „ერაყში ომი, შესაძლოა, ამერიკის ისტორიაში ყველაზე საშინელ ისტორიულ კატასტროფად იქცეს“, — ამბობდა იგი.**

მიუხედავად ამგვარი წინააღმდეგობებისა, „შოკისა და საშინელებების“ რამდენიმეკვირიანი პერიოდის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულმა ძალებმა დაიკავეს ბაღდადი და ჩამოაგდეს სადამ ჰუსეინი, რომელიც გაიქცა, მაგრამ მალევე იპოვეს, დაიჭირეს და თავის მომხრეებთან ერთად გამოასალმეს სიცოცხლეს.

და, სხვათა შორის, ეს ხომ დიდი გამარჯვება იყო! მისია შესრულებულია!

მაგრამ, მიუხედავად ამ „ტრიუმფისა“, სულ მალე ამერიკამ აღმოაჩინა, რომ თავით გადაეშვა ახალ, გაუთვალისწინებელ ომში და 2006 წელს მრავალი ამერიკელისთვის საკვირველი გზით დამარცხების ზღვარზე აღმოჩნდა სუნიტებისა და შიიტების კონფლიქტის გამო. ამ კონფლიქტის მიზეზი გახდა ის, რომ ამერიკელებმა დაშალეს ერაყის არმია და ერაყის ისტორიაში პირველად ხელისუფლების სათავეში შიიტური რეჟიმი დააყენეს.

მაშინ ამერიკის შეერთებული შტატები სტრატეგიული კატასტროფისგან ერთადერთმა რამემ — გენერალ დევიდ პეტრეუსის ხელმძღვანელობით ერაყში ამერიკული ჯარების შემადგენლობის ზრდამ იხსნა.

თუმცა ერაყში ამერიკული შემადგენლობის ზრდამ ვერ იხსნა რესპუბლიკური პარტია, რომელიც ისეთი დაჟინებით მოითხოვდა ამ ომს, რომ **ამერიკელებმა ჩათვალეს, ისინი მოატყუეს, შეცდომაში შეიყვანეს და ტყუილების გზით ჩაითრიეს ამ ომში**. შედეგად პარტია დამარცხდა 2006 წლის არჩევნებზე კონგრესის ორივე პალატაში, ამ ომის მთავარი არქიტექტორი დინ რამსფელდი კი თანამდებობის გარეშე დარჩა.

ორი წლის შემდეგ ერაყის ომი და მისი ამგვარი შედეგები გახდა ერთ-ერთი ფაქტორი სუპერშევარდენის, ჯონ მაკკეინის, დამარცხების საქმეში და ამანვე მოუტანა გამარჯვება ილინოისის შტატის ახალგაზრდა სენატორს, რომელიც ომის წინააღმდეგ გამოდიოდა.

**მაშ ასე, რა შედეგებამდე მივიდა ამერიკა ერაყის ომის დაწყებიდან ათი წლის თავზე? როგორია ისტორიის ამჟამინდელი ვერდიქტი იმ ომთან მიმართებაში, რომელსაც ბუშის ომს უწოდებენ?**

**სადამმაც და მისმა შვილებმაც სრულად ზღვეს საკუთარი ცოდვების გამო, როგორც აღმოჩნდა, მათ არანაირი შეხება არ ჰქონდათ 11 სექტემბრის ტერაქტთან, აბსოლუტურად არანაირი, ეს ყველაფერი მხოლოდ სიცრუეზე აგებული პროპაგანდა აღმოჩნდა**

შედეგები მომაკვდინებელია: სამი მიზნიდან ვერც ერთი ვერ იქნა მიღწეული!

ამერიკელებმა ვერ იპოვეს ვერანაირი მასობრივი განადგურების იარაღი. მიუხედავად იმისა, რომ სადამმაც და მისმა შვილებმაც სრულად ზღვეს საკუთარი ცოდვების გამო, როგორც აღმოჩნდა, მათ არანაირი შეხება არ ჰქონდათ 11 სექტემბრის ტერაქტთან, აბსოლუტურად არანაირი, ეს ყველაფერი მხოლოდ სიცრუეზე აგებული პროპაგანდა აღმოჩნდა.

თუ ერაყში ამერიკელების შეჭრამდე ამ ქვეყანაში „ალ ქაიდა“ საერთოდ არ არსებობდა, ახლა ეს ტერორისტული ორგანიზაცია ერაყის მთელ ტერიტორიაზე მოქმედებს. თუ ადრე ერაყი არაბი სუნიტების სავანე იყო და ამ სუნიტებს ირანთან კონფლიქტი ჰქონდათ, ახლა ერაყი შიიტური ნახევარმთვარისა და ირანული ჰეზბოლას მხარეს იხრება.

**რამდენი ადამიანი და რა სახსრები შეეწირა ამერიკის მესოპოტამიურ თავგადასავლებს? 4500 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა, 35 000 დაიჭრა.** აი, რას წერს ამერიკელთა დანაკარგების შესახებ Wall Street Journal-ი:

**„ერაყში ომის ათწლედი ამერიკას 1,7 ტრილიონი დოლარი დაუჯდა, ბრაუნის უნივერსიტეტთან არსებული უოტსონის საერთაშორისო კვლევების ინსტიტუტის მონაცემთა მიხედვით. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე საბრძოლო მოქმედებებში დაიღუპა 134 000 ერაყელი მშვიდობიანი მოქალაქე. ამასთან 500 მილიარდ დოლარს შეადგენს ერაყის ომის ამერიკელი ვეტერანებისთვის ჯერ კიდევ გადაუხდელი დახმარება და ეს თანხა მომავალ 40 წელიწადში 6 ტრილიონ დოლარს გადააჭარბებს“.**

**ერაყის ომმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამერიკის გაკოტრების საქმეში. რაც შეეხება 134 000 დაღუპულ მშვიდობიან მოქალაქეს, ეს ნიშნავს, რომ ახლა ერაყში ცხოვრობს 500 000-ით მეტი ქვრივი და ობოლი, ვიდრე ამ ომამდე**

გარდა ამისა, **ერაყის ომმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამერიკის გაკოტრების საქმეში.**

რაც შეეხება 134 000 დაღუპულ მშვიდობიან მოქალაქეს, ეს ნიშნავს, რომ **ახლა ერაყში ცხოვრობს 500 000-ით მეტი ქვრივი და ობოლი, ვიდრე ამ ომამდე და ადვილი წარმოსადგენია, თუ რას ფიქრობენ ისინი ამერიკელებზე.**

ცოტა ხნის წინ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, **ყოველი სამი ერაყელიდან ორი თვლის, რომ ისინი გაცილებით უსაფრთხო მდგომარეობაში არიან მას შემდეგ, რაც ამერიკელი სამხედროები წავიდნენ მათი ქვეყნიდან.**

გარდა ამისა, წარსულს ჩაბარდა ამერიკის ოდესღაც უმწიკვლო რეპუტაცია. ადრე არასდროს ჰქონიათ არაბებსა და მუსლიმანებს ამერიკელებისადმი უფრო ცუდი დამოკიდებულება, ვიდრე ახლა აქვთ. რაც შეეხება ამერიკელი სამხედროების რეპუტაციას, რამდენი წელი უნდა გავიდეს, რომ აშშ-ის შეიარაღებული ძალები ადამიანებისთვის აღარ ასოცირდებოდეს აბუ გრეიბისა და გუანტანამოს ციხეებთან, წყლით წამებასთან?

რაც შეეხება ერაყის ქრისტიანულ უმცირესობებს, მათ ამერიკის იმედი ჰქონდათ, მაგრამ ისინი გაძარცვეს, რის გამოც მრავალი მათგანი იძულებული გახდა, სამუდამოდ დაეტოვა მშობლიური ქალაქი.

**ამერიკელები არასდროს ყოფილან აზროვნების მოყვარული ერი, მაგრამ ისინი ერთ რამეზე აუცილებლად უნდა დაფიქრდნენ: თუ სადამს არ ჰქონდა მასობრივი განადგურების იარაღი, თუ მას არ ჰქონდა შეხება 11 სექტემბრის ტერაქტთან, თუ ის არასდროს დასხმია თავს აშშ-ს, არ ემუქრებოდა ამერიკელებს და არ სურდა მათთან ომი, მაშ, რაღატომ იყო ერაყზე არაფრით პროვოცირებული თავდასხმა ნამდვილად სამართლიანი და ზნეობრივი ომი?**

ახლა ეს საკითხი განსაკუთრებულად მწვავედ დგას, რადგან ერაყში ომის დაწყების ენაწყლიანი მომხრეები, რომლებიც 10 წლის წინ ამ ომისკენ მოუწოდებდნენ ყველას, **ახლა ირანთან ომის დაწყებას ითხოვენ იმავე ლოგიკითა და ენთუზიაზმით. მიზანი — ჩამოართვან ირანს მასობრივი განადგურების იარაღი, რომელიც, როგორც 16 სადაზვერვო სამსახური ირწმუნება, ირანს არც აქვს და არც ახლო მომავალში ექნება.**

ახლანდელი თაობა დიდი ზესახელმწიფოს დაცემის მომსწრე გახდა. ერაყის მაგვარი კიდევ ერთი გამარჯვება და ამერიკას ბოლო მოეღება.

პატრიკ ბიუკენენი, ავტორი წიგნისა „ზე სახელმწიფოს თვითმკვლელობა: მიაღწევს თუ არა ამერიკა 2025 წლამდე?“

**The American Conservative**





**თუ ისეთი ისტორიები, როგორსაც მაკსუეინი ყვება, მართალია და ექსპერტი ბიჭების დაცხრილვის ნივთმტკიცებებს იპოვის, დოზირის სკოლა დანაშაულის ჩადენის ადგილად იქცევა და ფლორიდის ხელისუფლება იძულებული გახდება, ჩაატაროს გაცილებით უფრო საგულდაგულო გამოკვლევა, რომელსაც, შესაძლოა, სამართლებრივი დევნა მოჰყვეს.**

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ფლორიდის ბავშვთა საკონცენტრაციო ბანაკის საიდუმლოებები

**ექსკავატორებმა 50 გვამი აღმოაჩინეს მოზარდი ბიჭებისთვის განკუთვნილ იმ პენიტენციალური დაწესებულების ქვეშ, რომელიც მხოლოდ 2010 წელს დაიკეტა. მრავალი წლის მანძილზე დოზირის სკოლაში არავინ იცოდა კამპუსის საზღვარზე მდებარე ტყეში არსებული სამარხის თაობაზე. ეს დახურული ტერიტორია იყო და იქ შესვლის უფლება ჩვეულებრივ მოკვდავებს არ ეძლეოდათ. ეს მიწა, რომელზეც ახლა მხოლოდ ჭიანჭველები დარბიან, უფრო მეტ საიდუმლოს ინახავს, ვიდრე პატარა ბიჭების გვამებია. და მხოლოდ ახლა იწყებს ის თავის შემზარავ საიდუმლოებებზე ხმამაღლა ლაპარაკს: სახელმწიფოს მიერ ნებადართულ ველურობაზე, რომელიც ფიზიკურ დასჯას, სექსუალურ ძალადობას და, როგორც გაირკვა, მკვლელობებსაც მოიცავდა.**



ის, რომ არტურ ჯი დოზირის სკოლა — ბიჭებისთვის განკუთვნილი პენიტენციალური დაწესებულება, რომელიც 1900 წელს დაარსდა, კურორტი არ იყო, დიდი ხნის წინაც ბევრმა იცოდა. ბიჭებს ჯაჭვებით კედლებზე აბამდნენ, ხშირად სცემდნენ ტყავის ქამრებით, პირველ ათწლეულში კი ბავშვებს მონურ მუშაობას აიძულებდნენ აგურის დასამზადებელ და საბეჭდი პრესების ქარხნებში. 2011 წლიდან, მას შემდეგ, რაც სკოლა როგორც იქნა დაკეტეს, როგორც ფედერალური ხელისუფლების, ასევე შტატის ხელისუფლების მხრიდან დამოუკიდებელი გამოძიების ობიექტი გახდა.

მას შემდეგ, რაც გაჩნდა ეჭვი დამარხული ბავშვების გარდაცვალების მიზეზებთან დაკავშირებით, ხელისუფლებაზე გაძლიერდა ზეწოლა მოთხოვნით, გამოეაშკარავებინათ ფლორიდის შტატის სპეციფიკურ ტერიტორიაზე მდებარე ქალაქ მარიანში მდებარე სკოლის შესახებ ყველაზე საგულდაგულოდ მიჩქმალული ბნელი საქმეები. ქალაქი მარიანი სპეციფიურია იმიტომ, რომ ეს ტეროტორიები ოდესღაც კუ-კლუკს-კლანის სამფლობელო იყო და სწორედ აქ გაასამართლეს ლინჩის წესით კლოდ ნილი. **ხელისუფლებაზე ზეწოლას ახდენდნენ სკოლის ყოფილი და სასწაულებრივად გადარჩენილი რამდენიმე პატიმარი, იქ დახოცილი ბავშვების ნათესავები და ფლორიდის წამყვანი სენატორი ბილ ნელსონი.**

„არ არსებობს კვამლი ცეცხლის გარეშე", — განაცხადა სენატორმა ნელსონმა ერთი თვის წინ და მიმართა შტატის ხელისუფლებას თხოვნით, შეაჩერონ სკოლის საკუთრებაში მყოფი 1400 აკრი მიწის გაყიდვა, რათა სამხრეთ ფლორიდის უნივერსიტეტის სასამართლო ანთროპოლოგების ჯგუფს დაესრულებინა სკოლის ტერიტორიაზე აღმოჩენილი სამარხების კვლევა, რომელიც გასულ წელს დაიწყო. მას სურს, რომ ყველა აღმოჩენილი გვამის ვინაობა დადგინდეს და ნათესავებს დაუბრუნდეს.

ამ დრომდე ჯგუფმა, რომელსაც სათავეში ერინ კიმერი უდგას, საკუთარი მუშაობა მხოლოდ ერთ დროს საიდუმლო სასაფლაომდე შეზღუდა. ცნობილია, რომ 1914-დან 1973 წლამდე სკოლაში 98 ბიჭი მოკვდა. გასული წლიდან **პროფესორმა კიმერლმა აქამდე უცნობი სამარხი იპოვა, გარდა იმ 31 საფლავისა, რომლებზეც ფოლადის მილების ჯვრები იდგა. საერთო ჯამში ეს 50 საფლავს შეადგენს, კიდევ სადღაც ახლოს 48 საფლავი უნდა იყოს. ეს იმ შემთხვევაში, თუ ვივარაუდებთ, რომ ყველა გვამს ცალკე საფლავში აგდებდნენ.**

**„ამან ჩვენს მოლოდინს გადააჭარბა, — ამბობს პროფესორი. — ჩვენი მიზანი ისაა, რომ გავარკვიოთ, ვინ იყვნენ ეს ბავშვები, რა დაემართათ".**

ოფიციალურად ყველა ბავშვი უბედური შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა. ეს უბედური შემთხვევები იყო ხანძრები, დახრჩობა ან რაღაც ამდაგვარი, რაც, ცხადია, ანთროპოლოგებს არ აკმაყოფილებს და საზოგადოებასაც ეჭვს უჩენს. პროფესორს მაგალითად მოჰყავს ერთ-ერთი ბავშვი ბილი ჯექსონი, რომელსაც გარდაცვალების მიზეზად თირკმლის უკმარისობა დაუფიქსირეს. მაგრამ არსებობს პატაკი, რომელშიც წერია, რომ ბავშვი გარდაცვალებამდე ორი კვირით ადრე ცემის გამო საავადმყოფოში მოხვდა.

**ახლა ეჭვი აღარავის ეპარება, რომ ფლორიდის სკოლის ტერიტორია ფლორიდაში ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო ადგილია და ეს იმ ადამიანების დამსახურებაა, რომლებიც საკუთარ თავს „თეთრი სახლის ბიჭებს" უწოდებენ. სწორედ ასეთი ფერის იყო ნაგებობა, რომელშიც დოზირის სკოლაში ბავშვებს სჯიდნენ. სკოლის ყოფილმა გადარჩენილმა „აღსაზრდელებმა" ათი წლის წინ დაიწყეს ერთმანეთის ძებნა. წიგნში „თეთრი სახლის ბიჭები — ამერიკული ტრაგედია" ავტორი როჯერ დინ კაიზერი ამ სკოლაში თავისი ყოფნის პერიოდს აღწერს და სკოლას ბავშვების საკონცენტრაციო ბანაკს უწოდებს.**

**ახლა ეჭვი აღარავის ეპარება, რომ ფლორიდის სკოლის ტერიტორია ფლორიდაში ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო ადგილია და ეს იმ ადამიანების დამსახურებაა, რომლებიც საკუთარ თავს «თეთრი სახლის ბიჭებს» უწოდებენ. სწორედ ასეთი ფერის იყო ნაგებობა, რომელშიც დოზირის სკოლაში ბავშვებს სჯიდნენ**

კიდევ ერთი მსხვერპლი რუბერტო სტრელი თავის ვებსაიტზე წერს, რომ სკოლაში 13 წლის ასაკში მიიყვანეს და ახლაც შიშით იხსენებს ცალხელა ტროი ტიდუელს, რომელმაც პირველივე დღეს სასტიკად სცემა. მისი თქმით, ზედამხედველებს განსაკუთრებულად 11 წლამდე ბავშვების ცემა უყვარდათ, რადგან მათი მხრიდან შურისძიებისა არ ეშინოდათ. ამიტომაც ყველაზე პატარებს ბევრად უფრო მეტი განსაცდელი ელოდა იქ, ვიდრე მოზრდილებს.

ქალაქ მარიანის მკვიდრნი, განსაკუთრებით ასაკოვანნი, იხსენებენ, რომ სკოლის მეწალე ბავშვების საცემად ტყავის ქამრებს კერავდა, რომ სკოლიდან გაქცეულ და დაჭერილ ბავშვებს სასტიკად აწამებდნენ და ამ ყველაფერში პოლიცია საერთოდ არ ერეოდა.

42 წლის ტომ მაკსუეინი მუშაობს ცხოველების სადგომში, რომელიც სკოლის ზედამხედველების ერთ-ერთ ყოფილ კოტეჯშია განთავსებული, და ეს ისტორიები კარგად იცის. მისი თქმით, ყველაზე საშინელი ის ღამე იყო, როდესაც ზედამხედველებმა მძინარი ბავშვები გააღვიძეს, იარაღი დაურიგეს, მინდორში გაიყვანეს და უბრძანეს, ესროლათ ყველაფრისთვის, რასაც კი მოძრავს შენიშნავდნენ.

70 წლის ჯონი იუვენალური იუსტიციის სტუდენტი იყო, როდესაც ამ დაწესებულებას ეწვია დაახლოებით 1965 წელს. „მათ დამათვალიერებინეს საძინებელი, რომელშიც ბავშვების საწოლები ერთმანეთზე მიჯრით იყო დალაგებული. იქ 50-მდე ბავშვი იყო და არც ერთი არ გამოიყურებოდა ჯანმრთელად. ვიცოდი, რომ ეს დარღვევა იყო", — იხსენებს იგი და შემდეგ დასძენს: „დარწმუნებული ვარ, იქ იყო სექსუალური ძალადობის შემთხვევები ბავშვებთან მიმართებაში. ამ ძალადობას ახორციელებდნენ როგორც სხვა ბავშვები, ასევე დაწესებულების თანამშრომლები".

მრავალი წლის შემდეგ, მუშაობდა რა ფლორიდის იუვენალური იუსტიციის სისტემაში, მისტერ ტროტი ყოველწლიურად პირადად მიდიოდა დოზირის სკოლაში. ახლა მარიანში პენსიით ცხოვრობს და იხსენებს ყველაფერს, რაც ამის შესახებ იცის. უფრო სერიოზულ ბრალდებებზე თანხმობის მიცემა უძნელდება. მისი თქმით, ვერ უარყოფს, რომ ბავშვებს ქამრებით სცემდნენ, მაგრამ არ შეუძლია მკვლელობაში დაადანაშაულოს ვინმე, თუმცა არც ის შეუძლია დაამტკიცოს, რომ ამ დაწყევლილ ადგილას ბავშვებს არ ხოცავდნენ.

**პროფესორი კიმერლი აპირებს, გააფართოოს ძებნის სამუშაოები მომცრო ზომის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიებზე. ასევე იგი იბრძვის ნებართვისთვის, რომ განახორციელოს ეგსგუმაცია და გვამები შტატის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზას გადასცეს. თუ ისეთი ისტორიები, როგორსაც მაკსუეინი ყვება, მართალია და ექსპერტი ბიჭების დაცხრილვის ნივთმტკიცებებს იპოვის, დოზირის სკოლა დანაშაულის ჩადენის ადგილად იქცევა და ფლორიდის ხელისუფლება იძულებული გახდება, ჩაატაროს გაცილებით უფრო საგულდაგულო გამოკვლევა, რომელსაც, შესაძლოა, სამართლებრივი დევნა მოჰყვეს.**

მანამდე კი მიზანი გვენ ვარხედოს მსგავსი ბავშვების დახმარებაა. მისი ბიძა ტომი 1934 წლის 22 სექტემბერს მოხვდა დოზირის სკოლაში და იმავე წლის ოქტომბერში გარდაიცვალა. დედისთვის ორი კვირის შემდეგ გაგზავნილი წერილი ადრესატამდე ძალიან გვიან მივიდა საიმისოდ, რომ ნათესავთაგან ვინმეს დაკრძალვისთვის ჩაესწრო. გვიანი იყო კითხვების დასმაც. გარდაცვალების ოფიციალურ მიზეზად პნევმონია და ანემია დაფიქსირდა. „როგორ შეიძლებოდა, რომ არაჩვეულებრივი ჯანმრთელობის ბავშვი, რომელიც მოხვდა საშუალოდ 29-გრადუსიანი ტემპერატურის პირობებში, 35 დღის მანძილზე პნევმონიით გარდაცვლილიყო?" — კითხულობს გვენი.

არავინ იცის, სადაა დამარხული ტომ ვარხედო.

რობერტ სტრელი დოზირის სკოლაში 1963 წელს სახლიდან გაქცევის გამო გაგზავნეს. ის მაშინ 13 წლის იყო და, როგორც ახლა იხსენებს, პირველივე კვირა დღეს უბედურება შეემთხვა.

„მაშინ 47 კილოგრამს ვიწონიდი. ერთ დღეს მივუახლოვდი ბიჭების ჯგუფს, რომელიც გასაქცევად ემზადებოდა. მე დაღლილი ვიყავი გაქცევებით და ვფიქრობდი, რომ ეს არც ისე ცუდი ადგილია. ბიჭებს ვუთხარი, მე აქ ვაპირებ დარჩენას-მეთქი. მაგრამ ვიღაცამ ეს საუბარი მოისმინა და დაგვაბეზღა. დაახლოებით რვა საათისთვის ზედამხედველმა ტროი ტიდუელმა თეთრ სახლში წაგვიყვანა. მათ კარი გააღეს და კედლის პირდაპირ დაგვამწკრივეს. შემდეგ სამრეწველო ვენტილატორი ჩართეს, რომ ბიჭების ყვირილის ხმა დაეხშოთ.

მე ბოლოში აღმოვჩნდი. მანამდე არასდროს გამეგონა, რომ ვინმეს ასე ეყვირა აუტანელი ტკივილისგან და ეს საშინელება იყო. როდესაც ბიჭები გამოდიოდნენ, თვალები გაშეშებული ჰქონდათ, თავები — დახრილი. როდესაც ჩემი რიგი დადგა, უკვე შოკში ვიყავი. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რომ ასეთი რამ შესაძლებელია.

როდესაც შევედი, ერთადერთი საწოლი დამხვდა, დასვრილი ლეიბით. მიბრძანეს, დავწოლილიყავი და ხელი არ გამეშვა საწოლის საზურგისთვის. მაგრამ მე გავუშვი, რადგან აუცილებლად უნდა დამენახა, რით მცემდნენ. როდესაც მოვიხედე, ორი მამაკაცი ზემოდან დამახტა, ხელები და ფეხები დამიჭირა და კიდევ 10 დარტყმა მივიღე. მაგრამ დავინახე ქამარი, რომელიც სიგანეში დაახლოებით ოთხი დიუმი იქნებოდა, სისქეში კი ერთ დიუმზე ნაკლები. ორმაგ ნაკერში დატანებული იყო მეტალის ფირფიტა და ის ისეთივე სიმძიმის იყო, როგორიც ბეისბოლის ჯოხია.

თუ გავიქცეოდით, ამ ქამრით 100 დარტყმას მივიღებდით. არასდროს დამავიწყდება ერთი ბიჭი, რომელიც დაახლოებით 15 წლის იქნებოდა. მათ ფაქტობრივად გაატყავეს იგი ზურგის ქვედა ნაწილში. ეს ძალიან ჰგავდა ჰამბურგერისთვის გამზადებულ ხორცს.

independent.co.uk

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2004 წლიდან ერთიმეორის მიყოლებით თავდაცვის მინისტრებად ინიშნებოდნენ უზომოდ ამბიციური, მაგრამ სამხედრო საკითხებში სრულიად არაკომპეტენტური პიროვნებები, რომლებიც სრულიად გულგრილები აღმოჩნდნენ ოფიცერთა ბედისადმი. მათ ძველი კადრები დაითხოვეს, სამხედრო კათედრები გააუქმეს და შემდეგ კადეტთა კორპუსი და სამხედრო აკადემიაც მიაყოლეს. დარჩა ჯარი ტრადიციების, ცოდნისა და გამოცდილების მქონე კადრების გარეშე.**

# კონსტიტუციის 50-ე მუხლს პრეზიდენტი გამოჰყავს ფსიქიკურად დაავადებულ ადამიანად, ხოლო პარლამენტი დასცინის მას

## საპარლამენტო უმცირესობის ლიდერს, ბატონ დავით ბაქრაძეს

**მოგესალმებით. თქვენი პარლამენტის თავმჯდომარეობის დროს ოთხჯერ მოგმართეთ წერილობით (№2482 — 3.02.2009 წ.; №6146 — 9.03.2009 წ.; №6179 — 9.03.2009 წ.; №3981 — 5.04.2011 წ.) და არც ერთხელ პასუხი არ მიმიღია. პასუხები არ მიმიღია არც თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის სახელზე გაგზავნილ წერილზე (№29780 — 23.12.2010 წ.) და არც იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარისგან (№3224 — 22.03.2012 წ.).**

**ბოლოს დავრწმუნდი, რომ წერილებზე პასუხგაუცემლობა თქვენთან წესად ყოფილა დამკვიდრებული; ვცდებოდი, რომ მოგმართავდით.**

**ამ წერილებში გიზიარებდით ჩემს მოსაზრებებს კონსტიტუციის 50-ე, 73-ე, 87-ე, 100-ე მუხლებისა და კანონების — „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“.**

**მათში აღვნიშნავდი, რომ ეს დოკუმენტები შედგენილია სამხედრო საქმეში ჩაუხედავი პირების მიერ სამხედრო ხელოვნების, კანონებისა და წესდებების სრული იგნორირებით და ხშირად ისინი წარმოადგენს უცხო ქვეყნების დაზვერვებისთვის ღია, საიმედო და უფასო საინფორმაციო წყაროებს ჩვენი ქვეყნის და შეიარაღებული ძალების მდგომარეობისა და შესაძლებლობების შესაფასებლად.**

**არ დამიმალავს, რომ 26 წელი ვმსახურობდი დაზვერვის მთავარი სამმართველოს სისტემაში და ბოლო 10 წელიწადი — ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის დაზვერვის სამმართველოში.**



**ბატონო დავით!**

2004 წლის თებერვალში პარლამენტმა ძირითადი კანონის 50-ე მუხლში შეიტანა დამატება მე-3' პუნქტის სახით, სადაც წერია, რომ:

**„...საომარი მდგომარეობა უნდა გაუქმდეს, თუ პარლამენტი შეკრებიდან 48 საათში არ დაამტკიცებს საომარი მდგომარეობის გამოცხადების (გაგრძელების) შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულებას...“**

და, თუ აქ მოვიშველიებთ კონსტიტუციის 73-ე მუხლის 1.8 ქვეპუნქტის მოთხოვნასაც, გამოდის, რომ **პრეზიდენტს შეუძლია, დაუზუსტებელი ინფორმაციის საფუძველზე, ერთპიროვნულად ქვეყანაში გამოაცხადოს საომარი მდგომარეობა, არ იჩქაროს** (ან შეიძლება დაავიწყდეს ამის შესახებ) **და მხოლოდ ორმოცდამერვე საათს შეიტანოს თავისი გადაწყვეტილება პარლამენტში დასამტკიცებლად, და თითქოს არაფერი არ მომხდარა, ეს ორგანოც არ ჩქარობს პრეზიდენტის გადაწყვეტილების განხილვას და მასაც შეუძლია მხოლოდ ორმოცდამერვე საათს შეკრებიდან** (ე. ი. 96 საათის შემდეგ საომარი მდგომარეობის გამოცხადებიდან) **მიიღოს გადაწყვეტილება: დაამტკიცოს თუ გააუქმოს პრეზიდენტის ბრძანებულება.**

თუ „მოდელირებული ქრონიკის“ გახმოვანებამაც კი (რომელიც ერთ საათში დამთავრდა „პრეზიდენტის გაუჩინარებით და ხალხის მიერ ძალაუფლების ხელში აღებით“) მოსახლეობაში გამოიწვია გარკვეული პანიკა და მსხვერპლიც კი, წარმოვიდგინოთ, თუ რას მოიმოქმედებენ ადამიანები, რომლებსაც ყოველ ორ საათში ერთხელ მაინც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ატყობინებენ, რომ საქართველოზე მოხდა შეიარაღებული თავდასხმა და ქვეყანაში გამოცხადებულია საომარი მდგომარეობა.

ძნელი წარმოსადგენია, რაც მოხდება. ვითარების ასეთი განვითარებისთვის მოსახლეობა ხომ სრულიად მოუმზადებელია. ეს ქვეპუნქტი არა მარტო „ცეცხლს“, „ომსაც“ ეთამაშება, თუ გავითვალისწინებთ რუსეთის კონსტიტუციის მოთხოვნებს:

**„რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ აგრესიის ან აგრესიის უშუალო საფრთხის შემთხვევაში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ან მის ცალკეულ ადგილებში აცხადებს საომარ მდგომარეობას და ამის თაობაზე დაუყოვნებლივ ატყობინებს ფედერაციის საბჭოს და სახელმწიფო სათათბიროს“.** (მ. 87, პ. 2).

ამ ჩანაწერით სავსებით შესაძლებელია, რომ ჩვენთან საომარი მდგომარეობის გამოცხადება რუსეთმა შეიძლება მიიღოს როგორც მის წინააღმდეგ „აგრესიის უშუალო საფრთხე“ და მერე, ვინ იცის, რას მოიმოქმედებს;

გვჭირდება კი ჩვენ ვითარების ასეთი განვითარება?

**რას ნიშნავს ქვეყანაში საომარი მდგომარეობის გამოცხადება და მერე მისი გაუქმება?** ეს ხომ „მოდელირებული ქრონიკა“ არაა, რომ ასე მარტივად დასრულდეს ეს სახიფათო „თამაში“. ან როგორ მოგწონთ იგივე 50-ე მუხლის მე-3' პუნქტის მოთხოვნა პრეზიდენტის მიერ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში:

**„...თუ პარლამენტი არ შეიკრიბება 5 დღის განმავლობაში ან არ დაამტკიცა (გააგრძელა) საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების (გაგრძელების) შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულება, მაშინ გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა უქმდება...“**

ე.ი. ისევ გამოდის, რომ **პარლამენტი პრეზიდენტს არ ენდობა და მის გადაწყვეტილებას იგნორირებას უკეთებს** — შეუძლია 5 დღის განმავლობაში საერთოდ არ შეიკრიბოს ან, თუ შეიკრიბება, გააუქმოს ეს გადაწყვეტილება. რა ქნას ამ შემთხვევაში დაზარალებულმა მოსახლეობამ: უცადოს თუ არ უცადოს დახმარებას?

**ამ მე-3' პუნქტს პრეზიდენტი გამოჰყავს ფსიქიკურად დაავადებულ ადამიანად, ხოლო პარლამენტი კი დასცინის მას.**

რომელიმე ქვეყნის კონსტიტუციაში ასეთი სამარცხვინო პუნქტი თუ შეგხვედრიათ?

არანაკლებ სახიფათოა ქვეყნისთვის ძირითადი კანონის 73-ე მუხლის 1.8 ქვეპუნქტის ჩანაწერიც:

**„საქართველოს პრეზიდენტი:**

**„ზ) საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში აცხადებს საომარ მდგომარეობას, სათანადო პირობების არსებობისას დებს ზავს და არა უგვიანეს 48 საათისა შეაქვს ეს გადაწყვეტილება პარლამენტში დასამტკიცებლად“.** (მ. 73, პ.18).

**იმის მაგივრად, რომ ხელისუფლება ცდილობდეს, რომ რაც შეიძლება მოკლე დროში გადაიყვანოს მოსახლეობა, ჯარი და ეკონომიკა საომარი მდგომარეობის „რელსებზე“, პრეზიდენტს უფლება ეძლევა, ეს პროცესი 48 საათით დაამუხრუჭოს.**

ასეთი ვითარებისთვის მოქმედების გეგმა მთავრობას ხომ წინასწარ უნდა ჰქონდეს დამუშავებული. შეგნებულად ხომ არ ვაძლევთ სხვა ქვეყნებს „ფორას“?

საომარი მდგომარეობის ვითარებაში გადაწყვეტილების სწრაფი მიღებისთვის მნიშვნელოვანია საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების ერთად ყოფნა. ასეთი უცოდინარობა სამხედრო საქმეში ამ მუხლის ავტორებმა რატომ გამოიჩინეს (1995 წ.)?

**მათ რომ შესწავლილი ჰქონოდათ ჩვენი მეზობლების, ბალტიის ქვეყნების, პოლონეთის და სხვა ქვეყნების კონსტიტუციები, სადაც პრეზიდენტებს საომარი მდგომარეობის გამოცხადების გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ შეაქვთ პარლამენტში დასამტკიცებლად (აზერბაიჯანის პრეზიდენტს 24 საათი სჭირდება), ასეთ შეცდომას, ალბათ, არ დაუშვებდნენ.** მათ არ გაითვალისწინეს არც საქართველოს 1921 და 1991 წლების კონსტიტუციების მოთხოვნებიც ამ საკითხთან დაკავშირებით.

**მრავალ ქვეყანაში არა მარტო საომარი მდგომარეობის გამოცხადების გადაწყვეტილება, არამედ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებაც დაუყოვნებლივ შედის პარლამენტში დასამტკიცებლად.**

კონსტიტუციით გაურკვეველია სამხედრო ძალების გამოყენების საკითხიც. სხვა ქვეყნებში საომარი მდგომარეობის გამოცხადება ამავე დროს ნიშნავს სამხედრო ძალების გამოყენებასაც, მაგრამ ჩვენთან ასე არ ხდება, ვინაიდან ამას ძირითადი კანონის მე-100 მუხლის 1-ლი პუნქტი არ ითვალისწინებს:

**„1. სამხედრო ძალების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი და 48 საათის განმავლობაში შეაქვს იგი პარლამენტში დასამტკიცებლად...“**

ე. ი. სამხედრო ძალების გამოყენებისთვის საჭირო ხდება ახალი პროცედურის წამოწყება პარლამენტში, რაც კიდევ 48 საათით (144 საათამდე) ახანგრძლივებს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვის დროს. ეს ცვლილებაც კონსტიტუციაში შევიდა 2004 წელს.

**ბატონო დავით!**

**2010 წელს ძირითად კანონში შეტანილმა ცვლილებებმა მკვეთრად გაუზარდეს უფლებები პრემიერ-მინისტრს, მაგრამ პასუხისმგებლობა მისთვის კონსტიტუციას არ დაუკისრებია, თუნდაც ფიცის დადების სახით.**

ხომ არ გამოგრჩათ?

საპარლამენტო ქვეყნებში ფიცს დებენ პრემიერ-მინისტრები, პრეზიდენტები, ზოგან მინისტრებიც და პარლამენტარებიც, და ფიცის დადების დროს წარმოთქვამენ სიტყვას **„ვფიცავ“** და არა **„ვაცხადებ“,** როგორც ამას ჩვენი პრეზიდენტი აკეთებს.

2012 წლის 21 ოქტომბერს ახალარჩეული პარლამენტის წევრებმა დაიფიცეთ განცხადების ტექსტზე, რომელიც არ იყო კანონით გათვალისწინებული. რამდენად სწორად მოიქეცით და დაგეკისრათ თუ არა ამით რაიმე პასუხისმგებლობა?

**თქვენი გუნდის ზოგიერთი წევრის მხრიდან ხშირად ისმის ადამიანების დადანაშაულება შპიონაჟში და იმდენად დაბალი დონისაა ასეთი ბრალდებები, რომ ნამდვილად მომხდარი ფაქტიც რომ იყოს, მაინც ძნელია მისი დაჯერება, იმდენად არაპროფესიონალურად აშუქებენ მას. მათთვის ისე ადვილია პიროვნების მონათვლა „მოღალატედ“, „ჯაშუშად“, გეგონება, ამას პარლამენტა-** ▶

**2010 წელს ძირითად კანონში შეტანილმა ცვლილებებმა მკვეთრად გაუზარდეს უფლებები პრემიერ-მინისტრს, მაგრამ პასუხისმგებლობა მისთვის კონსტიტუციას არ დაუკისრებია, თუნდაც ფიცის დადების სახით**

**ძალიან უხერხულია, როდესაც მარცხის შემდეგ პიროვნებას უწოდებ გმირს, რომლის საგმირო საქმეზე არავის არაფერი სმენია და რომელიც ნაკაწრის გარეშე «სამშვიდობოზე» აღმოჩნდა**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## როგორ უნდა შეესრულებინა საბრძოლო ამოცანა 2008 წლის აგვისტოში სახმელეთო ჯარებს, როდესაც მას, მისივე ორგანიზაციული სტრუქტურით, სადაზვერვო კომპლექტი არ გააჩნდა? რომელ დაზვერვას გამოეპარებოდა ეს? როგორ უნდა დაეგეგმათ ბრძოლა ნაწილების და ქვედანაყოფების მეთაურებს დაზვერვის მონაცემების გარეშე?

## როგორ უნდა შეფასდეს თავდაცვის მინისტრებად დავით კეზერაშვილის, ბაჩო ახალაიას და დიმიტრი შაშკინის დანიშვნა? საეჭვო რეპუტაციის მქონე და სამხედრო საქმეში სრულიად უცოდინარი პიროვნებების დანიშვნა თავდაცვის მინისტრებად ლახავს სამხედროების თავმოყვარეობას და შეურაცხყოფას აყენებს მათ

◀ **რისგან კი არ ისმენ, არამედ ჭორიკანა მამაკაცისგან.**

მათ რომ იცოდნენ, თუ ვისგან და რა დონეზე მზადდებოდნენ მზვერავები (აგენტები) საბჭოთა კავშირში, მაშინ ისინი ასე „მსუბუქად" არ ილაპარაკებდნენ ჯაშუშებზე. კარგი იქნებოდა, თუ ისინი ღრმად შეისწავლიდნენ იმ სავარაუდო წყაროებს, საიდანაც და ვისგანაც მართლაც შესაძლებელია საიდუმლო ინფორმაციის გაჟონვა. ასეთებს კი წარმოადგენენ სახელმწიფოს თანამდებობის პირების ქმედებები, მათი ინტერვიუები და საჯარო გამოსვლები, კონსტიტუცია, კანონები, სხვა დოკუმენტები და ის არხები, რომლებიც წარმოადგენენ დაზვერვის ინტერესს.

**დარწმუნებული იყავით, რომ უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებს კარგად აქვთ შესწავლილი სახელმწიფოს მმართველი პირების ბიოგრაფიები, მათი ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობები, სუსტი და ძლიერი მხარეები.**

კონსტიტუციის ზოგიერთი მუხლის საშიში მხარეები უკვე განვიხილეთ. გადავიდეთ კანონების განხილვაზე.

რომელ მზვერავს შეეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ 2008 წლის აგვისტოში საქართველოს შეიარაღებული ძალები არ დარჩებოდნენ ბრძოლისუნარიანი რეზერვის გარეშე? განა თვით კანონი „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ" არ იყო საიდუმლო ინფორმაციის გაჟონვის წყარო? **ვის ვატყუებდით, რომ 18 დღეში ვამზადებდით ჯარისთვის სრულფასოვან რეზერვს? რა, ისინი ვერ მიხვდებოდნენ, რომ რეზერვის ოფიცერთა მომზადება კანონით საერთოდ არ იყო გათვალისწინებული?**

**განა ყოფილი თავდაცვის მინისტრის განცხადება იმის თაობაზე, რომ თურმე ვადაგასული ვაზნების გამოყენება იგეგმებოდა ჩვენი რეზერვისტებისთვის, არ შეიცავს საიდუმლო ინფორმაციას?** მან გათქვა ის, რომ თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის ხედვა რეზერვის აღჭურვასა და მომარაგებაზე 2008 წლიდან არ შეცვლილა, ე. ი. თავდაცვის მინისტრს ომის შედეგებიდან დასკვნა 2012 წელსაც კი არ გამოუტანია.

ნუთუ მან მართლა არ იცოდა, რომ **აშშ-სა და სხვა ქვეყნებშიც სარეზერვო კომპონენტების მომზადება, აღჭურვა და მათი გამოყენების დაგეგმარება ხორციელდება ერთიან კომპლექსში რეგულარულ ჯარებთან ერთად,** და რომ ისინი ერთობლივად მონაწილეობენ სხვადასხვა სწავლებაში და მანევრებზე, მარაგდებიან და აღიჭურვებიან თანამედროვე იარაღითა და სამხედრო ტექნიკით, ხოლო ოფიცერთა კადრები ამავე დროს მზადდებიან სამოქალაქო უმაღლეს სასწავლებლებთან არსებული თადარიგის ოფიცერთა ჯარგარეშე მომზადების კურსებზე?

**2004 წლიდან ერთიმეორის მიყოლებით თავდაცვის მინისტრებად ინიშნებოდნენ უზომოდ ამბიციური, მაგრამ სამხედრო საკითხებში სრულიად არაკომპეტენტური პიროვნებები, რომლებიც სრულიად გულგრილები აღმოჩნდნენ ოფიცერთა ბედისადმი. მათ ძველი კადრები დაითხოვეს, სამხედრო კათედრები გააუქმეს და შემდეგ კადეტთა კორპუსი და სამხედრო აკადემიაც მიაყოლეს. დარჩა ჯარი ტრადიციების, ცოდნისა და გამოცდილების მქონე კადრების გარეშე.** უწყება გადავიდა თავდაცვის მინისტრების „კერძო საკუთრებაში" და მართავდნენ მას თავიანთი შეხედულებისამებრ და არა წესდებებისა და კანონების მოთხოვნების საფუძველზე. ესეც არავისთვის არ წარმოადგენდა საიდუმლოს.

რა გაუჭირდა სახელმწიფოს ისეთი, რომელიც ლაზიკის აშენებას აპირებდა, რომ კანონმა „საქართველოს თავდაცვის შესახებ" ქვეყნის საჰაერო სივრცე და ტერიტორიული წყლები დაუცველი დატოვა? ეს რა, საიდუმლო ინფორმაცია არაა?

**მაშინ, როდესაც შვედეთსა და ფინეთს, რომლებსაც დღეს არავინ ემუქრება, გააჩნიათ სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალები, ასევე შვეიცარიასა და ავსტრიას, რომლებიც არ ესაზღვრებიან რუსეთს, ჰყავთ სამხედრო-საჰაერო ძალები და მრავალრიცხოვანი მომზადებული რეზერვი, ჩვენ რატომ ვამბობთ მათზე უარს?**

კანონში ამ ცვლილებების შეტანით სამხედრო ძალებს ხომ არ მოუხსნეს ტერიტორიული მთლიანობის დაცვის ამოცანა და ხომ არ ჩაანაცვლეს ის მეორეხარისხოვანი დავალებით **„საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულება"?** (მ. 98, პ. 2).

ან **როგორ უნდა შეესრულებინა საბრძოლო ამოცანა 2008 წლის აგვისტოში სახმელეთო ჯარებს, როდესაც მას, მისივე ორგანიზაციული სტრუქტურით, სადაზვერვო კომპლექტი არ გააჩნდა? რომელ დაზვერვას გამოეპარებოდა ეს? როგორ უნდა დაეგეგმათ ბრძოლა ნაწილების და ქვედანაყოფების მეთაურებს დაზვერვის მონაცემების გარეშე?**



ან როგორ უნდა შეფასდეს თავდაცვის მინისტრებად ყოფილი ფინანსური პოლიციის უფროსის — დავით კეზერაშვილის, ბაჩო ახალაიას და დიმიტრი შაშკინის დანიშვნა? რამდენად შეუწყობდა ხელს ასეთი დანიშვნები ჯარში ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას, დისციპლინის განმტკიცებას და სამართლიანობის დამკვიდრებას? ყველაფერზე შეიძლება იფიქრო, მაგრამ არა მხოლოდ ამაზე.

**საეჭვო რეპუტაციის მქონე და სამხედრო საქმეში სრულიად უცოდინარი პიროვნებების დანიშვნა თავდაცვის მინისტრებად ლახავს სამხედროების თავმოყვარეობას და შეურაცხყოფას აყენებს მათ.**

პარლამენტარებმა თუ მაინც იკითხეთ, რა „დამსახურებებით" დაინიშნენ ჩამოთვლილი პირები ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე? **ასეთი დანიშვნები ჯარისადმი უნდობლობის გამოცხადებას ნიშნავს.** მათ ხელში ნამდვილად შეუძლებელი იყო ეროვნული ტრადიციების ქართული სამხედრო ინტელიგენციის ჩამოყალიბება, საბრძოლო სულისკვეთების ამაღლება.

**ნუთუ 2008 წლის აგვისტოს ომმა არაფერი არ გვასწავლა?**

ან რამდენი სრულიად საიდუმლო ინფორმაციის ამოღება შეიძლება პრეზიდენტისა და უშიშროების საბჭოს მდივნის მოკლე საუბრიდან თვითმფრინავების ჩამოგდების თაობაზე? მათმა საუბარმა მოწინააღმდეგე ნამდვილად დაარწმუნა, რომ ჯარი უმართავია, ხელმძღვანელობა კი დაბნეულია. ასეთი ცნობების მოსაპოვებლად მთელი დაზვერვა და კვლევითი ინსტიტუტები წლობით მუშაობენ. როგორც ჩანს, ჩვენთან ცუდად არის საქმე საიდუმლოების შენახვასთან დაკავშირებით.

**„ჯაჯუშობის" თემაზე საუბრისას, ძნელია, არ გაგელიმოს და ეჭვი არ შეგეპაროს იმ თანამდებობების პირების კომპეტენტურობაში, რომლებიც „კოჭოიას ჯგუფს" და სხვა „ჯაშუშებს" მაღალ პროფესიონალებად ნათლავენ. როგორ შეიძლება ამ „ჯგუფის" წევრებს გამოცდილი უწოდო, როდესაც მათ ვერც ერთი „დავალება" ვერ შეასრულეს?** ასეთმა შემფასებლებმა კარგად უნდა იცოდნენ, რომ თავიანთი შეფასებებით თვითონ ფასდებიან, იშიფრებიან. აშკარავდება მათი წარმოდგენა კონტრდაზვერვაზე.

**ძალიან უხერხულია, როდესაც მარცხის შემდეგ პიროვნებას უწოდებ გმირს, რომლის საგმირო საქმეზე არავის არაფერი სმენია და რომელიც ნაკაწრის გარეშე „სამშვიდობოზე" აღმოჩნდა.** კარგი იქნება, თუ გმირებად ვაღიარებთ იმათ, ვინც პირნათლად შეასრულა სამხედრო ფიცის მოთხოვნა: **„მტკიცედ დავდგე საქართველოს სადარაჯოზე და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ვიბრძოლო მტერზე გამარჯვებისთვის".**

ქვეყანას, რომელიც თავისი არსებობის ათასწლეულებს ითვლის, მრავლად რომ ჰყოლოდა ასეთი „გმირები", ალბათ, საქართველო აღარ იარსებებდა.

ქვეყნის ხელმძღვანელი პირების მისამართით არაერთი წერილი-თხოვნა ჰქონდა გაგზავნილი აწ გარდაცვლილ პოლკოვნიკ გივი ლეფონავას — სამხედრო-სამეცნიერო ცენტრის უფროსს, მაგრამ არც ერთ მათგანზე მას პასუხი არ მიუღია.

ეს ის პიროვნება გახლდათ, რომელმაც ქართულ ჯარში შემოიღო და დაამკვიდრა მართვის ორგანოებში მუშაობის საშტაბო კულტურა. იყო უაღრესად პატიოსანი და ამავე დროს პრინციპული ოფიცერი. შეეძლო სწრაფად, მაღალხარისხოვნად, მოკლედ და მკაფიოდ შეემუშავებინა საშტაბო დოკუმენტები მათემატიკური გათვლების გამოყენებით; აქტიურ მონაწილეობას იღებდა შეიარაღებული ძალების ორგანიზებულ და მიზანმიმართულ სწავლების პროცესში. მან წამოიწყო ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბება. კონსულტაციების მისაღებად ოფიცრები მასთან რიგში იდგნენ, ძალღონეს არ იშურებდა, რომ შეიარაღებული ძალების მშენებლობა დამყარებულიყო თანამედროვე სამხედრო მეცნიერებაზე.

მაგრამ არც ჯარს და არც მას არ გაუმართლა. **ყოველი სამხედრო ხელმძღვანელობის ცვლას თან ახლდა უკვე დამუშავებულის უარყოფა. თავდაცვის მინისტრები აღმოჩნდნენ სრულიად გულგრილები სამხედრო მეცნიერებისადმი, ხელოვნებისადმი.**

წერილების წაკითხვაც კი არ უნდოდათ. და ბოლოს, სამხედრო-სამეცნიერო ცენტრი გააუქმეს. მათ დაავიწყდათ ბრძნული გამონათქვამი, რომ: „თეორია პრაქტიკის გარეშე მკვდარია, ხოლო პრაქტიკა თეორიის გარეშე ბრმაა".

ძალიან ნაწყენი წავიდა ამ ქვეყნიდან ბატონი გივი ლეფონავა. სათანადოდ ვერ დაფასდა მისი ღვაწლი შეიარაღებული ძალების წინაშე. მთავრობას კი სრულიად დაავიწყდა სამხედრო პენსიონერების არსებობა.

**პატივისცემით,**

**ალექსანდრე ტოლსტოი**

## «ჯაჯუშობის» თემაზე საუბრისას, ძნელია, არ გაგელიმოს და ეჭვი არ შეგეპაროს იმ თანამდებობის პირების კომპეტენტურობაში, რომლებიც «კოჭოიას ჯგუფს» და სხვა «ჯაშუშებს» მაღალ პროფესიონალებად ნათლავენ. როგორ შეიძლება ამ «ჯგუფის» წევრებს გამოცდილი უწოდო, როდესაც მათ ვერც ერთი «დავალება» ვერ შეასრულეს?



## «ბაქრაძე და უსუფაშვილი ერთად კარგად მუშაობენ»

**საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, დავით ბაქრაძე და დავით უსუფაშვილი ერთმანეთთან კარგად მუშობენ და ეს პროცესი უნდა გაგრძელდეს.**

„პარლამენტის უმცირესობის ლიდერსა და პარლამენტის თავმჯდომარეს შორის გუშინ კონსულტაცია გაიმართა. მას შემდეგ, რაც ჩვენ კონსტიტუციის არა მხოლოდ შინაარსზე, არამედ პროცედურის ფორმაზე შევთანხმდით, რაც მისასალმებელი მოვლენა იყო პარლამენტში, კარგი იქნება, თუ სხვა ძალიან მნიშვნელოვან კანონებზე იგივე გაგრძელდება.

„საერთო სასამართლოების შესახებ" კანონი სასიცოცხლო მნიშვნელობისაა დემოკრატიისთვის. ახლა, როგორ არასდროს, ჩვენ ერთობლივი მუშაობა და ერთმანეთის ჯიბრში არჩადგომა გვჭირდება. ყველა პარტიის ინტერესებში უნდა იყოს, რომ ჩვენ ევროპისკენ წავიდეთ და სასამართლო თავისუფალი იყოს. ძალიან კარგად მუშაობენ ერთად ბაქრაძე და უსუფაშვილი და ეს ასე უნდა გაგრძელდეს. მეც მზად ვარ, ჩავერთო. იმედია, პრემიერ-მინისტრიც ჩაერთვება. ყოველგვარი ზედმეტი ემოციებისა და ხელისგადაგრეხვის გარეშე იმაზე უნდა შევთანხმდეთ, რაც ვენეციის კომისიის გადაწყვეტილებაში კარგადაა გაწერილი, რადგან ეს საქართველოს საკეთილდღეოდ და თითოეული მოქალაქისთვის უკეთესი იქნება", — განაცხადა სააკაშვილმა.

## უჩვეულო პროტესტი ბაჩო ახალიას მხარდასაჭერად

**24 მარტს ახალგაზრდა მამაკაცმა, ონისე გერგედავამ, ტანსაცმელი გაიხადა და შიშველ ტანზე თაფლი წაისვა. ამით მან ბაჩო ახალაიასადმი სოლიდარობა გამოხატა.**

გერგედავამ ეს თავად გადაიღო, მოგვიანებით კი „ფეისბუქის" საკუთარ გვერდზე ატვირთა.

**„სოლიდარობა — ბაჩო ახალაიას, სოლიდარობა — პოლიტპატიმრებს! თუ საქართველოს სიყვარული დანაშაულია, მაშინ მეც დამნაშავე ვარ!"** — ამბობს ონისე გერგედავა.

საქართველო და მსოფლიო

პრემიერ-მინისტრის საყურადღებოდ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„დარგი თავიდანაა ჩამოსაყალიბებელი. მეაბრეშუმეობის გასაჭირზე დღეს ბევრი საუბრობს, საქმეში ჩახედული და ჩაუხედავიც, თანაც განვითარების ისეთ ტემპებს გვთავაზობენ, რომლებიც ფანტაზიის სფეროსაც კი სცილდება."**

# მეცნიერები გვთავაზობენ, მთავრობა არ რეაგირებს

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს" რედაქციის მიერ მოწყობილი „მრგვალი მაგიდა" ქვეყანაში ერთ დროს წარმატებული დარგის, მეაბრეშუმეობის, პრობლემებს მიეძღვნა. მდგომარეობა კატასტროფულია, პერსპექტივა — ბუნდოვანი, და არც არაფერი გვეშველება, თუ ქართველი მეცნიერების წინადადებები, რომლებიც დღეს გამოქვეყნებულ მოკლე ანგარიშშია წარმოდგენილი, საქართველოს მთავრობის მიერ ისევე უყურადღებოდ დარჩება, როგორც აქამდე ჩვენი ამ რუბრიკით გამოქვეყნებული სხვა შემოთავაზებები. დღევანდელ „მრგვალ მაგიდაში" მონაწილეობენ: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი გიორგი ნიკოლეიშვილი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი ელგუჯა შაფაქიძე და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მეცნიერი-თანამშრომელი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ნარგიზ ბარამიძე.**



**გიორგი ნიკოლეიშვილი:**

— გასული საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში ყოველწლიურად ვაწარმოებდით 4,0-4,5 ათას ტონა აბრეშუმის პარკს და ყველა დონის ბიუჯეტი 15,5-16,5 მილიონი მანეთით ივსებოდა.

მეაბრეშუმეობაში დასაქმებული იყო 100-120 ათასი ოჯახი, აბრეშუმის მრეწველობაში — 5-6 ათასი კაცი. დარგში კონცენტრირებული იყო მძლავრი ინტელექტუალური რესურსი და სოლიდური კაპიტალური დაბანდება.

დღეს თითქმის მთლიანად განადგურებულია მეაბრეშუმეობაც და სამეცნიერო პოტენციალიც. სოფლის მოსახლეობამ პარკის წარმოების შემცირებით მიყენებული ზარალი სხვა დარგებიდან მიღებული შემოსავლით ვერ გადაფარა.

**დარგი თავიდანაა ჩამოსაყალიბებელი. მეაბრეშუმეობის გასაჭირზე დღეს ბევრი საუბრობს, საქმეში ჩახედული და ჩაუხედავიც, თანაც განვითარების ისეთ ტემპებს გვთავაზობენ, რაც ფანტაზიის სფეროსაც კი სცილდება.**

უნდა გვახსოვდეს, რომ „ახლადდაკრეფილი და ქორფა ფოთლით ჭიის გამოკვების აუცილებლობა მეაბრეშუმეობას აძლევს მკვეთრად შემოფარგლულ სეზონურ ხასიათს" და რომ „მეაბრეშუმეობა ყველაზე მეტად გავრცელებულ რაიონებშიც კი იყო და რჩება სოფლის მეურნეობის დამხმარე დარგად, რომლის წარმოება განისაზღვრება შრომის თავისუფალი რესურსებისა და არსებული ან შესაძლებელი საკვები ბაზის მაქსიმალური გამოყენების" გათვალისწინებით.

**— აშკარაა, რომ მდგომარეობა რთულია, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ასე, ხელის ერთი დაკვრით მოიშალა ყველაფერი?**

**გიორგი ნიკოლეიშვილი:**

— არა, რა თქმა უნდა.

საქართველოში მეაბრეშუმეობამ განვითარების აპოგეას მიაღწია გასული საუკუნის 60-იან წლებში. მაგრამ სწორედ ამ ეტაპზე (1964 წ.) გავრცელდა თუთის დაავადება — ფოთლის სიხუჭუჭე და 15 მილიონამდე ძირი თუთა გაანადგურა. ამას დაემატა მიწების პრივატიზების დროს დაშვებული შეცდომები და მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. ძირითადი მიზეზი მაინც ის იყო, რომ იმ დროს არსებული 5 სელექციური და რამდენიმე ინტროდუცირებული ჯიშიდან წარმოებაში (ძირითადად) მხოლოდ ჯიში „საქართველო" დაინერგა, რომელიც მეტად მგრძნობიარე აღმოჩნდა ხსენებული დაავადებისადმი. **ჩვენ, მეცნიერებს, მიგვაჩნია, რომ სამომავლოდ რეგიონებში, მსხვილ ფერმერულ მეურნეობებში 3-5 რეკომენდებული ჯიში მაინც უნდა გავავრცელოთ. ამასთან, უპირატესობა უნდა მივანიჭოთ ვარჯში რეკომენდებული თუთის ჯიშების კვირტით გადამყნობას და ერთეული (ხაზობრივი) ნარგაობის გაშენებას.** ამასთან, ფერმერულ მეურნეობებში ოპტიმალური ზომის ინტენსიური პლანტაციებიც უნდა გავაშენოთ. გვაქვს სხვა კონკრეტული წინადადებებიც.

**— საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ხომ არ მიგაჩნიათ დარგში შექმნილი კრიზისის ძირითად მიზეზად?**

**გიორგი ნიკოლეიშვილი:**

— არა. მეაბრეშუმეობა კლასიკური საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში შესანიშნავად არის განვითარებული და საქართველოშიც წარმატებით ფუნქციონირებდა გეგმიანი ეკონომიკის პირობებში. მიზეზი საბაზრო ეკონომიკაში კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ ხელმძღვანელობაში დაშვებულ შეცდომებში. ასეთი დასკვნის საშუალებას ის გვაძლევს, რომ ქვეყანაში წარმოებული პარკის საერთო რაოდენობაში „საკარმიდამო" მეაბრეშუმეობის ხვედრითი წილი 95-98 პროცენტს შეადგენდა, ანუ წარმოება იყო დივერსიფიცირებული, მობილური და ახალი გარემოსადმი ადაპტირებული, რაც დარგის ხელმძღვანელებმა ვერ გამოიყენეს.

**ელგუჯა შაფაქიძე:**

— საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარებას ხელს უწყობდა როგორც ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა და კარგი ბუნებრივი პირობები, ისე მცირემიწიანობის გამო სოფლად დაუსაქმებელი მუშახელის სიჭარბე. ეს პრობლემა დღევანდელ სოფელში უფრო მწვავედ დგას, ვიდრე წარსულში, მაგრამ მეაბრეშუმეობის აღორძინების პარალელურად შემცირდება.

**ჩვენი გაანგარიშებით, უახლოეს ორ-სამ წელიწადში შეიძლება ვაწარმოოთ 280-300 ტონა ცოცხალი პარკი და შევქმნათ 2,5-3 ათასი ახალი სამუშაო ადგილი, არცთუ შორეულ პერსპექტივაში კი 2,5-3 ათასი ტონა პარკის წარმოება და 11-12 ათასი კაცის დასაქმება რეალურად მიგვაჩნია. სამომავლოდ 4-4,5 ათასი ტონის (1964 წლის დონე) პარკის წარმოება რეალური პერსპექტივაა.**

**— ამის მისაღწევად რის გაკეთებას შესთავაზებთ სოფლის მეურნეობის სამინისტროს?**

— პირობების შექმნას საიმისოდ, რათა პრიორიტეტულ მიმართულებად ჩამოყალიბდეს შრომითი რესურსებისა და სავარგულების რაციონალური გამოყენება, სოფლის მოსახლეობის ოჯახობრივი დასაქმება.

მოსახლეობაში შემორჩენილია დარგისადმი სიყვარული, გამოცდილება, გაგვაჩნია მეცნიერული პოტენციალი, არიან სპეციალისტები, მეაბრეშუმეობის აღდგენით დაინტერესებული ენთუზიასტები.

**— უფრო კონკრეტულად?**

— საკვები ბაზის აღდგენა და ყოველმხრივი განმტკიცება; წარმოებული აბრეშუმის პარკის პირველადი გადამუშავებისა და ხამი ძაფის წარმოებისთვის საჭირო დაზგა-დანადგარების შეძენა, ძაფის რეგიონული ამოხვევის უზრუნველყოფა, ფერმერებისთვის მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების (თუთის ექსპლუატაციის და საკვების მოსამზადებელი მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებები, მარტივი კონსტრუქციის საჭიე შენობები და მათში განლაგებული გამოსაკვები მოდერნიზებული თაროები ან მექანიზებული გამოსაკვები დანადგარები, ნედლი პარკიდან ძაფის ინდივიდუალურად ამოსახვევი მექანიკური დაზგები და ა. შ.) შექმნა და მიწოდება ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება; საგრენაჟო ქარხნებისა და სასელექციო სადგურების რეაბილიტაცია და მათ ბაზაზე თუთის აბრეშუმხვევიას ადგილობრივი ჯიშების ჰიბრიდული გრენის წარმოება, მათ შორის საექსპორტოდ; კუსტარული მეწარმეობის მივიწყებული ტრადიციების აღდგენა და ადგილობრივ ნაწარმზე ტურისტთა მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილება; თუთის მცენარის მრავალმიზნობრივი გამოყენება, ინტეგრაციის გაღრმავება, მმართველობის სისტემის სრულყოფა და სხვა საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

**— გვეყოფა კი კვალიფიციური კადრები ამ ღონისძიებათა განსახორციელებლად?**

**ნარგიზ ბარამიძე:**

— ამ კუთხით მდგომარეობა არასახარბიელო, შეიძლება ითქვას, კატასტროფულია. არადა, საქართველო მეაბრეშუმეობის მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით ყოველთვის გამორჩეული იყო მსოფლიოში. 1959 წელს მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს შეუერთდა და ჩამოყალიბდა მეაბრეშუმეობის სასწავლო-კვლევითი ფაკულტეტის სახელწოდებით, რომელიც შემდეგ სასწავლო-კვლევით ინსტიტუტად გადაკეთდა. სასწავლო-კვლევითი დაწესებულების ასეთი ფორმა უპრეცედენტო იყო აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ საბჭოთა კავშირში და ითვლებოდა სწავლებისა და მეცნიერების გაერთიანების ოპტიმალურ მოდელად.

**სამწუხაროდ, განათლებისა და მეცნიერების რეფორმების კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ამ მიმართულებით ნახევარსაუკუნოვანი გამოცდილება წყალში გადაიყარა და, თუ ასე გაგრძელდა, რამდენიმე წელიწადში დარგის სპეციალისტები აღარ გვეყოლება.**

ფაქტია, რომ ბოლო ათწლეულში მეაბრეშუმეობის კრიზისთან დაკავშირებით პოზიციები დავთმეთ. დიდი ხანია, აღარ ფუნქციონირებს საფეიქრო მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, **საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში დაიხურა მეაბრეშუმეობის ფაკულტეტი, 2006 წლის განათლებისა და მეცნიერების რეფორმის შედეგად სამუშაოდან დაითხოვეს გამოცდილ თანამშრომელთა დიდი უმრავლესობა, დაითხოვეს ცნობილი სპეციალისტები, რომლებიც იძულებულნი გახდნენ, სრულიად განსხვავებულ სფეროში დაეწყოთ მუშაობა. მდგომარეობა საგანგაშოა მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში, სადაც სამიოთხი თანამშრომელია შენარჩუნებული.**

ვეკითხებით ე. წ. საქვეყნოდ „აღიარებულ" რეფორმატორებს, რამდენი წელიწადი სჭირდება მაღალი დონის სპეციალისტის აღზრდას? თუ ასე გაგრძელდა ერთ-ორ წელიწადში არამარტო სპეციალისტების, არამედ ინკუბისტების, ძაფის ამომხვევისა და სხვა კატეგორიის მუშებიც უცხოეთიდან მოსაწვევი გაგვიხდება.

**გიორგი ნიკოლეიშვილი:**

— უკანასკნელ ოცწლეულში შესაბამისმა სამინისტროებმა, უწყებებმა, მეაბრეშუმეობის ინსტიტუტმა და ცალკეულმა ავტორებმა შეიმუშავეს დარგის განვითარების მნიშვნელოვანი პროგრამები, რომლებიც რიგი მიზეზების გამო წარმოებაში ვერ დაინერგა. მდგომარეობა განსაკუთრებით დამძიმდა კვეზერელისა და გოროზიას მინისტრობის პერიოდებში. მართალია, მეაბრეშუმეობისადმი ინტერესი თვით საზოგადოებაში გაჩნდა, მეაბრეშუმეობით დაინტერესდა არასამთავრობო ორგანიზაციები, საპატრიარქო, ბიზნესმენები, კერძო პირები, მაგრამ მნიშვნელოვანი არაფერი გაკეთებულა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2010 წლის 25 ივნისს განიხილა საკითხი „საქართველოში მეაბრეშუმეობის რეაბილიტაციის ღონისძიებათა შემუშავებისა და მისი მეცნიერული უზრუნველყოფის შესახებ", შექმნა წარმომადგენლობითი კომისია, რომელმაც შეიმუშავა და გამოსცა „საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარების კონცეფცია 2012-2025 წლებისთვის". კომისია ინტენსიურად მუშაობს „ხონის რაიონში მეაბრეშუმეობის გადარჩენა-რეაბილიტაციის, განადგურებული „საკვები" ბაზის აღდგენის, პარკის წარმოებისა და კუსტარული რეწვის მივიწყებული ტრადიციების აღორძინების" საინვესტიციო პროგრამის შედგენაზე.

**საბედნიეროდ, ახალმა მთავრობამ სოფლის მეურნეობის განვითარება პრიორიტეტულ მიმართულებად დასახა. ამასთან, FAO-ს რეგიონული ორგანიზაცია BACSA (შავი, კასპიის ზღვის და ცენტრალური აზიის ქვეყნები), რომელიც ამუშავებს რეგიონში დარგის განვითარების ხელშემწყობ პროგრამას ევროსაბჭოში წარსადგენად, სერიოზულად დაინტერესდა საქართველოს მეაბრეშუმეობით.** მიმდინარე წლის 5-12 აპრილს იტალიაში ჩატარდება ხსენებული ორგანიზაციის საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მოისმენს კონცეფციის ავტორთა მოხსენებებს. პრობლემის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში საქართველო სოლიდურ დახმარებას მიიღებს დარგის აღორძინებისთვის, რაც მნიშვნელოვნად დააჩქარებს დარგის რეაბილიტაციის პროცესს.

**რედაქციისგან:**

**იმედი, სამომავლო გეგმები, როგორც ყოველთვის, აქაც სახეზეა. მაგრამ განხორციელდება კი? სანამ რეალური ნაბიჯები არ გადაიდგმება, პუბლიკაციის დასაწყისში გამოთქმული ეჭვი ძალაში რჩება.**

**მოწოდებები, რომლებიც ეხებოდა ონკოლოგიის ეროვნული ცენტრის აღორძინებას, დარგის განვითარების პერსპექტივას და სახელმწიფო პატრონაჟის ქვეშ ონკოლოგიის დაბრუნებას, აღმოჩნდა შირმა, რომლის მიღმაც წამოიჭრა მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც პირადული ანგარიშსწორებისა და ინტერესთა კონფლიქტის აშკარა ნიშნებითაა დაღდასმული.**

პრემიერ-მინისტრის საყურადღებოდ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ქარიშხალი ჭიქაში,
## ანუ ონკოცენტრის ირგვლივ აგორებული სკანდალი

„Amicus Plato, sed magis amica veritas" — „პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო ძვირფასია"
*(არისტოტელე)*



**ყველა ცივილიზებული ქვეყნის მიზანია საკუთარი მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვა. სამედიცინო საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა კარგად აცნობიერებს ჯანდაცვის წინაშე არსებულ პრობლემებს, იმას, თუ რაოდენ რთულია რესურსების დეფიციტის პირობებში ადამიანის ძირითადი უფლების — ჯანმრთელობის დაცვა და სამედიცინო მომსახურებაზე მოსახლეობის თანაბარი ხელმისაწვდომობა.**

**ჩვენთვის, ექიმებისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ახალ მთავრობას ჯანდაცვა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად აქვს მიჩნეული.**

დღევანდელი ჩვენი მომართვის მიზანია, გავამახვილოთ ყურადღება ქართულ სამედიცინო საზოგადოებაში ბოლო დროს პრესითა და ტელევიზიით აგორებულ კამპანიებზე, რომლებიც მიზნად ისახავს სამედიცინო დაწესებულების პრივატიზებასთან დაკავშირებული საკითხების წამოწევასა და სახელმწიფო რეგულაციებში ჩარევას. უკვე მეოთხე თვეა, არ წყდება აჟიოტაჟი საქართველოს ონკოლოგიის ეროვნული ცენტრის ირგვლივ. პრობლემა აწუხებს არა მარტო ცენტრის თანამშრომლებს, არამედ მთელ სამედიცინო საზოგადოებას, ხოლო პრეცედენტის განზოგადება იწვევს ანალოგიური პროცესების ინიციაციას სხვა სამედიცინო დაწესებულებებშიც. მავანთ უჩნდება ინტერესი და ამბიცია, ისარგებლონ რთული გარდამავალი პერიოდით, შეცდომაში შეიყვანონ ფართო საზოგადოება და კონფლიქტში სხვა მხარეები ჩართონ, მათ შორის სამთავრობო უწყებებიც.

ამგვარი „ბრალდებები" პერმანენტულად ჟღერს ონკოცენტრის ადმინისტრაციის მიმართაც. ჩვენ ისინი უსაფუძვლოდ და გაუმართლებლად მიგვაჩნია.

**მოწოდებები, რომლებიც ეხებოდა ონკოლოგიის ეროვნული ცენტრის აღორძინებას, დარგის განვითარების პერსპექტივას და სახელმწიფო პატრონაჟის ქვეშ ონკოლოგიის დაბრუნებას, აღმოჩნდა შირმა, რომლის მიღმაც წამოიჭრა მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც პირადული ანგარიშსწორებისა და ინტერესთა კონფლიქტის აშკარა ნიშნებითაა დაღდასმული.**

ე.წ. საინიციატივო ჯგუფისა და მისი ადვოკატის მიერ წამოჭრილი სს „ა. ღვამიჩავას სახ. ონკოლოგიური ცენტრის" ქონების პრივატიზების კანონიერების, ეკონომიკის სამინისტროსა და უცხოელ ინვესტორს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მართლზომიერების დადგენისა და ცენტრის სახელმწიფო საკუთრებაში დაბრუნების საკითხები, ვფიქრობთ, შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების დონეზე უნდა გადაწყდეს. **ცენტრის პრივატიზებისა და სახელმწიფო დოტაციაზე აყვანის საკითხი სახელმწიფო პოლიტიკის საგანია და სცილდება ცენტრის ადმინისტრაციის, მით უფრო ცალკეული** („საინიციატივო") **ჯგუფების კომპეტენციას.**

ცრუ ბრალდებების კასკადი, თითქოსდა დაწესებულებაში არსებული „ანტისანიტარიის", „არარსებული" ან „ნახევარი" ანალიზების წარმოების, წარმოუდგენელია საიდან მოტანილი „მილიონების არამიზნობრივი ხარჯვის" შესახებ. ყოველივე ეს არის მიზანმიმართული „შავი პიარი", რომელიც ემსახურება დაწესებულების და ცენტრის ადმინისტრაციის დისკრედიტაციას და არც ერთ შემთხვევაში არ არის მიმართული დარგის განვითარების ან პაციენტთა ინტერესების დაცვისკენ.

Primum non nocere — „არავნო" — სამედიცინო ეთიკის ეს ფუნდამენტური პოსტულატი კარგადაა ცნობილი ყველა ექიმისთვის.

თუმცა **რომელ საექიმო ეთიკაზეა საუბარი, როცა განცხადებებს დაწესებულებაში არსებულ „გაუსაძლის პირობებზე" აკეთებენ ის პიროვნებები, რომლებიც მუშაობდნენ ამ ცენტრში და ზოგიერთი მათგანის თვიური ანაზღაურება რამდენიმე ათეულ ათას ლარს შეადგენს.**

არასოდეს დაგვიმალავს ჩვენთან არსებული პრობლემები. პირიქით, შესაბამის ინსტანციებში არაერთი წერილი გაიგზავნა დარგის შემდგომი განვითარებისთვის აუცილებელი, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ღონისძიებების აუცილებლობის შესახებ, მაგრამ ამ პრობლემების გაუთავებელი საჯარო განხილვა გამართლებულად არ მიგვაჩნია. ამას არ სჭირდება არც ქუჩის აქციების მოწყობა და არც ყვითელი პრესის გამოყენება, მით უფრო, რომ ასეთ ქმედებებს, როგორც წესი, სიტუაციის დაძაბვა მოჰყვება, ვიდრე გამოსწორება. მოლაპარაკება ერთადერთი გამოსავალია. ვინ, თუ არა **ექიმებმა, უნდა იზრუნონ საკუთარი პროფესიის ღირსების დაცვაზე, იზრუნონ თავიანთი მაღალი პროფესიონალიზმით და არა ულირსი ინტრიგებით.**

Cui bono? Cui prodest? — ვისთვისაა კარგი? ვინ მოიგებს?

მხოლოდ ჯანსაღ კონკურენციას, კეთილსინდისიერ ოპონირებასა და ღირსეულ მოტივაციას ძალუძს, აიყვანს სამედიცინო სექტორი სათანადო დონეზე, რაც ასე მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის.

ცნობილია, რომ ექიმსა და პაციენტს შორის ნდობის ფაქტორი მკურნალობის ეფექტიანობის პირდაპირპროპორციულია. **ყველა ჩვენგანს გვახსოვს ის პერიოდი, როდესაც ტელევიზიით არ წყდებოდა ბრალდებები ექიმების მიმართ — ლამის ყველა ლეტალური შემთხვევა იხილებოდა მასმედიის საშუალებებით, განუწყვეტლივ ისმებოდა საკითხი ექიმის ბრალის დადგენისა და პასუხისმგებლობის თაობაზე.** ასეთი პუბლიკაციები და სატელევიზიო გამოსვლები უარყოფით ზეგავლენას ახდენს პაციენტებზე და, ზოგადად, ქვეყნის მოსახლეობაზე — იკარგება ნდობა ექიმის, სისტემის, სახელმწიფო პოლიტიკის მიმართ. ანალოგიური საკითხების გადასაჭრელად არსებობს შესაბამისი სახელმწიფო უწყებები, „უწყვეტი პროფესიული განათლების საბჭო", კომპეტენტური პროფესიული ასოციაციები და კავშირები.

Respice finem — იფიქრე შედეგზე.

კიდევ ერთხელ **მოვუწოდებთ ყველას, შეწყდეს სამედიცინო საზოგადოების დისკრედიტაციის მცდელობა, შეწყდეს ცილისწამება, ყოველგვარ საფუძველს მოკლებული და დაუსაბუთებელი ბრალდებები. ყველა საკითხი განხილულ იქნას მოლაპარაკებისა და ურთიერთპატივისცემის გზით, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი კომპეტენტური უწყებების დონეზე.**

**მაკა მაღლაკელიძე,**
**ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის დირექტორის მოადგილე კიბოს კონტროლის დარგში**



# ი. ბ. სტალინის ძეგლი გორში 9 მაისისთვის იქ უნდა აღდგეს, სადაც იდგა

**კოალიცია „ქართული ოცნების" ლიდერმა, დღევანდელმა პრემიერ-მინისტრმა, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა საპარლამენტო არჩევნების წინ გორელებთან შეხვედრისას დაგმო სააკაშვილის მიერ გორის ცენტრიდან ი. ბ. სტალინის ძეგლის აღება და თქვა, რომ იგი თავის ადგილს უნდა დაუბრუნდეს. ამ სიტყვებმა უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია, რადგან ამ სიტყვებს მიღმა ხალხმა მშრომელი ადამიანების ბედზე ზრუნვა დაინახა.**

სტალინური მოძღვრება სოციალისტური სახელმწიფოს შენების მოძღვრებად ითვლება, რომლის ფუძე მართლმადიდებლობაა! სტალინი ასევე აღიქმება რუსეთ-საქართველოს შორის მეგობრობისა და კეთილმეზობლობის განმამტკიცებელ პიროვნებად, რომელმაც კარგად იცოდა, რომ ხალხთა შორის მეგობრობის დანგრევა მსოფლიო ბატონობისკენ მიმავალი მასონურ-სიონისტური ძალების მთავარი იარაღი იყო.

ი. ბ. სტალინის ფენომენის შემსწავლელმა ინსტიტუტმა მოაწყო მოსახლეობის გამოკითხვა სტალინის ძეგლის გორში თავის პირვანდელ ადგილზე დაბრუნების თაობაზე, გამოკითხულთა 90%-ზე მეტი მხარს უჭერს ამ წინადადებას.

დიახ, ჩვენ მიგვაჩნია, რომ მიმდინარე წლის 9 მაისისთვის ი. ბ. სტალინის ძეგლი გორში კვლავ თავის პირვანდელ ადგილზე უნდა აღიმართოს. ეს ძეგლი არამარტო კაცობრიობის გადამრჩენი ადამიანისადმი პატივისცემის გამოხატვაა, არამედ ფაშიზმის წინააღმდეგ ომში დაღუპული 300 ათასი ქართველის ხსოვნის უკვდავყოფა და რუსეთ-საქართველოს შორის მეგობრობის განმტკიცების ხიდიც.

ჩვენ ველით დანაპირების შესრულებას!

**ი.ბ. სტალინის ძეგლის პირვანდელ ადგილზე დაბრუნების მხარდამჭერთა სახელით:**
**ვილჰელმ მახარაძე, გივი ბერძენიშვილი, ჯეირან კინკრიაშვილი, რევაზ ნაცარიშვილი, თამაზ ჯაფოშვილი, ვალერი კვარაცხელია, ირინე რუხაძე...**

# ჩამოყალიბდება თუ არა ქართველურ ენათა დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი?

**სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" ზუგდიდის ორგანიზაციის თავმჯდომარემ ზურაბ კვარაცხელიამ და კიდევ მისმა ათმა თანამებრძოლმა ამ ერთი თვის წინ წერილი გაუგზავნეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს — დავით უსუფაშვილსა და პარლამენტის წევრებს. ისინი ითხოვდნენ ქართველურ ენათა დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის შექმნას (20147.26.02.13).**



**„იმედია, ახალი ხელისუფლება, პირველად ისტორიაში, აიღებს პასუხისმგებლობას ქართველურ (ქართული, მეგრულ-ჭანურ, სვანურ) ენათა გადარჩენასა და განვითარებაზე და მიიღებს გადაწყვეტილებას ქართველულ ენათა დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ჩამოყალიბების თაობაზე",** — ნათქვამია ამ წერილში. ამ წერილს, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთში „საქართველო და მსოფლიო", მალევე მოჰყვა გამოხმაურება საზოგადოების წარმომადგენლებისგან, რომლებიც იწონებენ ამ წამოწყებას და უპირობოდ მხარს უჭერენ ქართველურ ენათა დაცვის დეპარტამენტის ჩამოყალიბებას.

პარლამენტიდან ზურაბ კვარაცხელიამ მიიღო წერილი, რომლის თანახმადაც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ წერილი რეაგირებისთვის გადაუგზავნა პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტს, რის შემდეგაც ამ კომიტეტის თავმჯდომარემ, ბატონმა ივანე კილურაძემ კომიტეტში შემოსული წერილი გადაუგზავნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების აკადემიკოს-მდივანს, ქალბატონ გუჩა კვარაცხელიას და არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს, ბატონ ავთანდილ არაბულს და სთხოვს მათ მოსაზრებებს ასეთი დეპარტამენტის შექმნის მიზანშეწონილობის თაობაზე.

**„იმედია, მეცნიერებათა აკადემიაში და ენათმეცნიერების ინსტიტუტში საღად და მამულიშვილურად შეაფასებენ ჩვენი ინიციატივის მნიშვნელობას და საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს მიაწვდიან შესაბამის მოსაზრებებს. აქვე მსურს ვისარგებლო შემთხვევით და მოვუწოდო „ფაზისის", „აიას", „ქალდეას" აკადემიებს და საერთოდ ყველას, ვინც დაინტერესებულია ქართველურ ენათა გადარჩენისა და განვითარების საკითხით, მხარი დაუჭირონ ჩვენს ინიციატივას",** — განაცხადა ზურაბ კვარაცხელიამ.

**ლადო ქირია**, ზუგდიდი

მართალი ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**— სტალინის პიროვნების დაკნინება იქნება, — ამბობს კახი კავსაძე, — თუ ამ დიდი ადამიანის შესახებ ცალსახად ვიტყვით, — კარგია ან ცუდი. იგი ძალიან რთული პიროვნება იყო.**




## ტელეკომპანია HTB-ს ფილმის საგაზეთო ვარიანტი

# სტალინი ჩვენთანაა

**იგი იყო ადამიანი, რომელმაც ათწლეულობით წინასწარ განსაზღვრა ქვეყნის ბედი. ის იყო ლიდერი, რომელმაც თანამედროვე ევროპის სახე შექმნა. მისი სახელი დაუკავშირეს სასტიკ დანაშაულობებს და დიად გამარჯვებებს. მისი ადგილი ისტორიაში ამოშალეს, მისი პიროვნება მითების გალავნით შემორკალეს, რომლის იქით რეალობა დაიკარგა.**
**ფილმის შემქმნელებს მიაჩნიათ, რომ მათი ნაწარმოები არ უნდა ნახონ იმათ, ვისაც სტალინი ყველა დროისა და ყველა ხალხის გენიად მიაჩნიათ, არც იმათ, ვისაც იგი ჯოჯოხეთის მოციქული ჰგონიათ. ეს ფილმი არის მცდელობა ბელადის ისეთად წარმოჩენის, როგორიც სინამდვილეში იყო, შავ-თეთრი მითების გარეშე. რატომაა იგი დღემდე ჩვენთან და ზოგიერთებს დღესაც მის თაყვანისმცემლებად მოაქცევს, სხვებში კი სიძულვილს იწვევს? ამ კითხვებზეც იპოვით პასუხებს HTB-ს მრავალსერიან მონათხრობში.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №10 (197)



### პირველი სერია (ნაწილი მეორე)

სოსო ჯუღაშვილი თბილისის სასულიერო სემინარიაში განაგრძობს სწავლას. ამ დროს მამამისი ოჯახიდან თბილისში საშოვარზეა წასული. ეტყობა, დედაქალაქში არაფერი გამოსდის და გალოთდება. მამას უნდოდა, რომ მისი ვაჟი მეწაღე გამხდარიყო, მაგრამ დედას — ეკატერინე მგელაძეს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი შვილის მღვდლობა: პრესტიჟული და შემოსავლიანი პროფესიაა. ეკლესია სახელმწიფო მანქანის ნაწილია — მღვდლები ჩინოვნიკებივით სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებენ ხელფასს... ვინძლო სოსოსაც გაუმართლოს და მოსკოვში ან პეტერბურგში გაამწესონ.



სემინარიის შენობა ქალაქის გულშია. თბილისი ამ დროს საკმაოდ დიდი, მრავალეროვნული ქალაქია. ქართველები უმრავლესობით არ არიან წარმოდგენილი: უმეტესობა — სომხებია, რუსები, თათრები... პროვინციელი ყმაწვილისთვის ასეთ ქალაქში გადმოსვლა მეგაპოლისში ჩაძირვის ტოლფასი იყო.

ჯერ კიდევ გორში სწავლისას სოსო ბიჭების მომღერალთა გუნდთან ერთად, რომელშიც პირველ ხმას ამბობდა, გორის მთელ მაზრას შემოივლის. მასთანაა ხუთი წლით მასზე უფროსი მეგობარი სანდრო კავსაძე. მეგობარს სტალინი არ დაივიწყებს და 1937 წელს მიიღებს კრემლში. სანდროს შვილიშვილი, **მსახიობი კახი კავსაძე** ინახავს ჩიბუხს, რომელიც სტალინმა ბაბუამისს აჩუქა:



— სანდრო, — უთხრა სტალინმა ბაბუას, — მე დიდი კაცი ვარ, შენთვის ბევრი რამის გაკეთება შემიძლია. მითხარი, რით დაგეხმარო? — გეტყვი, — უპასუხებს სანდრო, — მაჩუქე ჩიბუხი, რომელიც შენ ახლა ხელში გიჭირავს.

ბაბუაჩემი არ ეწეოდა. სტალინმა დახედა ჩიბუხს. ესო? — ჰკითხა სანდროს. ხო, ეს. მეტი არაფერი გინდა? ამ ჩიბუხის მეტი, არაფერი. ჰოო, თქვა სტალინმა, შენ არ შეცვლილხარო და აჩუქა ჩიბუხი ბაბუას. ახლა ეს ჩიბუხი ჩემთანაა. დიდი ხნის მანძილზე თამბაქოს სუნი ჰქონდა შენარჩუნებული. ახლა გაუვიდა.

არის კიდევ წერილი, რომელშიც სტალინი ძველ მეგობარს ჯანმრთელობის ამბავს ეკითხება და ათას წელს იცხოვრეო, ასეთი სურვილით ამთავრებს.



ვერც ჩიბუხი, ვერც წერილი ვერ უშველის კახის მამას — დათაშკას, როცა მას 1949 წელს ბანაკში გადაასახლებენ ომის დროს ტყვედ ყოფნის პერიოდში გერმანელებთან თანამშრომლობის ბრალდებით: მან ჩამოაყალიბა მომღერალთა გუნდი და ქართული სიმღერებით გამოდიოდა ნაცისტების წინაშე.

შვილის პოზიციით, იგი საყვარელი მამაა, სახელმწიფოს პოზიციით, მტერია. და არ არის შვილისთვის გარკვეული, რომელი სიმართლეა მთავარი.

— სტალინის პიროვნების დაკნინება იქნება, — ამბობს კახი კავსაძე, — თუ ამ დიდი ადამიანის შესახებ ცალსახად ვიტყვით, — კარგია ან ცუდი. იგი ძალიან რთული პიროვნება იყო.



სემინარიის ბიბლიოთეკიდან ჯუღაშვილს ხშირად გამოაქვს წიგნები, რომლებსაც სემინარიის სასწავლო პროგრამა არ ითვალისწინებს. რუსული კლასიკის გარდა კითხულობს სემინარიაში აკრძალულ თანამედროვე ავტორს ლევ ტოლსტოის, ირჩევს ჰიუგოს, შექსპირის, დანტეს ნაწარმოებებს, ასევე — პლატონს, ჰეგელს, შოპენჰაუერს. ერთი სიტყვით, ინტელექტუალის მთელ ჯენტლმენურ ნაკრებს. სემინარიის ხელმძღვანელობა ასეთ გატაცებას ამრეზით უყურებდა და, რა თქმა უნდა, არ წაახალისებდა.

სემინარისტ ჯუღაშვილს, რომელსაც წიგნის საყიდელი ფული არ ჰქონდა, უყვარდა თბილისის ბუკინისტების მაღაზიებში მისვლა. აიღებდა წიგნს, კითხულობდა, რითაც ფრიად აღიზიანებდა გამყიდველებს.



1897 წელს ინსპექტორის მოადგილე მურახოვსკი რექტორს მიმართავს სემინარისტის კარცერში მოთავსების წინადადებით.

**მურახოვსკი**: — იოსებ ჯუღაშვილი უკვე გაფრთხილებული მყავდა უცხო წიგნის, ვიქტორ ჰიუგოს „93 წლის“ გამო. დღეს კონფისკაცია მოვახდინე ვიქტორ ჰიუგოს ნაწარმოების „ზღვის მაშვრალნი“. იაფფასიანი ბიბლიოთეკიდან გამოტანილი წიგნების კითხვაში დასახელებული მოსწავლე უკვე მეცამეტედაა შენიშნული.

**რექტორი:** — ხანგრძლივი კარცერი და მკაცრი გაფრთხილება! თვალი მიადევნეთ შესრულებას.



თვითგანათლებისკენ ეს მიდრეკილება მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვება. კრემლის თანამებრძოლები ირწმუნებოდნენ, რომ დღეში სტალინი 300-მდე გვერდს კითხულობდა. კრემლის მისეულ ბიბლიოთეკაში ინახება ათასობით ტომი, რომელთა მინდვრებზე ფანქრით მიწერილია მის მიერ გაკეთებული შენიშვნები. ლიტერატურის დარგში სტალინურ პრემიაზე წარდგენილ ნაწარმოებებს იგი ყველას კითხულობდა. სხვა თუ არაფერი, მისი საჰონორარო ფონდიდან იღებდნენ პრემიებს მომავალი ლაურეატები.



1931 წლის 14 სექტემბერი.

**„სამუშაო ტექნიკუმი ელექტროტექნიკაში“ მივიღე, — მიწერს იგი ცოლს, — გამომიგზავნე, „სამუშაო ტექნიკუმი შავ მეტალურგიაში“. აუცილებლად გამომიგზავნე. ჩემს ბიბლიოთეკაში მოძებნე. იქ იპოვი“.** მალე უნდა გაიმართოს ცეკას პლენუმი მეტალურგიის საკითხებზე და სტალინი მიჩვეული არ არის დისკუსიებში მოუმზადებლად ჩაბმას.

ცოტა უფრო ადრე მან ნადეჟდა ალილუევას ინგლისური ენის სახელმძღვანელოს გამოგზავნა სთხოვა.

მისი ნაშვილების — არტემ სერგეევის მამა, არტიომი, სტალინის მეგობარი, რომელიც ოციანი წლების დასაწყისში დაიღუპა, წერდა, რომ ბელადს ყოველთვის წიგნი ეჭირა ხელში.

არც ისე უბრალო კაცი იყო მეწაღის შვილი, როგორც ზოგიერთს წარმოედგინა.





**რუბენ სერგეევი, სტალინის ნაშვილები არტიომ სერგეევის შვილი:**

— ის იყო რკინისებული ნებისყოფის ადამიანი, საოცარი ირონიისა და საოცარი იუმორის პატრონი. ეს იუმორი შემდეგ და შემდეგ მითებად იქცეოდა ხოლმე.

ოცდაათიან წლებში საბჭოთა მწერლები ლაპარაკობდნენ სტალინისა და მისი თანამებრძოლების მიერ სპექტაკლზე „პური“ დასწრების შემდეგ განვითარებულ ამბებზე. ეს სპექტაკლი კერშონის პიესის მიხედვით იყო დადგმული. მეორე დღეს სტალინი ეწვია მაქსიმ გორკის. იქ დასახელებული კერშონიც აღმოჩნდა. ამ კაცმა ხმამაღლა და მოურიდებლად სთხოვა ბელადს, შეეფასებინა სპექტაკლი.



სტალინმა უპასუხა:

— არ მახსოვს ასეთი სპექტაკლი.

კერშონმა შეახსენა, რომ წინა დღით იოსებ ბესარიონის ძემ ნახა სპექტაკლი „პური“. ხოლო მას, როგორც ამ სპექტაკლის ავტორს, აინტერესებს იოსებ ბესარიონის ძის შთაბეჭდილება ამ სპექტაკლზე.

ბელადმა კვლავ გაიმეორა, რომ არ ახსოვს:

— 13 წლისამ ვნახე შილერის „ვერაგობა და სიყვარული“. მახსოვს. აი სპექტაკლი „პური“ არ მახსოვს.



1899 წელი.

სემინარიაში აკრძალული წიგნების საკითხავად სოსო და მისი მესამეკლასელი ამხანაგები მთაწმინდის უბანში იქირავებენ ოთახს — 5 რუბლი თვეში. საერო ფილოსოფია თანდათან სძლევს სასულიეროს. კლასის ინსპექტორი ბერი დიმიტრი (ერობაში თავადი დავით აბაშიძე) სასკოლო კონდუიტში ჩაწერს: „სემინარიელი ჯუღაშვილი აცდენს საეკლესიო მსახურებას ან დამთავრებამდე მიდის“.

ამ მომენტისთვის სემინარიელი ჯუღაშვილი აქტიურად ესწრება მარქსისტული წრეების მეცადინეობებს.

ატმოსფერო ქვეყანაში იცვლება. ყველას სურს სიახლე, რაც იოლი მოსახდენი და ბედნიერების მომტანი ჩანს.

# მეფის სატრაპები ცოტა ფუქსავატურად უყურებდნენ პოლიტიკურ გადასახლებულებს. ტერორისტ ესერებს ადებდნენ ბორკილებს, ბოლშევიკები კი თავისუფლად ცხოვრობდნენ, თავისუფლად იღებდნენ ფოსტას, დაუბრკოლებლად გადაადგილდებოდნენ, გადასახლების ადგილის დასატოვებლად საკმარისი იყო სახლიდან გამოსვლა.

მართალი ისტორია

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

1899 წლის 29 მაისს სემინარიის პედსაბჭო ადგენს: იოსებ ჯუღაშვილი გაურკვეველი მიზეზებით გამოცდებზე გამოუცხადებლობის გამო გაირიცხოს სემინარიიდან. ახალგაზრდა რევოლუციონერს, უბრალოდ, მობეზრდა ღვთისმეტყველების გაკვეთილებზე ჯდომა.



მტკვრის მარცხენა სანაპირო, ყოფილი მიხეილის ქუჩა. ობსერვატორია. აქ სტალინის ყველაზე უჩვეულო სამუშაო ადგილი იყო მთელი მისი ცხოვრების მანძილზე.

საუკუნეების გასაყარი იდეალური დროა მეამბოხეთათვის და რომანტიკოსებისთვის. იოსებ ჯუღაშვილი 20 წლისაა, დამწყები პოეტი, უმღერის ცხოვრებას, სურს უკეთესობისკენ მისი შეცვლა. წელიწადზე მეტი დროის მანძილზე იგი თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიის გამომთვლელ-დამკვირვებლად მუშაობს. ხელფასი თვეში ოცი რუბლია. იგი მოვალეა, ამოიწეროს ხელსაწყოების მაჩვენებლები ტემპერატურის, სინესტის, ქარის სიძლიერისა და გეომაგნიტური რხევების შესახებ. კავკასიური რეგიონის ეს მაჩვენებლები პირდაპირ პეტერბურგში იგზავნება. ცხოვრობს აქვე კოლეგასთან ერთად ორმოცკვადრატულ მეტრიან მიშენებულ ოთახში. ავეჯი — მხოლოდ მაგიდა, სამი სკამი, ორი საწოლი. ამ ოთახში პირველად შემოვლენ მისი ახალი თბილისელი ნაცნობები: მომავალი სიმამარი სერგეი ალილუევი და მუშა მიხეილ კალინინი.



1901 წლის ივნისში ობსერვატორიაში ჟანდარმერიის როტმისტრ ლავროვის ხელმძღვანელობით ჩხრეკა ეწყობა. აგენტურული მონაცემებით, თბილისის სოციალ-დემოკრატიული წრის შემადგენლობაში არის თბილისის ობსერვატორიის მოსამსახურე იოსებ ჯუღაშვილი, ინტელიგენტი, რომელიც თბილისის რკინიგზის მუშებთანაა დაკავშირებული. პირველი ჩხრეკიდან პირველ დაპატიმრებამდე მხოლოდ ერთი წელიწადია. 2002 წელს მას დააპატიმრებენ ბათუმში მანიფესტაციის მოწყობისთვის და ირკუტსკის გუბერნიაში გადაასახლებენ.



ეს მისი პირველი გადასახლება იყო.

დაპატიმრებული ჯუღაშვილი თითქმის მთელ რუსეთს გაივლის: ცარიცინი (მომავალი სტალინგრადი), სიზრანი, სამარა, ჩელიაბინსკი, ომსკი, ტომსკი. მის თვალწინ პრაქტიკულად გადაიშლება უზარმაზარი მასშტაბი იმპერიის, პირველად დაემშვიდობება პროვინციულობას და მთელი სიცოცხლის მანძილზე პოლიტიკას რუსეთის სივრცეთა ამ უზარმაზარი მასშტაბით განსაზღვრავს.



**კახი კავსაძე, საქართველოს სახალხო არტისტი:**

— ასეთი რუსოფილი, ჩემი აზრით, ისტორიას არ ახსოვს. ჩერჩილთან და სხვებთან შეხვედრების დროს იგი ყოველთვის ამბობდა: ჩვენ, რუსები ასე არ ვფიქრობთ ან ჩვენ, რუსებს ასე მიგვაჩნია. ჩვენ — რუსებსო.

მოსკოვის დიდ თეატრში ემზადებიან გლინკას ოპერა „ივან სუსანინის“ დასადგმელად. კომისიამ, რომელსაც ბოლშაკოვი ხელმძღვანელობდა, გადაწყვიტა, მოეხსნათ ოპერის ფინალი „იდიდე, რუსო ხალხო!“: ეკლესიურობაა! პატრიარქალურობა!

მოახსენეს სტალინს.

— ჩვენ კი სხვანაირად მოვიქცევით, — თქვა მან, — ფინალი დავტოვოთ, ბოლშაკოვი მოვხსნათ.



ირკუტსკში პირველი გადასახლებიდან კობა ქალაქ ბაქოში გამოიქცევა. თბილისი გორთან შედარებით მეგაპოლისია. ბაქო თბილისთან შედარებით კი — მეგა-მეგაპოლისი, თავის ძლიერებას „ოქროს მილიარდმა“ აქ მოუყარა თავი. საუკუნის დასაწყისში ბაქოს პროლეტარიატი მუშაობს ნობელის, როტშილდის, შელის კომპანიების ნავთობსარეწებში.

ბაქოს სანაპირო. გლამურული ადგილი. მართალია, ევროპა არ არის, მაგრამ აზია რომ აღარ არის, ნაღდია.

გასული საუკუნის დასაწყისში რევოლუციონერი კობა ბაქოში მენავთობეთა გაფიცვებს უდგება სათავეში.



ბაქო კონტრასტების ქალაქია. 1905 წლისთვის სარეწებზე აშკარა იყო არა მარტო სოციალური, არამედ ეროვნული უთანასწორობა: ინჟინრები და მმართველები გერმანელები, ინგლისელები, რუსები და სომხები არიან; მუშები — სპარსელები, აზერბაიჯანელები და დაღესტნის მკვიდრნი.

სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ მიმართული პროტესტი ნაციონალურ დაპირისპირებაში გადაიზრდება, რომელიც აქ მეოცე საუკუნის ბოლოს გამეორდება.

მაგრამ ჯერ 1904 წელია.

თვითმპყრობელობამ მრავალეროვნული კავკასია სამხედრო ბანაკად აქცია. თათართა და სომეხთა ხოცვა-ჟლეტა მთელ ქალაქსაა მოდებული.

კობა სასწრაფოდ აყალიბებს შეიარაღებული მუშების რაზმებს, რომლებიც მოწოდებული არიან დაიცვან ნაციონალისტებისგან ქალაქის უბნები.

სტალინი იარაღით ხელში უიშვიათესი სურათია. კობამ შესანიშნავად იცის, რომ პოლიტიკაში სიტყვა, როგორც იარაღი, თოფზე გაცილებით ეფექტიანია.



— ამხანაგებო, — მიმართავს კობა მუშებს, — აუხსენით ეს ადამიანებს და იარაღი უკიდურეს შემთხვევაში გამოიყენეთ.

თბილისის ერევნის მოედანი საბჭოთა წლებში ლენინის მოედნად იწოდებოდა. დღეს იგი თავისუფლების მოედანია.

სწორედ აქ 1907 წლის ზაფხულში რამდენიმე მოთარეშე თავს დაესხა სახელმწიფო ფოსტის ეტლს. გაიტაცეს 250 ათასი რუბლი — იმ დროისთვის გიგანტური რაოდენობის თანხა. იყო სროლა, დაღუპულები და ამ თავდასხმას მოყოლებული მითოლოგია, რომელმაც ეს ტერაქტი დიდი ხნით სტალინის სახელს დაუკავშირა.



ამ დროს სტალინი სათავეში ედგა ამიერკავკასიის ბოლშევიკების ორგანიზაციას. სწორედ ამიტომ ამ აქტის, რომელსაც მსხვერპლი მოჰყვა, გამოძიებას რსდმპ ცენტრალური კომიტეტი იწყებს.

— ეს ხომ ჩვენი მეთოდი არ არის! — დემონსტრაციულად აღშფოთდება ვლადიმერ ილიჩი, რომელიც ემიგრაციაში იმყოფება და რომელიც სოლიდურ რენტას იღებს ამგვარი „ღონისძიებებიდან“. რსდმპ ცენტრალური კომიტეტი მიუღებლად მიიჩნევს კავკასიელი ბოლშევიკების მიერ ესერული უხეში ტერორისტული მეთოდების გამოყენების შესაძლებლობასაც კი.

შიდაპარტიული გამოძიება ადგენს, რომ რევოლუციონერი ჯუღაშვილი, პარტიული ფსევდონიმი „კობა“, თავდასხმაში არ მონაწილეობდა. თუმცა ორგანიზატორები და მონაწილენი მისთვის კარგად ნაცნობი ადამიანები არიან. საბჭოთა პერიოდში ისინი უფრო მეტად ცნობილები გახდებიან:



**კამო ტერ-პეტროსიანი**, რომლის შესახებ საბჭოთა კავშირში სათავგადასავლო სერიალებს გადაიღებენ;

პარტიის ხაზინადარი **კრასინი**, რომელიც ისტორიას ყინულმჭრელი გემის სახელწოდებად შემორჩება, ვიდრე ადამიანად;

**მეერ-გენოხ ვალახი**, რომელიც ქვეყანასა და ხალხში უფრო **მაქსიმ მაქსიმეს ძე ლიტვინოვის** სახელით იქნება ცნობილი და სსრ კავშირის ომამდელი საგარეო საქმეთა სახალხო კომისრად მოგვევლინება. ევროპის პოლიცია კი უფრო ადრე გაიცნობს, როცა გატაცებული ვალუტის გადაცვლას შეეცდება საზღვარგარეთ.



1905 წელი. ფინეთი. ტამერფოსი. იგივე ტამპერე, რომელიც დღეს საზღვარგარეთია, მაშინ კი რუსეთის ჩუხონიის მიყრუებული პროვინცია იყო. სწორედ აქ, ამ პროვინციულ ქალაქში, მუშათა კლუბში რსდმპ კონფერენციაზე ერთმანეთს გაიცნობენ რუსეთის ქვეშევრდომნი — ჯუღაშვილი და ულიანოვი, რათა შემდეგ ისტორიაში შევიდნენ თავიანთი ფსევდონიმებით — სტალინი და ლენინი.

დღეს ამ შენობაში ლენინის მუზეუმია. ვლადიმირ ილიჩი ჯერ კიდევ მაშინ დაჰპირდა ფინელებს დამოუკიდებლობას.

რსდმპ კონფერენცია რამდენიმე ათეული ადამიანის შეკრების სახითაა წარმოდგენილი, რომელიც პატარა, გაბოლილ ოთახში ტარდება. პეტერბურგიდან ეს ფაქტი მარგინალურ ღონისძიებად მოჩანს. სტალინიც კი თავის მოგონებებში არ ცდილობს არაჩვეულებრივ ამბად მის წარმოდგენას. იგი იხსენებს, როგორი მღელვარებით შედიოდა ამ ოთახში და ელოდებოდა, რომ შეხვდებოდა მითიურ, ორმეტრიან ბელადს, დაინახა კი პატარა, თავმოტვლეპილი კაცუნა, რომელიც კუთხეში, ტაბურეტზე ჩამომჯდარი, ჩვეულებრივად ესაუბრებოდა ამხანაგებს.

კავკასიელ ლენინს, როგორც სტალინს უწოდებდნენ ბაქოს მოვლენების შემდეგ, სწორედ აქ წარუდგენენ ნამდვილ ლენინს.

ტამერფოსის სასტუმროს ოთახში ჯუღაშვილთან ერთად ცხოვრობდა ახალგაზრდა რუსი მუშა კლიმენტ ვოროშილოვი. აქ დაწყებულ მათ მეგობრობას ვერ დაარღვევს ვერავითარი ჩავარდნები, რომლებიც „პირველ მარშალს“ პარტიისა და მთავრობის მიერ მისთვის ჩაბარებულ მიმართულებებზე ჰქონდა მეორე მსოფლიო ომის დროს, ყველაზე ტრაგიკულიც კი.



ფინეთის კონფერენციისთვის სტალინი უკვე საყოველთაოდ იყო ცნობილი პარტიაში: იგი არაერთგზის იმყოფებოდა გადასახლებებში და არაერთხელვე გამოქცეულა იქიდან.

გადასახლებები ცალკე თემაა.



1909 წელი. სოლვიჩეგორსკი. არხანგელსკის გუბერნია.

მეფის სატრაპები ცოტა ფუქსავატურად უყურებდნენ პოლიტიკურ გადასახლებულებს. ტერორისტ ესერებს ადებდნენ ბორკილებს, ბოლშევიკები კი თავისუფლად ცხოვრობდნენ, თავისუფლად იღებდნენ ფოსტას, დაუბრკოლებლად გადაადგილდებოდნენ, გადასახლების ადგილის დასატოვებლად საკმარისი იყო სახლიდან გამოსვლა.

სტალინი ასეც მოიქცა: გამოვიდა ქოხიდან და დაადგა ციმბირის ტრაქტად წოდებულ გზას. სანამ ადგილობრივი პოლიცია გონს მოეგება, გადასახლებული უკვე დედაქალაქში იქნება.

რევოლუციონერი კობა სოლვიჩეგორსკიდან გაიქცა. მაგრამ კვლავაც აქ დააბრუნებენ, სადაც გლეხის ქალის — კუზაკოვას სახლში საცხოვრებლად იყო გამწესებული.



ამ ქალის ვაჟი **კონსტანტინე კუზაკოვი** თვალსაჩინო საბჭოთა ფუნქციონერი გახდება: წლების განმავლობაში იმუშავებს პარტიის ცენტრალურ კომიტეტში საბჭოთა კავშირის ტელევიზიის უფროსის თანამდებობაზე. დედას რომ შეეკითხებოდა, მართალია თუ არა, რომ სტალინის შვილი ვარო, — პასუხად მიიღებდა: შენ ჩემი შვილი ხარ და დანარჩენს მნიშვნელობა არ აქვსო.

პარტიულ კარიერაში ახალი საფეხურის შესახებ ცნობას სტალინი სწორედ ამ გადასახლებაში გაიგებს.






**გაგრძელება იქნება**

**ტელესერიალის საგაზეთო ვარიანტი მოამზადა არმაზ სანებლიძემ**

ეს საინტერესოა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## გემების მკვლელი ტბა

**ჰურონის ტბა აშშ-სა და კანადის საზღვარზე მდებარეობს. მიუხედავად სუფთა წყლისა და ულამაზესი პეიზაჟისა, ტბა კაპიტნებისთვის ნამდვილი გამოცანაა — მის ფსკერზე დაახლოებით 6 000 გემია ჩაძირული.** ტბას უამრავი ტურისტი სტუმრობს. ჰურონის ტბა განსაკუთრებით დაივინგის მოყვარულებს იზიდავს. ზოგიერთ მონაკვეთში წყალი ისეთი სუფთაა, რომ ფსკერზე გაწოლილი გემის დანახვა ზედაპირიდანაცაა შესაძლებელი, ასევე ხშირად შეხვდებით მეჩეჩზე შემჯდარ ნავებსაც. ტბის მაქსიმალური სიღრმე 177 მეტრს შეადგენს. ტბაში მდებარეობს კუნძული მანიტულინი. მანიტულინი ფართობის მხრივ მსოფლიოში პირველია ტბის კუნძულებს შორის.

# ისლამური საბანკო სისტემა




**მსოფლიოში 2 მილიარდამდე მუსლიმანი ცხოვრობს და მათი ფინანსური სისტემა მკაცრი წესების მიხედვით იმართება. საბანკო სფეროც შარიათის კანონების დაცვით ფუნქციონირებს.**

შარიათის კანონი, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური ტრანზაქციების განხორციელებასთან, ცნობილია, როგორც „ფიქ ალ-მუამალეტი". ხოლო კონკრეტულად იმ კანონს, რომელიც სესხზე სარგებლის მიღებას არეგულირებს, ეწოდება **რიბა.** რიბას მიხედვით, სესხზე პროცენტის მიღება აკრძალულია, ამიტომ ისლამური ბანკები სხვა მეთოდით მოქმედებენ. ვთქვათ, პიროვნებას სურს, შეიძინოს უძრავი ქონება, რისთვისაც მივიდა ბანკში სესხის ასაღებად. ისლამური ბანკი იქცევა შემდეგნაირად: თვითონ ყიდულობს უძრავ ქონებას და შემდეგ ყიდის კლიენტზე უფრო მაღალ ფასად. ფასთა შორის სხვაობა ბანკის მოგებას წარმოადგენს. ამ ქმედებას **მურაბაჰა** (ფასი პლიუსი) ეწოდება. სწორედ ასე იქცევა შარიათის კანონების მიმდევარი ყველა ბანკი.

**მუდჰარაბა** (მოგების გაყოფა) გამოიყენება მაშინ, როცა ადამიანს სურს ბიზნეს სესხის მიღება. ამ შემთხვევაში ბანკი ხდება ბიზნესმენის პარტნიორი (ბანკი ხდება ბიზნესის მეწილე). ის ფარავს ბიზნესის დასაწყებად საჭირო ყველა თანხას და შემდეგ ინაწილებს მოგებას ბიზნესმენთან ერთად, სანამ ვალი არ დაიფარება. ბანკი ბოლოს იღებს ბონუსს, მოგების სახით.

ყოველი ბანკი ნიშნავს სპეციალურ საბჭოს, რომლის მოვალეობაა შარიათის კანონების შესრულების კონტროლი. საბჭო აკონტროლებს აბსოლუტურად ყველა ოპერაციას, რომელსაც ბანკი ახორციელებს.

**ისლამური საბანკო სისტემის ლიდერები ირანის, საუდის არაბეთისა და მალაიზიის ბანკები არიან. ტოპ 100 ისლამური ბანკის საერთო აქტივების 40% ირანულ ბანკებზე მოდის. ესენია:**

**BANK MELLI IRAN – 45.5 მილიარდი დოლარი;**

**BANK MELLAT – 39.7 მილიარდი დოლარი;**

**BANK SADERAT IRAN – 39.3 მილიარდი დოლარი.**








# ჩრდილოეთ კორეაში თმის ვარცხნილობას სახელმწიფო აკონტროლებს



**შეკითხვაზე, რატომ ვერასდროს ნახავთ ჩრდილოეთ კორეაში ქალს ჯენიფერ ენისტონის ვარცხნილობით, პასუხი მარტივია — იქ თმის ვარცხნილობასაც კი მთავრობა აკონტროლებს.**

ჩრდილოეთ კორეელ ქალბატონებს მხოლოდ 18 სტილის ვარცხნილობის არჩევის უფლება აქვთ. ეს ვარცხნილობა მთავრობამ ოფიციალურად მოიწონა და ყველა მოქალაქისთვის ნებადართულია.

ჩრდილოეთ კორეის დედაქალაქ ფხენიანში მდებარე ყველა სილამაზის სალონის ფასადს ფოტოსურათი ამშვენებს, რაც იმას ნიშნავს, რომ განსხვავებული იმიჯით თავს ვერავის მოაწონებ, რადგან არც ერთი სტილისტი სხვა ვარცხნილობას არ გაგიკეთებთ. კორეელი ქალბატონები სამოსის შეძენის დროსაც განსაზღვრული კრიტერიუმებით ხელმძღვანელობენ. ამასთან, ჩრდილოეთ კორეაში გათხოვილ და გასათხოვარ ქალბატონებს თმის ვარცხნილობის მიხედვით არჩევენ. გათხოვილი ქალები, ძირითადად, თმას მაღლა იწევენ ან მოკლე ვარცხნილობას ანიჭებენ უპირატესობას. ახალგაზრდა გასათხოვარი გოგონები ამ მხრივ უფრო „თავისუფლები" არიან.

# კაქტუსის ბინადრები

**კაქტუსი საგუარო მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებსა (არიზონასა და კალიფორნიაში) და მექსიკის ჩრდილოეთ ნაწილში ხარობს. ამ კაქტუსზე, რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ჩიტები ბინადრობენ.**

საგუაროს სიმაღლე 13-15 მეტრს აღწევს. 75 წლის ასაკში საგუარო უკვე თავის მაქსიმალურ სიმაღლემდე იზრდება და 150 წლამდე ცოცხლობს. 50 წლის ასაკში კაქტუსი ყვავილობს. მისი ყვავილები პატარაა.

პატარა კოდალები, როგორებიც სურათზეა ასახული, მასზე მშვენივრად ცხოვრობენ. მხარეში, სადაც ეს კაქტუსი ხარობს, სხვა ხეს ვერ იხილავთ. მასზე კოდალები იკეთებენ ბუდეს და იკვებებიან ყვავილებით. **კაქტუსის წონა 7 ტონას აღწევს, მისი ფესვები საკმაოდ დიდი და გრძელია, სხვაგვარად იგი მიწიდან მინერალებს ვერ მიიღებს.**









## ბეგარა ნარკოტიკულ პრეპარატებზე

**ხელისუფლებამ მოიფიქრა ხაზინის შევსების ხერხი, აკრძალულ ნარკოტიკულ პრეპარატებზეც კი.** შტატ ტენესში 2005 წელს შემოღებულ იქნა გადასახადი ფსიქოტროპულ ნივთიერებებზე, რომელთა ჩამონათვალშიც შევიდა ექსტაზი, კოკაინი, მარიხუანა და სხვ. გადასახადის გადახდა ნარკოტიკზე მოვაჭრეს შეუძლია ანონიმურად და დაკავების შემთხვევაში, თუ ისინი სასამართლოს წარუდგენენ გადასახადის გადახდის დამადასტურებელ ქვითარს, პასუხისგებიდან განთავისუფლდებიან.

ეს საინტერესოა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ყველაზე უცნაური გადასახადები

**როგორც ცნობილია, გადასახადები გაჩნდა პირველივე სახელმწიფოების გაჩენასთან ერთად და, თუ თავდაპირველად არსებობდა გადასახადი მიწაზე, საქონელსა და მუშახელზე, დროთა განმავლობაში გაჩნდა მეტად უცნაური და ზოგჯერ სულელური გადასახადებიც კი. მაგალითად, ისეთები, როგორიცაა ბეგარა საზოგადოებრივი ტუალების სარგებლობისთვის რომში იმპერატორ ვესპასიანეს დროს, გადასახადი თვალის ფერზე, რომელიც შემოღებული იყო ბაშკირეთში XVII საუკუნეში. მაგრამ არსებობს არანაკლებ უცნაური გადსახადები, რომლებმაც ჩვენს დრომდეც მოაღწია.**



## გადასახადი მზისთვის

**ეს ბეგარა შემოღებულ იქნა 2000-იანი წლების დასაწყისში.** მას შემდეგ ყველა ტურისტი, რომლებიც ჩადიან არქიპელაგზე (იბიცაზე, მაიორკაზე, მენორკაზე და სხვა კუნძულებზე) ვალდებული არიან, ყოველ გატარებულ დღეზე გადაიხადოს ერთი ევრო. „მზიური" აკრეფის წყალობით შეგროვებული სახსრები იხარჯება სანაპირო ზონისა და პლიაჟის დასუფთავებაზე, ეკოლოგიური ბალანსის აღდგენაზე, ანუ ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე. უნდა ითქვას, რომ ხაზინა ივსება საკმაოდ სოლიდური თანხებით: მხოლოდ 2012 წლისთვის ბელაერის კუნძულებზე იმყოფებოდა 10 400 000-ზე მეტი ტურისტი.



## ბეგარა ძროხების მიერ ჰაერის დაბინძურებისთვის

**ესტონეთშიც ზრუნავენ ეკოლოგიაზე, მაგრამ მეტად უცნაური მეთოდით. ეს ხუმრობა არაა, ასეთი გადასახადი მართლაც შემოღებულია ქვეყანაში და თანაც სულ ახლახან — 2008 წელს.** ესტონეთში არც ისე ბევრი მსხვილი საწარმოა, რომლებიც ანაგვიანებენ გარემოს, მაგრამ პარლამენტარებმა „დამნაშავედ" სცნეს ძროხები (რომლებიც ატმოსფეროში უშვებენ მეთანს), მათ მფლობელებს უწევთ ბეგარის გადახდა. საინტერესოა, რომ ცხენები, ღორები და სხვა ცხოველები, მათი აზრით, ქვეყნის ეკოლოგიას არ ემუქრებიან.

## ბეგარა ჩრდილისთვის

**ბეგარა შემოღებულია 1993 წელს. ყველა საქალაქო დაწესებულება, რომლებიც ჩრდილავს მუნიციპალურ მიწას, ვალდებულია, გადაიხადოს გარკვეული გადასახადი.** ზოგიერთმა ბიზნესმენმა სასწრაფოდ ჩამოხსნა ტენტები თავის ფასადებზე, ზოგიერთმა კი გადაწყვიტა, აღარ შეცვალოს თავისი დაწესებულების ჩვეული სახე და ამგვარად ყოველ წელს ავსებს ქალაქის ბიუჯეტს. ამასთან, ბეგარა გადასახდელია არა მარტო მზიან დღეებში, არამედ ღრუბლიან და წვიმიან დღეებშიც, ვენეციაში კი ასეთი დღეები გაცილებით მეტია.



## ბეგარა თაბაშირზე

**როგორც ცნობილია, ეს არის ევროპის ყველაზე პოპულარული ქვეყანა სათხილამურო დასვენების მოყვარულთა შორის. ქვეყნის ხელისუფლებამ მოიგონა ფრიად უცნაური გადასახადი, რომელიც დააკისრეს მოთხილამურეებსა და სნოუბორდისტებს, რომლებიც აქ ჩამოდიან მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან.** სამედიცინო დაზღვევასთან დამატებით, რომელიც უნდა ჰქონდეს ტურისტს, მათ ჩათვალეს საჭიროდ, შემოეღოთ აუცილებელი სამთოსათხილამურო მოსაკრებელი, რომელმაც საბოლოოდ მიიღო ასეთი უცნაური სახელი.

საქმე ისაა, რომ ავსტრიაში ყოველ წელს თხილამურებით დაშვებისას ტრავმას იღებს თითქმის 150 000 ტურისტი, რომლებიც შემდეგ ხვდებიან ავსტრიის საავადმყოფოებში. დათვლისას, მკურნალობაზე გაწეულმა საერთო თანხამ დაარწმუნა ხელისუფლება დამატებითი გადასახადების დაწესების მიზანშეწონილობაში (ის შედის სამთოსათხილამურო მომსახურების ღირებულებაში). ეს თანხა გადაირიცხება ავსტრიის სამედიცინო დაწესებულებების მისამართზე ტრავმებისა და მოტეხილობების სამკურნალოდ.



## ბეგარა ტატუირებასა და პირსინგზე

**ბეგარა შემოღებულია აშშ-ის არკანზასის შტატში 2005 წელს.** შტატის მცხოვრებლები ტატუს გაკეთების შემდეგ იხდიან არა მარტო ხელობის ფულს, არამედ ყოველ ტატუირებასა და ყოველ გახვრეტაზე დამატებით ღირებულების 6%-ს. შესაძლოა, გადასახადი შემოღებული იქნა, როგორც ბრძოლის საშუალება არაპროფესიონალებთან, რომლებიც არ იცავდნენ ჰიგიენის აუცილებელ წესებს ტატუირების დროს და ზრდიდნენ სხვადასხვა დაავადების (შიდსი, ტუბერკულოზი, ჰეპატიტი) გავრცელების რისკს.





## ბეგარა მშვიდობისთვის

**დასავლეთ აფრიკის ერთ-ერთი ყველაზე ღარიბი ქვეყნის — გვინეის მცხოვრებლები, რომლებიც ისედაც სიღარიბის ზღვარს ქვევით არიან, ყოველ წელს ამ დრომდე იხდიან ბეგარას მშვიდობისთვის,** მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა არ აწარმოებს არავითარ საომარ მოქმედებებს. ყოველი მშვიდობიანი წლისთვის მოქალაქეები ვალდებულნი არიან, გადაიხადონ 17 ევრო. ეს გვინეელებისთვის ძალიან დიდი თანხაა. მაგალითისთვის: 1 კგ ყავა ღირს 50 ევროცენტი.



## ბეგარა ბარბიქიუზე

**ეს ბეგარა შემოტანილ იქნა 2007 წელს ვალონის ხელისუფლების მიერ, რომელშიც შედის ხუთი სამხრეთ პროვინცია 4 მილიონი მოსახლეობით.** გლობალურ დათბობასთან ბრძოლა ბარბიქიუზე გადასახადის დაწესებით გადაწყდა. ეკოლოგების მონაცემებით, გრილზე საკვების მომზადებისას ატმოსფეროში ხვდება 50-100 გრამი ნახშირმჟავას გაზი, რომელიც ხდება კლიმატის ცვლილების მიზეზი. ამიტომაც, ყოველ შემთხვევაზე, როცა ვალონიის მცხოვრები მოინდომებს გრილის გამოყენებას, მან უნდა გადაიხადოს გადასახადი 20 ევროს ოდენობით. ფარულად ამის გაკეთება არ მოხერხდება, რადგან მათ დააფიქსირებს იმ ვერტმფრენებზე დაყენებული თერმული კამერები, რომლებიც ტერიტორიაზე პატრულირებენ.



## ბეგარა საკვების ერთჯერად ჩხირებზე

2006 წლის დასაწყისიდან ჩინელები იხდიან ბეგარას საჭმლის ჩხირების გამოყენებისთვის. 5%-იანი მოსაკრებელი ყოველი წყვილი ჩხირის გაყიდვისთვის ტყეების დასაცავად შემოიღეს. სტატისტიკის თანახმად, ყოველ წელს ქვეყანაში გამოიყენება (და შესაბამისად იყრება) 45 მილიარდი წყვილი ერთჯერადი ჩხირი, რომელთა დასამზადებლად იჭრება 25 მილიონი ხე. იმის გაცნობიერების შემდეგ, რომ 10 წლის შემდეგ ჩინეთი, შესაძლოა, ტყეების გარეშე დარჩეს, მთავრობამ შემოიღო ამ სახის გადასახადი. ჩინეთში ასევე იბეგრება ბამბუკის ნაწარმი.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## მამაკაცი მართვის მოწმობის გამოცდაზე 107-ჯერ ჩაიჭრა

**ბრიტანელი მამაკაცი მართვის მოწმობის გამოცდაზე თეორიულ ტესტს ვერ აბარებს. პრესას ამ ადამიანის ვინაობას უმალავენ. ცნობილია მხოლოდ ის, რომ იგი ლონდონში ცხოვრობს და 28 წლისაა.** ავტომობილის მართვის კურსების შემსწავლელი სკოლის წარმომადგენლის თქმით, ეს ფაქტი ძალიან უცნაურია, ხოლო ციფრი — რეკორდული. „მართვის მოწმობის გამოცდაზე 107-ჯერ ჩაიჭრა. მაგრამ მნიშვნელოვანია, ყოველთვის გვახსოვდეს, რომ ყველას აქვს უფლება, რაღაც ისწავლოს, მითუმეტეს მართვის მოწმობა აუცილებელია“, — ამბობს სკოლის წარმომადგენელი. ბრიტანეთში პრაქტიკული ტესტის ჩაბარება სამუშაო კვირის დღეებში 62 გირვანქა სტერლინგი ღირს, თუკი ტესტირებაზე უქმეებზე მიხვალთ, 75 გირვანქა სტერლინგის გადახდა მოგიწევთ.

# მთავარი გამყალბებლები

**ჩინეთში დამზადებულ ყალბ პროდუქციას დღეს არა მარტო ჩინეთში, არამედ მთელ მსოფლიოში შეხვდებით. მხოლოდ 2003 წელს გაყალბებული პროდუქციის საბაზრო ღირებულება 24 მილიარდ დოლარს უდრიდა, მას შემდეგ კი მასშტაბები უფრო გაიზარდა.**

ქვეყანაში არ არსებობს პატივისცემა ინტელექტუალური საკუთრებისადმი. რაც შეეხება მთავრობას, ისინი ამ კანონდარღვევებზე თვალს ხუჭავენ, რადგან მილიონობით ადამიანია დასაქმებული ამ სფეროში.

გაყალბებული საქონლის ჩამონათვალი შემდეგია: კომპიუტერული პროგრამები, უცხოური სიგარეტი, წამლები, საათები, ღვინო, მანქანის ნაწილები, სამკაულები, ელექტროტექნიკა, ავტომობილები, ფული, ბილეთები და ა. შ. შანხაის მაღაზიებში შეგიძლიათ შეიძინოთ **Louis Vuitton** -ის ჩანთა სულ რაღაც 25 დოლარად, Cartier-ის საფულე — 15 დოლარად, Wilson-ის ჩოგბურთის ჩოგანი — 10 დოლარად, IPhone 5 — 150 დოლარად.

Fujian და Guangdong-ის პროვინციები გამყალბებლების სამოთხეა. ამ რეგიონებში უამრავი ქარხანა მუშაობს პროდუქციის გაყალბებაზე. აქ არსებული ქალაქები სპეციალიზდებიან სხვადასხვა პროდუქციაზე, მაგალითად: ქალაქ ტაიჯოუში მზადდება გაყალბებული ავტონაწილები, ჩანჯოუში — კოსმეტიკა და ა. შ.

ჩინეთში APPLE-ის არა მარტო ოფიციალური, არამედ უამრავი გამყალბებელი ქარხანა ფუნქციონირებს. ახალი პროდუქტის გამოსვლიდან ერთ-ორ თვეში ბაზარზე გამოდის გაყალბებული პროდუქცია, რომლის ფასი ორიგინალზე 5-ჯერ ნაკლებია.

**მსგავს სიტუაციაშია შემდეგი ბრენდები: Prada, Louis Vuittin, Burberry, Hermes, Ralph Lauren, Givenchy და Chanel-ი.**






უნდა აღინიშნოს, რომ გამყალბებლები ნელ-ნელა ვითარდებიან და აუმჯობესებენ გაყალბებული ნივთების ხარისხს. მაგალითად, იტალიაში აღმოაჩინეს გაყალბებული „როლექსის“ საათები, რომლებიც ვიზუალურად თითქმის 100% -იანი სიზუსტით იყო გაკეთებული, ისე, რომ მყიდველი მის ნამდვილობაში ეჭვის შეტანას ვერ მოახერხებდა.

2010 წელს ახალი IPhone 4 ჯერ კიდევ არ იყო გამოსული ბაზარზე, როცა ჩინეთის მაღაზიებში უკვე გამოჩნდა გაყალბებული IPhone 4-ები, თანაც დამატებული ჰქონდა ისეთი ფუნქციები, რაც რეალურს არ გააჩნდა. მაგალითად 2 სიმბარათის ჩასადები. მსგავსი ტელეფონები არა მარტო ჩინეთში, მთელ მსოფლიოშია ხელმისაწვდომი და რამდენიმე ასეული დოლარით იაფი ღირს. უამრავი ყალბი ტელეფონი და ელექტროტექნიკა იგზავნება აფრიკაში, სადაც დაბალი შემოსავლების გამო მოსახლეობა ყიდულობს ამ პროდუქციას, ხოლო მწარმოებლები დიდ ფულს აკეთებენ.

არსებობს გამყალბებლების ცალკეული ნაწილი, რომელიც ცნობილი ბრენდის მიმგვანებულ სახელს იყენებს: **iPhooe, Samsnug, Suny-Ericssin and Nckia.**

გაყალბებულ პროდუქციასთან ერთად უკვე გაყალბებული მაღაზიებიც გვხვდება ჩინეთში. ქალაქ კუნმინგში უპრობლემოდ ფუნქციონირებს APPLE-ის მაღაზია, სადაც უკვე ლეგალურად იყიდება გაყალბებული პროდუქცია. პერსონალს აცვია ფირმისლოგოიანი მაისურები, მაღაზიაში მყურდო სიტუაციაა და კლიენტისთვის სასიამოვნო ატმოსფეროა შექმნილი, მაგრამ ეს ყველაფერი სიყალბეა, რადგან კომპანია APPLE-ს ჩინეთში მხოლოდ 4 მაღაზია აქვს.






## პატარძალი ეკლესიაში ვერ შეეტია

**16 წლის პატარძალმა იმხელა კაბა შეუკვეთა, რომ საბოლოოდ ჯვრის დასაწერად ეკლესიაში ძლივს შევიდა.**

კარლი ო'ბრაიენის მშობლება 25 000 ფუნტი გადაიხადეს ქალიშვილის საქორწილო სამოსისთვის, რომელიც ქსოვილის 30 ფენისგან შედგებოდა. კაბა 3000 ძვირფასი ქვით იყო მორთული, ჰქონდა 18 მეტრიანი შლეიფი და 160 კგ-ს იწონიდა. ასეთივე კაბა მოზარდმა მისი კერპის, ბრიტანელი მოდელის — ჯორდანის ქორწილში იხილა.

პატარძალს კაბის ჩასაცმელად 9 საათი დასჭირდა. სამოსის სიგანე 2.5 მეტრს აღწევდა. ამის გამო ეკლესიასთან მისული გოგონა ტაძრის კარში გაიჭედა. შესვლასა და საკურთხეველთან მისვლაში 16 წლის პატარძალს 20 სტუმრის დახმარება დასჭირდა.

საკურთხეველთან მისულმა კარლიმ შვებით ამოისუნთქა და თავდაჯერებული თანხმობა განაცხადა მის 17 წლის საქმროსთან ჭირსა და ლხინში თანაცხოვრებაზე. ცერემონიის შემდეგ მეუღლემ გოგონა ეკლესიიდან 14 მეგობრის დახმარებით, ხელში აყვანილი გაიყვანა. როგორც კარლის და აცხადებს, გოგონას დაღლილობისგან თავად სიარული არ შეეძლო.

**„მას სურდა, ჯორდანზე დიდი და კარგი ქორწილი ჰქონოდა და მიიღო კიდეც“,** — განაცხადა კარლის დამ — კრისტალმა.



## «მის ტიბეტზე» ერთადერთმა კონკურსანტმა გაიმარჯვა

**ტიბეტში სილამაზის კონკურსის გამარჯვებულის უცნაური კორონაცია გაიმართა. საქმე ის არის, რომ „მის ტიბეტის“ გამარჯვებული კონკურსის ერთადერთი მონაწილე ტენცინგ დოლმა გახდა.**

ჟიურიმ ერთსულოვნად მიანიჭა გამარჯვება ახალგაზრდა გოგონას და კონკურენტების გარეშე დარჩენილმა ტენცინგმაც ამაყად მიიღო საპატიო ტიტული.

მიზეზი იმისა, რომ სილამაზის კონკურსს მხოლოდ ერთი მონაწილე ჰყავდა, ის არის, რომ ტიბეტელი სასულიერო პირები ასეთი ტიპის ღონისძიებებს უარყოფითად აფასებენ. მაგალითად, 2005 წელს ამავე კონკურსში „მის ტიბეტის“ რვა მონაწილემ, სასულიერო პირების ზეგავლენით, ფინალში მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

ტიბეტის ხელისუფლების აზრით, როდესაც კონკურსის მონაწილე პოდიუმზე ბიკინებში გამოდის, ის შეურაცხყოფას აყენებს ტიბეტის კულტურასა და ტრადიციებს.

სწორედ ამ მიზეზთა გამო, სილამაზის კონკურსი ტიბეტში ყოველწლიურად არ ტარდება. კონკურსი მხოლოდ მაშინ იმართება, როდესაც რომელიმე ქალბატონი გაბედავს და მასში მონაწილეობის სურვილს გამოთქვამს.





## ბრილიანტისთვლიანი ოქროს ფეხსაცმელი

**ჩინელმა დიზაინერმა, კრის ლუმ, ბრილიანტის თვლებით შემკული ოქროს ფეხსაცმელი შექმნა. დიზაინერის შთაგონებად ლუქს-კლასის ავტომობილის ბრენდი „როლს-როისი“ იქცა. ფეხსაცმლის ფასი 3500 ფუნტი-სტერლინგია.**

ფეხსაცმლის დიზაინი ავტომობილის სტილშია გადაწყვეტილი. მისი ცხვირი „როლს-როისის“ ცხვირს წააგავს და მათზე ცნობილი ბრენდის ლოგოც არის დამონტაჟებული, რომელიც ასევე ოქროსგანაა შექმნილი. ფეხსაცმელი, რომელიც ამჟამად გუანჩჟაუში იყიდება, შესაძლოა, გინესის რეკორდების წიგნშიც მოხვდეს, როგორც ყველაზე მეტი ბრილიანტით გაფორმებული ფეხსაცმელი.

ქრონოგრაფი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სიგირიას სასახლე



**შრი-ლანკის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ღირსშესანიშნაობა არის უძველესი შენობა, რომელიც სიგირიას სასახლის სახელითაა ცნობილი. იგი მატალის ცენტრალურ რაიონშია აგებული და გარშემორტყმულია აუზებით, ბაღებითა და სხვა სტრუქტურებით. ასევე შეგიძლიათ იხილოთ უძველესი ფრესკები, რომლებიც ტაძრის კედლებს ამშვენებს და უფრო დიად შესახედაობას აძლევს მას.**

ყველაფერი გაკეთებულია მეფე კასაპ პირველის დაკვეთით, რომელიც ახალ ერამდე 477- 495 წლებში მოღვაწეობდა. ტაძარი ზღვის დონიდან 200 მეტრზეა აშენებული, არქეოლოგების ვარაუდით, იგი ქრისტეს შობამდე მეოთხე საუკუნეშია აგებული. თვითონ გორაკი, რომელზეც სიგირიაა განლაგებული, ვულკანური მაგმის შედეგად წარმოიქმნა. მეცხრამეტე საუკუნის დასასრულამდე ამ ტაძრის ნახვა მხოლოდ არქეოლოგებს შეეძლოთ, ახლა კი ტურისტული ზონაა.













## ქალმა 102-ე დაბადების დღეზე მოწევას თავი დაანება

**ბრიტანელმა კლარა კოუელმა მოწევას თავი 102-ე დაბადების დღის წინ დაანება.** მისის კოუელმა, რომელმაც ბავშვობაში ტუბერკულიოზი გადაიტანა, სიცოცხლის მანძილზე 60 000 სიგარეტი მოწია. მაგრამ 102-ე დაბადების დღემდე ორი კვირით ადრე, ბრიტანელმა ცხოვრების წესის შეცვლა გადაწყვიტა და მავნე ჩვევაზე უარი თქვა. კლარა პრესტონის გარეუბანში, მოხუცებულთა თავშესაფარში მარტო ცხოვრობს.

**„დედის ხანგრძლივი სიცოცხლის საიდუმლო სიგარეტი და ჭიქა ვისკიანი ჩაია. პლუს მძიმე შრომა და სიღარიბე. იგი ყველასთვის შთაგონების წყაროა“,** — ყვება იუბილარის ქალიშვილი ლინდა.




საზეიმო თარიღი კლარა კოუელმა ოჯახის ხუთივე თაობასთან ერთად საყვარელ ადგილას — პაბში აღნიშნა. შარშანდელ დაბადების დღეზე კი აქტიურმა პენსიონერმა სტუმრები ვალსის ცეკვით გააოცა.

კლარამ ოთხი შვილი გაზარდა. მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც მეუღლე ომში წავიდა, პროფესიით მკერავი თავდაცვის სამინისტროს ქარხანაში პარაშუტებს კერავდა. ბრიტანელ ქალს 4 შვილი, 9 შვილიშვილი, 12 შვილთაშვილი და 4 შვილთაშვილის შვილი ჰყავს.



## მექსიკაში მოკლე კაბები აკრძალეს

**მექსიკის ქალაქ სიუდად-აკუნიაში მინი-ქვედაბოლოები აკრძალეს, ხოლო ქალის სამოსში გამოწყობილი მამაკაცები დაჯარიმდებიან. ქალაქის უსაფრთხოების სამმართველოს ხელმძღვანელმა ხავიერ არგუაიო-ი-კამარომ განაცხადა, რომ მოკლე კაბები დღეიდან კანონდარღვევად ჩაითვლება.**



მისივე განცხადებით, ახალი აკრძალვები მორალური ნორმების შენარჩუნებას და დანაშაულის პრევენციას ემსახურება. მინი-ქვედაბოლოებში გამოწყობილი ქალები ხშირად პროსტიტუციას ეწევიან და ახდენენ ჩხუბის პროვოცირებას.

რაც შეეხება ქალის სამოსში გამოწყობილ მამაკაცებს, მათ შეუძლიათ საზოგადოებრივ საპირფარეშოში, მათი საწინააღმდეგო სქესისთვის განკუთვნილ კაბინაში შეუმჩნევლად შევიდნენ.

ასეთ აკრძალვებს ლგბტ ორგანიზაციების აღშფოთება მოჰყვა. მათ ხელისუფლების გადაწყვეტილების წინააღმდეგ საპროტესტო აქციები დაგეგმეს და საჩივარი შეიტანეს მექსიკის ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიაში. მოძრაობის ლიდერებმა განაცხადეს, რომ სიუდად-აკუნიის პოლიცია ადრეც ახდენდა ტრანსგენდერი მამაკაცების დისკრიმინაციას.

# ნატოს ბაირაღები

**ამ წიგნში — „ნატო მაკიაჟის გარეშე“ — თავმოყრილი მასალები სულაც არ არის პროპაგანდისტული იარაღის მჭიდში ჩაწყობილი ფუჭი ვაზნები, რომლებსაც ხმაურიანი ეფექტის მოსახდენად იყენებენ ხოლმე. სსიპ „ისტორიულმა მემკვიდრეობამ“ ფართო მკითხველს სერიოზული ანალიტიკური ნაშრომი წარუდგინა, რომელიც ჩრდილოატლანტიკური პაქტის რეალურ სახეს წარმოაჩენს. დაახლოებით ისეა, როგორც სააკაშვილის ხელისუფლებისთვის ფასადური ფერუმარილის ძალით ჩამორეცხვა.**




მსუბუქ პარალელად ჩათვალეთ ზემოთ ნათქვამი.

ხოლო სერიოზულად კრებულის წინასიტყვაობაშია: **„ნატო იქცა იმ ცრუ მიზნად, რომლის მისაღწევადაც ხელისუფლება ყველაფრის მოთმენისა და დათმობისკენ მოგვიწოდებდა“.**

აი, ეს იყო პროპაგანდა, რომლის **„მანტრა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ქართული საზოგადოების ნაწილი დღემდე ავტომატურად იმეორებს იმას, რაც ჩააგონეს — თითქოს ერთადერთი სწორი გზა ნატოში შესვლაა“.**

„მანტრა“ — ეს ბუდისტური მცნება, შეიძლება ზედმეტადაცაა მოხმობილი, რადგან, სპეციალისტების აზრით, იგი „სხვა არაფერია, თუ არა შინაგანი გრძნობა“. ხოლო ხალხში ნატოსკენ მისწრაფების „შინაგანი გრძნობა“, საეჭვოა, მასობრივ ხასიათს ატარებდეს. ამ ბოლო დროს პირიქითაა, რაც პრაქტიკით შეძენილი გამოცდილების შედეგია უთუოდ.

სარეცენზიო წიგნი სწორედ პრაქტიკული ცოდნის არეალის გაფართოებას შეუწყობს ხელს.

ეს წერილი 2013 წლის 24 მარტს იწერება. იკითხავთ, რა არის ამაში განსაკუთრებული? გიპასუხებთ ამონარიდით კრებულიდან:

**„მთელი მსოფლიოსთვის საყოველთაოდ გავრცელებული ინფორმაციების თანახმად, 1998 წლის კოსოვოში „სერბეთის შეიარაღებულმა ძალებმა ჩაატარეს ეთნიკური წმენდის სერია, რის გამოც კოსოვოს ალბანელთა ნახევარი დევნილობაში აღმოჩნდა... ხანგრძლივმა სისხლისღვრამ აშშ-ის ხელისუფლება და მისი მოკავშირეები აიძულა, დაეწყოთ მასირებული დაბომბვა... რის შედეგადაც ალბანელმა ლტოლვილებმა შინ დაბრუნება შეძლეს“.**

ერთი სიტყვით, 24 მარტს ნატოს ეს ქმედება წარმოჩენილ იქნა, როგორც „მოწყალების აქტი“.

ჯერ ამათი ლოგიკა ნახეთ: დაბომბვის შედეგად ლტოლვილებმა შინ დაბრუნება შეძლეს(!). ახლა კი ამ „კეთილშობილური“ ქმედების ქვეტექსტის გაშიფრულ მიზანს გაეცანით:

**ბოსტონის უნივერსიტეტის პროფესორ ენდრიუ ბაჩევის აზრით, ეს დაბომბვები „უნდა ქცეულიყო გაკვეთილად ყველა ევროპული სახელმწიფოსთვის, რომელთაც ილუზიები აქვთ, რომ მათზე არ ვრცელდება „ცივი ომის“ შემდგომი საერთაშორისო ურთიერთობების ახალი სისტემის ნორმები და წესები“.**

ახალი მსოფლიო წესრიგი მყარდება: დაბომბვით ლტოლვილების გადასარჩენად(!), ანუ ასე მყარდება მშვიდობა კონფლიქტურ რეგიონებში.

ასეთია ერთი დროშა, რომელიც ნატოს თავზე ფრიალებს.

მეორე დროშა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პრიორიტეტულ მიმართულებას მიუძღვება.

როგორ ნადგურდება საერთაშორისო ტერორიზმი ნატოს ძალების გამოყენებით, ყველაზე უკეთ ერაყის მაგალითზე გამოჩნდა. **ნაომი კლაინი** თავის წიგნში **„ერაყის განადგურება“** წერს: **„ეროვნული მუზეუმი გაიძარცვა. 170 ათასი ფასდაუდებელი ექსპონატიდან 80 პროცენტი გაიტაცეს... რელიგიის საქმეთა სამინისტროდან ათასწლოვანი ყურანები გაქრა“.**

**„განადგურებულია მთელი კულტურის სიღრმისეული მეხსიერება, რომელიც ათასობით წელიწადს არსებობდა“,** — აღნიშნავს **ჩიკაგოს უნივერსიტეტის არქეოლოგი მაკ-გაირ გიბსონი.**

შემდეგ: **„2006 წლისთვის ბავშვების ორი მესამედი სკოლაში არ დადიოდა... დაიხვრიტა 300 მეცნიერი, ფაკულტეტების რამდენიმე დეკანი. 2007 წლის თებერვლისთვის დაღუპული იყო 2000 ექიმი, 12 ათასი ქვეყნიდან გაიქცა. გაეროს ლტოლვილთა კომისარიატის მონაცემებით, ერაყიდან ყოველდღიურად 3000 ადამიანი გარბოდა. 2007 წლის აპრილისთვის 4 მილიონმა ადამიანმა საკუთარი სახლი დატოვა“** *(„ერაყის განადგურება“).*

ახლა კი უარეს სტატისტიკას გაეცანით: **„კოალიციური ძალების მიერ მხარდაჭერილმა ერაყულმა რეჟიმმა ძველი ქვეყანა — შუამდინარეთისა და მესოპოტამიის ბრილიანტი დააჩოქა.**

**ოფიციალური სტატისტიკით:**

**— ერთ მილიონზე მეტი ადამიანი დაიხოცა;**

**— 4,5 მილიონი უსახლკაროდ დარჩა;**

**— 1-2 მილიონი ქალი დაქვრივდა;**

**— უპატრონო ბავშვების რაოდენობამ 5 მილიონს გადააჭარბა“.**

ნუ ეძებთ „ვარსკვლავიან და ზოლებიან“ დროშებს; ის დროშა, რომელიც ავღანეთში შეუძღვა ნატოს შეიარაღებულ ძალებს, შავი ფერისა იყო, რადგან, როგორც წერილში **„ავღანეთ-ნატოს ნარკოტიკების ფაბრიკა და 100 ათასი მსხვერპლი წელიწადში“** აღნიშნულია: **„ავღანეთის ტერიტორიაზე 2001 წელს დაწყებულმა „მსოფლიო ტერორიზმთან ბრძოლამ“ ეს ქვეყანა მსოფლიო მნიშვნელობის ნარკოტიკების მწარმოებელ ფაბრიკად აქცია,** და ჯერ კიდევ საკითხავია, რა უფრო მეტ საფრთხეს წარმოადგენს მსოფლიოსთვის — თალიბანის რელიგიური ფანატიკოსების რეჟიმი თუ ავღანეთის ამჟამინდელი, ნატოს ხიშტებზე დაფუძნებული ხელისუფლება, რომლის მართველობისასაც ნარკობარონების საქმიანობას ხელს არაფერი უშლის. **თუ შეწირული სიცოცხლეების რაოდენობით ვიმსჯელებთ, ტერორისტები ბევრად უფრო საშიშნი არიან, ვიდრე ნარკომოვაჭრეები“** *(იქვე).*

თუმცა ორივე შავი ჭირია.

შავი, როგორც ერაყში აფრიალებული დროშა.

სააკაშვილის მიერ დაწესებული საქართველოს თეთრწითელი დროშა ვითომ ნაკლებ უბედურებას ფარავდა ჩვენს ქვეყანაში?!

ბოლო დრომდე ციხეებში დამკვიდრებული წამების ფაქტების პირველწყაროც დასავლეთში ხომ არ უნდა ვეძებოთ?

აბუგრეიბის წამების გამჟღავნებული ფაქტების სიმრავლეში და კიდევ იმ პრაქტიკაში, რომელზეც ლაპარაკია პუბლიკაციაში **„სანქცირებული ძალადობა და წამების ნებართული მეთოდები“** *(გვ. 156).*

**„ნატოს ომი ძვირი უჯდება“** (გვ. 225) — ეს კიდევ ერთი თემაა, კიდევ ერთი მწვავე პრობლემა, გნებავთ, მიმართულება, რომლის დროშას დოლარი ახატია.

დაბოლოს, **სულიერების წინააღმდეგ მიმართული ლაშქრობა, რომელმაც ჯვარს აცვა, მაგალითად, მართლმადიდებლური კოსოვო.**

„სერბი ხალხის „მშვიდობისმყოფელური“ განადგურება დაბომბვებით დასრულდა, — ნათქვამია წერილში **„ჯვარცმული კოსოვო“, — დაიწყო მართლმადიდებლური რწმენის, კულტურის და თავად ქრისტიანების „მშვიდობისმყოფელური“ განადგურება“** (გვ. 59).

ეს უკვე მძიმე ბრალდება და დიდი ცოდვაა, რადგან ასეთ დასკვნამდე მივყავართ ქრისტიანული სიწმინდეების მიმართ განხორციელებული ვანდალური ფაქტების ნუსხას, რომელიც კოსოვოსა და მეხოტიის რასშკო-პრეზრენსკის ეპარქიაში განახორციელეს „ცივილიზებულმა“ ბარბაროსებმა. **კოსოვოსა და მეხოტიაში განადგურებული და წაბილწულია ოთხმოცზე მეტი მართლმადიდებლური სამლოცველო** (გვ. გვ. 55-66).

აქ უკვე მაკიაჟზე ლაპარაკი ყოვლად წარმოუდგენელია.

დაბოლოს: არც ამ წიგნის, არც ამ წერილის პათოსი არ არის და არც შეიძლება იყოს ცივი ომისდროინდელი დაპირისპირება — ხელთათმანის გადაგდებით დუელში ნატოს გამოწვევის პროვინციული გაფაფხურება.

ის დრო წავიდა.

თქვენ წინაშეა ფაქტების ანალიტიკა, რაც ამ კრებულის უმთავრესი ღირებულებაა.

**არმაზ სანებლიძე**




## აშშ-ში პატიმრის წამებისთვის კაპიტანი მხოლოდ 30 დღით, ისიც დროებით, გაათავისუფლეს




**სოციალურ ქსელში გავრცელდა აშშ-ის ციხის კადრები, რომელშიც საპატიმროს თანამშრომლები პატიმარ პოლ შლოსერს აწამებენ.**

ინციდენტი მენის შტატში უინდჰემის ციხეში მოხდა. საპატიმროს თანამშრომლები კაპიტან შონ უელჩის ბრძანებით დაზარალებულს წიწაკის სითხეს სახის არეში ასხამენ, რომელიც ძლიერ დამწვრობას იწვევს.

როგორც ირკვევა, ამ საქმეზე საპატიმროში შიდა გამოძიება დაიწყო და კაპიტანი თანამდებობიდან 30 დღით დროებით გათავისუფლდა.

გამოძიება ასევე იკვლევს, თუ როგორ მოხვდა ეს ვიდეო მედიის ხელში.

## ნაწილი ფიტოთერაპიული კაბინეტი

## იური ბურდილაძის ფიტოთერაპიული კაბინეტი

გთავაზობთ მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე: კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები, არასპეციფიკური წყლულოვანი კოლიტი, საშვილოსნოს კისტა და კისტომა, შარდის ბუშტის ანთება, ღვიძლის დაავადებები, ჰეპატიტები (მათ შორის C-ჰეპატიტი), ალერგიები, ჰაიმორიტი, ფრონტიტი, მენსტრუალური ციკლის რეგულირება, პროსტატა, ადენომა, ტუბერკულოზის ნებისმიერი ფორმა, ნაწლავის პოლიპი, ათეროსკლეროზი და სხვ.

მისამართი: ახვლედიანის ქ. №11
(ყოფილი პეროვსკაია), შესასვლელი ეზოდან.

ჩაწერა წინასწარ: ტელ.: 551-10-59-74
იური ბურდილაძის კონსულტაცია უფასოა!

## განცხადება

2013 წლის 1 სექტემბერს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II დალოცავს გახარიების გვარს. ამისათვის აუცილებელია საგვარეულო ხატის ერთობლივი ძალით დაწერა (დახატვა), რისთვისაც ლიბერთი ბანკში გახსნილია ანგარიში: GE36LBO111199431911000 (ვ. ა. ლიანა გახარიას სახელზე). მნიშვნელოვანია, ყველა გახარიამ მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხოს ნებისმიერი თანხა.

დეტალების დასაზუსტებლად შეგიძლიათ დარეკოთ: 599 728 591

## შესაძლოა, ბერეზოვსკი გაგუდეს



**დიდი ბრიტანეთის პოლიციის განცხადებით, რუს ოლიგარქ ბორის ბერეზოვსკის დახრჩობის ყველა ნიშანი სახეზეა.** დეტალებზე პოლიცია არ საუბრობს. შეგახსენებთ, რომ შაბათს 67 წლის ბერეზოვსკი ბერკშირის საგრაფოში საკუთარი სახლში გარდაცვლილი იპოვეს. ოლგარქის გაგუდვის შესახებ ინფორმაცია მასობრივი საინფორმაციო საშუალებებითაც გავრცელდა.

საქართველო და მსოფლიო — ყოველკვირეული გამოცემა
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge
მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894
9 772233 389009